

გორის სასწავლო უნივერსიტეტის
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI TEACHING UNIVERSITY
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული
COLLECTION OF THE WORKS
№3



გამომცემლობა „ანქისალი“

თბილისი 2012

უაკ (UDC) 902(479.22)(066)

ა-846

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი

რედკოლეგია:

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ვაჟა კიკნაძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

აპოლონ სილაგაძე

გიორგი სოსიაშვილი

გივი ღამბაშიძე

ნოდარ შენგელია

კორექტურა:

ელენე ხოჯევანიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Vazha Kiknadze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Givi Ghambashidze

Nodar Shengelia

Reviewer:

Elene Khojevanishvili

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

ISSN 1512-4657

საქართველოს ისტორია
History of Georgia

- იოსებ ალიმბარაშვილი* - ქართული ჯარის ისტორიიდან (შიდა ქართლის სამღვეროები) 7
Ioseb Alimbarashvili - FROM THE MILITARY HISTORY OF GEORGIA ("SAMDEVROS" IN SHIDA QARTLI)
- დავით ახლოური* - სოფელ წირქოლის სიძველეები 18
Davit Akhlouri - ANTIQUITIES OF TSIRQOLI VILLAGE
- დავით ახლოური* - თემურ-ლენგის ლაშქრობა ცხრაზმის საერისთავოში 26
David Akhlouri - TIMUR LENG'S ANABASIS IN TSKHRAZMA SAERISTAVO
- ელდარ მამისტვალიშვილი* - თეიმურაზ I-ისა და უნდილაძეების ანტიირანული აჯანყება 32
Eldar Mamistvalishvili - ANTI-IRANIAN REBELLION OF TEIMURAZ I AND THE UNDILADZE FAMILY
- გიორგი სოსიაშვილი* - თავხელიძე-მაჩაბლების ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ სავანეებთან (XV ს. I ნახ.) 46
Giorgi Sosiashvili - THE TAVKHELIDZE AND MACHABELI FAMILY RELATIONS WITH THE GEORGIAN MONASTERIES IN JERUSALEM (THE FIRST HALF OF XV CENTURY)
- დავით ჩოჩიშვილი* - გორის ებრაული თემის ისტორიიდან 55
Davit Chochishvili - FROM THE HISTORY OF GORI JEWISH COMMUNITY

ნიკო ჯავახიშვილი - ქართულ-ლიტუვური ურთიერთობის ისტორიიდან (XX საუკუნის პირველი ოცწლეული) 65
Niko Javakhishvili - FROM THE GEORGIAN-LITHUANIAN HISTORY (THE FIRST TWENTY YEARS OF THE XX CENTURY)

ოთარ ჯანელიძე - ჟელიგოვსკი, ორჯონიკიძე და ყარაბეკირი 78
Otar Janelidze - ZHELIGOVSKI, ORJONIKIDZE AND KARABEKIR

მსოფლიო ისტორია World History

ეკა ავალიანი - რას გულისხმობს ცნება - ძველი მახლობელი აღმოსავლეთი? ტერმინებისა და კონცეფციების თანამედროვე გააზრებისათვის 95
Eka Avaliani - WHAT IS REORGANIZED UNDER THE CONCEPT - ANCIENT NEAR EAST? MODERN RETHINKING OF THE NOTIONS AND CONCEPTIONS

ეკა ავალიანი, სალომე სანიკიძე - ქალღმერთის მითოსის ტრანსცენდენტალური ასპექტებისათვის 111
Eka Avaliani, Salome Sanikidze - FOR TRANSCENDENTAL ASPECT'S OF THE GODDESS MYTHOS

გურამ კუტალია - კარლოს დიდის დიპლომატიური ურთიერთობა რომის პაპებთან 132
Guram Kutalia - THE DIPLOMATIE RELATIONSHIP OF CARLOS THE GREAT WITH ROMAN CATHOLIC POPES

ზვიად შერაზაძიშვილი - ხელისუფლების ინსიგნია გვიან ბრინჯაო-აღრე რკინის ხანის სამხრეთ კავკასიაში 152
Zviad Sherazadishvili - THE AUTHORITY INSIGNIAS IN SOUTH CAUCASIA IN THE LATE BRONZE AND EARLY IRON AGES

ვაჟა ჩოჩია - 1881 წელს „სამი იმპერატორის კავშირის“ განახლების ისტორიისათვის 163
Vazha Chochia - FOR THE RENEWING OF “THE UNION OF THREE EMPERORS” HISTORY IN 1881

ვაჟა ჩოჩია - ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობათა გამწვავება სამხრეთ აფრიკაში (XIX ს. 80-90-იანი წლების პირველი ნახევარი) 174
Vazha Chochia - ENGLAND-GERMAN INTENSIFICATION OF ANTAGONISM IN SOUTH AFRICA (FIRST PART OF THE YEARS OF 80-90 OF XIX CENTURY)

ეთნოლოგია Ethnology

ლელა თოგოშვილი - კულტურის გავლენა პიროვნებაზე 182
Lela Togoshvili - CULTURAL INFLUENCE ON PERSONALITY

თინა იველაშვილი - სოფელ საროს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლები (საკულტო სალოცავები) 193
Tina Ivelashvili - MONUMENTS SITUATED ON THE TERRITORY OF THE VILLAGE SARO (CULT PRAYING PLACES)

თამილა კოშორიძე - ქართული ხალხური დღესასწაული - ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ძეგლი 203
Tamila Koshoridze - THE GEORGIAN NATIONAL HOLIDAY – ETHNO-CULTURAL HEREDITARY

ბადრი რაზმაძე - ნიკოლოზ ბერიანიძის დრამატურგია 224
Badri Razmadze - THE DRAMA OF NIKOLOZ BERIANIDZE

გიორგი სოსიაშვილი - აკად. ს. ჯანაშიას შიდა ქართლში
მოღვაწეობის უცნობი დეტალები (XX ს. I მეოთხედი) 235
Giorgi Sosiashvili - UNKNOWN DETAILS FROM THE
RESEARCH BY THE ACAD. S. JANASHIA MADE IN SHIDA
KARTLI REGION (XX C. I QUARTER)

გახსენება Remember

იოსებ ალიმბარაშვილი - დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობი დეტალები
Ioseb Alimbarashvili - THE UNKNOWN DETAILS OF THE 247
LIFE AND CAREER OF DIMITRI MEGVINETUKHUTSESISH-
VILI

მერაბ კალანდაძე - პროფესორ ილია ტაბაღუას გახსენება 265
Merab Kalandadze - MEMORY OF PROFESSOR ILIA
TABAGUA

ვაჟა კიკნაძე - ერთი ეპიზოდი მიხეილ თამარაშვილის ბიოგ-
რაფიიდან (1903 წლის წერილი რომიდან) 277
Vazha Kiknadze - ONE EPISODE FROM THE BIOGRAPHY OF
MIKHEIL TAMARASHVILI (THE 1908 LETTER FROM ROME)

ელდარ მამისტვალიშვილი - ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს
III საქართველოში 285
Eldar Mamistvalishvili - PATRIARCH MACARIOS III OF
ANTIOCH IN GEORGIA

*იოსებ (სოსო) აღიმბარაშვილი
კორის სასწავლო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესორი
ა(ა)იპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი*

**ქართული ჯარის ისტორიიდან
(შიდა ქართლის სამღევროები)**

ფეოდალური საქართველოს ისტორიაში ნაკლებად მოიძებნება მეფე, რომელსაც სამხედრო სფეროში იმდენი რეფორმა გაეტარებინოს, რამდენიც ერეკლე II-ს. რამდენადაც იმდროინდელი ქვეყნის ყველაზე აბუზარი და მოურჩენელი სენი „ლეკიანობა“ იყო, ერეკლეს ღონისძიებათა ძირითადი ნაწილიც მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ „სამღევროების ინსტიტუტი“. მართალია „მღევარი“ ერეკლემდეც იყო მოქმედებაში, მაგრამ ქართლ-კახეთის მეფემ ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე აიყვანა და იმისდამიხედვით, თუ საიდან იყო ლეკთა შემოსევები მოსალოდნელი, შიდა ქართლის სოფლებს უფლებამოვალეობები „დაუკანონა“.

საკითხის შესწავლის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ერეკლე II-ს 1772 წლის 28 აგვისტოს გაცემული ბრძანება. საბუთი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (8: HD, საბ. 13714) და პირველად გამოაქვეყნა დავით გვრიტიშვილმა 1954 წელს. მკვლევარს საკმაოდ დეტალურად აქვს განხილული დოკუმენტი, თუმცა მას არასწორად ათარიღებს: „მარიამობის კც, ქკს უ“ (3: 89).

დოკუმენტში ვკითხულობთ:

„აგვისტოს კმ ქკს უა

ქ. როდესაც რომ მუხრანიდამ ყარაული მოვიდეს, ცხენიანი ჯარი წამოვიდაო, ყველანი გაფრთხილდენ. თუ მკურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მღევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუდრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მღევარს დაუძახონ, მეჯვრისხევს შეიყარნენ; თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ წინ დაუხვდნენ, რომელიც ამჯობინონ, იმ გზით ეცადნენ პასუხის გაცემას და გაყრასა.

ქ. თუ ცხენიანი ლეკის ჯარი იყოს, ერთმანეთს ნუ მოუცდიან, ყველანი სირბილით გამოიქცნენ; ქვეითი ჯარი იყოს, სოფელ და სოფელ ერთად შეიყარნენ, დამრგვალდნენ და ისე მივიდნენ, სადაც სარქარდებმა დაუძახონ.

ქ. ბელოთიდამ მოკიდებული საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი, და პატარა ლიახვის გამოღმართი, გვერდის ძირი და ვაკე.

გორით ბერშუეთამდის, რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთ სამღვეროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი.

ქ. თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს, რა სარქარდებმა დაუძახონ, ორსავე მხარის მღევარი უნდა საჩქაროდ სირბილით წამოვიდნენ ცხენიანი სულ ჭენებით გამოიქცენ და ქვეითნი სოფელ და სოფელ შეიყარნენ, დამრგვალდენ და სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ, იქ მოცვივდენ.

ქ. თუ სამაჩაბლოდან გაჩნდეს ლეკის ჯარი, ან დიდი ლიახვის გაღმა სადმე, ამ დიდის ლიახვის მღევარი და პატარა ლიახვის გაღმართი მღევარი, რომელიც მეორე მღვერად მიგვიჩენია, საჩქაროდ გაცვივდნენ და, როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ, თუ, რომ კიდევ მოუნდესთ მღევარი და სარქარდებმა დაუძახონ გამოღმა მხარის მღევარიც წავიდეს და ღვთით პასუხი გასცენ.

ქ. თუ ქარელიდამ მღევარი დაიძახონ, მაშინვე ქრცხინვალის ქვეით კაცი დიდის ლიახვისა, პატარა ლიახვისა გაღმართი კა-

ცი და დირბის წყლის სოფლები, ყველანი შეიყარნენ და გაცვივნენ, ცხენიანი და ქვეითი ნურავინ დააკლდება.

...ქ. ეს მდევრობა რეკურის წყლიდამ მოყოლებული აღ-ის წყლამდის და გორიდამ სადამდისიც მოჰყვებოდნენ უნდა იმდევრონ”.

ლოკუმენტში გაწერილი უფლება-მოვალეობანი ძირითადად საამილანხროსა და ქსნის საერისთავოს სოფლებს ეხება, თუმცა, ტექსტის მიხედვით, ერეკლეს ასეთივე სამდევროები შეუქმნია შიდა ქართლის სხვა კუთხეებში, მაგ. სამუხრანბატონოში, საცი-ციანოში და სხვ. რომლებიც უკვე იყო მოქმედებაში და საკმაო წარმატებითაც. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს საბუთში მითი-თებული ერთი ადგილი, სადაც ერეკლე ამბობს: „ქ. გაღმა მხარი-სა გარიგებულა, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მად-რიელიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ”.

სამდევროები ვალდებულნი იყვნენ, ერთმანეთისათვის დროულად ეცნობებინათ ლეკთა მოძრაობის შესახებ და იმის მიხედვით, თუ როგორი იყო შემოსული მტრის რაოდენობა და ტიპი (ცხენოსანი, ქვეითი, შერეული), სამეფო კარისაგან შესაბამისი დავალებები ეძლეოდათ.

საყურადღებოა, თავდაცვითი ბრძოლის იმდროინდელი სტრატეგია – შესაბამისად, მტრის ქვეითი ან ცხენოსანი ჯა-რის წამოსვლის შემთხვევაში: მდევრის შეყრა, გზის გადა-კეტვა, ალყაში მოქცევა, მოულოდნელი თავდასხმა და ა.შ.

ერეკლე ადგილობრივ მოხელეებს და მოსახლეობას მოქ-მედების თავისუფლებას არ უზღუდავს, რაც ლოკუმენტში მრავალგზის არის მითითებული: „თუ თავს დასხმა ამჯობი-ნონ, თავს დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ, გზა შეუკ-რან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ, თავს დაესხან, რომელიც ამჯობინონ, იმ გზით ეცადნენ მტრის პასუხის მი-ცემასა და გაყრასა; სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ, იქ

მოცვიდნენ; როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ...” და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ საბუთში სამდეგროების განლაგება გეოგრაფიული თვალსაზრისით კარგად არის გააზრებული: აღმოსავლეთ-დასავლეთით იგი მოიცავს მდ. ლეხურის (საბუთის მიხედვით რეკურის) წყლიდან – აღისწყლამდე, ხოლო ჩრდილო–სამხრეთით სამაჩაბლოდან–გორ-ქარელამდე ტერიტორიას.

საბუთის მიხედვით, სამდეგროები მდინარეების: ბერშოულა-მეჯუდას, პატარა ლიახვის, დიდი ლიახვისა და ფრონეს მონაპირე სოფლებით იყო განსაზღვრული.

მის პირველ მიმართულებას ხურვალეთ-მეჯვრისხევის მხარე წარმოადგენს. თუ მტერი აღმოსავლეთიდან – ღართისკარ-დუშეთიდან შემოდიოდა, აღმოსავლეთის თავდაცვითი უბნიდან – სამუხრანბატონოდან (ცენტრი მუხრანი) მიღებული ცნობის შემთხვევაში, ქართველთა ჯარის თავშეყრა მეჯვრისხევში ხდებოდა, ან დროისა და ვითარებიდან გამომდინარე, სადაც ერეკლეს მიერ დანიშნული მოხელეები – სარქარდები ჩათვლიდნენ საჭიროდ და სამოქმედო გეგმაც შესაბამისად ღებოდა.

სამაჩაბლოდან მტრის თავდასხმის შემთხვევაში თავდაცვა მეორე და მესამე სამდეგროს მოვალეობა იყო. თუ მტერი პატარა ლიახვის ხეობით შემოდიოდა (სოფლები: ბელოთი, საცხენეთი (საბუთის მიხედვით – საცხენისი), ვანათი, არბო, ქორდი, დიცი და ა. შ.), თავს მეორე სამდეგრო იცავდა, თუ შემოსული მტრის რაოდენობა დიდი იყო, თავდაცვაში გორი – ბერშუეთს შორის, ანუ მდ. ლიახვის ქვემო წელსა და მდ. ბერშოულას შორის სოფლები (ბერბუკი, ხელთუბანი, ზელდულეთი, სობისი და ა.შ.) ერთვებოდნენ.

საჭიროებიდან გამომდინარე, პირველ და მეორე სამდეგროს დახმარებას მდინარეების – პატარა ლიახვი – მეჯუ-

დას შორის სოფლები (მერეთი, კარბი, ტყვიავი, ძევერა, კარა-
ლეთი და სხვ.) უწევენ.

თუ ლეკები დიდი ლიახვის ხეობას ესხმოდნენ თავს, ბრძოლაში მესამე სამღვერო (სოფლები: ძარწეში, ქურთა, თამარაშენი, ცხინვალი, ნიქოზი, ხვითი, ფხვენისი, შინდისი და ა. შ) ერთვებოდა, ამასთან, ზურგს მეორე სამღვერო, ანუ პატარა ლიახვის მონაპირე სოფლები უმაგრებდნენ.

პატარა ლიახვის სამღვერო ორად იყოფოდა - „გალმართი“ და „გამოლმართი“. თუ დიდი ლიახვის სოფლებს უჭირდათ, მიშველება ორივეს („გალმართ-გამოლმართის“) ვალდებულება იყო, ხოლო მომხდურთა მცირე რაოდენობის შემთხვევაში „გამოლმართელების“ (სოფლები: არბო, ქორდი, დიცი, ტირძნისი) მიშველებაც საკმარისი იყო.

ქარელიდან, ანუ მდ. ძამას ხეობიდან ლეკის ჯარის თავდასხმის შემთხვევაში თავდაცვით ვალდებულებებს მეოთხე სამღვერო – დირბის წყლის სოფლები (დვანი, დირბი, ბრეთი, არადეთი და სხვ.) იღებდა. მას, შემოსული მტრის რაოდენობის მიხედვით, დახმარებას მეორე და მესამე სამღვერო უწევდა.

დოკუმენტის მიხედვით, შიდა ქართლის სამღვეროების რუკა შემდეგნაირად წარმოგვიდგენია (იხ: რუკა)

საბუთი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მასში გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ყველა ფენის (თავადი, აზნაური, გლეხი) მოვალეობა (ხელმძღვანელობა, პასუხისმგებლობა, ვალდებულება, სასჯელი თავის არიდებაზე და ა.შ.)

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული დოკუმენტი საამილახვრო-ქსნის საერისთავოს სოფლებს მოიცავდა, თავდაცვითი ღონისძიების ხელმძღვანელობაც ამილახვარსა და ქსნის ერისთავს ეკისრებოდა, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში მეთაურობას გიორგი ყულარაღასი და იასე მდივანბეგი კისრულობდნენ. ხელმძღვანელებს საქმის „დიდად ბეჯი-

თად” შესრულება მოეთხოვებათ და ღვთისა და მეფის წინაშე აგებენ პასუხს.

“ქ. თუ ამილახორი და ერისთავი ზემო ქართლში იყვნენ, იმათ უნდა შეიყარონ მღევარი და ისე იმღევირონ.

ქ. თუ ესენი არ იყვნენ ყულარაღასმა გიორგიმ და მღვიანბემა იასემ ქმნან.

ქ. თუ არც ესენი იყვნენ, ალაბაბამ და ან შალვამ, ბეჟან და ან ომანმა ქმნან და იმღევირონ.

ქ. რომელიც ერისთავისშვილი და ამილახორისშვილი და-ესწროს მღევრობა გვიბრძანებია, ამათ შემოეყარნენ და როგორც ამჯობინონ, ისე მოიყვანონ, დიდად ბეჯითად იყვნენ ერისთავისშვილები და ამილახორის-შვილები მღევრობისა, რომ ეს მღევრობა ამათ აძევს”.


ერეკლე ძალზე მკაცრი იყო ღვთაებების მიმართ. სამღევროში გამოუსვლელობის გამო ჯარიმის სახე და რაოდენობა მათი ქონებრივი შესაძლებლობების მიხედვით იყო განსაზღვრული:

“ქ. ვინც დააკლდეს მღევარს ასე გარდაჰხდეს: თუ თავადის შვილი დააკლდეს, საჭაკოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი მინალთუნი; თუ აზნაურიშვილი დააკლდეს, საჭაკოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაჰკრან ბეჭებში.

ქ. თუ შემძლებელი გლეხი კაცი დააკლდეს, ამავე აზნაურისშვილსავით გარდაჰხდეს და, თუ ღარიბი იყოს, ერთი კოკა ღვინო წაართვან და ორმოცი ჯოხი დაჰკრან”.

ღონისძიების მთავარი მიზანი – ძლიერი და მტკიცე საქართველოს შექმნაა, რომელიც დოკუმენტის დასკვნით ნაწილშია განმარტებული:

გიდა ("აზრი") ქართლის სახელმწიფოს რუკა ერეკლე II-ის 1772 წლის 28 აგვისტოს ბრძანების მიხედვით



“ქ. ეს იცოდეთ თავადიშვილებმაც, აზნაურისშვილებმაც, გლეხმაკაცმაც, ამის უკეთეს ვერცარას ღმერთს აამებთ, ვერც არას ჩვენ გვაამებთ და ვერც არას ქვეყანას შემატებთ, რომ ქრისტეს მტერნი თქვენის ცოლ-შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ და ღვთის მოწყალებით დაჰხოცოთ და სირცხვილეულნი გააბრუნოთ.

...რომელნიც ჩვენგან საქმნელი საქმეა პატრონყმობისა, მოვლისა, გარჯისა, წყალობისა და ჩემის ქვეყნისათვის თავის დადებისა ღმრთით არ დავზოგავთ.

თქვენც ასე ეცადნით და ჩვენც კიდევ უფრო ძლიერსა და მტკიცეს საქართველოს შეწევნას ვცდილობთ”.

როგორც ვხედავთ, „წესდებაში“ საკმაოდ ნათლადაა განსაზღვრული მოსახლეობის თითოეული ფენის მოვალეობა ღმერთის, სამშობლოს, მეფისა და საკუთარი ცოლ-შვილის წინაშე. (შემთხვევითი არაა, რომ საბუთი ერთ-ერთ მთავარ რელიგიურ დღესასწაულ – „მარიამობასა“ შედგენილი).

ლოკუმენტში გაწერილია „ყარაულების“ ფუნქციაც. მათი მოვალეობა ინფორმაციის დანიშნულების ადგილამდე დროული მიტანა იყო. სტრატეგიული ობიექტების დამცავი ყარაულები მოგვიანებით „მორიგე ჯარიდანაც“ თავისუფლდებოდნენ და ჯამაგირიც იმისდამხედვეთ ენიშნებოდათ, თუ რომელი ობიექტი ჰქონდათ დასაცავი. მაგ. სოფ. სკრის ხეობის ყარაულებს ექვსი მინალთუნი ეძლეოდათ, ქარელისა და გვერძინეთის ყარაულებს – რვა მინალთუნი, მღვრიე წყლის ყარაულებს ოთხი მინალთუნი და ა. შ. (6: 117–118).

სპეციფიკიდან გამომდინარე, სამღვროები კიდევ დიდხანს იყვნენ მოქმედებაში, რადგან ზემოაღნიშნული ბრძანებიდან ორი წლის შემდეგ (1774 წ.) შექმნილი „მორიგე ჯარი“ გამუდმებული ლეკიანობის პირობებში არც საკმარისი იყო და სწრაფ გადაადგილებასაც ვერ ასწრებდა. ნათქვამის დასტურია 1784 წლის 16 ივნისს ერეკლე II-ს მიერ თეიმურაზ ჯავახიშვილისა და ნინია

გლურჯიძისადმი მიწერილი წერილი: “ქ. ჩვენი ბრძანება არის ჯავახიშვილო თეიმურაზ:

მერმე თეხამს გაღმა რაც სოფლებია ხიდის თავამდინ, იმათი მღევრის უფროსობა შენ და გლურჯიძე ნინიასათვის გვიბოძებია. რომელიც ლეკის ჩამოსასვლელი გზები არის, იმაზე ყარაულები უნდა გყვანდესთ დაყენებული; და ყარაულ-იცა რომ ამბავი მოგიტანოსთ, მაშინვე მღევარს უნდა დაუძახებდეთ, ქუღზე გამოიყვანდეთ და ღმერთით მტრის დამარცხებას ეცადნეთ.

რომელიც მთის გზები არის, იმ გზებზე ყარაულს ნუ გამოსწყევტთ მაგ სოფლებიდან.

და რომელიც კაცი მღევარს დაგაკლდესთ, ის უნდა დაარბიოთ და ბეჯითი უნდა იყვნეთ”. (7: 49 4; დოკ. 136)

ამ შემთხვევაშიც სამღევროს პირობითი საზღვრები შიდა ქართლის მდინარეებია: მდ. თეძამიდან მდ. ტანამდე და მტკვრის მარჯვენა ნაპირის სოფლებს მოიცავს (ზემო ხანდაკი, ხოვლე, სასირეთი, ყარაღაჯი, გრაკალი, დოესი, ქვახვრელი, ხიდისთავი). ერეკლემ კარგად იცის „ლეკიანობის“ სპეციფიკა და მთის გზაბილიკების დაცვას გამორჩევით შეახსენებს მოხელეებს.

„მღევრისას“ ქუღზე კაცის გამოყვანა და საკუთარი სოფლების დაცვა მოსახლეობის უპირველესი ვალდებულებაა, ხოლო მომხდურების დამარცხება – ღმერთის ნება. ამიტომაცაა ამ საქმეში „ბეჯითობის“ გამოჩენა საჭირო. მღევარს დაკლებულთა ხვედრი „დარბევაა“. იგი სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა: ფინანსური, შრომითი, ფიზიკური, საკუთრების ჩამორთმევით და სხვ.

„ყარაულების“ პასუხისმგებლობა ძალზე დიდი იყო. ზემოთ მოტანილ საბუთში „ამბის მოტანა“ მათ ფუნქციას წარმოადგენს. ბრძოლაში წარმატებას მნიშვნელოვანწილად სწორედ ყარაულების სიფხიზლე და ინფორმაციის დროულობა განსაზღვრავდა. 1786 წელს გაცემულ ერთ საბუთში ერეკლე ქვემო ქართლის სტრატეგიული გზების დასაცავად გაგზავნილ ჯგუფს კაცზე

„ორ აბაზს“ ჰპირდება, მაგრამ მკაცრ გაფრთხილებასაც აძლევს: „თუ ამ გზებზედ კაცი გამოგეპარათ, ჩვენად მესისხლედ მოგიკითხამთ“ (6: 272, დოკ. 143).

გასაჭირში ერთმანეთისადმი მიუშველებლობა „სააუგო“ საქმედ ითვლებოდა. 1774 წლის 1 აპრილს ერეკლე II თავის დიდმოხელე რევაზ ამილახვარს „არცხვენს“: „ამილახორო ამდენი უნამუსობა როგორ იქნება, ზემო ქართლელთ გლეხთ და აზნაურთაგან დილით საღამომდისინ სროლა ჰქონებიათ, ლიახვს გამოღმართნი კაცნი როგორ არ მიუშველნენ, მიუშველებლობა დიდად სააუგო საქმე მომხდარაო“ (5: 7782/3; ფ. 145)

ერეკლე II–ს მიერ თავდაცვის სფეროში გატარებულ უამრავ ღონისძიებათაგან მხოლოდ ერთი მიმოვიხილეთ, თუმცა აქაც თვალნათლივ ჩანს ქართლ-კახეთის მეფის ორგანიზებულობა და სამხედრო საქმის ღრმა ცოდნა.

დამოწმებანი:

1. ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბელოშვილმა. თბ., 1986.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV. ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ., 1973.
3. გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, თბ., 1954.
4. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ., 1955.
5. გორის სახელმწიფო ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი 7782/3; ფურცელი 145.
6. კლიმიაშვილი ა., მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის (მორიგე ლაშქარი). სადისერტაციო შრომა, წარდგენილი ისტორიულ

მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1966.

7. ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ. ტ. II, თბ., 1965.

8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 13714.

Ioseb (Soso) Alimbarashvili

Gori Teaching University, Assistant Professor

Ph.D Student of Sokhumi State University

FROM THE MILITARY HISTORY OF GEORGIA

(“SAMDEVROS” IN SHIDA QARTLI)

RESUMÉ

The article deals with one of the reforms of military policy took by Erekle II called “samdevroebi” (detached force of chasers) and the order given by the King on August 28, 1772. The order is given to the officials and the population of the Shida Kartli Region where all their rights and responsibilities are reviewed in detail.

According to the document the territory of “samdevro” covers “Amilakhvari-Ksani” saeristavo (administrative unit in feudal Georgia). The defined responsibilities refer to the villages on the banks of the river Lekhura, Didi (Big) and Patara (Little) Liakhvi and the river Prone. The author defines precisely the borders of the four “samdevros”.

The enclosed map, compiled by the author, makes the considerations mentioned in the article visible and convincing.

*დავით ახლოური,
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
მოწვეული სპეციალისტი*

სოფელ წირქოლის სიძველეები

წირქოლი მდებარეობს ახალგორის რაიონში, ხარულას ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარჯვენა ნაპირზე, ახალგორიდან 6 კმ-ის დაშორებით. შიდა ქართლის ერთ-ერთ უძველეს სოფელში ადამიანის ცხოვრების კვალი ქვედა პალეოლითიდან დასტურდება. აქ აღმოჩენილი იქნა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის წირქოლის, როგორც ძველი და მნიშვნელოვანი ქართული სოფლის ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ (9: 332).

ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი მას დაბის სახელწოდებით მოიხსენიებს. “ქსნის დასავლეთ კიდეა ზედა არს ციხე დაბასა წირქვას” (2: 359).

ვ. ლუნაშვილის ცნობით, წირქოლი “არც სამთვნელის და არც წილქნელის სამწყსოში არ შედიოდა და არც მათ სასარგებლოდ იხდიდა გადასახადს, როგორც ჩანს, წირქოლი უშუალოდ ემორჩილებოდა სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსს” (7: 151).

1781 წლის ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობაში წირქვალში (წირქოლი) მცხოვრები ფიცხელაურები ქსნის საერისთავოს აზნაურებად მოიხსენიებიან. ამ გვარის წარმომადგენლები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ როგორც დასახელებული სოფლის, ისე ქსნის საერისთავოს ცხოვრებაში. ისინი ქსნის ერისთავების მოურავები იყვნენ. ქსნის ხეობის მუხეუმ-ნაკრძალში დაცული 1890 წელს შედ-

გენილი საბუთის თანახმად, ფიცხელაურებთან ერთად წირქოლის მფლობელებად ყოფილან (7: 151). მანამდე კი სოფლის მოსახლეობის ნაწილი ერისთავების ყმები იყვნენ, ნაწილი – მუხრანბატონისა (6: 69). 1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, წირქოლი ქსნის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად ერისთავებს გადაეცათ. მათ უნდა მიეყიდათ წირქოლი საბუთში მოხსენიებული ახალი მფლობელისათვის. დღეს, სამწუხაროდ, ისტორიული ქსნის საერისთავოს დიდი ნაწილი – ახალგორის რაიონი რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

“სოფელ წირქოლსა და მის მიდამოებში ისტორიისა და კულტურის 7 არქიტექტურული ძეგლია დაფიქსიერებული”. ქართული ზეოთმოდღვრების გარდამავალი ხანის (VII ს. II ნახევარი – X ს. I ნახევარი) მნიშვნელოვანი ძეგლი – ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, X საუკუნის წირქოლის ციხე, გვიანი შუა საუკუნეების ფიცხელაურების საგვარეულო კოშკი და მათივე კარის ეკლესიის ნაშთი, თეთრი წმინდა გიორგის ეკლესია, წმინდა მარინეს გვიან შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია და სოფლიდან ორ კილომეტრზე ტყეში მდებარე გვიანი შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია (7: 114-115).

3. ზაქარიაძე შენიშნავს: “ქსნის ხეობაში რამდენიმე ათეული არქიტექტურული ძეგლია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ისე მოხდენილად წარმოდგენილი მთის წვერზე, როგორც წირქოლი (საუბარია წირქოლის ციხეზე – და.). ამასთან, სტრატეგიულად მას მეტად მარჯვე ადგილი უჭირავს: ამ ადგილას მდინარე ვიწრო კალაპოტიდან გამოედინება და მცირედ ფართოვდება. სწორედ ამ ყელს დარაჯობდა ეს ციხე (4: 67).

წირქოლის ციხე ისტორიულ წყაროებში X ს. 70-იანი წლებიდან იხსენიება. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, 970 წელს ქსნის ხეობის ერთი ნაწილი კახეთის საზღვრებ-

ში შედიოდა. საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლმა დავით კურაპალატმა კახეთის მფლობელთა წინააღმდეგ ლაშქრობისას ქართლის ციხეების ნაწილი დაიბრუნა, ხოლო ნაწილი, მათ შორის წირქოლის ციხე და იქვე ახლოს მდებარე გლეხ კვლავ კახელთა მფლობელობაში დარჩა (10: 41) “XI საუკუნეში ვეჯინის (კახეთი) ერისთავად მოხსენიებულია ერისთავთ ერისთავი გიორგი წირქვალელი, რომელიც წიქროლის ციხისათვის შთამომავალი უნდა იყოს” (7: 148). წირქოლის ციხე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თამარის მეფობის დროსაც, იგი ფხოველთა და დიდოელებს წინააღმდეგ მებრძოლ ქართლის სამეფოს მესვეურთა ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენი იყო. მთიელთა განდგომისას მეფემ ქსნის ხეობელებსაც მოუწოდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროს წირქოლის ციხე გადაუკეთებიათ კიდევ: “XII-XIII სს მიჯნაზე ციხეს კაპიტალური გადაკეთება განუცდია, ციხის ზურგის კედელი, საიდანაც ციხეს ადვილი მისადგომი აქვს, უფრო მაღლა აუწევიათ და სისქეც ორ მეტრამდე გაუხდიათ. ციხეშივე ყოფილა კარის მცირე ეკლესია, საიდანაც რელიეფური ქვა აკად. გ. ჩუბინაშვილს წამოუღია და ინახება საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში” (7: 148).

XIV საუკუნის დასაწყისში წირქოლის ციხე ქვენიფხველთა (ქსნის ერისთავთა ადრინდელი ტიტული) მფლობელობაშია.

XVIII საუკუნეში წირქოლის ციხე გივი ამილახორს ეკუთვნოდა. ქართლის მეფედ გახდომის შემდგომ თეიმურაზ II-მ ქსნის ხეობა დაიმორჩილა, მაგრამ წირქოლის ციხე, სადაც რევაზ გივის ძე ამილახორი იყო გამაგრებული, ვერ აიღო. თეიმურაზმა დახმარება შვილს, კახეთის მეფეს ერეკლე II-ს სთხოვა. ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებულმა ლაშქარმა ციხეს ალყა შემოარტყა. მოლაპარაკებების, პატიე-

ბისა და დაპირებების შემდგომ რევაზ ამილახვარმა ციხე თე-
იმურაზს დაუთმო (4 : 68).

მოგვიანებით წირქოლი კვლავ ქსნის ერისთავთა უშუა-
ლო მფლობელობაშია.

1777 წელს, აჯანყებული ქსნის ერისთავის გიორგი ყუ-
ლარაღასის დამარცხების შემდეგ, ერეკლე II-მ ქსნის საე-
რისთავო გააუქმა და წირქოლის ციხეც სამეფო კარს გადაე-
ცა. წირქოლის ციხე მოქმედი ჩანს 1804 წლის მთიულეთის
აჯანყების დროსაც.

დღეს ციხე დაზიანებულია, ჩამონგრეულია ციხის ზურ-
გი, წინა მხარის ქონგურები და გვერდითა კედლები (7:
148).

გვიანი შუა საუკუნეების ძეგლია თეთრი გიორგის სა-
ხელობის მცირე ზომის ეკლესია, რომელიც ქსნის პირას
სოფლის დაკიდულ, საცალფეხო ხიდთანაა აგებული რიყისა
და კლდის ქვითა და ქართული აგურით. ეკლესიისთვის რამ-
დენჯერმე ჩაუტარებიათ რესტავრაცია. აღმოსავლეთის კე-
დელზე შემორჩენილი ასომთავრული ფრესკული წარწერის
ფრაგმენტის ცნობით, ეკლესია ჟურულებს განუახლებიათ,
რომლებიც ჯერ ქსნის ერისთავის, შემდეგ სამეფო აზნაურები
იყვნენ. XIX საუკუნეში ეკლესია რუსულ სტილზე გადაუკე-
თებიათ და ქართული აგურით სამრეკლო დაუშენებიათ. ეკ-
ლესიას გარშემო გალავანი ჰქონია შემოვლებული, გალავნის
გარეთ სხვადასხვა ზომის ქვევრებია ჩატანებული. ქსნის ხე-
ობის მუზეუმ-ნაკრძალში ინახება ვერცხლის სასანთლის ძი-
რი წარწერით: “ქრისტე, შევწირე სასანთლე ესე წმინდას
მოწამეს გიორგის წირქოლის ეკლესიასა: მე შენმან მსასოე-
ბელმან საქართველოს მეფის სძალმან და თანამეცხედრემან
ძისა მისისა გიორგისამან მარიამ: რათა მეოხ მექმნა მრჩო-
ბელსავე ცხოვრებასა შინა მეუღლითა ჩემითა ძეგბითა და
ასულებითა: წელსა ჩლუა (1791 წ.) “მისხალი მთ” (7:
146).

თეთრი გიორგის სახელობის ეკლესიას მოსახლეობა კვირაცხოველის სახელითაც მოიხსენიებს.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით შემორჩენილია მცირე ზომის კვადრატული ნაგებობის საძირკველი, რომელიც წარმართობის დროინდელი საკულტო დანიშნულების ერთ-ერთი უიშვიათესი ნაშთია საქართველოში (7: 146).

სოფლის მოშორებით ტყეში მდგარი წმინდა გიორგის სახელობის მეორე დარბაზული ეკლესია, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ დაზიანებულია. მასაც გალავანი ჰქონია შემოვლებული, სადაც შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები.

კოლა ფიცხელაურს ეკუთვნოდა სოფელში მდგარი ორსართულიანი მრგვალი კოშკი, რომელიც რიყის ქვითაა აშენებული. ჭერი თალიანია და აგურითაა ნაგები. სართულები ერთმანეთთან კლდის ქვით დამზადებული შიდა კიბითაა დაკავშირებული. თითოეულ სართულს ახლავს ბუნარი, სათოფურები და სარკმელები. კოშკის აღმოსავლეთით ფიცხელაურებს კარის ეკლესია ჰქონიათ, აქვეა მათი საგვარეულო სასაფლაოც.

ერისთავთა მოურავების საგვარეულო კოშკთან ახლოს მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების წმინდა მარინეს დარბაზული ეკლესია, რომელიც კლდის ქვითა და აგურითაა ნაგები. “ეკლესია ქრისტიანული რელიგიის მესვეურებს გამოყენებული ჰქონიათ საეკლესიო დრამებისა და საქორწინო ცერემონიალის, ასევე საიდუმლო ზიარების მოწყობის ადგილად, ამიტომ ამ ეკლესიას ხალხი ლიტურგიასაც ეძახის (7: 150). კომუნისტების მმართველობის პერიოდში ეს ეკლესია საწყობად ჰქონიათ გამოყენებული, ახლა ცარიელია (7: 150).

და ბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ წირქვალის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაზე.

გ. ჩუბინაშვილმა წირქოლის ეკლესია VIII საუკუნის მსოფლიო მნიშვნელობის ბრწყინვალე არქიტექტურულ ძეგლად მიაჩნია და შეადარა სირიულ ტაძარს, რომლის მსგავსი იმ პერიოდის რუსეთში არ მოიპოვებოდა, დასავლეთ ევროპაში კი შეიძლება ორი ან სამი ყოფილიყო (8: 203). ს. მაკალათიას ცნობით, ეკლესია დანგრეული ყოფილა და სიძველეთა კომიტეტს საფუძვლიანად აღუდგენია (6: 70). ეკლესიის ფასადები, თაღები, ბოძები და სვეტის თავები ტუფის ქვითაა აგებული, ხოლო კედელ-კამარები და გუმბათი – რიყის ქვით. ასეთი შეხამების შემთხვევები ხშირია გარდამავალ ხანაში (3: 637).

ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათი უყელოა და ტრომპების საშუალებით გუმბათქვეშა კვადრატზეა დაყრდნობილი (9: 322).

წირქოლის ღვთისმშობლის ეკლესიის სამშენებლო წარწერა დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ექსპოზიცია წარმოდგენილია ეკლესიის რელიეფების სამი ფრაგმენტით. ფრაგმენტები შეადგენს ორ კომპოზიციას. ზემოთა კომპოზიციაზე გამოსახულია დანიელი ლომის ორმოში ხელაპყრობილი. ლომები დანიელის მკლავებს პირით ეხებიან. მათ თავს ზემოთ თითო მფრინავი ჩიტია გასამოხული. ქვემოთა კომპოზიციის ფრაგმენტი კი წარმოდგენილია რელიეფებით მეფის (ალბათ ქტიტორის) და ანგელოზის გამოსახულებით (8: 207-208).

წარწერაში კვითხულობთ: “დანიელი იტყვის, მიხსენ მე უ(ფაღ)ო პირის (ა)გ(ა)ნ ლომთაისა. იხსენ სასჯელისაგან გ(ა)ბრ(იე)ლ მთ(ა)ვ(ა)რ ანგ(ე)ლ(ო)ზი ლ(ე)ონ მეფეი” (5: 221).

ძეგლის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ვინაა წარწერაში მოხსენიებული მეფე.

თუ გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას გავიზიარებთ და წირქოლის ეკლესიას VIII საუკუნით დავათარიღებთ, მაშინ

წარწერაში მოხსენიებული და კომპოზიციაში წარმოდგენილი მეფე – ქტიტორი ლეონ II უნდა იყოს, “აფხაზთა სამეფოს” პირველი მეფე, VIII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე.

6. შოშიაშვილი წარწერას ლეონ II-ის მეფობის წლებით ათარიღებს, თუმცა აღნიშნულ პერიოდს რატომღაც ლეონ II-ის სახელთან აკავშირებს (5: 221). უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ძეგლის დათარიღების ნ. შოშიაშვილისეული ვერსია. ამ დროისათვის შიდა ქართლი ეგრის-აფხაზეთის მეფეებს ეკუთვნოდათ, ხოლო ლეონ III აფხაზეთში გამეფებამდე ქართლის ერისთავი იყო (ღვთისმშობლის ეკლესიის ლაპიდარულ წარწერებზე ვრცლად იხილეთ ჩვენი წერილი “ერპიგრაფიკული ძეგლები ქსნის ხეობიდან”) (1: 45-47).

ღვთისმშობლის ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატობა იმართებოდა, სადაც მლოცველი სხვა სოფლებიდანაც მოდიოდა (6: 70).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დღეს ახალგორის რაიონი უცხო ძალის მიერაა ოკუპირებული, სოფელ წირქოლის სიძველეები, რომლებიც ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მონაპოვარია, განადგურების პირასაა. მათი განადგურება კი არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ცივილიზაციისთვისაც კი დანაკლისი იქნება.

დამოწმებანი:

1. ახლოური დ., ეპიგრაფიკული ძეგლები ქსნის ხეობიდან, ჟურნალი “ჩვენი უნივერსიტეტი”, თბ., 2001.
2. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973.
3. ბერიძე ვ., აღრევეოდალური ხანის ქართული ხელოვნება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
4. ზაქარიაძე პ., საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988.

5. ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X ს.ს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა
6. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
6. მაკალათია ს., ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, 1968.
7. ღუნაშვილი ვ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, პუბლიკაციები, 1997.
8. ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936.
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, წირქოლი, ტ. 11, 1987.
10. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1948.

Davit Akhlouri

Gori Teaching University, Specialist by contract

ANTIQUITIES OF TSIRQOLI VILLAGE SUMMARY

This article deals with summary one of the historical district of Tsirqoli antiquities, where there is Lapidarul inscription of Virgin church, Tsirqoli's fortress of 10th century, St. Marine's chamber church of late middle centuries. Firckhe-laurebi's family tower and "karis church" white and St. George's churches which is a few kilometers for.

On the basis of literary analysis and appropriate sources great role, of this small Georgian village is visible and its meaning for the development of Georgian history and culture.

Unfortunately these unique monuments on the occupied territory are in very had conditions and they are in danger of destructions which will be a great loose for Georgian and world culture as well.

დავით ახლოური
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
მოწვეული სპეციალისტი

თემურ-ლენგის ლაშქრობა ცხრაზმის საერისთავოში

მსოფლიო ისტორიაში ვერაგობითა და სისასტიკით გამორჩეულ დამპყრობელთა შორის თემურ ლენგს გამორჩეული ადგილი უკავია. ლენგი - კოჭლს ნიშნავდა. გათურქებული მონღოლური ტომის - ბარლასთა შთამომავალი ერთ-ერთი ბრძოლის დროს ფეხში დაჭრილა და დაკოჭლებულა. XX საუკუნეში, როცა მეცნიერებმა სამარყანდში მისი საფლავი გათხარეს და ჩონჩხი შეისწავლეს, გაირკვა, რომ ცალი ხელიც გაშეშებული ჰქონია. ხეიბარ დამპყრობელს ეს სულაც არ უშლიდა ხელს წარმოუდგენელი სისასტიკის ჩადენაში. მას სისტანის ციხის კედელში 2000 კაცი ჩაუყოლებია, ისფაჰანში 70000 კაცი სიკვდილით დასაჯა და მოჭრილი თავებით გორაკები ააგო, ინდოეთში ცოლ-შვილის თვალწინ 100000 ტყვე დახოცა, სივამი 4000 სომეხი ცოცხლად დამარხა.

ასეთი სისასტიკით ცნობილი დამპყრობელი 1386-1403 წლებში რვაჯერ შემოესია საქართველოს. თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსი შერეფ ედინ ალი იეზდი საქართველოს დაპყრობის მიზეზად „ყაენის სარწმუნოებრივ გულმოდგინებას ასახელებს“... „სწაღდა ქვეყანა გასათათრებლად“ - აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილი (1: 336). თემურის საქართველოში თარეშის ძირითადი მიზეზი მაინც თეთრი ურდოს ყაენთან თოხთამიშთან დაპირისპირება იყო, „მათმა ორთაბრძოლამ მოიყვანა თემური პირველად საქართველოში 1386 წ. ე.წ. „სამწლიანი“ ლაშქრობის დროს“ (5: 60). „საქართველო აღმოჩნდა ორ მოწინააღმდეგე მხარის - თემურ-ლენგის და თოლთა-

მიშის პოლიტიკურ ინტერესთა გადაკვეთის ცენტრში“ (7: 95).

თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად იავარქმნილი და განადგურებული იქნა სოფლები, ქალაქები. გაჩნდა ტერმინები „ნასახლარი“, „ნავენახარი“, „ნაფუძარი“, „ნასოფლარი“, „ნაქალაქარი“, „პარტახი“... „აოხრდა და განადგურდა მთელი საქართველო: სხვაფრივ ნაწილობრივ დაზიანების გარდა 700 სოფელი და ქალაქი მიწასთან იქნა გასწორებული“ (10: 315). ქართველთა მეფე „დაჭრილი ვეფხვივით იბრძოდა ტყეებსა და ვიწროებში“, რაც კიდევ უფრო აღიზიანებდა ისედაც სისხლით გახელებულ ავაზაკს.

1400 წლის გაზაფხულზე, საქართველოში მეექვსედ შემოსევის დროს, თემურ ლენგმა ქსნის ხეობაშიც ილაშქრა. ქვემო ქართლის, თბილისისა და მუხრანის მოოხრების შემდეგ, თემურის ურდო ქსნის ხეობაში ერისთავ ვირშელის წინააღმდეგ დაიძრა. „ისტორიკოსი ფასიჰი ხაფი ამ ხეობაში თემურლენგის ლაშქრის შესვლას აქაური ხალხის ხელიდან „მუსლიმანი ტყვეების“ გამოხსნის საჭიროებით ხსნის. ასეთი ტყვეები მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო აქ, რადგან ერისთავი ვირშელი თან ახლდა გიორგი მეფეს ნახიჩევანის ლაშქრობაში, საიდანაც საქართველოს ლაშქარი დაბრუნდა დიდი ალაფითა და ტყვეებით“ (6: 696).

ქსნის ერისთავთა საგვარეული მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით: „მოვიდა თემური სამანგანელი ყოვლითა სპითა ჩაღანელ-ქაშანელ საყალბელ-ნაჰრომელ ინდუსტანელითა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლისა ლაშქრითა, დიდი რისხვითა და გულის წყრომითა. მაშინ ერისთავი ვირშელი უკუდგა ციხესა ბეხუშისას დედა-წულითა და ჯოგითა და თანაყვა კათალიკოზი ელიაზ ყოვლითა საყდრიშვილითურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხურითა“ (4: 359).

ბეხუშე პატარა ლიახვის სათავეებთან არსებული კარგად გამაგრებული ციხესიმაგრე იყო. როგორც ჯ. გვასალია შენიშნავს, „თემურ ლენგის შემოსევის დროს ბეხუშე ფიგურირებს როგორც ერისთავის და ქართლის კათალიკოსის თავდაცვის მთავარი პუნქტი“ (2: 69).

როცა მტერი პატარა ლიახვის სათავეებს მოადგა, „ვირშელმა უკუაყენა ხიზანი და დედაწულნი და თვით დადგა ბეხუშეს გარეშე ციხესა“ (4: 359).

თემურ-ლენგის მოწინავე მარბიელ ჯარს ადვილად გაუსწორდნენ ვირშელის მშვილდოსნები და უკან დაახევინეს. განრისხებული მტერი მრავალრიცხოვანი ჯარით გადავიდა იერიშზე. ვირშელ ერისთავი აზნაურიშვილებთან ერთად პირადად დახვედრია მტერს, „ჩამოეგებნეს აზნაურიშვილები და იწყეს სროლად ისრითა და დაუხოცეს ცხენები და დაკოდეს მრავალი ისრითა და გამოხსნეს ჰომითა“ (4: 359).

გადამწყვეტი ბრძოლის წინ მომხდური იმ სიმრავლით შეესია ბეხუშეს, რასაც ვიწრო ხეობა დაიტევდა: „ჰკრეს ქოსსა და შეკრბეს სიმრავლითა დიდი და წამოემართნენ ხევთა, ტყეთა, კლდეთა და მოჰმართეს ციხესა ბეხუშისასა“. ქართველებმა ხმლები იშიშვლეს და ხელჩართულ ბრძოლაში მტერს უკან დახევინეს. „მრავალი მოკუდა მათგანი“. გამარჯვებული ერისთავი ქნოლოს გაემგზავრა ოჯახის სანახავად. შეუტყვია რა ვირშელის სტუმრობა ვინმე ქნოლოელ ხარებას, დვალეებისათვის უცნობებია ერისთავის სტუმრობის შესახებ. მეფისა და ერისთავის მოღალატე დვალელები იმავე ღამეს ჩასულან ქნოლოში, მაგრამ ვირშელი დროზე გასცილებია ქნოლოს. როგორც ვ. ლუნაშვილი შენიშნავს „ქნოლოში ვირშელი სამხედრო რაზმის გარეშე უნდა ასულიყო, რასაც წაუქეზებია ქნოლოელი ხარება“ (8: 97). მოგვიანებით, გიორგი VII-მ დვალელებს რამდენიმე გზის ღალატი არ აპატია და ორგულობისათვის ერისთავ ვირშელსა და არაგვის ერისთავ სურამელთან ერთად დვალეთში გაილაშქრა. შეერთებულმა

მხედრობამ ხელთ იგდო დამარცხებული დვალების დიდი დავლა და „დაფლული მრავალი განძი“. ვირშელმა სასტიკად იძია შური ხარებაზეც, ქნოლოს თემურთან ბრძოლაში გადარჩენილი ლაშქრით შეესია, ხარება და მისი მომხრეები „შეაწყუდინა ციხესა შინა და დახოცნა ყოველნივე და დააქცივნა ციხენი მათნი და დაწუა ქუეყანაი მათი“ (4: 360).

ვირშელს მაინც გამოუჩენია გულმოწყალება და სიკვდილით არ დაუსჯია ხარებას სამი წლის შვილი, ცოლი და ძმა. „განუტევა შვილი ხარებისა სამისა წლისა ყრმაი და მისცა ღედასა მისსა და ერთი ძმაი ხარებაისაი“ (4: 360).

ცხრაზმის ერისთავთან დამარცხებული თემურ ლენგი კი საამილახვროს შეესია. ჯანიბეგ ზედგენიძეს დიდი წინააღმდეგობა გაუწევია მტრისთვის, მაგრამ ბოლოს გატეხილა და ტყვედ დანებებულა... საამილახვროდან სამთავისის გზით გორისკენ დაიძრა დამპყრობელი. გზად ჩვეული სისასტიკით ანადგურებდა ყველას და ყველაფერს.

გამარჯვების მიუხედავად მძიმე დაღად დააჩნდა თემურ-ლენგის ლაშქრობა ცხრაზმის საერისთავოს. მტერს დაუნგრევია ერისთავ იოანეს აშენებული ლარგვისის ეკლესია. კ. ტაბატაძის აზრით, თემურ-ლენგი ლარგვისამდე უნდა ასულიყო (6: 696). პ. ზაქარაიას მიხედვით კი მტერს ქარჩოხის ხეობაშიც ულაშქრია და დაუნგრევია ქარჩოხის (ცხმორის) ციხის გარკვეული ნაწილიც (3: 68). რაც შესაძლებლად მიაჩნია ვ. ღუნაშვილს, „სრულად შესაძლებელია თემურის ლაშქრის ერთი რაზმი აპყოლოდა მდ. ქსნის ხეობას, დაენგრიათ რაც ადვილად დასანგრევ-გასაპარტახებელი იყო, მათ შორის ქარჩოხის გარკვეული ნაწილი“ (7: 100).

„ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ავგაროზ ბანდაისძე იმ მძიმე შედეგებზე მიგვანიშნებს, რაც თემურ-ლენგის ლაშქრობას მოჰყვა ცხრაზმის საერისთავოში. ცხრაზმელთა ერისთავს დარჩენია „ზემოი თავადი ციხე ქუენიფნევს და სახლე-ბი: ი (ათი - დ.ა.) და ციხე ქოლოთისაი, ციხენი ისროლისა-

ნი, ციხე ბეხუშისაი, ციხენი უკანუბნისანი, სახლი ნაკაფოვ-
ნისაი და სახლი წინუბნისაი და სხუა ყოველი აღაოხრეს“
(4: 360).

თემურ-ლენგის ლაშქრობის შედეგებზე საუბარია ლარ-
გვისის პარაკლიტონის მინაწერშიც, სადაც „ძეგლი ერისთავ-
თას“ ავტორის ავგაროზ ბანდაისძის შვილი გრიგოლი მოგ-
ვითხრობს მომხდურთა ლაშქრობისა და მის მიერ ჩატარე-
ბული სამუშაოების შესახებ: „დააქცივნეს საყდარნი, მონას-
ტერნი და ეკლესიანი და აღუხუნეს ყოველნი ციხენი. მას
ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ხელთაგან მათთა და ვტირო-
დი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ ბანდაისძე ავგაროზის შვილი.
დაწვისაგან მოხრებული აღვაშენე ხუთი სახლი... და საფ-
ლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დავხატე ხელითა
ჩემითა... შიგნით ეკლესია მოვხატე და შევაძკე ყოველი მოშ-
ლილი ხატები...“ (9: 204-205).

რბევის, აოხრების, განადგურების და, რაც მთავარია,
დიდი მსხვერპლის ფასად ბეხუშესთან ბრძოლაში თემურ-
ლენგის დამარცხება სიამაყის განცდას გვიტოვებს.

დამოწმებანი:

1. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, „ქარ-
თლის ცხოვრება“, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითა-
დი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,
1959.
2. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული
გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
3. ზაქარაია პ., სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე, კრებულში
„საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XVIII,
1962.
4. მესხია შ., „ძეგლი ერისთავთა“, მასალები საქართველოსა
და კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1959.

5. ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, 1974.
6. ტაბატაძე კ., თემურ-ლენგის მეხუთე (1399წ.) და მეექვსე (1400წ.) შემოსევები საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979.
7. ღუნაშვილი ვ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, 1997.
8. ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2005.
9. ჟორდანია თ., ქრონიკები, II, 1899.
10. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, III, 1966.

David Akhlouri

Gori Teaching University, Specialist by contract

**TIMUR LENG'S ANABASIS IN TSKHRAZMA SAERIS-TAVO
RESUME**

Timur Leng, known for his cruelty and barbarity invaded eight times in Georgia in 1386-1403. In summer, 1400, during his sixth invasion in Georgia Timur Leng invaded in Tskhrazma Saeristavo as well. The paper tells us about a heroic struggle of people from Tskhrazma Saeristavo against the vicious conqueror. The main attention is paid to a victory at Bekhushe Castle in Little Liakhvi Gorge which was gained by Nobleman Virsheli from Tskhrazma. And those heavy results caused by Timur Leng's invasion in Ksani Gorge are also analyzed here.

ელდარ მამისთვალიშვილი
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი

თეიმურაზ I-ისა და უნდილაძეების ანტიირანული აჯანყება

შაჰ აბას I-ის მეფობის ბოლო პერიოდი ირანის წარუმატებელი საგარეო პოლიტიკით აღინიშნა. ოსმალეთმა ძალეობი მოიკრიბა, შეტევასე გადავიდა და ადრე დაკარგული სამფლობელოებიდან ზოგიერთი კიდევ დაიბრუნა. ასეთ ვითარებაში შაჰ აბასმა, იმისათვის, რომ ოსმალების წარმატებით შეგულიანებულ საქართველოში ანტიირანული გამოსვლები თავიდან აეცილებინა, თეიმურაზ მეფესთან მორიგება არჩია. შაჰმა ქართლ-კახეთის მოსპობასა და მისი სახანოდ გადაქცევის პოლიტიკაზე უარი თქვა და თეიმურაზს შუამავლად დაუდ-ხან უნდილაძე გაგზავნა. შაჰ აბას I-მა თეიმურაზ I ფაქტიურად, ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ ცნო, თეიმურაზმა კი თავი მის ვასალად აღიარა.

თეიმურაზ მეფემ სვიმონ-ხანისა და ზურაბ ერისთავის თავიდან მოშორების შემდეგ, დასავლეთ საქართველოსთან მოკავშირეობის მიზნით თავისი ქალიშვილი დარეჯანი იმერეთის მეფე გიორგი III-ის მემკვიდრეს ალექსანდრეს მიათხოვა. მან დალესტანიც დალაშქრა და ამის შემდეგ ქვეყანამ ლეკების მძარცველური თავდასხმებისგან დროებით მოისვენა.

თეიმურაზმა თავისი ქალიშვილის იმერეთის მეფის ვაჟზე გათხოვებით, სერიოზულ პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია. ივ. ჯავახიშვილი თეიმურაზისა და იმერეთის სამეფო კარის დანათესავების გამო აღნიშნავდა: „გ. საკაძის საქციელს, რომელმაც თეიმურაზ მეფის საწინააღმდეგოდ იმერთა მეფის-მის ქართლში გაბატონება სცადა, უნდა დაენახვებინა თეიმურაზისათვის, რომ მისთვის იმერეთის მეფესთან უფრო

მჭიდროდ დაახლოება და დაკავშირება იყო საჭირო. რაიმე გზით ის უფრო მომტკიცებული უნდა ჰყოლოდა, რომ მუდამ ზურგიდან თავდასხმისა და და ხიფათის მოლოდინში არ ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა ეხელმძღვანელა თეიმურაზ მეფეს, როდესაც მას თავისი ვერაგობითვე ახლად დაქვრივებული ქალის იმერეთში გათხოვება გადაუწყვეტია...” (11: 358).

როგორც რუსული წყაროებიდან ჩანს, თეიმურაზი შაჰ აბასის გულის მოგებას ცდილობდა, რადგან მას პრობლემები ჰქონდა ქვეყნის შიგნით. ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ თეიმურაზის მმართველობით უკმაყოფილო იყო ქართლის დიდკაცობა: „კახნი ქართველთზედ ამაცობდეს და კმლით დაჭირულს ეძახდეს, უპატიოთაც ეპყრობოდეს, ქართველთ გული გაავებოდა და ბატონის თეიმურაზის ბატონობა არ უნდოდათ“ (10: 238). ასეთი მდგომარეობა მეფის დამოკიდებულებას თავისი ქვეშევრდომების მიმართ დაბავდა. როგორც ერთ-ერთი მისი თანამედროვე უცხოელი წერდა, „ის სულ სხვა კაცად შეიცვალა: ყველას მტრად გადაეკიდა, თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა, ახალი ხარჯი გააწერა და ყველაფერს ძალით ართმევდა; მისთვის სამართალი აღარ იყო. თავის კანონად თავისი სიხარბე და ჟინი გაიხადა“ (3: 125).

საინტერესოა, რომ თვით მეფე თეიმურაზიც კრიტიკულად აფასებდა აქამომდე განვლილ თავის ცხოვრების გზას: „მე ყოვლად უსრულმან ცნობითა, ქცევითა ყოვლად ნაკლულევანმან კეთილ-განა სასოებით და წრწოლით ბრალთაგან ყოვლად განკრთობილმან, მეფედ დადგინებულმან ძისა შენისაგან არათუ გამორჩევით, არამედ უნარჩევესმან, მსასოებელმან შენმან და მონამან მდაბალმან, უნდომან თეიმურაზ“ (11: 347).

შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველების ერთმა მნიშვნელოვანმა ჯგუფმაც, ხოსრო-მირზას მეთაურობით, იმ-

დენი იმარჯვება, რომ ტახტზე შაჰ აბასის შვილიშვილი სეფი-მირზა გაამეფა. ხოსრო-მირზა თეიმურაზის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, რამდენადაც თეიმურაზს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მის მოწინააღმდეგე უნდილაძეებთან. ხოსრო-მირზას ჯგუფმა იმდენი მოახერხა, რომ თეიმურაზის მომხრე ჯგუფის მეთაური დაუდ-ხან უნდილაძე გააძევა, რომელიც 1630 წელს ყარაბაღში წამოვიდა და განჯას დადგა. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, „დაუდ ხან ყარაბაღის ბეგლარბეგი უჭკო და ამაყი კაცი იყო და ყაენსაც როსტომ მეფის გული-სათვის მეჯლიშიდამენ გაეგდებინა და ეს ჯავრი დაუდხანს ვერ მოეთმინა. ამისათვის თეიმურაზ მეფეს მოციქულობა დაუწყო. შეიფიცნეს და აღრბეჟანის დაჭირვა მოინდომეს“ (10: 238).

თეიმურაზმა და დაუდ-ხანმა ირანის დალაშქვრა განიზრახეს. „ასეთ ვითარებაში საჭირო იყო დინჯი და აუჩქარებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარება. თეიმურაზი იმის მაგივრად, რომ თავი ირანის ერთგულ ვასალად მოეჩვენებინა და ქვეყნის საშინაო მდგომარეობის მოწესრიგებაზე ეზრუნა, საკმაოდ მოუშხადებელი, ირანის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა“ (12: 294).

შევეცდები გავარკვიო რით იყო განპირობებული თეიმურაზისა და დაუდ-ხან უნდილაძის, ერთი შეხედვით, მოუშხადებელი მოქმედება – გამოუცხადებელი ომის დაწყება ირანის წინააღმდეგ.

გამოთქმულია საფუძვლიანი ვარაუდი, რომ დაუდ-ხანის ძმა შირაზის გამგებელი იმამყული-ხანი თანაუგრძნობდა თეიმურაზისა და დაუდ-ხანის ანტისპარსულ აჯანყებას. თეიმურაზს დაუდ-ხანთან მეგობრობა და ნათესაობა აკავშირებდა (1: 165-171). იგი თეიმურაზის სიძე, დის ქმარი იყო. უცხოელთა ცნობებით, თეიმურაზს იმამყული-ხანთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და 1627 წლის თებერვალში შირაზშიც კი ყოფილა და მისი მასპინძლობით უსარგებლია (5:

194-195). ამ ორი მოღვაწის ურთიერთობის ამსახველი ეს ერთი მაგალითიც კი საეულისხმოს ხდის მათ შორის სერიოზული პოლიტიკური გარიგების მიღწევის შესაძლებლობას. იმამ-ყული-ხანს, რომ საქართველოსთან გარკვეული კავშირი ჰქონდა, ამაში გვარწმუნებს ავიტაბილეს ერთი საინტერესო ნათქვამი, რომელიც აუცილებლად ასახავდა მის ღროინდელ აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ განწყობილებას: „ამასობაში ვილაცამ ხელმწიფეს (შაჰ სეფის – ე.ძ.) მისწერა საქართველოდან, რომ თუ გინდათ საქართველოს დაეპატრონოთ, თავიდან უნდა მოიშოროთ შირაზელი იმამ-ყული-ხანი, რადგან მთელი ქართველი ხალხის თვალეხი მისკენაა მიპყრობილი“ (2: 47).

ზაზგასმით უნდა ითქვას, რომ *მოვლენების არასასურველმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ დაუდ-ხანისა და თეიმურაზის აჯანყებამ ანტიისპარსული სახე მიიღო. თავდაპირველად იგი მიმართული უნდა ყოფილიყო, აჯანყებულთა გაგებით, უკანონოდ გამეფებული სეფი მირზას და მისი მომხრეების წინააღმდეგ, მაგრამ თავიანთი კანდიდატის ტახტზე აყვანის მცდელობის ჩაშლის შემდეგ იძულებულნი გახდნენ სეფი მირზასდმი დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინათ.*

სავარაუდოა, თეიმურაზისა და დაუდ-ხან უნდილამის აჯანყება დიდი ხნის განმავლობაში სერიოზულად მზადდებოდა და მის მეთაურებს შორს მიმავალი მიზნები ჰქონდათ. 1630 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებული წერილიდან, რომელიც სომხეთიდან ვენეციაში გაიგზავნა, ნათქვამია, რომ „თეიმურაზ ხანს მზადა ჰყავს ოცი ათასზე მეტი მხედარი, რათა დაეპატრონოს საქართველოს და მის მეზობელ მხარეებს. იგი მოელაპარაკა სომეხთა პატრიარქს – მოვსეს კათალიკოსს, რათა აკურთხონ საქართველოსა და სომხეთის მეფედ, და სომეხ წარჩინებულთაც განუზრახავთ დაემორჩილონ ხსენებულ თეიმურაზ-ხანს“ (5: 170).

იმავე წლის რუსული წყაროდან ვიგებთ, რომ ვოევოდა ასტრახანიდან მოსკოვში ხელმწიფეს აცნობებდა შემახიდან ჩამოსული ერთ-ერთი ვაჭრის ნაამბობს: „შაჰის მიწაზე ახლა არც ერთ სახელმწიფოსთან არ ომობენ, მაგრამ ყიზილბაშებს ძალიან ეშინიათ, რომ მათ ქართველები ააწიოკებენ იმიტომ, რომ წინანდელმა შაჰმა საქართველოს მიწა დაიპყრო და ააოხრა“ (4: 113).

ვფიქრობ, თეიმურაზისა და დაუდ-ხანის გამოსვლის საფუძველი შაჰ აბას I-ის მეფობის ბოლო წლებში ძმები უნდილაძეების და თეიმურაზის ოპოზიციის ჩამოყალიბების პერიოდში უნდა ვეძიოთ. სავარაუდოა, ისინი ემზადებოდნენ თავიანთთვის სასურველი კანდიდატის გასამეფებლად. მაგრამ როგორც ითქვა, იმარჯვა მეორე დაჯგუფებამ, რომელსაც ასევე ირანში მოღვაწე ხოსრო-მირზა (შემდეგში ქართლის მეფე როსტომ-ხანი) ედგა სათავეში. მან შაჰ აბასის შვილიშვილი სეფი-მირზა (შაჰ სეფი) აიყვანა ტახტზე. ორივე მხარისათვის გასაგები იყო, რომ წინააღმდეგობა შაჰ სეფის გამეფებით არ დამთავრდებოდა. ორივე მხარე გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადებოდა. მათ შორის შეჯახებას გარდაუვალს ხდიდა ირანში გავრცელებული ხმა შაჰ აბასის შვილის არსებობის შესახებ, რომელიც იმამყული-ხანის ოჯახში იზრდებოდა და მუსლიმანური წესისა და ადათის შესაბამისად, იგი კანონიერი მემკვიდრედ ითვლებოდა. დასაშვებია, *შეთქმულების მონაწილეებისათვის ცნობილი გახდა, რომ შაჰის კარი კონტრლონისძიების გატარებას აპირებდა და იბულებულნი გახდნენ ჯერ კიდევ ბრძოლისათვის სამზადისის დასრულებამდე აჯანყება დაეწყოთ.*

დაუდ-ხანის აჯანყების მიზეზს შემდეგნაირად ხსნის ღონ პიეტრო ავიტაბილე: „იმ დროს თბილისი დაუდ-ხანს ექვემდებარებოდა და რადგან იმ ადგილებში გაჩერება მომიხდა, უტყუარი ცნობებიდან გავიგე, რომ ირანის მეფეს დაუდის მოკვლა განუზრახავს. ამით უნდოდა შირაზის ხანის,

იმამყული-ხანის, დაუდ-ხანის ძმის განდიდებისათვის ბოლოს მოელო, რადგან მისი წარმატების ძლიერ ეშინოდა. ეს ორი ძმა თავიანთი მშვენიერი ყოფაქცევით მთელი ირანის სიყვარულის საგნად იყვნენ გამხდარნი. და კიდევ იმიტომაც, რომ იმამყული-ხანს თავის სამფლობელოში ჰყავდა სერალიდან წამოყვანილი შაჰ-აბასის შვილი, რომელიც მას შეეძინა თავისი ერთ-ერთი ცოლისაგან. განჯის ხანმა, დაუდმა, საიდუმლო წყაროდან იცოდა, რომ მის მოსაკლავად ბრძანება იყო გაცემული იმ დროს, როცა მე განჯაში ვიმყოფებოდი. დაუდ-ხანი ზოგიერთი თავისი მომხრეთი და მთელი თავისი ქონებით, რის წაღებაც კი შეეძლო, გადავიდა საქართველოში და შეუერთდა თეიმურაზს, რომელთანაც უკვე მჭიდრო სამეგობრო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. ისინი ირანის შაჰს აუჯანყდნენ და განრისხებულებმა აოხრება დაუწყეს, პირველად ჯერ განჯას დაარტყეს” (2: 43).

თეიმურაზ მეფისა და დაუდ-ხანის მოლაპარაკება ირანის წინააღმდეგ საბრძოლო გეგმის შესათანხმებლად, იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ ავიტაბილე ამის შესახებ საქმის კურსში იყო და რომშიც კი მისწერა: დაუდ-ხანი თავისი ხელმწიფის წინააღმდეგ ასაჯანყებლად თეიმურაზთან შეთანხმებას აწყობდაო. ამის შემდეგ იგი აღწერს იმ საშინელებას რაც განჯაში დატრიალდა თეიმურაზისა და დაუდ-ხანის იქ შეჭრის შედეგად (2: 24-25).

თეიმურაზ მეფეს და დაუდ-ხანს მხარი დაუჭირეს იმერეთის მეფემ, დადიანმა და მესხეთის თავადაზნაურებმა. მათ ოსმალეთის, ყირიმის სახანოს და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი მთავარის დახმარების იმედიც ჰქონდათ. ილდარ შამხალთან სპეციალური დავალებით გაგზავნილი ანდრია აფანასიევი იტყობინებოდა: „ყიზილბაშთა შაჰის დავით-ხანი, რომელიც შაჰს განერიდა, თურქეთის მეფის ხალხთან და ქართველებთან ერთად, საქართველოში დგას დიდძალი ხალხით შაჰის ხალხის წინააღმდეგ. დავით-ხანმა თურქეთის მეფეს მის-

წერა, რომ მას (სულტანს – თ. ტ.) ყირიმელი შინგირეის მოძებნა ებრძანებინა და სადაც კი არ უნდა ყოფილიყო იგი, ნოღაში, ყირიმსა თუ ყაბარდოში, როგორც იპოვნიდნენ, გაეგზვნა თავისი (სულთნის – თ. ტ.) ჯარებითურთ ოსმალური გზით შაჰის მიწა-წყლის წინააღმდეგ. ყოველივე ეს დიდი დახმარება იქნება მთთვის (ქართველებისათვის – თ. ტ.)“ (9: 74).

როგორც ჩანს, შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ სერიოზული სამხედრო აქციები. მათ, 1632 წლის გაზაფხულზე, „ყარაბალი არეზამდისინ“ დაარბიეს. ყარაბალში თეიმურაზ მეფესთან მივიდა სომეხთა კათალიკოსი დიდი ჯარითა და საჩუქრებით. მან მეფეს ირანის განადგურების საინტერესო გეგმა შესთავაზა: ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირების პირობებში, როდესაც თითქმის მთელი ქართული ლაშქარი მეფესთან იყო, კათალიკოსი 40 ათას მეთოფეს მოიყვანდა და თავრიზის შვიდღლიან დარბევას სთავაზობდა. მისი აზრით ქართველები გაიმარჯვებდნენ, „მთავარ კემწიფეთ გაკურთხებთო და საქრისტიანო შენით დაიხსნებისო და გაძლიერდებიანო“.

თეიმურაზ მეფემ უარი თქვა ამგვარ გეგმაზე და საქართველოში დაბრუნდა იმ განზრახვით, რომ გაზაფხულზე უფრო დიდი ლაშქრით შეესეოდა ირანს. თეიმურაზი განჯიდან აიყარა და თან წამოიყვანა დაუდ-ხანი თავისი ცოლშვილითა და მთელი თავისი ბარგით. თან წამოიყვანა სომეხთა კათალიკოსიც და გორში მოვიდა (10: 239). იმერეთის მეფეს, დადიანს და მესხ თავადებს თეიმურაზ მეფემ კარგად უმასპინძლა და გაისტუმრა.

დაუდ-ხანმა დიდი ყურადღება გამოამჟღავნა გორში დასახლებული კათოლიკე მისიონერების მიმართ. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე თეიმურაზმა კვლავ შეკრიბა ჯარი და დაუდ-ხანთან ერთად ისევ აიკლო შაჰის სამფლობელოები. ეს ლაშქრობაც წარმატებით დასრულდა და თეიმურაზი, დაუდ-

ხანი და მათთან ერთად ავიტაბილევ გორში დაბრუნდნენ (2: 48). საფიქრებელია, რომ ფარსადან გორგიჯანიძის და ავიტაბილევს მიერ აღწერილი თეიმურაზის გორში მოსვლა და დიდი ზეიმი ირანის მეორე ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ მოხდა.

დაუდ-ხანს გორში ეწვია ოსმალეთის სულთნის ელჩი. დაუდ-ხანსა და მის სტუმარს პატრებმა უმასპინძლეს. ავიტაბილევს გადმოცემით, დაუდ-ხანს, მისიონერებისათვის უკითხავს: „კმაყოფილი თუ იქნებით სულთნის ელჩის მოსაყვანად რომ გავაგზავნო კაცი, იგი ჩემთან მოსათათბირებლად არის ჩამოსულიო. მე მას ვუთხარი: ნება თქვენია-მეთქი. მაშინვე გაავაგზავნა კაცი მის დასაძახებლად. ელჩი მოვიდა და ჩვენთან ერთად ისაღილა” (2: 45).

დაუდ-ხანსა და კათოლიკე მისიონერებს შორის საკმაოდ ახლო ურთიერთობა არსებობდა. როგორც ავიტაბილევ გადმოგვცემს, იგი დაუდ-ხანს პირადად კარგად იცნობდა. 1635 წლის 24 ნოემბერს ავიტაბილევ თეატინელი კლირიკოსების გენერალს დონ მატეო სანტომანგოს სწერდა: 1632 წელს „პატრი ჯაკომოს თანხლებით განჯაში მივედი. ვფიქრობდი, ჩვენი მეგობრის, დაუდ-ხანის შემწეობით ამენაზღაურებინა ის ზარალი, რაც თბილისში გაძარცვით მომაყენეს. ცუდ დროს მივუსწარი: დაუდ-ხანი თავისი ხელმწიფის წინაათმდეგ ასაჯანყებლად თეიმურაზთან შეთანხმებას აწყობდა. ჩვენი მოლაპარაკება, მართალია, კარგად დაიწყო, მაგრამ ჯერ ვერ შეძლო მისი დასრულება. ამავე დროს ბრძანება გასცა ჩვენთვის ადგილი მოეცათ და დაავალა, რომ ამ ადგილას ეკლესია და სახლი აეშენებინათ, გარდა ამისა, ჩვენ მოსამსახურედ მოგვიჩინა ექვსი ყმა, რომლებიც მოკლე ხანში გავათვისუფლეთ” (2: 23).

ავიტაბილევ, ერთხელ, სხვა ორ მისიონერთან ერთად, დაუდ-ხანს განჯაში ეწვია თეატინელთა მისიონის დაარსების მიზნით (8: 183-184).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაუდ-ხანი გორში ოსმალებთან ირანის საწინააღმდეგო მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ როსტომის ყიზილბაშთა დიდი ჯვართ ქართლში შემოსვლის გამო ოსმალეთში გაიქცა.

როდესაც დაუდ-ხანის მიერ კათოლიკე მისიონერების მიმართ გამოჩენილი დიდი ყურადღებისა და სიმპათიების შესახებ ვიგებთ, ძნელია გარკვევით რაიმის თქმა. მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაუდ-ხანი, შაჰ აბასის მიერ, პოლიტიკური მოსაზრებით დამკვიდრებული ტრადიციის, კათოლიკე მისიონერებისადმი კარგად მოპყრობის, მომხრე იყო. ასე ექცეოდა მათ როსტომ-ხანიც.

განრისხებულმა შაჰ სეფიმ დაუდ-ხანის ძმა იმამყული-ხანი შვილებიანად ამოწვევით¹ დაუდ ხანის შვილები დაასაჭურისა. დაუდ-ხანმა ოსმალეთს შეაფარა თავი. „ბატონს თემურაზსაც გაუწყრა ყაენი და საქართველო ბატონს როსტომს მისცა და საჰკადე როსტომ ხან ერანის ლაშქრით თან გაატანეს და ქართველნი რომ ყაენს ახლდენ, რომელიც სთხოვა, თან გაატანეს“ (10: 239-240). დონ პიეტრო ავი-

¹ ადამ ოლიარიუსის მიხედვით, როდესაც შაჰ სეფიმ იმამყული-ხანი ყაზვინში დაიბარა, მან კარგად იცოდა რაც ელოდა, მაგრამ მაინც წავიდა თავის შვილებთან ერთად და მოკლულ იქნა ყოველგვარი ბრალდების გარეშე. შაჰს თავიდან მისი შვილების დახოცვა განზრახული არ ჰქონდა, „მაგრამ, როდესაც იმამყული-ხანის უფროსი, 18 წლის ვაჟი, კეთილი ადამიანების რჩევით, დაემხო შაჰის ფეხების საკოცნელად, ერთმა მამებლარამ მოახსენა შაჰს, რომ იგი იმამყული-ხანის შვილი კი არ იყო, არამედ შაჰ აბასისა. [ოდესღაც] შაჰ აბასმა იმამყული-ხანს ცოლად მისცა ერთ-ერთი ქალი თავის ჰარამხანიდან, რომელიც მაშინ ფეხმძიმედ იყო ამ ვაჟზე. ეს მოიხმინა რა შაჰმა, მაშინვე ბრძანა გაეყვანათ უბედური ჰაბუკი თავის თოთხმეტ ძმასთან ერთად მოედანზე, მამის გვამთან, სადაც ყველანი დახოცეს...“ (14: 660). შაჰ აბასის ნაცოლარმა რომ შვილი გააჩინა იმამყული-ხანის ოჯახში, 1630-იან წლებში გავრცელებულ ამ ცნობას ადასტურებს დონ პიეტრო ავიტაბილე: „იმამ-ყული-ხანს თავის სამფლობელოში ჰყავდა სერალიდან წამოყვანილი შაჰ-აბასის შვილი, რომელიც მას შეეძინა თავისი ერთ-ერთი ცოლისაგან“ (2: 43).

ტაბილეს თქმით, როსტომ ხანის უზარმაზარი (ზოგიერთი ცნობით – 123 ათასი, 130 ათასი) ჯარის უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ (2: 48).

მტრის შემოჭრის მომლოდინე თეიმურაზს თითქმის მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა გადაუდგა და როსტომს მიემხრო. მან ვერც დასავლეთ საქართველოდან მიიღო დახმარება. მას ზურგი აქციეს კათოლიკე მისიონერებმაც. იგი იძულებული გახდა 1633 წლის 18 თებერვალს მთელი თავისი სახლობითა და ერთგული ადამიანებით იმერეთს გახიზნულიყო (3: 189).

დაუღალავი და მოუდრეკელი თეიმურაზ I-ის ირანის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი ეპიზოდი, რომლის შედეგადაც ქართლის ტახტი როსტომმა დაიკავა, არა მხოლოდ მარცხით დასრულდა, არამედ კარგა ხნით განისაზღვრა აღმოსავლეთ საქართველოს შემდგომი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-იდეოლოგიური განვითარება. თეიმურაზის ეს ანტისპარსული აჯანყება მისი სერიოზული შედეგებით ამიტომაც გახდა ქართველი ისტორიკოსების სერიოზული განსჯის საგანი (1: 78-79; 12: 294; 4: 75-78).

თეიმურაზისა და დაუდ-ხან უნდილაძის 1632 წლის ანტისპარსული აჯანყება იყო თეიმურაზ მეფის ყველაზე გაბედული და სერიოზული ეპიზოდი ირანის წინააღმდეგ მისი ხანგრძლივი შეიარაღებული ბრძოლისა. ეს არ იყო მხოლოდ ნადავლის მოპოვებისათვის მოწყობილი ლაშქრობა; საქართველოში ირანის ვაპატონების თავიდან აცილება იყო თეიმურაზის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ქვაკუთხედი მთელი მისი მეფობის განმავლობაში; ეს იყო დასავლეთ ევროპაზე ხელჩაქნეული თეიმურაზ მეფის ცდა იმავე ევროპისათვის ეჩვენებინა, რომ ირანი, მისი ქვეყნის ყველაზე დიდი მტერია და მტრისათვის სამავიეროს გადახდა მათი დახმარების გარეშეც შეეძლო; თუ იმამყული-ხან უნდილაძე სამხრეთში აჯანყდებოდა და ჩრდილოეთიდან კი თეიმურაზი და

დაუდ-ხანი დაარტყავდნენ, ირანის საელმწიფო დაიშლებოდა. ეს იქნებოდა თეიმურაზ მეფის, როგორც პირადი, ისე მისი ქვეყნის შურისძიება შაჰ აბასის მტარვალობაზე; თეიმურაზის, ქართლ-კახეთის მეფის, ხელისუფლება გავრცელდებოდა მთელ სამხრეთ კავკასიაზე.

ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. თეიმურაზის მოწინააღმდეგეებმა, როსტომ ხანის მეთაურობით, იმარჯვეს. იგი ყიზილბაშთა ძალაზე დაყრდნობით ქართლში გაბატონდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „ამგვარად, ბრძისთვისაც ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ თეიმურაზ მეფის ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობასა და მაინცდამაინც დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულს ბრძოლას მოასწავებდა, როსტომის მეფობა კი ჩვენი ქვეყნის მონობასა და სპარსთა ბატონობის მომავლინებელი იყო” (11: 369).

ამ დროისათვის თეიმურაზის მიმართ უარყოფითად განწყობილი კათოლიკე მისიონერების და, საერთოდ, რომის დამოკიდებულებას უნდა გამოხატავდეს დონ პიეტრო ავიტაბილე, როდესაც იგი, მისი გაგებით, როსტომის მიერ სამართლიანად განდევნილი თეიმურაზის (მან ხომ არ აღიარა კათოლიციზმი) შეცდომების (თუნდაც ირანის წინააღმდეგ აჯანყება) შესახებ სწერს: „ირანის ახალ შაჰს (სეფის – ე. მ.) მოხუცი შაჰისაგან (აბასისაგან – ე. მ.) მიღებული ჰქონდა ინსტრუქცია, რომ თეიმურაზთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინა და ჯილდოდ მისთვის მიეცა საბარათიანო, რომელიც ერთ პროვინციად ითვლება, და აგრეთვე სომხითიც – ესეც მეორე პროვინციაა. გარდა ამისა, თეიმურაზთან რომ უკეთესი ურთიერთობა განემტკიცებინა, მას ცოლად ქალიშვილი სთხოვა, რისთვისაც გაუგზავნა უძვირფასესი საჩუქრები... მას ძალიან ბევრი ველაპარაკეთ და ბევრი რამ გავუკეთეთ იმისათვის, რომ მას სქიზმა დაეტოვებინა და უწმინდეს სამოციქულო ტახტს შეერთებოდა. მიუხედავად იმისა, რომ

ზოგჯერ კეთილი განწყობილება გამოუჩენია, ყოველ შემთხვევაში, მას ყურში მუდამ ბერძნები ჩასჩურჩულებდნენ, რის გამოც ყოყმანობდა და თავის შეხედულებაზე მაგრდებოდა: ამიტომ ღმერთმა მას ეს მკაცრი სასჯელი გამოუნახა...” (2: 48-49).

თეიმურაზ მეფე ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქრის წინაშე თითქმის მარტოდმარტო დარჩა” „მეფე იმაზე იყო გაგულიანებული, რომ თუნდაც ორი ათასი ოღონდ ერთგული ჯარისკაცი რომ მყოლოდა, მტერს დავამარცხებდიო. მეორე ფაქტიც უკლავდა გულს – მან ვერ გამოიყენა ის, რომ ის ქართველები, რომლებიც სპარსელთა ბანაკში იმყოფებოდნენ, თეიმურაზის მხარეს გადმოვიდოდნენ და ისინი კი იმდენად მრავალრიცხოვანი იყვნენ, რომ ირანის ჯარის უმეტესობას შეადგენდნენ” (2: 48).

როსტომის ქართლში გამეფებით, ამ სამეფომ დამოუკიდებლობა დაკარგა. იგი ირანის შაჰის ხელისუფლებას დაექვემდებარა. ეს გარემოება მაშინვე შენიშნა ისეთმა ჭკვიანმა დამკვირვებელმა, როგორც პატრი პიეტრო ავიტაბილე იყო. იგი 1633 წლის 1 ოქტომბერს რომში აცნობებდა, რომ „ეს ქვეყანა (ქართლის სამეფო – ე.მ.) აღარ არის ქრისტიანი მეფეების მფლობელობაში, არამედ შაჰის ღმერთია” (2: 18).

ამ დროიდან იწყება ხანგრძლივი ბრძოლა თეიმურაზ I-სა და როსტომ-ხანს შორის ქართლში მეფობისათვის.

დამოწმებანი:

1. გაბაშვილი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით). მან-ლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 68, 75, 81.
2. დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), თბ., 1977, გვ. 47.

3. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
4. ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1978.
5. ნატროშვილი თ., მაშრიყით მალრიბამდე, თბ., 1978.
6. ნატროშვილი თ., თეიმურაზ პირველის აჯანყება და იმამ-ყული-ხან უნდილაძე, „ახლო აღმოსავლური კრებული“, თბ., 1983, 165-171.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
8. ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633), თბ., 1987.
9. ტივაძე თ., ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990.
10. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, 1925.
11. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967.
12. ჯამბურია გ., ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის შენარჩუნებისათვის XVII ს. პირველ მესამედში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
13. თეიმურაზ პირველი, წამება ქეთევან დედოფლისა, ჩვენი საუნჯე, ტ. 4. თბ., 1960, სტრ. 31-32.
14. Oliarius A., Vermehrte neue Beschreibung der Muskovitischen und Persiscytn Reise, Schleisswig, 1656, S. 660.

Eldar Mamistvalashvili
Gori Teaching University, Full Professor
**ANTI-IRANIAN REBELLION OF TEIMURAZ I AND
THE UNDILADZE FAMILY
RESUMÉ**

After the death of Shah Abbas I of Persia, the throne was to be inherited to his grandson Shah Safi. This fact got the reason for controversies and consequently two Georgian decedent groups emerged. They arrived in Iran in different times and through different ways. Safi was supported by the prominent political and military noble figure Khosro-Mirza (Rostom Khan) and his adherents; the second grouping was headed by a famous commander Imamkuli-khan the governor of Shirazi, his brother Daud-khan the governor of Karabakh and Teimuraz I, king of Kartl-Kakheti kingdom; they desired the throne to be taken by Shah Abbas' son who had brought up at the court of Imamkuli-khan. The first grouping gained the victory and the revenge of Shah Safi was unavoidable. But as a result of an abusive rebellion in 1632, Imamkuli-khan was executed along with his family; Daud-khan fled to the Ottoman Empire and as for Teimuraz I, he was exiled from his kingdom.

*გიორგი სოსიაშვილი
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი*

**თავხელიძე-მაჩაბლების ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ
სავანეებთან
(XV ს. I ნახ)**

შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოს სამეფო კარი აქტიურად ურთიერთობდა უცხოეთში არსებულ ქართულ სავანეებთან. სამეფო ხელისუფლებასთან ერთად ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სიწმინდეებს განსაკუთრებული პატივისცემით და კრძალვით ეპყრობოდნენ წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლები, რაც არამარტო სულიერი დამოკიდებულებით, არამედ მატერიალური დახმარებითაც გამოიხატებოდა. ქართული ეკლესია-მონასტრები, რომლებიც კულტურული ცხოვრების მძლავრ კერებს წარმოადგენდნენ, მშობლიური მიწაწყლიდან საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებდნენ. როგორც სამეფო კარი, ისე ფეოდალური საგვარეულოები მათ დიდძალ შესაწირს უგზავნიდნენ. უცხოეთში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს საქართველოში საკუთარი მამულებიც გააჩნდათ, ეს შემოსავალი ეკლესიების მოვლა-პატრონობას ხმარდებოდა. ქართულ სავანეებს შორის განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის შიდა ქართლში რამდენიმე სოფელს ფლობდა. მაგ. სოფ. დირბი მთლიანად ჯვრის მონასტრის კუთვნილება იყო, დირბის ღვთისმშობლის ეკლესია იერუსალიმის არქიმანდრიტის რეზიდენციას წარმოადგენდა. ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა აგრეთვე სოფელი თერგვისი (პატარა ლიახვის ხეობა), სალოლაშენი, მონასტერს ყმები ჰყავდა გორში, ნიქოზსა და ატენში (4: 53). თუ გადავხე-

დავთ, იერუსალიმის ქართული კოლონიის შესახებ არსებულ დოკუმენტურ წყაროებს, კერძოდ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებს, ნათლად ჩანს, შუასაუკუნეების ქართული ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენელთა დიდი წვლილი წმინდა მიწაზე არსებული უძველესი სავანის მოვლა -- პატრონობის საქმეში. ამ მხრივ, აღსანიშნავია XV საუკუნის მოღვაწე ხელა თავხელისძე, იგი ჩვენი აზრით მაჩაბელთა ფეოდალური საგვარეულოს ფუძემდებელი იყო (8: 39). ხელა თავხელისძე იხსენიება თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში, რომელიც XIV საუკუნის ბოლო წლებით თარიღდება. წარწერაში ვკითხულობთ: „თავხელისძეთა, სიაუმ და რატის და ასათს და ხელს და მაჩაბელს და მშობელთა მათთა შეუნდვენ ღმერთმან ამინ“ (3: 37). ხელა თავხელისძე იხსენიება თირის მონასტრის მეორე წარწერაშიც, ეს არის მონასტერზე მიშენებული ეკვდერის წარწერა: „მოლარეთუხუცესისა ხელას ერთგულსა, მახატლიშვილსა ბევროზს შეუნდოს ღმერთმან“ (5: 213). ხელა თავხელისძე თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერის შესრულების დროს თავხელისძეთა ოჯახის რიგით წევრად იხსენიება. ხოლო მიშენებული ეკვდერის წარწერაში ის უკვე მოლარეთუხუცესია. საინტერესოა, როდის და როგორ გადაეცათ თირის მონასტერი თავხელისძეებს? აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელა თავხელისძის მშობლებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ გარკვეული დამსახურება მიუძღოდათ, ამას ადასტურებს თ. ჟორდანიას მიერ მიკვლეული მცხეთის ორი სიგელი. მკვლევრის ვარაუდით დოკუმენტები 1401-1407 წწ. უნდა იყოს შედგენილი. საბუთებში მოხსენიებულნი არიან კათალიკოზი ელიოზი (1399-1419) და თაველისძენი: ასათა, მისი მეუღლე სოსანა და შვილი ხელი, რომელიც უკვე მოლარეთუხუცი იყო: „მცხეთას და ქვზს ელიოზს ესე უტრუველი და უზაკველი... წერილი დაგიწერე... მე თაველისძემან ასათა და ჩემმა მეუღლემან სოსანამან და ჩუენთა შვილთა მოლარე-

თუხუცესმან ხელმან და მესტუმრემან გოგანიამან, მოგახსენე გრანსა გლეხნი ჩალჩერაშვილი და კოუნნორი მისითა მამულითა... და თქუენ გამიჩინეთ ალაბი; მიქმასა დღესა ასათისა გარდაიხდებოდეს, მეორესა დღესა სოსანასათუის... კარგადებული ალაბი უნაკლულო“... სიგელს მიწერილი აქვს: „ასათსა და სოსანასა მოგუიხსენებია ჩუენითა ნებითა“ ასევე, ქ. მე მოლარეთუხუცესსა ხსნა ჩემითა ნდომითა შემომიწირავს“ (10: 207). მეორე სიგელიც იგივე შინაარსისაა: „წ-ა მეუფესა: ქ-კზსა ელიოზს... მოგახსენე მე თავხელისძემან ასათ და ჩემმან მეულემან სოსანამან და ჩ-ნთა შვლთა მოლარეთუხუცესმან ხელმან და მესტუმრემან გოგნიამან, მოგახსენე გრანს გლეხნი ჩალჩეს შვილი და კუნნორა მისითა მამულით... თქ-ნ გამიჩინეთ ალაბი... მე ცოცოსხაძეს არსენს დამიწერია“ (10: 207). დოკუმენტებში მოხსენიებული თაველისძეები, ეს იგივე თავხელისძეები არიან. თირის მონასტერი თავხელისძეებს ხელას მოლარეთუხუცესობის შემდეგ რომ გადასცემოდათ, ანდა ამ ტაძარზე რაიმე უფლებები მათ ხელას დაწინაურების შემდეგ მოეპოვებინათ, მაშინ თირის სამრეკლოს წარწერაში ხელა რიგით წევრად არ იქნება მოხსენიებული. გამოდის, რომ თირის მონასტერზე თავხელისძეებმა წარწერის შექმნის უფლება, სწორედ ასათ თავხელისძის მოღვაწეობის დროს მოიპოვეს, ხოლო როცა ხელა ფეოდალურ იერარქიაში კიდევ უფრო დაწინაურდა, მან თირის მონასტერს მეტი ყურადღება მიაქცია და სხვა წარწერებითაც შეამკო. ხელამ თირის მონასტერს დიდი ღიახვის ხეობაში: მუგუთში, ქემერტში, ჭალაში, მელვრეკისში, ფხვენისში და მალრანდვალეთის სოფ. კოშკაში არაერთი მამული და მრავალი ყმა-გლეხი აჩუქა, რაც დასტურდება 1432 წლის დოკუმენტით (3: 112). ასათ თავხელისძის დამსახურებას ეკლესიის მიმართ ადასტურდება 1394-1419 წ.წ. ერთი საბუთიც. ამ დოკუმენტში ჩანს, რომ მან სვეტიცხოველს ყმები შესწირა (9: 268). ჩვენი აზრით, თავხელისძეების დაწინაურება პოლიტიკურ ასპარეზზე სწო-

რედ ასათის მოღვაწეობის დროს დაიწყო და დიდ მასშტაბებს მისი შვილის ხელას დროს მიაღწია, რომელიც სამეფო კარს დაუნათესავდა, ცოლად შეირთო ალექსანდრე I-ის ბიძაშვილი, ათაბაგის ასული გულქანი და მცირე ხანში მოლარეთუხუცესი გახდა. რამაც მის საეკლესიო ქველმოქმედებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. ის არამარტო თირის მონასტერზე ზრუნავდა. არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებზეც. შემთხვევით არ შემოინახა თავხელისძეების ოჯახის წევრთა სახელები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებმა. ხელა თავხელისძის დამსახურება იმდენად დიდი იყო, რომ მის სახელზე, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში მაცხოვრის საფლავზე ქართველმა ბერებმა კანდელი აანთეს, რომელიც ჩაუქრობლად უნდა ნთებულიყო. დოკუმენტში ვკითხულობთ: „თუესა დეკენბერსა კდ. ქ. გაგიჩინეთი(უე)ნ, ჯ(უარი)სა მ(ა)მამან პიმე მოძულუარმ(ა)ნ და სურულად ერთს(უ)ლებით კრებ(უ)ლთა, თქ(უენ), მოლარეთუხუცესსა ხელაისა, თქ(უე)ნთვს ერთი (!) კანდელი საფლ(ა)ვსა ქ(რისტე)სსა საუკუნოდ დაუ(ვ)სებ(ე)ლად ენთებოდეს, სადამდისცაი ესე ჯ(უა)რის სახლი ეგოს. ვინცაი ესე პირი დ(ა) დაწერილი მოგიშალოს, თქ(უე)ნგ(ა)ნცა მაგიორად იგი გ(ა)ნიკითხვის დლესა მ(ა)ს დიდსა გ(ა)ნიკითხვის(ა)საი. ჩ(უე)ნგნით ყ(ოვე)ლთა წელიწადთა ვინცაი აღდგომილ(!) იყოს, იბ თორმეტი ლიტრა ზეთი მიეცემოდეს უკლებლად“ (6: 124). ხელა თავხელისძეს იერუსალიმის ქართულ სავანეებთან, როგორც ჩანს, აქტიური ურთიერთობა ჰქონდა. ამას ადასტურებს „გოლგოთის სვინაქსარის“ ერთი მინაწერი, რომელიც საინტერესო ისტორიას გადმოგვცემს. ხელა თავხელისძის მოლარეთუხუცესობის დროს გოლგოთის ტაძარში ქართველ ბერებს საკმაოდ დიდი უფლებები ჰქონდათ მოპოვებული. მათ მაცხოვრის აღდგომის წმინდა ადგილი ებარათ, სადაც საქართველოს სამეფო ოჯახისა, თუ წარჩინებულ საგვარეულოთა წევრების სახელზე

კანდელები ენთო. ბერს, რომელსაც ქრისტეს საფლავზე ანთებული კანდელების მოვლა-პატრონობა ევალებოდათ „აღდგომელი“ ერქვა. კანდელების ჩაუქრობლად ნთება დიდი რაოდენობით ზეთს მოითხოვდა, რომლის შესაძენად ფულადი თანხა იყო საჭირო. გოლგოთაზე მყოფმა ბერებმა დასახმარებლად საქართველოს მოლარეთუხუცესს — ხელა თავხელისძეს მიმართეს. როგორც ჩანს ხელა მათ მიმართ მზრუნველობას იჩენდა. ხელას გოლგოთასთვის 100 ფლური გაუგზავნია, ეს ფული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კრებულს დაუსაკუთრებია, სამაგიეროდ, ჯვრის მონასტერს გოლგოთაზე მოღვაწე ქართველი ბერებისათვის ყოველწლიურად თორმეტი ლიტრი ზეთი უნდა ეძლიათ. ძნელი სათქმელია, ნებით მისცეს გოლგოთის ქართველმა ბერებმა ხელას მიერ გაგზავნილი თანხა ჯვრის მონასტერში მყოფ მამებს, თუ ჯვრის კრებულმა თავად დაისაკუთრა ზეთის შესაძენად განკუთვნილი თანხა. ფაქტია, ხელას დამსახურება იმდენად დიდი იყო ორივე ტაძრისათვის, რომ მისი სახელი ჯვრის ალაპშიც მოიხსენიეს და „გოლგოთის სვინაქსარშიც“: „მო აღდგომელმან მახარებელმან წიგნი გავეგზავნე საქართველოს ზეთისათვის ხელასა წინაშე და მას გამოვეგზავნა ასი ფლური ქრისტეს საფლავისთვის და ჯუარელთა დაიჭირეს და მონასტერმან მმ[ა]მ[ა]მან პიმენ მოძღუარმან იოანე კანდელაკმან ნიკოლოზ და სრულად კრებულთა და ხელოსანთა ხხელირმან ვეჟნარ მეწისქვილემან — ყოველთავე დაგუიჩინეთ ზეთი თორმეტი ლიტრა ყოველტა წელიწადთა მიეცემოდეს ქრისტეს საფლავსა ჯვარისსა მონასტრისაგან. და ვინცა აღდგომელ იყოს ანთებდეს ერთსა კანდელსა დღედაღამე დაუვსებელად ქრისტეს საფლავსა ზედა და არავინ მოუშალოს არცა შეცვალოს ხელასთვის, სადამდის ესე ჯუარისა მონასტერი ეგოს და მონაზონნი იყუნენ“ (ნ: 139). იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ხელა თავხელისძეს ალაპი ნოენბერში დაუწესეს: “ნ(ო)ნბ(ე)რსა იჰ. ალაპი საუკუნოი, მოლარეთა უხუცესისა

ხელაისი, შეუნდვენ ღმერთმან, ა-ნ“ (6: 69). როგორც ე. მეტრეველი განმარტავდა: „ხელას 100 ფლური სიცოცხლეში გამოუგზავნია. მის სიცოცხლეშია დაწერილი ალაპი და სვინაქსარის მინაწერიც“ (6: 139). უნდა ითქვას, რომ იერუსალიმის ქართულ მონასტრებს არამარტო ხელა, არამედ მისი ოჯახის წევრებიც ეხმარებოდნენ. ჯვრის მონასტრის წინაშე გაღებული ღვაწლისათვის ქართველ ბერებს ალაპი ხელას ძმის გოგნიასა და მისი მეუღლის კეკლუცას სახელზე დაუწესებიათ. თუმცა, დოკუმენტიდან არ ჩანს, რა ღვაწლი მიუძღოდათ მათ ქართული ტაძრის მიმართ: „ნ(ო)ნბ(ე)რსა იზ. ალაპი საუკუნოი ხელაის ძმისა გოგნიასი, შეუნდვენ ღმერთმან, ა-ნ. და მისსა მეუღლესა კეკლუცასა, შეუნდვენ ღმერთმან, ა-ნ.“ (6: 68). ხელას ძმის გოგნიას მეუღლის სულის საოხად ჯვრის კრებულს მეორე ალაპიც დაუწესებია: „თუესა ფებერვალსა კდ ქ. ამასვე დღესა ალაპი ხელას ძმისაი გოგნიას მეუ(ღ)ლისა კეკლუცასი, შეუნდვენ ღმერთმან.“ (6: 200). ალაპში მოხსენიებული გოგნია ხელა თავხელისძის ძმაა, იგი, როგორც ვნახეთ, მოხსენიებულია მცხეთის 1401-1407 წლის სიგელში, თუმცა, არ ჩანს თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში ასათ თავხელისძის შვილების გვერდით. შესაძლებელია, გოგნია ხელა თავხელისძის უმცროსი ძმა იყო და თირის სამრეკლოს წარწერის შექმნისას ის ჯერაც არ იყო დაბადებული. მაჩაბლებს იერუსალიმში ქართული ეკლესია-მონასტრების აშენების საქმეში დიდი წვლილი მიუძღოდათ, ამის შესახებ ტიმოთე გაბაშვილი წერს: „აქა თუ ვის მიერ ეღეშენნეს იერუსალემს მონასტერნი, ისმინეთ ქ. მონასტერ დედათი წმიდისა ეკატერინესი — ფანასკერტელისა-ციციშვილისა ამილღაბარისა და მაჩაბელთ დაუარსებია მათი მოხსენება მუნ არს. ესე მონასტერი დედათი არს“ (2: 81). იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპების მიხედვით ცნობილია ორი ამილღამბარ ფანასკერტელი. ერთი მათგანი მოღვაწეობდა XIV საუკუნის I ნახევარში, ხოლო მეორე

XV საუკუნის დამდეგს. ე. მეტრეველის განმარტებით: „ძნელი სათმელია, თუ რომელი ამირლამბარი უნდა იყოს ამ მონასტრის კტიტორი — XIV საუკუნის პირველი ნახევრისა, თუ XV საუკუნის დამდეგის. ყოველ შემთხვევაში ამ ორი თარიღის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ მონასტრის აშენება“ (6: 146). ჩვენი აზრით, წმ. ეკატერინეს დედათა მონასტერი XIV საუკუნის I ნახევარშია დაარსებული, იმ ამილლამბარ ფანასკერტელის მოღვაწეობის დროს, რომელიც ჯვრის მონასტრის სვინაქსარის 105-ე აღაპში იხსენიება. როგორც ე. მეტრეველი აღნიშნავს ის იყო თაყა ფანასკერტელის ვაჟი (6: 150). ვინ არიან ტიმოთე გაბაშვილის ცნობაში მოხსენიებული მახაბლები? ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის XIII საუკუნეში მახაბელთა გვარი საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა. მახაბლებს იხსენიებს XIII საუკუნის II ნახევრის საბუთი (7: 93). ხოლო მახაბლისეული „ქართლის ცხოვრება“ იცნობს კონტასთავის შეთქმულების დროს მოღვაწე მახაბელს, რომელსაც ცოლად ჰყავდა შანშე მანდატურთუხუცესის (მხარგრძელის) ასული (7: 93). რაკი ხელა თავხელისძის მოღვაწეობამდე მახაბელთა ფეოდალური საგვარეულო არსებობდა, ადვილი შესაძლებელია, რომ იერუსალიმის ერთ-ერთი ტაძრის აღმშენებლობით საქმეში მათაც მიეღოთ მონაწილეობა. არ არის გამორიცხული, რომ წმ. ეკატერინეს დედათა მონასტრის ქტიტორები იმ მახაბლის წინაპრები იყვნენ, რომელმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თემურ-ლენგის ლაშქარს (11: 337). რაც შეეხება 136-138-ე ალაპიდან ცნობილ მეორე ამირლამბარ ფანასკერტელს, იგი ჯვრის მონასტრის მამის - პიმენ მაწყვერელის (XV საუკუნის I ათეული) თანამედროვე იყო. ამ დროს მოღვაწეობდა ხელა თავხელისძეც (მოლარეთუხუცესი). ხელა თავისი დროის ძალზე ცნობილი პიროვნება იყო. ის, როგორც აღვნიშნეთ ფულადი სახსრებით ეხმარებოდა იერუსალიმის ქართულ ტაძრებს და მას, ან მისი ოჯახის წევრებს

რომ ამილღამბარ ფანასკერტელთან ერთად წმ. ეკატერინეს დედათა მონასტერი დაეარსებინათ, ტაძრის აღმშენებლებზე დაწესებული მოსახსენებელი მათ სახელებს უსათუოდ შემოინახავდა. როგორც ქართველი მოგზაურის სიტყვებიდან ჩანს, წმ. ეკატერინეს ტაძარში მაჩაბლებისათვის მოსახსენებელი იყო დაწესებული. როგორც ჩანს, მაჩაბელთა მიერ დაწესებული ზრუნვა და პატივისცემა წმინდა მიწისადმი ხელა თავხელისძემ ღირსეულად გააგრძელა.

დამოწმებანი:

1. ანდლულაძე ნ., თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976.
2. გაბაშვილი ტ., მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956.
3. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
4. მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, თბ., 2004.
5. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I თბ., 1984.
6. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, თბ., 1962.
7. ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მცირე სათავადოები, შიდა ქართლის მცირე სათავადოები (სადოქტ. დისერტაცია, ხელნაწერი), თბ., 1999;
8. სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005.
9. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II თბ., 1993.
10. ჟორდანიას თ., ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897.
11. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

Giorgi Sosiashvili

Gori Teaching University, Full Professor

**THE TAVKHELIDZE AND MACHABELI FAMILY
RELATIONS WITH THE GEORGIAN MONASTERIES
IN JERUSALEM
RESUMÉ**

During the Middle Ages Georgia used to have active relations with the Georgian monasteries existing abroad. Such holy places were usually treated with special honor not only by the royal authority but also by the representatives of other noble families. Such an attitude of Georgia was expressed through providing the monasteries with moral and spiritual as well as material support. The Georgian churches and monasteries represented powerful homes of cultural life which permanently received large donation from the royal court and feudal families. Such Georgian monasteries abroad possessed their own lands in Georgia that created certain amount of income covering the monastery care and maintenance expenses. The Monastery of the Cross of Jerusalem owning some villages of Shida Kartli enjoyed special privileges. The documental sources concerning the Georgian colony in Jerusalem obviously show the considerable contribution of medieval feudal society to the maintenance of one of the oldest monasteries in Holy Land. In this regard, one of the fifteenth-century figures at the royal court - Khela Tavkheladze and his active donations are worthy to be remarked. The Machabeli family built Saint Catherine's church in Jerusalem; this fact is confirmed by Timote Gabashvili, the eighteenth-century Georgian traveler.

დავით ჩოჩიშვილი
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
ასოციირებული პროფესორი

გორის ებრაული თემის ისტორიიდან

XIX საუკუნის ბოლოს ჩატარებული აღწერის მიხედვით, გორის მაზრაში 1500 ებრაელი ცხოვრობდა, რომლებიც მაზრის სოფლებში წვრილმან ვაჭრობას მისდევდნენ. (ციტირებულია 1, გვ. 235). შიგ ქალაქში არც ერთი ებრაელი არ ცხოვრობდა. XX საუკუნის პირველ ნახევარში გორში ებრაელთა რელიგიურ-ეთნიკური თემი უკვე ჩანს, რომელიც საკმაოდ სწრაფად იზრდება. ამას ხელი შეუწყო ქალაქ ფოთის მნიშვნელობის გაზრდამ და გორის, როგორც სატრანზიტო ქალაქის ფუნქციის წინ წამოწევა. ამ დროისათვის საქართველოს ზოგიერთ ქალაქში (მაგ. ცხინვალში, ქუთაისში, ონში), საკმაოდ მრავალრიცხოვანი ებრაული თემები არსებობდა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოში სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. (1: 228-250).

ნებისმიერ ადგილას, სადაც ებრაელობა კომპაქტურად სახლდებოდა, ყოველთვის ორი უმნიშვნელოვანესი ადგილის ლოკალიზება ხდებოდა, ეს იყო სინაგოგა და ნეკროპოლი. ებრაული სალოცავი სახლი განსაზღვრავდა ეთნიკურ-რელიგიური თემის ყველაზე უმნიშვნელოვანეს წესებს, ცხოვრების სტილსა და ტრადიციას, რაც განაპირობებდა ეთნოსის ეთნოფსიქოლოგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყველა კონფესიის მიმართ სახელმწიფო აგრესიულ პოლიტიკას ატარებდა, მათ შორის იუდაიზმის აღმსარებელი მრევლის მიმართაც. 1946 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოები, რომ-

ლებსაც რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა ქვეყანაში არსებული რელიგიური გაერთიანებები (2). საქართველოშიც, ბუნებრივია, შეიქმნა ასეთი საბჭო, რომელმაც მოახდინა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია შესაბამის საკულტო შენობებთან ერთად. აღწერის მიხედვით, დადგინდა საქართველოში სხვა რელიგიური აღმსარებლობისა და საკულტო შენობებთან ერთად იუდაური აღმსარებლობისა და ებრაული სინაგოგების ზუსტი რიცხვი და ქონების რაოდენობა. ამ აღწერით ქალაქ გორში არსებობდა გორის ქართველ ებრაელთა სინაგოგა, რომელიც მდებარეობდა ჩელუსკინელების ქ. №17, მისი დაარსების თარიღად განისაზღვრა 1944 (?) ხაზგასმა ჩვენია, დ. ჩ.) წ. ხოლო მორწმუნეთა რაოდენობა განისაზღვრა 103 ადამიანით. მოგვიანებით, გორის ებრაული თემი კიდევ უფრო გაიზარდა. თითოეულ თემს ჰყავდა თავისი ოცეულის საბჭო, რომელიც განაგებდა სინაგოგის ქონებას, ასრულებდა რელიგიურ რიტუალებს და თვალყურს ადევნებდა თემის მორწმუნე წევრების მიერ ტრადიციების დაცვას.

საბჭოთა ხელისუფლების გაძლიერების შემდეგ, იუდაიზმის ოფიციალურად აღმსარებელთა რაოდენობამ თანდათან იკლო, თუმცა ეს არ გამორიცხავდა როგორც გორელი, ისე სხვა ქართველი ებრაელების წინაპართა ტრადიციებისადმი ფარულ ერთგულებას.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირიდან ებრაელებს მიეცათ ისრაელში გადასვლის ნება და დაიწყო დიდი ალია, გორელმა ებრაელებმაც დაუყოვნებლივ მიაშურეს ისტორიულ სამშობლოს. საბჭოთა ხელისუფლება პრეტენზიას აცხადებდა იმ ქონებაზე, რომლის გატანასაც ებრაელობა ცდილობდა ისრაელში. ამიტომ ამუშავებული იყო ყველანაირი ბერკეტი, რომელიც კი შეიძლებოდა გამოყენებულიყო ამ ქონების საბჭოეთში დასარჩენად. ამ პროცესში ჩართული იყო უშიშროების ორგანოები, ებრაელებზე მიმდინარეობდა განუწყვეტელი

თვალთვალი, ეს განსაკუთრებით ეხებოდათ რელიგიურ მოღვაწეებს, რომელთა აგიტაციას თემში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ოცეულის საბჭოს წევრების, ასევე აშკარად აღმსარებელი მორწმუნე ებრაელების შესახებ შედგენილი იყო ზუსტი კართოთეკა, სადაც აღნუსხული იყო მათი ბიოგრაფიული შტრიხები, პოლიტიკური და ქონებრივი მონაცემები. წლის ყველა რელიგიური დღესასწაულის დროს გამოყოფილი იყო სპეციალური სადამკვირვებლო კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებდა საკულტო დღესასწაულების მსვლელობას, რომ არ მომხდარიყო რაიმე ფორმით მათი ანტიკომუნისტურ მსვლელობად გადაქცევა.

განვიხილოთ, თუ როგორ ცდილობდა გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გორის ებრაული თემის მნიშვნელობის დაკნინებას და იმის აღნიშვნას, რომ არანაირი აუცილებლობა გორში სინაგოგის არსებობისა არ არსებობდა, რადგანაც 15 კილომეტრში, ქარელში ფუნქციონირებდა მოქმედი სინაგოგა.

„გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წერილი გორის რაიონის ებრაელთა საზოგადოების შესახებ, (3: ს. 282). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს რესპუბლიკაში ამხ. თ. დ. ონოფრიშვილს

(წერილის №126, 26 თებერვალი, 1975 წ.)

„გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი გიგზავნით ოცეულის წევრების აღმასრულებელი ორგანოსა და სარევიზიო კომისიის წევრების სიას. გაცნობებთ, რომ ქ. გორში მოქმედ ებრაელთა რელიგიურ გაერთიანებას ჰყავს მხოლოდ ერთი კულტის მსახური, დავით ილიას ძე მამისთვალოვი, რომელზეც თქვენთან იმყოფება ყველა საჭირო ცნობები და პირადად მას აქვს რეგისტრაციის მოწმობაც. რაც შეეხება რაბინს, წვრილფეხა და მსხვილფეხა სა-

ქონლის დამკვლელს-შოხეტს, ასეთები მათ არ ყავთ, წვრილფეხა საქონლის დამკვლელი ჩამოდის ქ. ცხინვალიდან, ხოლო მსხვილფეხა საქონლის დამკვლელი ონიდან” (3). საქმეში ჩადებულია თითოეული წევრის ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე მათი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ ცნობები, ბოლშევიკური სამშობლოს წინაშე მათი დამსახურებები ცალკეა აღნიშნული.

საქმეს თან ახლავს აღრიცხვის ბარათები (20. 06. 1969 წლისა), სადაც მითითებულია, რომ გორის ებრაელთა სალოცავ სახლს ფუნქციონირება დაუწყია ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე,¹ რეგისტრირებულია 16, 11, 1946 წელს, უახლესი რეგისტრირებული სალოცავი სახლიდან (დასახლება ქარელი) დაშორებულია 15 კმ-ით. მრევლის რაოდენობა შეადგენს 250 სულს. ლოცვის რიტუალი სრულდება სპეციალურ საკულტო შენობაში, რეგულარულად მიმდინარეობს სალოცავად შეკრებები, მოცემულია მორწმუნეთა ზუსტი სიები მათი დაბადების ადგილის, თარიღის, საცხოვრებელი მისამართისა და საქმიანობის შესახებ.

საქმეში ჩაკრულია ხელშეკრულება, რომლითაც გორის ებრაული საზოგადოება ვალდებულებას იღებს, სინაგოგა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ სალოცავად, არ მიყენონ სახელმწიფოს არანაირი ზარალი, ზუსტად აწარმოონ ინვენტარიზაციის წიგნი (3).

საინტერესოა, თუ რა ქონებას ფლობდა ამ დროისათვის გორის სინაგოგა: სეფერ თორას გრაგნილი - 600 მან, სხვა რელიგიური ხასიათის წიგნები, სულ 55, საერთო ღირებულება 550 მან., სკამები (მერხები - 270 მან., სკამები - 100

¹ 1946 წლის საკულტო შენობების აღწერაში გორის ქართველ ებრაელთა სინაგოგის დაარსების თარიღად მითითებულია 1944 წელი, რაც აშკარად შეცდომაა. ამ ცნობის მიხედვითაც ჩანს, რომ გორის სინაგოგას ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაუწყია ფუნქციონირება

მან., ხის კარადები (ტუმბოჩკა) 60 მან., შანდლები - 150 მან., საათი - 30 მან., კარადა - 50 მან., კათედრა - 75 მან., იატაკის საფენი - 150 მან., ხალიჩა - 50 მან., ჩარჩოები - 60 მან., ბრინჯაოს თაჯები სეფერთორისათვის - 200 მან., ვერცხლის თაჯი, ერთი წყვილი 130 მან., მაცას მოსამზადებელი ხელსაწყო (მაშინა) 200 მან.

1977 წლის 4 თებერვალის №64 წერილით ირკვევა, რომ გორის ებრაელთა რელიგიური საზოგადოების მოთხოვნით რეგისტრაციაში გაუტარებიათ ქ. ბაქოდან მოწვეული კულტის მსახური (ხახამი შოხეთი) ბინიამინ ნახუმის ძე რაფაელოვი. მისი ავტობიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ იგი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში და მიღებული ჭრილობების გამო დაიშინა 15 მაღლობა სტალინისაგან (?) ხაზგასმა ჩვენია, დ. ჩ.) და 6 მედალი, იყო ომის ვეტერანი. იმ ოცეულის სიაში, რომელიც გორის სახალხო დეპუტატთა საბჭომ გააგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულთან საქართველოს რესპუბლიკაში ამხ. მაისურაძესთან, რაფაელოვი უკვე სიის თავშია. მის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია მოძიებული და საქმეზე არის დართული. საქმეში მისი მშობლების წარმომავლობაც კია ხაზგასმული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, თუ რა გულმოდგინედ მუშაობდნენ შესაბამისი ორგანოები პიროვნების სანდლობის შესაფასებლად. რაფაელოვი ოცეულის საბჭოს მეთაურად წლების განმავლობაში რჩებოდა.

1978 წლის 28 აპრილის მიმართვაში, რომელსაც გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უგზავნის ამხ. მაისურაძეს, აღნიშნულია, რომ გორში აღნიშნული დროისათვის ცხოვრობს დაახლოებით 480 სული ებრაელი. მუდმივ საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა 248 ოჯახი, 923 სული, ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებაში არჩეულია ოცეული, ჰყავთ კულტის მსახური

ბინიამინ რაფაელოვი, რომელიც ასრულებს დამკველის მოვალეობასაც, იგი აყვანილია აღრიცხვაზე და აქვს სარეგისტრაციო მოწმობაც, უნდა აღინიშნოს, რომ სალოცავში მორწმუნეთა რიცხვის შემცირების გამო ფერხდება ლოცვების ჩატარება, განსაკუთრებით არასადღესასწაულო დღეებში. ბუნებრივია, იკლო შემოწირულობამაც და რელიგიური ხასიათის რიტუალები, რომელთა შესრულებაც აუცილებლობას წარმოადგენდა, თანდათან უფრო ნაკლები გულმოდგინებით სრულდებოდა.

მას შემდეგ რაც 70-იანი წლების დასწყისიდან დაიწყო ებრაელთა მასობრივი რეპატრიაცია, გორის ებრაელობამაც განაცხადა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მზადყოფნა. რაოდენობრივად ყველაზე მეტი ებრაელობა სწორედ აღიას პირველ წლებში გაემგზავრა ისრაელში. მომდევნო წლებში ამ ნაკადმა საგრძნობლად იკლო, ხოლო 70-იანი წლების ბოლოს კვლავ იმატა. მასობრივი სახე მიიღო ებრაელთა მიგრაციამ საქართველოს სხვა ქალაქებიდანაც.

ქვემოთ მოცემულია ებრაელთა მიგრაციის ცხრილი გორიდან:

№	რომელი წლებიდან დაიწყო ემიგრაცია	ოჯახების რაოდენობა	ოჯახის წევრთა რაოდენობა
1	1972 წ.	96	331
2	1973 წ.	67	270
3	1974 წ.	9	27
4	1975 წ.	2	10
5	1976 წ.	9	34
6	1977 წ.	17	58
7	1978 წ.	20	58
8	1979 წ.	28	105
	სულ	248	923

1980-იანი წლებისთვის გორში ებრაელთა შედარებით უმნიშვნელო რაოდენობა დარჩა, თუმცა შენარჩუნებული იქნა სინაგოგა და რელიგიური თემის ავტონომია. ნებისმიერი რელიგიური დღესასწაული კომუნისტური რეჟიმის მკაცრი თვალყურის ობიექტი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ შეეხებოდა მხოლოდ იუდაური აღმსარებლობის თემის საკულტო რიტუალებს, ეს ერთნაირად იგრძნობოდა ყველა კონფესიასა თუ რელიგიურ თემში. რელიგიური დღესასწაულების ჩატარების შესახებ სპეციალური პროტოკოლი იგზავნებოდა შესაბამის უწყებებში შესაბამისი აღწერილობებითა და კომენტარებით. ამის მაგალითია 1980 წლის გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულთან საქართველოს რესპუბლიკაში ამხ. მაისურაძესთან (ფურც. 60), მასზედ, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვის ხელშემწყობმა კომისიამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები გაზაფხულის რელიგიური დღესასწაულების წინა დღეებში, რათა ადგილი არ ჰქონებოდა კულტების დარგში საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებს, მორწმუნებთან ჩატარდა ახსნა-განმარტებები, დაწესდა კომისიის წევრთა მორიგეობა სამლოცველოში, რაც შეეხება ბზობას და აღდგომას, ჩაიარა ჩვეულებრივ პირობებში. არავითარ მასიურ დღესასწაულს, რაიმე ნიშნით აღნიშვნას და საერთოდ არც ერთ დღესასწაულს გორში საზეიმო ხასიათი არ ჰქონია.

საინტერესოა, რომ სპეციალური ცხრილი დგებოდა რელიგიური დღესასწაულების დროს მორწმუნეების მიერ სამლოცველო სახლების მონახულებისა. მაგალითად, 1980 წელს საშუალო დასწრება ფეისახის დროს სინაგოგაში ჩვეულებრივ დღეებში შეადგენდა 10 კაცს, შაბათ დღეს 25, დღესასწაულის წინა დღეებში 41, ფეისახის პირველ დღეს 38, მეორე

დღეს 37, მერვე დღეს 13, გაკეთებულია ზუსტი აღრიცხვა მამაკაცებისა და ქალების, მათი ასკობრივი მონაცემები და ისიც კი, თუ რამდენმა ოჯახმა შეუკვეთა მაცა გამოსაცხობად. 1980 წელს გორში ასეთი 95 ოჯახი ყოფილა. აგრეთვე ზუსტადაა დათვლილი, რამდენი კგ. ფქვილი დაინარჯა (1600 კგ) და ნებაყოფლობითი შესაწირი შეადგენდა 82 მანეთს, განსაცვიფრებელია, რომ გამომცხვარ მაცას შესახებ ზუსტი ინფორმაცია ცალკე ეგზავნებოდა გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტს (ფურცელი 63). 1983 წლის 14 სექტემბერს შედგა გორის მორწმუნე ებრაელთა რელიგიური საზოგადოების „სინაგოგის“ მორწმუნეთა საერთო კრება, რომელმაც გადაიჩნია თავმჯდომარეობიდან იაკობ ბინიაშვილი და აირჩია, რუბენ წიწუაშვილი. მის შესახებ გაეგზავნა მიმართვა რეგისტრაციაში გატარების თაობაზე 1985 წლის 16 დეკემბერს.

1983 წლის 23 დეკემბერს გაიდარცვა გორის სინაგოგა, რაზედაც საქმე აღიძრა №113129 ნომრით ქართველ ებრაელთა სალოცავის გაქურდვის თაობაზე. (ფურცელი 66)

1983 წლის 23 დეკემბერს დაახლოებით 13 საათზე „თორას“ დარაჯი არონ კრიხელი გავიდა თორაიდან წვერის გასაპარსად. ერთი საათის შემდეგ მოსულმა აღმოაჩინა რომ „თორა“ გამარცხული იყო, სალოცავიდან გაუტაცნიათ სეფერთორა, რომელიც 2-3 საუკუნის წინ ებრაელთა მშობლიურ ენაზე შავი შრიფტით გადაუწერიათ. ამოღებული იყო თითის ანაბეჭდები, მაგრამ 1984 წლის 26 თებერვალს ს.ს. საქმე წარმოებით იქნა შეჩერებული საქ. სსრ სსსკ 196 მუხლით და III პუნქტით დამნაშავე პირების დადგენამდე.

1985 წლის ინვენტარიზაციის კომისიის დასკვნით გორის ქართველ ებრაელთა სინაგოგაში ინახება შემდეგი ქონება, (ფ. 1880, აღწერა 1, საქმე №523) (ფურცელი 20): სეფერთორა I -3000 მან., სეფერთორა II - 2000 მან., სეფერთორა III - 300 მან., წიგნები სასულიერო დანიშნულე-

ბისა 550 მან., სკამები 270, სკამები 100 მან., ტუმბოები 60 მან., შანდლები 150 მან., საათი 30 მან., კარადა 50 მან., კათედრა 75 მან., საფენები იატაკის 150 მან., ხალიჩა 50 მან., ჩარჩოები 60 მან., ბრინჯაოსა და ვერცხლის თაჯები 350 მან., მანქანა მაცის გამოსაცხობად 200 მან. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სეფერ თორების ფასი.

მიხედვად მრავალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური განსაცდელისა, გორის სინაგოგა ფუნქციონირებს და მიუხედავად მრევლის მცირერიცხოვნობისა, მისი არსებობა კვლავ მიგვანიშნებს, რომ გორის ებრაულ-იუდაური თემი კვლავ წინაპართა კვალზე დგას.

დამოწმებანი:

1. მამისთვალშიველი ე., გორის ისტორია, II, გორი, 1999.
2. გაზეთი „კომუნისტი“, №26-29, 1946.
3. სცია, ფ. 1880, აღწერა. 1, საქმე 282.
4. სცია, ფ. 1880, აღწერა. 1, ფურცელი 63.
5. პაპისმედლოვი ი., საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიისათვის, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, თბ., 1940.

Davit Chochishvili

Gori Teaching University, Associated Professor

FROM THE HISTORY OF GORI JEWISH COMMUNITY RESUMÉ

The Jewish Diaspora has been existed in Georgia for several centuries. The Jewish migrants settled in Gori comparatively later and got occupied mainly with petty trading. Like other peoples of different religious faith, the Jews suffered the entire cruelty of Bolshevik regime. This fact was also wholly

experienced by the Jewish minority in Gori; special forms were created to be filled with biographical data of believer (churchgoer) citizens whose political reliability used to be defined as well. The most part of the Gori Jewish community migrated to Israel as a result of general repatriation of the Jews. The Soviet regime always tried to put the believer Jews under strict pressure and used to have a careful watch on each religious celebration. The believer Jews were obliged to pledge in writing that their actions would not be directed against the existing regime. The Gori Jewish community did the best to endure the hardships and maintain the traditions at the same time. As a result of “Great Aliya” the amount of Jewish population significantly reduced.

ნიკო ჯავახიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ქართულ-ლიტვური ურთიერთობის ისტორიიდან (XX საუკუნის პირველი ოცწლეული)

ქართულ-ბალტიურ ურთიერთობებს ათ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია. ამ პერიოდის განმავლობაში ეს ურთიერთობანი ცვალებადი ინტენსივობით ვითარდებოდა.

აღნიშნული საკითხის კვლევას მიუძღვნებით რამდენიმე სტატია, რომლებშიც შევისწავლეთ ქართველი და ბალტიის-პირელი ხალხების სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების ათასწლოვანი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი ფაქტები (5-11; 14; 19).

წინამდებარე სტატიაში შესწავლილია ქართულ-ლიტვური ურთიერთობა გასული საუკუნის პირველ ოცწლეულში.

ლიტველები საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდნენ. მათი რაოდენობა თანდათან მატულობდა.

1864 წლის მონაცემებით, თბილისში 15 ლიტველი ცხოვრობდა (13: 29).

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იღვწოდა, თავის მოკავშირედ მიიჩნევდა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხებს და მათ შორის ლიტველებს.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლიტვური ლიტერატურის კლასიკოსი ანტანას ვიენოლის-ჟუკაუსკასი, რომელიც პროფესიით ფარმაცევტი იყო. იგი ამ სპეციალობას დაეუფლა მოსკოვში, ფერეინის

აფთიაქში, საიდანაც 21 წლის ახალგაზრდა თბილისში გამოგზავნეს. 1903-1905 წლებში იგი პროვიზორად მუშაობდა სოლოლაკის ერთ-ერთ აფთიაქში.

საქართველო, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი, მისი გმირული წარსული და თვითმყოფადი კულტურა ა. ვიენოლის-ჟუკაუსკასისათვის შემოქმედებითი შთაგონების უმრეტეს წყაროდ იქცა. სწორედ აქ შექმნა მან თავისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები “ტფილისის კორეპონდენციები”, რომელიც სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ ლიტვურ გაზეთში 1904 წელს გამოქვეყნდა. ამის შემდეგ შეიქმნა მწერლის შემოქმედების ნამდვილი მარგალიტი – “კავკასიური ლეგენდები”, სადაც მან აღწერა ქართველი ერის ყოფა-ცხოვრება და ტრადიციები.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მწერალი ქ. კონოში (ამჟამად – კაუნასი) დამკვიდრდა (17: 52).

1907-1908 წლებში კონოს ეპარქიაში შემავალ პოყაის მონასტერში არქიმანდრიტად მსახურობდა იმ პერიოდში სამშობლოდან გასახლებული ეპისკოპოსი კირიონი (1855-1918), ერისკაცობაში – გიორგი სამაგლიშვილი, რომელიც 1917-1918 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად მოღვაწეობდა. ეს მონასტერი ძველად კათოლიკური იყო, ხოლო 1830-1831 წლების პოლონეთის სახალხო აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ მართლმადიდებლურად აქცია. აღნიშნულ მონასტერს კირიონმა მიუძღვნა საგანგებო წიგნაკი, რომელიც კონოში გამოქვეყნდა (15).

იმავედროულად, მან გულდასმით შეისწავლა ტაძარში დაცული უნიკალური საარქივო მასალა, რომელსაც განადგურების საფრთხე ემუქრებოდა. მანვე, გადარჩენის მიზნით, მონასტრიდან წაიღო XVI-XIX საუკუნეებით დათარიღებული ათასამდე ორიგინალური დოკუმენტი (16: 216-219), რომლებიც ამჟამად ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწი-

ფო საისტორიო არქივში დაცულ კირიონის პირად ფონდში (2).

ცნობილი ქართველი პედაგოგი, მთარგმნელი, მხატვარი და საზოგადო მოღვაწე ლადო (ვლადიმერ) მალაქიას ძე ჯაფარიძე (1887-1981), რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, მეგობრობდა ლიტველ სტუდენტ იურგის ბალტრუშაიტისთან.

1908 წლის შემოდგომაზე, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიერ ორგანიზებულ სპექტაკლსა და ლიტერატურულ საღამოზე, სხვებთან ერთად, ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს დელეგაციაც მიიწვიეს.

ამ დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი ლ. ჯაფარიძე იგონებდა: “სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, მიგვიწვიეს კაბარეში, რომელსაც “ლეტუჩაია მიშ” ეწოდებოდა. ის, მგონი, იმავე სამხატვრო თეატრს ეკუთვნოდა. იგი მიჰყავდა იმავე თეატრის მეტად ნიჭიერ მსახიობს – ბალიევს..., შესანიშნავი გარეგნობისა და მახვილი ენის პატრონს. ყოველი მისი სიტყვა დიდ მხიარულებასა და ხარხარს იწვევდა.

ლიტველი პოეტი და ლიტერატორი ბალტრუშაიტისი პატარა ლექსით გამოვიდა და მხურვალე ტაშიც დაიმსახურა.

სუფრასთან რომ იჯდა, ბალიევმა ხმამაღლა მოგვმართა: “Дорогие гости, не стесняйтесь, балтрушайтесь на здоровье!”...

ბალტრუშაიტისი მორიდებული და მორცხვი ახალგაზრდა იყო და, როცა მისი გვარი სახუმაროდ გამოიყენეს, მან კიდევ უფრო დაირცხვინა” (12: 50).

ზემოთ მოყვანილ მოგონებაში მოხსენიებული ლიტველი პოეტი იურგის ბალტრუშაიტისი მეგობრობდა ტიცციან ტაბიძესთან (20).

XX საუკუნის ათიან წლებში საქართველოში უკვე საკმაოდ ბევრი ლიტველი ცხოვრობდა.

1912 წელს თბილისში დაარსდა ურთიერთდახმარების ლიტვური საზოგადოება, რომელიც ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, მართავდა საღამოებს და სხვ. საზოგადოებასთან შეიქმნა ლიტველ მომღერალთა გუნდი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კომპოზიტორი იულიუს შტარკა. იგი ამ გუნდს 1918 წლამდე ხელმძღვანელობდა.

რუსეთის იმპერიის დანგრევამ (1917 წ.) მის ფარგლებში იძულებით მოქცეულ ხალხებს და მათ შორის ქართველ და ლატვიელ ხალხებს შესაძლებლობა მისცა, რომ თავისუფლება მოეპოვებინათ.

იმ დროისათვის კავკასიაში მცხოვრებ ლიტველთა ერთი ნაწილი აქ I მსოფლიო ომამდე სამუშაოდ ჩამოვიდა, მეორე ნაწილი – გადმოსასწავლებელი ან ლტოლვილი იყო, ხოლო უმრავლესობას კავკასიის ფრონტზე მყოფი სამხედრო პირები შეადგენდნენ.

ლიტველ სამხედრო პირთა შორის იყო ლიტვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი, ინჟინერი პეტრას ვილეიშისი.

1917 წლის აპრილში თბილისში მცხოვრებმა ლიტველებმა ეროვნული საბჭო ჩამოაყალიბეს. მას სათავეში ჩაუდგა ვაჟთა IV გიმნაზიის მათემატიკის პედაგოგი პრანას დაილიდე. შეიქმნა ლიტვური ენის შემსწავლელი წრე მათთვის, რომელთაც მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ იცოდნენ ანდა უკვე დავიწყებული ჰქონდათ.

ლიტვური საზოგადოებები დაარსდა კავკასიის ცალკეულ ქალაქებში: კისლოვოდსკში, პიატიგორსკში, გროზნოში, ბაქოში, ბათუმში, ალექსანდროპოლსა და ყარსში.

25 აპრილს, ყარსის ციხესიმაგრის გარნიზონის ლიტველმა ჯარისკაცებმა ოფიცერ პეტრას გუდელიშის მეთაურობით ჩამოაყალიბეს წრე, რომელიც სამშობლოს მოწყვეტილ ლიტველებს საღამოობით მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას ახსენებდა.

კავკასიის ფრონტის ხაზის რღვევის გამო, ლიტველმა სამხედრო პირებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ ლიტველთა კოლონია აქტიურად საქმიანობდა თბილისში, თავი სწორედ ამ ქალაქში მოიყარეს. ამის გამო, კავკასიაში იმხანად მცხოვრებ ბალტიელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი კოლონია ლიტველებმა ჩამოაყალიბეს.

იმავე წლის 27-30 დეკემბერს, თბილისში ჩატარდა კავკასიის ლიტველთა ყრილობა, რომლის მუშაობაშიც 21 დელეგატი მონაწილეობდა. ისინი წარმოადგენდნენ იმ ქალაქებს, სადაც ლიტვეური დიასპორები არსებობდა. ჩამოსულთა შორის იყვნენ: ბათუმიდან, ტრაპიზონიდან, ყარსიდან, ალექსანდროპოლიდან და სხვა ქალაქებიდან.

ყრილობაზე აირჩიეს კავკასიის ლიტველთა საბჭოს პრეზიდიუმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პეტრას ვილეიშისი. მის მოადგილეებად აირჩიეს პრანას დაილიდე და პეტრას გუდელისი, მდივნებად – ბ. სიპავიჩუსი და ს. იაზდაუსკასი.

მათი მიზანი იყო ჩამოყალიბება სათანადო გაერთიანებისა, რომელიც დაიცავდა მათ და კავშირს დაამყარებდა ლიტვასთან, რათა კავკასიაში მყოფი ლიტველები სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. იმავე მიზნით, მათ ადგილობრივ ლიტველთა რეგისტრაცია დაიწყეს.

ყრილობამ მისასალმებელი ტელეგრამები გაუგზავნა ლიტვის საბჭოს (ვილნიუსი) და რუსეთის ლიტველთა საბჭოს (ვორონეჟი), რომლებშიც გამოთქვეს რწმენა, რომ ეს საბჭოები ჩაატარებდნენ დამფუძნებელ კრებას და ხელს შეუწყობდნენ ლიტვის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას.

თბილისის ლიტველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ პრანას დაილიდემ თავის მოხსენებებში დააყენა ლიტვის სრული დამოუკიდებლობის საკითხი, რისთვისაც უნდა გაერ-

თიანებულიყო ყველა ლიტველი, განურჩევლად წოდებისა და პარტიული კუთვნილებისა.

ამას მოჰყვა დისკუსია. ყრილობის მონაწილეთა ნაწილი თვლიდა, რომ ლიტვის იმდროინდელი მოკრძალებული სამრეწველო-საგაჭრო პოტენციალიდან გამომდინარე, სრულ დამოუკიდებლობაზე ფიქრი ჯერ ნაადრევი იყო და უმჯობესი იქნებოდა, ეფიქრათ ავტონომიაზე დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში.

კავკასიის ლიტველთა საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარე პეტრას ვილეიშისმა დამაჯერებელი არგუმენტებით დაასახბუთა აუცილებლობა ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

ამის შემდეგ, თითქმის ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ლიტვის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მომავალი უნდა უზრუნველყო მხოლოდ სეიმის დამფუძნებელ კრებას და მსოფლიოს კონფერენციას.

საბჭოს საქმიანობა სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართებოდა:

1. კავკასიაში მყოფ ლიტველთა რეგისტრაცია;
2. მათი საქმიების წარმომადგენლობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში;
3. ლიტველთა სამშობლოში დაბრუნების ორგანიზება.

ზემოხსენებული ფუნქციების შესრულებით ლიტველთა საბჭო ფაქტობრივად წარმოადგენდა ლიტვის არაოფიციალურ საკონსულოს თბილისში.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის (1918 წლის 9 აპრილი) შემდეგ, გაჩნდა უცხოელ მოქალაქეთა იურიდიული სტატუსის განსაზღვრის საჭიროება. გადაწყდა, რომ გაეცათ მოწმობები, რომლებიც პასპორტს ღრობით შეცვლიდა. ეს მოწმობები ეძლეოდათ პირებს, რომელთაც შეეძლოთ დოკუმენტურად დაესაბუთებინათ, რომ ისინი წარმოშობით ლიტვიდან იყვნენ.

ლიტველთა საბჭოს დაარსებისა და საქმიანობის შესახებ ოფიციალურად აცნობეს როგორც საქართველოს, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს. აქვე დავსძენთ, რომ იმხანად თბილისში უკვე არსებობდა პოლონეთისა და უკრაინის ოფიციალური წარმომადგენლობები.

ვინაიდან კავკასიიდან ლიტვაში მიმავალი გზა რუსეთზე გადიოდა, ხოლო, რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების გამო ეს გზა ჩაიკეტა, აუცილებელი გახდა ალტერნატიული გზის ძიება. შავ ზღვასა და უკრაინაზე გამავალი გზა იყო გერმანელთა ხელთ, რომლებიც 1918 წლის მაისიდან კავკასიაშიც შემოვიდნენ. ასეთ ვითარებაში, კავკასიაში მყოფ ლიტველთა მდგომარეობა საჭიროებდა, რომ ლიტვას თბილისში ოფიციალური წარმომადგენლობა გაეხსნა.

იმავე წლის 2 ივნისს კავკასიის ლიტველთა საბჭომ თხოვნით მიმართა ლიტვის საბჭოს, რათა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში და მათ შორის საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობა გაეხსნათ. გადაწყდა, რომ თბილისიდან ლიტვაში გამგზავრებულიყო დელეგაცია, რომელსაც სათავეში თბილისის ლიტველთა საბჭოს თავმჯდომარე პრანას დაილიდე ჩაუდგა.

პ. დაილიდე შეხვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს. ამ უკანასკნელმა დაილიდეს გადასცა ოფიციალური წერილი ლიტვის მთავრობისადმი, რომელშიც მილოცვასთან ერთად სთხოვა, რომ მათ მხარი დაეჭირათ საქართველოსათვის პარიზის საზავო კონფერენციაზე, რომლის მუშაობაც მიმდინარეობდა 1919-1920 წლებში, ერთი წლის განმავლობაში.

23 ივლისს პ. დაილიდე შეხვდა ლიტვის სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარეს ანტანას სმეტონას. ხელისუფლების თავკაცს დაილიდემ გააცნო კავკასიელ ლიტველთა მდგომარეობა, რის შემდეგაც იგი დაინიშნა ლიტვის სრულუფლები-

ან წარმომადგენლად სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში და დაევალა იქაურ ლიტველთა უფლებების დაცვა.

30 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აკრედიტებულ იქნა ლიტვის სახელმწიფოს წარმომადგენლობა, რომელსაც სათავეში პ. დაილიდე ჩაუდგა.

1919 წლის 23 მარტს ლიტვის საკონსულო გაიხსნა კავკასიის მეორე სახელმწიფოში – აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, სადაც ლიტველები ასევე მრავლად იყვნენ.

სამხრეთ კავკასიაში აკრედიტებულ ლიტველთა საკონსულოებს საქმიანობა საკმაოდ რთულ პირობებში უხდებოდათ. იმხანად არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში, მათ უძნელდებოდათ მუდმივი კავშირი ლიტვასთან, ჰქონდათ ფინანსური გაჭირვებაც. ამის მიუხედავად, ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ლიტველები თანადგომას ყოველთვის გრძნობდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან აკრედიტებული ლიტვის წარმომადგენელი თავის ანგარიშში აღნიშნავდა:

“Имяя всего лишь временные полномочия Совета, не сообщаясь с властями Литвы и постоянно испытывая недостаток средств, благодаря симпатиям Закавказья к Литве, идущей по тому же пути самоопределения, представитель был признан всеми народами Кавказа” (17: 50-51).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საგარეო საფრთხეს წარმოადგენდა როგორც საბჭოთა, ასევე თეთრი რუსეთი.

1919 წლის ივნისის დასაწყისში, თეთრგვარდიელთა აგრესიისაგან საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკების დაცვის მიზნით, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს საგანგებო ნოტა გაუგზავნეს ლიტვის, პოლონეთის, ლატვიის, ესტონეთის, ჩრდილო კავკასიის და ასევე სა-

ქართველოს და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა (18: 46-47).

ნოტაში აღნიშნული იყო: “Все представители государств русских окраин единогласно протестуют вместе с представителями Грузии и Северо-Кавказской республики со всеми представителями кавказских государств против этого вторжения. Они хотят отметить таким образом, что они ясно осознают солидарность, которая объединяет между собой все народы русских окраин, так что каждый из них ощущает всякую угрозу, направленную против независимости кого-либо из них, как если бы она была направлена против его собственной независимости...”

Поэтому нижеподписавшиеся представители доводят до сведения правительств союзных и дружественных держав о своем протесте. Они их просят заставить немедленно прекратить агрессивные действия ген. Деникина, направленные против Грузинской и Азербайджанской республик... Они их просят принять все необходимые меры, чтобы заставить ген. Деникина строго соблюдать все правила международной справедливости” (3, 63).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა მსოფლიოს ოცმა სახელმწიფომ, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ, ავსტრიამ, პოლონეთმა, იაპონიამ, არგენტინამ, ოსმალეთმა და თვით საბჭოთა რუსეთმაც (7. V. 1920 წ.).

1921 წლის 6 თებერვალს, თბილისში აკრედიტებულმა უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას (1868-1953) ოფიციალურად მიულოცეს ქვეყნის დე-იურედ აღიარება. მათ შორის იყო ლიტვის კონსული დაილიდე (1).

იმავე წლის თებერვალ-მარტში, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს უმოკავშირეოდ დარჩენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, რასაც ანექსია მოჰყვა. ასეთივე საფრთხე ემუქრებოდა ლიტვას და ბალტიის სხვა რესპუბლიკებსაც, რომელთაც ბოლშევიკური აგრესიის მოგერიება და თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერით 1940 წლის ზაფხულამდე მოახერხეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში და განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ძალების მიერ მისი ოკუპაციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა ჩვენს ქვეყანაში მყოფი ათი ათასამდე ლიტველი (4: 273-276).

ამრიგად, ლიტველები საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდნენ. მათი რაოდენობა თანდათან მატულობდა და XX საუკუნის ათიანი წლების მიწურულს რამდენიმე ათასს მიაღწია.

1917 წლის მიწურულიდან თბილისში არსებობდა ლიტველთა ეროვნული საბჭო, ხოლო მომდევნო წელს დაფუძნდა ლიტვის საკონსულო. ისინი ზრუნავდნენ, რომ კავკასიაში მყოფი ლიტველები სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ამაში მათ ხელს უწყობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც ლიტველთა მიმართ თანადგომას გამოხატავდა. იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მყოფი ათი ათასამდე ლიტველი თავის სამშობლოში დაბრუნდა.

დამოწმებანი:

1. “საქართველოს რესპუბლიკა”, 1921, № 31.
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1458, საქმე №№ 99-105.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე № 48.

4. ჩიქოვანი გ., ლატვიელები, ლიტველები, ესტონელები, წგნ.: “ეთნოსები საქართველოში”, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მოამზადა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრმა, თბ., 2008.
5. ჯავახიშვილი ნ., ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული “ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”, ტ. V, თბ., 2009.
6. ჯავახიშვილი ნ., ოთხი ეტიუდი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, “ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”, ტ. VI, თბ., 2009.
7. ჯავახიშვილი ნ., ქართველთა კვალი ბალტიისპირეთში (XVII საუკუნის მიწურულიდან – XIX საუკუნის შუა ხანებამდე), “ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”, ტ. VII, თბ., 2010.
8. ჯავახიშვილი ნ., ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის დასაწყისამდე), “ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”, ტ. VIII, თბ., 2010.
9. ჯავახიშვილი ნ., ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში. ბალტიის ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა თვალსაწიერში (1921-1991 წწ.), “ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”, ტ. VIII, თბ., 2010.
10. ჯავახიშვილი ნ., ქართველი გენერლები ბალტიისპირეთში (XVIII საუკუნის მიწურულიდან – XX საუკუნის ოციან წლებამდე), “ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”, ტ. IX, თბ., 2011.
11. ჯავახიშვილი ნ., ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის დროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეც-

ნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 2011.

12. ჯაფარიძე ლ., მოგონებები, ჩანაწერები, თბ., 2004.

13. Анчабадзе Ю., Волкова Н., Старый Тбилиси (Город и горажане в XIX веке), Москва, 1990.

14. Джавахишвили Н., Малоизвестные страницы истории грузино-балтийских взаимоотношений (X-XVIII вв.), “Кавказ и глобализация”, Журнал социально-политических и экономических исследований, Институт стратегических исследований Кавказа, SA&CC Press, Швеция, т. 4, выпуск 3-4, 2010.

15. Епископ Кирион, Свенский колокол в плену у Камальдулов, Ковно, 1907.

16. Кикнадзе В., Епископ Кирион в Ковно; Польская тема в произведениях Кириона, “Pro Georgia”, Journal of Kartvelological Studies, Warsaw, 2010, № 20.

17. Лучше знать друг друга. Книга издана Ассоциацией русскоязычных журналистов Грузии. Автор-составитель М. Айдинов, Тбилиси, 2009.

18. Ментешашвили А., Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, Тбилиси, 1998.

19. Javakhishvili N., Little-known pages of the history of Georgian-Baltic relations in the 10th-18th centuries, „The Caucasus and globalization”, Journal of Social, Political and Economic Studies, Institute of strategic studies of the Caucasus, SA&CC Press, Sweden, volume 4, issue 3-4, 2010.

20. Skliutauskas J., Riteris is Sakartvelo, Vilnius, 1972.

Niko Javakhishvili

*Chief Scholar-Employee at Ivane Javakhishvili History and
Ethnology Institute, Professor*

**FROM THE GEORGIAN-LITHUANIAN HISTORY
(THE FIRST TWENTY YEARS OF THE XX CENTURY)
RESUMÉ**

The article concerns the studies of the Georgian-Lithuanian relations in the first twenty years of the XX century. The Lithuanians settled in Georgia in the second half of the XIX century. The population enlarged gradually and by the beginning of the XX century the number of it reached several thousand.

Since 1917 the Lithuanian National Council existed in Tbilisi and the next year the Lithuanian Consulate was also established. They encouraged and supported the Lithuanian migrants in Caucasia to return to their historical homeland. The Georgian democratic government actively upheld the Consulate in the homecoming process. As a result of joint efforts, approximately ten thousand Lithuanian got able to return in Lithuania.

ჟელიგოვსკი, ორჯონიკიძე და ყარაბეჯირი

1921 წლის მარტში სერგო ორჯონიკიძისათვის გაგზავნილ დეპეშაში, რომელიც ბათუმში ყარაბეჯირის მოქმედებას შეეხება, იოსებ სტალინი ახსენებს სხვა უცხოელსაც და იყენებს ფრაზას: „ჟელიგოვსკის დაფნის გვირგვინი“. თითქოს წრე შეიკრა. ერთ მომცრო ტექსტში თავი მოიყარა სამმა პიროვნებამ, რომელთა გვარებით წინამდებარე სტატიის სათაური შევადგინეთ.

სერგო ორჯონიკიძე ქართველი ბოლშევიკი იყო, კიაზიმ ყარაბეჯირი – თურქი ფაშა, ხოლო ლუციან ჟელიგოვსკი – პოლონელი გენერალი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ დროს მოღვაწეობდნენ, ერთმანეთს არ იცნობდნენ, ერთიმეორეს არასოდეს შეხვედრიან და არც რაიმე ურთიერთკავშირი ჰქონიათ. მაშ, რა აქვთ საერთო სხვადასხვა ქვეყანაში დაბადებულ, განსხვავებულ შეხედულებათა მქონე, არაერთგვაროვანი მრწამსისა და ინტერესების მატარებელ ამ ადამიანებს?

ყოველივეს მიუხედავად, ს. ორჯონიკიძის, ყარაბეჯირისა და ჟელიგოვსკის ერთ კონტექსტში მოხსენიება სულაც არ არის საფუძველს მოკლებული. საქმე ის არის, რომ სამივე მათგანი სულ რაღაც 11 თვის განმავლობაში – 1920 წლის აპრილის ბოლოდან 1921 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე ავანტიურაში აღმოჩნდა გახვეული: თითოეულმა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიისა და გავლენის გაფართოება სხვათა მიწა-წყლის ხარჯზე ერთი და იგივე ხერხით – სამხედრო ძალის გამოყენებით სცადა, ისტორიოგრაფიაში კი ყოველივე

ისე გაშუქდა, თითქოს ამის თაობაზე მათ საკუთარ ხელისუფალთა თანხმობა არ ჰქონოდათ. აღსანიშნავია, რომ ორჯონიკიძისა და ყარაბეგირის ავანტიურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული.

თუ ჩვენს წარსულს თვალს გადავავლებთ, მსგავს მოვლენას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიაშიც აღმოვაჩენთ. 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს საქართველოში გამოვჩვენებამა გენერალმა ტოტლებენმა, რომელსაც თან თითქმის 4 ათასი კაცისაგან შემდგარი რუსის ჯარი ახლდა, ერეკლე II-სთან ერთად ახალციხეზე დაგეგმილი ლაშქრობის ნაცვლად, ქართლ-კახეთის მეფის ტახტიდან ჩამოგდება და მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება განიზრახა. საისტორიო მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო აზრი, რომ რუსეთის საიმპერიო მთავრობამ ამის შესახებ არაფერი უწყოდა და გენერალი თვითნებურად მოქმედებდა.

სინამდვილეში, ტოტლებენს პეტერბურგში შემუშავებული ფარული გეგმა უნდა შეესრულებინა, მაგრამ ამ მნიშვნელოვან დავალებას თავი ჯეროვნად ვერ გაართვა. ერეკლეს თხოვნით, გენერალი უკანვე, პეტერბურგს გაიწვიეს, თუმცა იგი არავის დაუსჯია. ტოტლებენის საქციელი რომ მხოლოდ გენერლის თვითნებობა ყოფილიყო, მას ამისათვის მკაცრი სასჯელი არ ასცდებოდა, რადგან შუა ომში მოკავშირე სამეფოს წინააღმდეგ მოქმედება გენერალს სახელმწიფოს ღალატად ჩაეთვლებოდა. ტოტლებენმა კი სასჯელის ნაცვლად ჯილდო მიიღო. ეკატერინე მეორემ მას ალექსანდრე ნეველის ორდენი გადასცა და გენერალ-პორუჩიკის წოდებაც უბოძა (18).

მაგრამ ჩვენ დაუბრუნდეთ ძირითად საკითხს.

1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთის სამხედრო შენაერთები ბაქოს დაეუფლნენ. აზერბაიჯანის დემოკრატი-

ულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. მოსკოვში დაგეგმილ ამ სამხედრო-პოლიტიკურ აქციას კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭო ხელმძღვანელობდა, რომელსაც სათავეში ქართველი ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე ედგა. წარმატება მასშტაბური, დანაკარგი კი მეტად უმნიშვნელო იყო. ამით ფრთაშესხმულმა სერგო ორჯონიკიძემ აღარ დააყოვნა და XI წითელი არმიის ნაწილები საქართველოსაკენ დაძრა. სერგო დარწმუნებული იყო, რომ საქართველოშიც ტრიუმფი ელოდა, ამიტომ კრემლში დეპეშა აფრინა – რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნები, „ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვაო“.

ბოლშევიკთათვის სამწუხაროდ, მათი მოლოდინი არ გამართლდა. ქართულმა მხედრობამ მტერს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, გენერალ გიორგი კვინიტაძის სარდლობით მომხდურნი მოიგერია და უკანვე, აზერბაიჯანისაკენ გააბრუნა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია მომხდარ ფაქტს ტენდენციურად წარმოაჩენდა, წითელი არმიის საქართველოს საზღვრებში შემოჭრას ს. ორჯონიკიძის ინიციატივად ნათლავდა და მის მოქმედებას კრემლის მესვეურთაგან მიჯნავდა. იმოწმებდნენ ლენინისა და სტალინის სახელით ორჯონიკიძისათვის გაგზავნილ დეპეშას, რომელშიც ნათქვამი იყო: „ცენტრალური კომიტეტი გავალებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან“ (4: 474). ამით სურდათ მიერქმალათ კრემლის როლი და მთავარი მოქმედი გმირი – ლენინი საქართველოსთან დამოკიდებულებაში მხოლოდ მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრედ გამოეყვანათ.

სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო: საქართველოს გასაბჭოების მიზნით მოსკოვში ორი პროექტი ჰქონდათ შემუშავებული: პირველი ამ ამოცანის მიღწევას მშვიდობიანი საშუალებით ითვალისწინებდა, მეორე კი – სამხედრო ჩარე-

ვით. მეორე პროექტით მოქმედება ს. ორჯონიკიძეს ეკისრებოდა. მას კარტ-ბლანში მიცემული ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელად ვითარება მკვეთრად შეიცვალა.

1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთს პოლონეთიდან პილსუდსკიმ შემოუტია და კიევი აიღო, ხოლო ყირიმში იმ ხანად მოხალისეთა არმიის მეთაურად დანიშნული ბარონი ვრანგელი გააქტიურდა, რომელმაც დესანტი ყუბანში გადასხა. დამატებით კიდევ ერთ ფრონტზე ბრძოლას წითელი არმია ვეღარ შეძლებდა. კრემლი იძულებული გახდა საქართველოსთან მიმართებაში აქცენტი დროებით სამშვიდობო ფორმატზე გადაეტანა, მით უფრო, რომ მოსკოვთან მოლაპარაკების მისწრაფება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთაც გააჩნდათ და ამ მიზნით რუსეთში წარგზავნილი გრიგოლ ურატაძეც უკვე გზაში იმყოფებოდა. ორჯონიკიძეს ებრძანა, შეეჩერებინა საბრძოლო ოპერაციები საქართველოში და ხელი აეღო შეტევაზე.

ამდენად, საქართველოს წინააღმდეგ 1920 წლის გაზაფხულზე განხორციელებული რუსეთის სამხედრო აგრესია სერგო ორჯონიკიძის თვითნებობა კი არა მოსკოვის ნებართვით მოწყობილი აქცია იყო. სხვა შემთხვევაში ლენინი და სტალინი ორჯონიკიძეს დარწმუნებას არ დაუწყებდნენ, – ვითარების შეცვლის გამო წამოწყებული შეტევა შეაჩერე, ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ ხაზს ეწინააღმდეგებაო, – მას რეკოლუციის კანონების შესატყვისად, უბრალოდ, დახვრეტდნენ (7: 33).

რუსეთისთვის რომ უცხო არ არის ოფიციალური კურსის იმგვარი შენიღბვა, ვითომც უმაღლესმა ხელისუფლებამ არ იცის, რას ჩადაინ მისი ხელქვეითები, იქნებიან ისინი სამხედროები, თუ პოლიტიკური თანამდებობის პირები, ახლა უკვე კარგადაა ცნობილი. ამ პოლიტიკურ თვალთმაქცობას სათავე ლენინმა დაუდო, რისი მკაფიო მოწმობაცაა 1920 წელს გაცემული მისივე დირექტივა, რომელშიც ხაზგასმუ-

ლია: „ჯარების შეყვანა უნდა მოხდეს ფრონტის ან არმიის განკარგულებით და ან ფრონტის ან არმიის სახელით, მაგრამ არა მთავრობის სახელით“ (8: 10).

ახლა ვნახოთ, ვინ იყო ჟელიგოვსკი და რამდენად ჰგავს მისი მოქმედება ს. ორჯონიკიძის მაგალითს.

პოლონეთის განახლებული ეროვნული სახელმწიფოს პირველი მეთაურის იუზეფ პილსუდსკის ახლო მეგობარი, გენერალი ლუციან ჟელიგოვსკი ამ ქვეყნის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. თავდაპირველი კარიერა მან მეფის რუსეთის არმიაში განვლო. პირველი მსოფლიო ომის დროს პოლკოვნიკის წოდებით ქვეითთა პოლკს მეთაურობდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ჩამოაყალიბა პოლონური სამხედრო ნაწილები და ჩაერთო თეთრგვარდიულ მოძრაობაში. მისი დივიზია გენერალ ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის შემადგენლობაში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1919 წელს ჟელიგოვსკი დაბრუნდა სამშობლოში და მონაწილეობა მიიღო პოლონეთ-საბჭოთა რუსეთის ომში (19), იყო ერთ-ერთი არმიის მეთაური 1920 წელს, რომელმაც, ვითომც პოლონეთის ხელისუფლებისათვის შეტყობინებისა და პილსუდსკის თანხმობის გარეშე, დაიკავა ქალაქი ვილნო, ჩაატარა პლებისციტი და თავი მის მიერვე შექმნილი პოლიტიკური ერთეულის – „შუა ლიტვის“ უმაღლეს მმართველად გამოაცხადა. 1922 წელს მანვე მიაღწია ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობას ამ მხარის პოლონეთთან შეერთებაზე. მოგვიანებით გენერალ ჟელიგოვსკის პოლონეთის თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა, ხოლო 1935 წელს პოლონეთის სეიმის წევრიც გახდა. რაც შეეხება შუა ლიტვას, იგი 1939 წლამდე პოლონეთის შემადგენლობაში რჩებოდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას საბჭოთა არმიამ პოლონეთი აიძულა ეს უკანასკნელი ტერიტორია მისთვის დაეთმო. სსრ კავშირ-ლიტვის 1939

წლის 10 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე შუა ლიტვა კვლავ ლიტვას დაუბრუნდა.

საბჭოთა პერიოდის საისტორიო გამოკვლევებში ლიტვის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის ერთადერთ ავტორად გენერალი ჟელიგოვსკია გამოყვანილი. რადგან საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ საკითხზე ასეთი აზრის იყო, მეცნიერები ვერ ბედავდნენ გამოეთქვათ და დაესაბუთებინათ განსხვავებული შეხედულება.

1958 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გრიფით გამოცემულ რუსულენოვან წიგნში „История Польши“ აღნიშნულია: 1920 წლის 7 ოქტომბერს პოლონეთის მთავრობამ ლიტვის მთავრობასთან დადო ხელშეკრულება, რომელიც ვილნიუსს ლიტვის დედაქალაქად სცნობდა, მაგრამ 9 ოქტომბერს პოლონეთის ჯარებმა გენერალ ჟელიგოვსკის მეთაურობით ვილნიუსი მიიტაცეს (13: 148-149).

ლიტვის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ერთ-ერთ ნაშრომში კი ვკითხულობთ: 1920 წლის 7 ოქტომბერს პოლონეთსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის საზავო ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების ძალით, ვილნიუსი ლიტვას რჩებოდა. ზავის დადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ სპეციალურად ჩამოყალიბებულმა პოლონური არმიის ნაწილებმა, რომელიც ძირითადად ვილნიუსის მხარის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან შედგებოდა, გენერალ ლ. ჟელიგოვსკის წინამძღოლობით ამბოხება მოაწყვეს პოლონეთის სამხედრო ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და ვილნიუსისაკენ დაიძრნენ, რათა „თვითონ“ გადაეწყვიტათ ქალაქისა და მხარის ბედი. 9 ოქტომბერს ჟელიგოვსკის შენაერთებმა ვილნიუსი დაიკავეს. არ დაკმაყოფილდნენ რა ქალაქის მიტაცებით, პოლონეთის ჯარებმა განაგრძეს შეტევა და ცდილობდნენ დაეპყროთ ლიტვის რაც შეიძლება მეტი ტერიტორია (12: 344).

სსრ კავშირის დაშლისა და ვარშავის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში დაიწყო ხელისუფლების დიქტატისაგან ისტორიის განთავისუფლება, თუმცა ჩვენთვის საინტერესო პრობლემის თაობაზე სიმართლე ერთბაშად არ თქმულა.

1995 წელს ვარშავაში გამოქვეყნდა წიგნი სახელწოდებით: „პოლონეთის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე“. მისი ავტორები არიან ა. დიბოვსკი, მ. ჟარინი და ი. ჟარინი, რომლებიც არსებითად ძველ თვალსაზრისს იმეორებენ. წერენ, რომ 1920 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში გენერალი ჟელიგოვსკი გამოეყო პოლონეთის მთავარ შეიარაღებულ ძალებს, დაიკავა მთელი ვილნოს მხარე და შექმნა „შუა ლიტვა“. ვილნოს სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება ამ პოლიტიკური წარმონაქმნის პოლონეთთან შეერთების შესახებ (11: 235-236). სამაგიეროდ, „პოლონეთის ისტორიის“ ახალ გამოცემაში ჟელიგოვსკისთან დაკავშირებული ამბავი ახლა ობიექტურადაა აღწერილი და ამგვარად წარმოჩნდება: 1920 წლის ივლისში ბოლშევიკებმა ვილნო ლიტვას გადასცეს. პილსუდსკიმ გადაწყვიტა ფანდი გამოეყენებინა. მან დაავალა ლიტვა-ბელორუსიის დივიზიის მეთაურ გენერალ ლ. ჟელიგოვსკის, რომლის შენაერთი ძირითადად აღმოსავლეთ მიწებზე მცხოვრები პოლონელებისაგან იყო დაკომპლექტებული, მოეწყოთ აჯანყების ინსპირირება. 9 ოქტომბერს დივიზიამ დაიკავა ვილნო, ხოლო ჟელიგოვსკიმ პოლონეთის სამხედრო პროტექტორატის ქვეშ ცენტრალური ლიტვის შექმნა გამოაცხადა, მისთვის პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებით. 1922 წელს ცენტრალური ლიტვა (მათ შორის ვილნოც) პოლონეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა (16: 403).

დაგვრჩა თურქეთის აღმოსავლური არმიის მეთაური და ფრონტის სარდალი კიაზიმ ყარაბექირ ფაშა, რომლის მოღვაწეობა ძირითადად ოსმალეთის იმპერიის დაშლასა და თურქეთის რესპუბლიკის ისტორიას უკავშირდება.

როგორც ცნობილია, 1920 წლის აპრილში ოსმალეთში ძალაუფლებას ანგორაში (ანკარა) ჩამოყალიბებული დიდი ეროვნული კრების მთავრობა დაეუფლა, რომელსაც სათავეში მუსტაფა ქემალი (ათა თურქი) ჩაუდგა.

მალე თურქეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. საქართველოს ელჩად ანგორაში სვიმონ მდივანი დაინიშნა, თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის დაეკისრა. ამავე პერიოდში თურქეთი ომს აწარმოებდა სომხეთის რესპუბლიკასთან. ყარაბაქჩის ჯარები სომხეთის სიღრმეში მიიწვედნენ და ჩვენს ქვეყანასაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ. თურქეთის მთავრობა ნოე ჟორდანიას არწმუნებდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ არ იმოქმედებდა, რადგან, თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი გაძლიერება ანგორის ინტერესებშიც შედიოდა. ამის პარალელურად, მუსტაფა ქემალი საქართველოს ზურგს უკან კრემლთან გარიგებას აწარმოებდა. 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში ხელი მოეწერა რუსეთ-თურქეთის „ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულებას“. გარიგება შედგა: საქართველოზე საბჭოთა რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში თურქეთს ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა, რის საფასურადაც მას ქართული და სომხური მიწა-წყლის ნაწილი ეთმობოდა.

1921 წლის თებერვალში, როცა წითელი არმია საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა, თურქეთმა თბილისს არტაან-ართვინიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვა. მუსტაფა ქემალი თვითონვე წერს: „ჩვენი კატეგორიული ულტიმატუმის შედეგად 1921 წლის თებერვალში ქართველებისაგან მივიღეთ თანხმობა დაგვეკავებინა არტაანი, ართვინი და ბათუმი“ (15: 119).

ბოლშევიკურ რუსეთთან ომში მყოფი საქართველო იძულებული გახდა ეს უსამართლო მოთხოვნა შეესრულებინა.

ხსენებული ოლქები თურქებმა დაიკავეს. ქიაზიმ ბეიმ ნოე ჟორდანიას აცნობა, რომ ამით თურქეთ-საქართველოს შორის სადავო საკითხები ამოიწურა და ანგორა მზადაა, „მეგობარ“ ქვეყანას ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაშიც დაეხმაროს.

საქართველოს მთავრობამ თურქეთის რეალური განზრახვა ვერ ამოიცნო და მისი შეთავაზება მიიღო. 1921 წლის 11 მარტს თურქეთის სამხედრო ქვედანაყოფები აღმოსავლეთის ფრონტის სარდალ კიაზიმ ყარაბეჯირის წინამძღოლობით ბათუმის ოლქში შემოვიდნენ. თურქი ასკერები გამონდნენ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებშიც, მაგრამ არა საქართველოს დასახმარებლად. თურქებმა, შეთანხმების უხეში დარღვევით, ბათუმის ოკუპაცია განახორციელეს. ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი დაინიშნა, ხოლო დიდი ეროვნული კრების დადგენილებით სამუსლიმანო საქართველო თურქეთის ნაწილად გამოცხადდა.

გავერკვეთ უფრო დეტალურად: კიაზიმ ყარაბეჯირი, რომლის ნაწილებმაც ბათუმი დაიკავეს, მართლა დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს და ისე მოქმედებდა თუ თავის ნაბიჯებს ანკარის ხელისუფლებას უთანხმებდა?

XI წითელი არმიის ისტორიის მკვლევარი მ. ტრასკუნოვი კიაზიმ ყარაბეჯირს ურჩ, ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ და მისგან დისტანცირებულად მოქმედ პიროვნებად გვიხატავს. ავტორი თავის ერთ-ერთ ნაშრომში ხაზს უსვამს, რომ თურქეთის აღმოსავლური არმიის სარდალი, რეაქციონერი გენერალი კიაზიმ ყარაბეჯირ ფაშა მჭრულად იყო განწყობილი საბჭოთა რუსეთისადმი, იგი მალულად ებრძოდა ქემალისტებსაც და ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიდა წითელი არმიის წინსვლას სამხრეთ კავკასიაში (5: 113).

ვერ გამოვრიცხავთ, რომ ცნობილ და გავლენიან სარდალს მართლაც არ ჰქონოდა მეგობრული ურთიერთობა მუსტაფა ქემალთან. 1919 წლის შემოდგომაზე ყარაბეჯირი ანკა-

რის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნას იმედოვნებდა, მაგრამ ქეძალმა და მისმა გუნდმა არჩევანი სხვაზე შეაჩერეს და მინისტრთა კაბინეტის შედგენა ლალი რიზა ფაშას მიანდეს (14: 36-37).

1924 წელს კიაზიმ ყარაბექირ ფაშამ ჩამოაყალიბა პროგრესულ-რესპუბლიკური პარტია და თურქეთის მეჯლისში მმართველი ქეძალისტური პოლიტიკური ძალის – სახალხო პარტიის ოპოზიციურ ფრაქციად მოგვევლინა. 1925 წელს ეს პარტია აკრძალულ იქნა და დაიშალა. ბექირ ფაშა კიდევაც დააპატიმრეს. ცნობილია ისიც, რომ ყარაბექირი 1930 წელს მთლიანად გადავიდა მუსტაფა ქეძალის ოპოზიციაში და არმიაც დატოვა (ათა თურქის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტმა ისმეთ ფაშამ ყარაბექირი დააბრუნა პოლიტიკურ ასპარეზზე. იგი არჩეული იყო თურქეთის პარლამენტის სპიკერად), მაგრამ გამოდგება ეს იმის არგუმენტად, რომ გენერალი 1921 წლის გაზაფხულზეც დაპირისპირებული იყო მუსტაფა ქეძალთან და მოქმედებდა ანკარის მთავრობის კურსის საწინააღმდეგოდ? ვფიქრობთ, რომ ვერა.

კიაზიმ ყარაბექირ ფაშას ქეძალის ძველ მტრად, სულთნისა და ხალიფატის მიმდევრად წარმოაჩინეს საბჭოთა დიპლომატი ს. არალოვიც, რომელიც 1921 წლის დეკემბრიდან მოყოლებული რამდენიმე წლის განმავლობაში რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო თურქეთის რესპუბლიკაში (9: 219). შესაძლოა მ. ტრასკუნოვი ს. არალოვის ამ შეხედულებას იზიარებდეს, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში კიაზიმ ყარაბექირის მოქმედებას თურქი გენერლის „თვითნებობასა“ და „პირად ავანტიურას“ უწოდებდა გიორგი ჩიჩერინიც. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი 1921 წლის 14 მარტს თურქეთის მთავრობასთან კრემლის სრულუფლებიან წარმომადგენელს ბუღუ მდივანს წერდა: „ყარაბექირმა მოითხოვა

სერგოსაგან, რომ წითელი ნაწილები არ შევიდნენ არც ბათუმში, არც ახალციხეში და არც ახალქალაქში, რადგან თითქოს ეს ადგილები რუსეთმა დაუთმო თურქეთს. ეს სიცრუეა, არაფერი მსგავსი არ ყოფილა. ... ყარაბექირის ცდა, შეაშინოს სერგო, ცხადია, გენერლის პირადი ავანტიურაა. მთავრობის აკრედიტებული წარმომადგენლების ოფიციალურ გადაწყვეტილებათაგან განსხვავებული ამგვარი თვითნებობის წინააღმდეგ საჭიროა გამოხატოთ პროტესტი“ (20).

იგივე გ. ჩიჩერინი 1921 წლის 15 მარტს ს. ორჯონიკიძისათვის გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „ყარაბექირის ცდები, მიაღწიოს ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის თურქეთისათვის გადაცემას, უეჭველად თვითნებობაა. თურქეთის დელეგაცია ყოველდღიურად უამრავ დეპეშას იღებს ანგორიდან, და იგი სავსებით კმაყოფილია ჩვენი შეთანხმებით, რომლითაც ბათუმი საქართველოს, ართვინი, არტანის და ყარსი კი თურქეთს რჩება (10: 452-453).

განსხვავებულ აზრს გამოთქვამდა თურქეთში რსფსრ ელჩი ბუდუ მდივანი. მისი სიტყვით: მართალია, ამჟამად (1921 წ. 18 მარტი, – ო.ჯ.) ანკარას ბრძანების შესაბამისად ბათუმი ყარაბექირის ჯარებს უჭირავთ, მაგრამ ყარაბექირი და მეთაურთა შემადგენლობა ყველანი ამ ნაბიჯის წინააღმდეგნი არიან (10: 467).

ამ მხრივ საყურადღებოა თვით კიაზიმ ყარაბექირის 1921 წლის 2 მარტის დეპეშა თურქეთის გენერალური შტაბისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „საბჭოთა რუსეთმა, ბათუმის ალების სურვილით, შეიძლება არაფერი კითხოს თურქეთის მთავრობას და ბათუმისა და მისი მხარის დასაკავებლად დაიდრას. ამგვარ მდგომარეობაში ბათუმის შესანარჩუნებლად აუცილებელია იქ იმყოფებოდეს სამხედრო ძალა“. მაგრამ აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი იმასაც დასძენდა, რომ ბათუმს, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით თურქეთისათვის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია.

ამის გამო, მის დაკავებას მიზანშეწონილად არ მივიჩნევო (6: 59).

არსებობს დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ბათუმის დასაკუთრებას აქტიურად უჭერდნენ მხარს თურქეთის სახელისუფლო წრეებშიც. დიდი ეროვნული კრების მთავრობის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელი აჰმედ მუჰთარი აცხადებდა: „ბათუმი ჩვენი და ჩვენადვე უნდა დარჩეს“, თუმცა მინისტრი იმასაც აცნობიერებდა, რომ თურქეთისათვის ბათუმის დაუფლება იოლი არ იქნებოდა, რადგან ეს ქალაქი-ნავსადგური მარტო სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ინტერესთა სფეროში კი არ შედიოდა, არამედ მასზე თვალი რუსეთსაც ეჭირა. იგივე აჰმედ მუჰთარი იმხანად თურქეთის მეჯლისში გამოსვლისას ხაზს უსვამდა: „ბათუმის დაკავების შემდეგ ჩავატარებთ პლებისციტს და თუ მოსახლეობა მოისურვებს, ბათუმი იქნება ჩვენი“ (21).

აღსანიშნავია, რომ მსგავს შეხედულებას თურქული პერიოდული პრესაც მიზანმიმართულად ამკვიდრებდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ტრაპიზონის გაზეთ „ისტიკბალი“-ს („მომავალი“) პუბლიკაციები „ჩვენი ბათუმი“, „ბათუმი სრულიად თურქული ქალაქია“ და სხვა, რომლებშიც ის აზრი იყო გატარებული, რომ „თურქები მზად არიან ერთსულოვნად იბრძოლონ ბათუმისათვის“ (17: 39; 88).

საკითხში გასარკვევად მეტად საგულისხმოა 1921 წლის 19 მარტით დათარიღებული ი. სტალინის დეკრემი ს. ორჯონიკიძისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „თურქეთთან უკვე ხელმოწერილი ხელშეკრულებით, ბათუმი საქართველოს რჩება. ყარაბეჟირმა ეს უნდა იცოდეს, მაგრამ ჟელიგოვსკის დაფნის გვირგვინი, როგორც ჩანს, მას მოსვენებას უკარგავს. შეეცადე, ძლიერი დარტყმით განდევნო თურქები ბათუმიდან, შემდეგ კი ეს გაუგებრობით ახსნა. ინიციატივა უნდა იკისროს სარდლობამ. საქართველოს მთავრობა ჩუმად უნდა იყოს და ჩრდილში დარჩეს (10: 469) (აზრი, რომ უცხო ქვეყანა-

ში სამხედრო ინტერვენციისას ოფიციალური ხელისუფლების პოზიცია არ გამოჩნდეს, კრემლის სხვა დოკუმენტშიც ფიგურირებს, რომელიც ზემოთ უკვე დავიმოწმეთ).

ყოველივე ზემოთქმული გვიმტკიცებს რწმენას, რომ ბათუმისათვის ბრძოლაში გენერალი ყარაბეგიერი მარტო არ ყოფილა და მას ზურგს თურქეთის მთავრობა, პერიოდული პრესა და საზოგადოებრივი აზრი უმაგრებდა.

სხვათა შორის, ასეთი შეხედულება იმხანად ქართულ ბეჭდვით სიტყვაშიც გამოითქვა. მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი“ აღნიშნავდა: „ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამორკვეული, თუ რა განზრახვები აქვს ქ. ბათუმის და აჭარის მიმართ ანკარის მთავრობის მეთაურთ. მართალია, მათმა წარმომადგენლებმა მოსკოვის კონფერენციაზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალით ბათომი და მისი ოლქი, ახალციხე და ახალქალაქი რჩება საქართველოს საზღვრებში, როგორც მისი ნაწილები; ოსმალეთი ხელს იღებს მათზე; მოსკოვმა შეძლო მისი პრეტენზიების შეკვეცა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, მითუმეტეს სახელმწიფოთა შორის შეხლა შემოხლაში, მიღწეულ შეთანხმებას – ქაღალდის სახით, მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არ ეძლევა. ... ხშირად, ვინტოკები და მისი ხიშტები ასწორებენ ქაღალდის, ამა თუ იმ სახელმწიფოს, არახელსაყრელ მუხლებს. ამგვარი „შესწორების“ შეტანა მოსკოვში დადებულ ხელშეკრულებაში განუზრახავს, როგორც ეტყობა, ანკარის ნაციონალურ კრებას და მის უმაღლეს სარდლობას“ (2).

აღნიშნულის საილუსტრაციო მასალა თურქულ მეშუარულ ლიტერატურაშიც მოიპოვება. ირკვევა, რომ ანკარის მთავრობა თავის მაჰმადიან მომხრეებს სამხრეთ დასავლეთ საქართველოში (ბათუმის „ისლამური საზოგადოება“ და სხვ.) 1921 წლის მარტის დამდეგს აცნობებდა, თავი შეეკავებინათ ვითარების გამწვავებისაგან, დალოდებოდნენ და ემოქმედათ მხოლოდ აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობის

მითითებათა მიხედვით, რადგან იმ ეტაპზე საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები გადაიღო. თვით ამ ფრონტის სარდალმა კიაზიმ ყარაბეჯირ ფაშამ კი 1921 წლის 9 მარტს თურქეთის გენშტაბისაგან ბათუმის დაკავების ბრძანება მიიღო. 11 მარტს თურქეთის მეშვიდე პოლკის ერთი ბატალიონი ბათუმში შევიდა (1: 26: 33; 36).

თურქეთის მთავრობის მესვეურებს და არა ურჩ სამხედროებს მიაწერდა ბათუმის ავანტიურას საქართველოს ფედერალისტური პარტიის ცნობილი მოღვაწე თედო ღლონტიც. მისი პუბლიკაციის თანახმად, რომელიც გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ გამოქვეყნდა, „ქემალის გაბედული მოქმედება მესხეთსა და სამაჰმადიანო საქართველოში აგებული იყო იმ რწმენაზე, რომ საქართველოს, როგორც ასეთს, აღარა ჰყავს პატრონი, რომ რეეკომში სამშობლოს სიყვარული ყელს ზემოთ გამოთქმული დეკლარაციაა, რომ საკმაო საზღვრებში ცერემონიალური სეირნობა რომელიმე ჯარებისა და ეს ტერიტორიაც იმის მფლობელობაში შევა, ვინც შესძლებს ასეთ ცერემონიალს.

ქემალის მთელი პოლიტიკა არსებითად სრული უყურადღებობა იყო საქართველოს რეეკომისადმი, მისი სისუსტის აღიარება, მისი სახელის დაცემა. მაშ სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ... ქემალის პოლიტიკა, როცა ანკარამ მოსკოვის თათბირის შემდეგ იურიდიულად აღიარა საქართველო და მესხეთი და სამაჰმადიანო საქართველო იცნო როგორც განუკვეთელი ნაწილი საქართველოს რესპუბლიკისა და ამის შემდეგ ქემალის ჯარის ნაწილები არა თუ არ გადიან საქართველოს ტერიტორიებიდან, პირიქით, ბრძოლას აწარმოებენ მაშინ, როცა ტერიტორიას იჭერს საქართველოს რეეკომის ძალა?“ (3).

როგორც დავრწმუნდით, სამივე ზემოთ აღწერილი შემთხვევა იდენტურია: ჟელიგოვსკიც, ყარაბეჯირიცა და ორჯონიკიძეც თავიანთი მთავრობების საიდუმლო დავალებებს ას-

რულებდნენ. ამასთან, არის ერთი თვალსაჩინო განსხვავებაც: თუ პირველი ორი საკუთარი ქვეყნის გაფართოებას სხვისი მიწა-წყლის დასაკუთრებით აპირებდა, სერგო ორჯონიკიძე უცხო, დამპყრობელ ჯარს თავის სამშობლოში მოუძღოდა.

დასასრულს დავძენთ, რომ პოლონურმა ისტორიოგრაფიამ უკვე აღიარა სიმართლე და 1920 წელს ლიტვის ტერიტორიის ნაწილის მიტაცება არა ურჩი გენერლის, არამედ პოლონეთის ხელისუფლების ნებად წარმოაჩინა. ჩვენთვის საინტერესო საკითხის გაშუქებისას თანამედროვე რუსეთის საისტორიო მეცნიერება კვლავაც საბჭოურ-კომუნისტური ვერსიის ერთგული რჩება და საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაში ლენინის პასუხისმგებლობას დღემდე საგულდაგულოდ მალავს. ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართებით რაიმე სიახლე შეიმჩნევა თურქულ ისტორიოგრაფიაში – პოლონელი კოლეგებისათვის მიბაძვას არც თურქი ისტორიკოსები ჩქარობენ.

დამოწმებანი:

1. ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის 18-20 მარტი“, თბ., 2011.
2. გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 20 მარტი.
3. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 25 მარტი.
4. ლენინი ვ., თხზ., ტ. 35, თბ., 1983.
5. ტრასკუნოვი მ., საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები, თბ., 1962.
6. ყაველაშვილი რ., 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი, თბ., 2002.
7. ჯანელიძე ო., დახვრეტილი თავისუფლება, თბ., 2000.
8. ჯანელიძე ო., ორი რუსეთი, წიგნში – საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, I, თბ., 2007.

9. Аралов С., Воспоминания советского дипломата 1922—1923, М., 1960.
10. Барсегов Ю., Геноцид Армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, т. I , часть 1, М., 2005.
11. Дыбовский А., Жарин М., Жарин Я., История Польши с древнейших времен до наших дней, Варшава, 1995.
12. История Литовской ССР, Вильнюс, 1978.
13. История Польши, т. 3, М., 1958.
14. Кемаль М., Путь новой Турции, т. II, М. 1932.
15. Кемаль М., Путь новой Турции, т. III, М., 1934.
16. Тымовский М., Кеневич Я., Хольцер Е., История Польши (перевод с польского), М., 2004.
17. Юст К., Анатолийская печать, Тб., 1922.
18. http://syw-cwg.narod.ru/bgr_Totl.html
19. <http://articles.gourt.com/pl/Lucjan%20Żeligowski>
20. <http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1132-1162.htm#1132>
21. <http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm#1108>

Otar Janelidze
Doctor in Historical sciences, Professor
ZHELIGOVSKI, ORJONIKIDZE AND KARABEKIR
SUMMARY

The article reviews adequate actions of a Polish General Lucian Zheligovski, Georgian Bolshevik Sergo Orjonikidze and Turkish Pasha Kiazim Karabekir in 1920-1921. These three different from each other by their opinions, religion and interests people, found themselves involved in one and the same adventure independently from each other; each of them tried to expand territory and influence of his country on the expanse of other people's home land in the same way – by applying military force. In addition these events were covered in history as if they had no consent from their state leaders.

Zheligovski, Orjonikidze and Karabekir did not act independently. Publications give documentary reporting that every step made by them was agreed with the governments of their countries. Modern Polish historical science already revised and rejected old views, though in Russian and Turkish historiography situation has not been changed yet.

ეკა ავალიანი

*ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ძველი მსოფლიოს ისტორიის სრული პროფესორი*

**რას გულისხმობს ცნება - ძველი მახლობელი
აღმოსავლეთი? ტერმინებისა და კონცეფციების თანამედროვე
გააზრებისათვის**

თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძველ მახლობელ აღმოსავლეთთან მიმართებაში ჩნდება განსხვავებული ტერმინები, და შესაბამისად, ისტორიული ცნებები, რომლებიც კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციების შესწავლასთან ერთად და მათ თანამედროვე ინტერპრეტაციასთან მიმართებაში უნდა დადგინდეს. ეს ცნებები გახლავთ *ძველი აღმოსავლეთის ისტორია*, *ძველი წინა აზიის ისტორია* და *ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია*. თანამედროვე ისტორიული მეცნიერება იმ აუცილებლობის წინაშე დგება, რომ მართებულად განისაზღვროს ამ ტერმინების ქვეშ გააზრებული ძველი ისტორიის როგორც დარგის კონცეფცია: ძველი კულტურების ტერიტორიული განფენილობა, მათი მნიშვნელობა, მემკვიდრეობითობის საკითხი, განვითარების და დაღუპვის ტრაექტორიები და სხვა ასპექტები. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს ტერმინების მართებული გამოყენება და დამკვიდრება XXI საუკუნის ქართულ აკადემიურ სივრცეში.

ისტორიული ტერმინი “მახლობელი აღმოსავლეთი” (The Ancient Near East) ევროპულ მეცნიერებაში წარმოიშვა და დამკვიდრდა XIX საუკუნეში, მაშინ, როცა ცხარე დისკუსიები მიმდინარეობდა ოტომანთა იმპერიის გარშემო, მათი კულტურული მემკვიდრეობის მიღების და გავლენის სივრცეების დადგენის საკითხის ირგვლივ; ამ იმპერიის პოლიტიკური საზღვრები ფართო რეგიონებს მოიცავდა: მცირე აზიიდან

მოყოლებული, ეს გავლენები ვრცელდებოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, მოსაზღვრედ განფენილი მიწების ჩათვლით (4: 3). დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ რეგიონს თანამედროვე ეტაპზე მოიხსენიებენ როგორც “შუა აღმოსავლეთსაც” (the Middle East), მაგრამ ეს ორი ცნება, ძველი მახლობელი აღმოსავლეთი და შუა აღმოსავლეთი, ამ შემთხვევაში ბოლომდე ვერ გადაფარავს ერთმანეთს, რადგანაც პრობლემატურია ამ ორი რეგიონის კულტურების სინქრონიზაცია, ძველი და შუა საუკუნეების ისტორიული პროცესების ერთ ქარგაში მოქცევა, თავისი მაკრო-სოციალური და ეკონომიკურ-კულტურული პროცესების გათვალისწინებით.

დასავლელი მკვლევრები, რომლებიც იკვლევენ ძველი ცივილიზაციების ისტორიის ამ საკმაოდ მასშტაბურ ქრონოლოგიურ ქარგას და კულტურების იდენტურობის და ურთიერთმიმართების პრობლემებს, კვლევისას უარყოფენ ტერმინ “შუა აღმოსავლეთს” და თავიანთ კვლევებში უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს - ძველი მახლობელი აღმოსავლეთი (ქართულად სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც the Ancient Near East).

დასავლელ მკვლევრებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც გვთავაზობენ განსხვავებულ ტერმინს და ცნებას – ძველი ორიენტალური სამყარო (5: 3), რომელიც, მათი აზრით, თითქმის იდენტურია და გადმოგვცემს ძველ წინა აზიური სამყაროს ისტორიის კონცეფციას.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ რუსულ ტერმინს - *ღრეზნი ვოსტოკ*¹, რომელიც ქართულ ისტორიოგ-

¹ საბჭოური სკოლის შესანიშნავი მეცნიერების ვ. ავლიევის, ვ. დიაკოვის და ნ. ნიკოლსკის მონოგრაფიებში ჩნდება ტერმინი *ღრეზნი ვოსტოკ*, ეს ტერმინია გადმოსული ქართულ ისტორიულ სკოლაში, სახელმძღვანელოში “ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია” გამოცემულია 1988 წელს და მომდევნო რედაქტირებულ გამოცემაში (მთავარი რედაქტორი შესა-

ოგრაფიაში კალკირების წესით გადმოიღეს და “ძველი აღმოსავლეთი” შეუსაბამეს, თანამედროვე ისტორიოგრაფიის გადასახედიდან, ყავლი აქვს გასული და მოითხოვს სერიოზულ რევიზიას, არა მარტო ტერმინის დაზუსტების, არამედ ზოგადად ცნების გადახედვის თვალსაზრისით. სერიოზულ წინააღმდეგობაში ვარდება ეს ტერმინი გეოგრაფიული განფენილობის ასპექტების საკითხში, აზუსტებს რა დარგის გეოგრაფიულ ქარგას, იგი მოიცავს: ეგვიპტეს, შუამდინარეთს, ინდოეთსა და ჩინეთს (1: 59-60).

ტერმინი ძველი აღმოსავლეთი არც “ახლო აღმოსავლეთს” შეესაბამება და არც “შუა აღმოსავლეთს”, ის გარკვეულწილად განუსაზღვრელ, აბსტრაქტიზირებულ გეოგრაფიულ სივრცეს გულისხმობს - “აზიის სამხრეთის ნახევარი” (რუსული ტერმინით გადმოიცემა - *iuznaia polovina Azii* ე.ა.) (1: 59). თუ ამ კონცეფციის ქვეშ მოიაზრება ჩინეთი და ინდოეთი მაშინ, დარგის საზღვრები ვრცელდება აღმოსავლეთ აზიაზე კერძოდ კი, მოიცავს მონგოლეთს, კორეას და ჩინეთს (იგივეა, რაც შორეული აღმოსავლეთი The Far East, მაგრამ ეს უკანასკნელი ასევე მოიცავს სამხრეთაღმოსავლეთ აზიას და რუსეთის ციმბირის ოლქს). მაგრამ ინდოეთი თანამედროვე გაგებით შედის სამხრეთ აზიაში, რომელიც მოიცავს ქვეყნებს-ბუტანი, ინდოეთი, ირანი, პაკისტანი, ნეპალი და შრილანკა. ამდენად, კონცეფცია “ძველი აღმოსავლეთი” ხდება რთული, განუსაზღვრელი და რაც მთავრია წინააღმდეგობაში მოდის დარგის შესწავლის ობიექტთან. თუმცა ცნება და განსაზღვრება “ძველი” ერთგვარად აზუსტებს პერიოდიზაციის საკითხსა და პრობლემას.

ნიშნავი ქართველი მეცნიერი გ. მელიქიშვილი), ქართველმა მეცნიერებმა კვლავ უპირატესობა მიანიჭეს ამ ტერმინს “ძველი აღმოსავლეთი”. ერთმნიშვნელოვნად სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ ამგვარი გადაწყვეტილება სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიით იყო დეტერმინირებული და არა მეცნიერული ინფორმაციის ვაკუუმით.

ცნობილი მეცნიერის ვან სოდენის მიერ შემოთავაზებული ინგლისურენოვანი ტერმინი *the Ancient Orient* ერთგვარი სინთეზია სიტყვების, *ორიენტისა* და *ძველის* და ამ ცნებების დაახლოების ნაკლებად წარმატებული მცდელობაა; ეს ორი ცნება უხერხულ ურთიერთმიმართებაშია წარმოდგენილი და ხელოვნური კაუზალობის განცდას იწვევს. ისტორიულად ტერმინი - *ორიენტი* საზოგადოდ გამოიყენებოდა აზიური კულტურების აღსანიშნავად¹, როგორც ერთგვარი ბინარული ოპოზიციური ვარიანტი ტერმინ *ოქსიდენტისა*². ვან სოდენი ამ ტერმინით ცდილობს წარმოგვიდგინოს წინა აზიის გეოგრაფიული განფენილობა, კერძოდ, იმ ძველი ქვეყ-

¹ ქართულ ენაში ეს ტერმინი რატომღაც დამკვიდრდა როგორც ორიენტალური და არა ორიენტი, და ქართულად არც თუ შესატყვის თარგმანში კი გადმოდის როგორც - *აღმოსავლური*.

² *ოქსიდენტი*: დასავლეთი და დასავლური სამყარო. ეს ტერმინები იცვლება ქონოლოგიური პერიოდებისა და მიხედვით, სოციალური და რელიგიური პარამეტრების გათვალისწინებით. გეოგრაფიულად “დასავლეთი” უკავშირდებოდა ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონებს, ისტორიულად - ძველ საბერძნეთსა და რომს. მოგვიანებით, ეს ტერმინი გავრცელდა სხვა ახალ ცივილიზაციებზეც, რომლებიც გაიფურჩქნენ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში. დასავლური რომის იმპერიის დაცემისა და შემდეგ, რენესანსის ხანის შემდგომ პერიოდში, ამ ისტორიულ ცნებას ჩაენაცვლა და დაუკავშირდა ქონოლოგიის მარეგულირებელი ცნება- “შუა საუკუნეები”. მას შემდეგ, რაც კოლუმბმა დასავლური კულტურა შეიტანა და განავრცო ამერიკაში, დაიწყო ამერიკის ე.წ. “ვესტერნიზაციის” პროცესი. ტერმინების ძველი ორიენტი და ძველი წინა აზიის იდენტურობის შესახებ ნახავთ ბევრ ინტერნეტულ ინფორმაციას, მაგალითად, შდრ.

http://www.wordiq.com/definition/Ancient_Orient

ტერმინების დაზუსტებისათვის: ორიენტალისტიკა დამკვიდრდა, როგორც სამეცნიერო ცნება, აღმოსავლურ სივრცეში შემავალი შუა საუკუნეების კულტურების, ხალხებისა და მათი ენების შესწავლის პროცესში. ინდო-ევროპეისტიკა შეისწავლის დასავლეთში მცხოვრები ძველ ინდო-ევროპულ და სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხების კულტურის სხვადასხვა ასპექტს.

ნების და კულტურებისა, რომლებიც ძველი წინა აზიის ცივილიზაციებს წარმოადგენდნენ (5: 1). ვან სოდენი თვლის, რომ მის მიერ შემოთავაზებული ტერმინი *ორიენტი* გადაფარავს და მოიცავს ისეთ ისტორიულ საზოგადოებრივ ერთეულებსაც, როგორც იყო ძველი ეგვიპტე და ირანი; აღნიშნული კონცეფცია გარკვეულ წინააღმდეგობაში ვარდება, მაშინ, როცა ამერიკული თანამედროვე ისტორიული სკოლის წარმომადგენლები ტერმინ *ორიენტს* აზუსტებენ და აიგივებენ თანამედროვე აზიის აღმოსავლეთ რეგიონებთან, კერძოდ, შუა და შორეულ აღმოსავლეთთან (5: 1-2), სადაც ეგვიპტე ვერ ხვდება. ვან სოდენი თვლის, რომ ძველი ისტორიის პერიოდში ამ გეოგრაფიულ განზომილებაში მოხვდა აგრეთვე ჩრდილოეთით მდებარე შავი ზღვისა და კავკასიის ტერიტორიები, კასპიის ზღვა და აგრეთვე, სამხრეთაღმოსავლეთში არსებული ტერიტორიები, ინდოეთის ოკეანის მისადგომებამდე (თუმცა არ შეყავს არც ინდოეთი და არც ჩინეთი ამ ნუსხაში). ვან სოდენი აზუსტებს, რომ ეგვიპტე მხოლოდ პირობითად შედის ორიენტის საზღვრებში, რადგანაც გეოგრაფიულად ის მოწყვეტილია ძირითადი გეოგრაფიული რეგიონიდან, წითელი ზღვისა და სინაის უდაბნოთი, აგრეთვე, მეცნიერს შემოაქვს კიდევ ერთი მახასიათებელი – დამწერლობის სისტემა, და აღნიშნავს, რომ უნიკალური იეროგლიფური დამწერლობის სისტემით, ეგვიპტე მხოლოდ ემიჯნება სხვა ორიენტის კულტურებს და მხოლოდ პირობითად შეიძლება მისი დაკავშირება “ორიენტის” ცივილიზაციასთან.

ვან სოდენი ორიენტის გვერდით იყენებს კიდევ ერთ ცნებას *Ancient Western Asia* (ქართულად ითარგმნება როგორც ძველი დასავლეთი აზია, ე.ა.) და იგი ამ ცნებას უკავშირებს ძველ ეგვიპტურ სამყაროს, მაგრამ მისეული აღქმა ძველი დასავლეთ აზიის სისტემისა, რატომღაც გამორიცხავს მცირე აზიას ე.წ. დასავლეთი აზიის შემადგენლობიდან, თუმცა კი, ამ უკანასკნელს აკუთვნებს დასავლეთ ირანს (5: 1).

ტერმინი ძველი დასავლეთი აზია, როგორც ისტორიული ცნება, გვხვდება და მკვიდრდება ორიენტის გვერდით ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში შექმნილ ისტორიული ხასიათის თხზულებებში. 1910 წელს გამოდის ვილიამ ჰეის ვარდის ცნობილი მონოგრაფია - *The Seal Cylinders of Western Asia*¹ (დასავლური აზიის ცილინდრული საბეჭდურები ე.ა.). ავტორის ძირითად მიზანს წარმოადგენს ძველი დასავლეთი აზიიდან შეაგროვოს და აღწეროს ცილინდრული საბეჭდავები, ჩვენს ინტერესს კი წარმოადგენს განვსაზღვროთ იმდროინდელი ხედვა, კერძოდ, თუ რა ისტორიული ცნებები და სივრცეები მოიაზრებოდა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტერმინების ქვეშ; XX საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიაში ცნება დასავლეთ წინა აზია ნაწილობრივ შეესაბამება *ორიენტს* და მოიცავს ეგვიპტეს, სირია-მესოპოტამიას, სპარსეთს, პალესტინას, კვიპროსსა და მცირე აზიას (ხეთების სამკვიდრებელს) (6: iii-iv). ორიენტის (ორიენტალური სამყარო ეს კიდევ მეორე ტერმინია, ხაზი ჩვენია ე.ა.) მთავარ კულტურად ვან სოდენი რატომღაც ისლამს მოიხსენიებს (ისლამური კულტურა) (5: 1) და აქვე ვარდება წინააღმდეგობაში საკუთარ თავთან. იგი ამ შემთხვევაში კარგავს რეგიონისა და ქრონოლოგიური განზომილებების თანხვედრილობის ასპექტს. მეცნიერი თავად აღნიშნავს, რომ ისლამის გავრცელება შუა საუკუნეებში აღარ ემთხვევა ე.წ. ძველი ორიენტის საზღვრების განფენილობას და ისტორიულ ცნებებს. ამდენად, ხდება ერთგვარი აღრევა კულტურის იდენტურობის, გენეზისის და ქრონოლოგიური ქარგის თვალსაზრისით, კერძოდ კი, ძველი ისტორიულ-კულტურული ერთეულების შემკვიდრეობას აღარ აგრძელებს ახალწარმოქმნილი, ისტორიული ერთეულები და მათი საზღვრების განფენილობაც მნიშვნელოვან სახეცვლილებებს განიცდიან. ამდე-

¹ გამოიცა 1910 წელს ვაშინგტონში, კარნეგის ინსტიტუტის მიერ.

ნად, მეცნიერი თვითონ მოდის წინააღმდეგობაში ამ ორი ტერმინის დაახლოებითა და შინაარსობრივი იდენტიფიკაციით.

ტერმინი ორიენტი ევროპელებმა გამოიყენეს სამხრეთ აზიასთან მიმართებაში, სამხრეთაღმოსავლეთ აზიასთან და აღმოსავლეთ აზიასთან მიმართებაში, უკვე XIX საუკუნეში ორიენტი აღნიშნავდა ჩინეთს, იაპონიას, კორეას, ხოლო ბრიტანელი კოლონისტები კი, ინდოეთთან მიმართებაშიც ამკვიდრებენ ამ ტერმინს. ეს ტერმინი ხანდახან დღესაც გამოიყენება აღმოსავლური კულტურის კონტექსტში, მაგალითად, “ორიენტალური მეცნიერებანი”, “ორიენტალური ჰარამხანა”, “ორიენტალური ხალიჩა” ან ორნამენტები¹, მაგრამ გულისხმობს ძველი ცივილიზაციებისაგან განსხვავებულ ცივილიზაციებს, რომლებიც სივრცისა და დროის სხვა განზომილებებს ექვემდებარებიან. ამდენად, ჩვენი დარგის შესწავლის შემთხვევაში ჯობს თავი შემოვიზღუდოთ ამ ტერმინების გამოყენებისაგან.

XXI საუკუნეში ძველ ისტორიაში ტერმინების გადახალებისება და ცნებების დაზუსტება დაიწყო; დასავლელი მეცნიერები ამ ფართო რეგიონის აღსანიშნავად მიმართავენ და აზუსტებენ ტერმინს - ძველი მახლობელი აღმოსავლეთი. მისი გეოგრაფიული მიჯნები შემდეგნაირად ისაზღვრება: ჩრდილოეთის მიმართულებით, სრულდება კავკასიონის მთებთან, და მოიცავს რეგიონებს შავ და კასპიის ზღვებს შორის, მისი შორეული აღმოსავლური საზღვრები უახლოვდება ცენტრალური აზიის უდაბნოებს (2: 1051), თუმცა ყარაყუმისა და კიზილ-კუმის მიწები არ შედის ძველი მახლობელი აღ-

¹ საინტერესო ფაქტია, რომ ევროპელები გამოიყენებენ ამ ტერმინს ესპანურ ენაზე მოსაუბრე ხალხთან მიმართებაში, ხოლო ურუგვაის ოფიციალური სახელია “ურუგვაის ორიენტალური რესპუბლიკა” შდრ. <http://en.wikipedia.org/wiki/Orient>

მოსავლეთის რეგიონში. კავკასიის ნაწილობრივ მოქცევა ძველი მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონში ახსნილია არქეოლოგიური მტკიცებულებით, კერძოდ კი, იმ მონაცემებით, რომ ნეოლითური რევოლუცია ვრცელდებოდა ამ ტერიტორიაზეც, მაგრამ კავკასია არ წარმოადგენდა ნეოლითური რევოლუციის ეპიცენტრს, რომლის ცენტრი სამხრეთ ანატოლიაში დგინდება, მოიცავს ზაგროსის მთიანეთს, შუამდინარეთსა და სირია-პალესტინას (2: 1051). ამ განფენილობაში ექცევა ეგეოსის სანაპირო ზოლი თურქეთის მისადგომებთან ვიდრე ცენტრალურ ირანამდე, ხოლო ჩრდილოეთ ანატოლიიდან გადის წითელ ზღვამდე (5: 1). თანამედროვე კონცეფცია, ძველი მახლობელი აღმოსავლეთის რაობის შესახებ, ეფუძნება შეხედულებას, რომელიც ითვალისწინებს ლურსმული დამწერლობის გავრცელების არეალს და საკითხს ამ ჭრილში განიხილავს. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს ყველა ის საზოგადოება, ვინც იყენებდა დამწერლობის ლურსმულ სისტემას. ეგვიპტე ძვ.წ. II ათასწლეულში სარგებლობდა აქადური დამწერლობის სისტემით, საერთაშორისო დიპლომატიის არენაზე გამოსვლისთანავე.

თანამედროვე დასავლური ინგლისურენოვანი აკადემიური სამყარო უპირატესობას ანიჭებს ტერმინს “ძველი მახლობელი აღმოსავლეთი”, რომელიც ინგლისურად გამოითქმის როგორც Ancient Near East (3: 285-306). ქართულ ენაში ამ ტერმინის დამკვიდრება დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, მაგრამ ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ერთგვარი სახეცვლილება განიცადა და დამკვიდრდა როგორც ძველი წინა აზია (უფრო მიღებული იყო ძველი აღმოსავლეთი). ეს ტერმინი არ მოდის არსებით წინააღმდეგობაში ინგლისურენოვან ტერმინთან და ცნებასთან, მაგრამ არ წარმოადგენს მის ზუსტ თარგმანს, ამ ტერმინით გამოიხატება მახლობელი აღმოსავლეთის გარკვეული რეგიონ-

ნი, რომელიც მხოლოდ დასავლეთ აზიას მოიცავს. გარდა ამისა, თანამედროვე ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ძველი დასავლეთ წინა აზია გამოირიცხავს ეგვიპტეს და ფოკუსირებულია: მცირე აზიაზე, სირია-პალესტინაზე, შუამდინარეთსა და სპარსეთზე (2).

დასავლური ვერსიის შესატყვისი ცნება და ტერმინი - ძველი მახლობელი აღმოსავლეთი, ზუსტი თარგმანია ინგლისურენოვანი ისტორიოგრაფიული ცნებისა, რომელიც რატომღაც ნაკლებად დამკვიდრდა ქართულენოვან თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა მას ძალზე თანამედროვე აკადემიური დატვირთვა და სამეცნიერო უტილიზირების პერსპექტივები აქვს.

ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია მოიცავს ხანგრძლივ და დინამიკურ ისტორიულ და კულტურულ პროცესებს; ეს პროცესები მიმდინარეობდა და მოქცეული იყო ფართო გეოგრაფიულ განფენილობაში: თუ წარმოვიდგენთ ჰორიზონტალურ სიბტყეში გავრცობილ სივრცეს, მაშინ რეგიონის ათვლის სათავე იწყება თანამედროვე თურქეთის, ეგეოსის სანაპირო ზოლიდან და გადაჭიმულია ცენტრალურ ირანამდე, ხოლო ვერტიკალურ განზომილებაში კი, საზღვარი დგინდება ჩრდილოეთ ანატოლიაში და აღწევს წითელ ზღვამდე (4: 1).

ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ქრონოლოგიური მიჯნები მკაცრად არ არის დადგენილი და დასაბუთებული, მაგრამ საზოგადოდ არის აღიარებული ის ფაქტი, რომ ისტორია, პრე-ისტორიის ანუ წინარე ისტორიული ხანისგან, განსხვავდება ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებლით, კერძოდ კი, დამწერლობის სისტემების შექმნით. ძველი წინა აზიის ტერიტორიაზე დამწერლობის სისტემა დაახლოებით ძვ.წ. 3000 წელს ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს მახასიათებელი ერთხმად აღიარებული მთავარი პარამეტრია ისტორიული ცნობიერების დასაწყისის, ნაკ-

ლებად ხდება გააზრება იმ მიზეზებისა, რამაც გამოიწვია პირველი დამწერლობის სისტემების გაჩენა და გამოყენება სწორედ აქ და არა სხვა რეგიონში.

პირველი ისტორიული ხანის ტექსტები კლასიკური გაგებით არ შეიძლება მივიჩნიოთ “ისტორიული ხასიათის” ნარატივებად. მაგრამ, თუ თანამედროვე გადასახედიდან გავი-აზრებთ ძველი ისტორიის დარგის მულტიდისციპლინურ ხა-სიათს, ნათელი ხდება, რომ ნებისმიერი ტექსტი, თუ არტე-ფაქტის უმნიშვნელო ნატენი ემორჩილება ისტორიულ ინ-ტერპრეტაციას და კვლევის ობიექტად გადაიქცევა აღმოჩე-ნისთანავე. ის ფაქტი, რომ ადამიანები დამწერლობის სისტე-მას იყენებენ გარკვეული ინფორმაციის შესანახად, მეტყვე-ლებს საზოგადოებაში ისტორიული ცნობიერის გაჩენაზე და ისტორიული მახსოვრობის მექანიზმის ჩართვაზე. სწორედ ამ მექანიზმის დახმარებით ხდება წარსული რეალობის რეკონ-სტრუქცია და ინტერპრეტაცია.

ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის დასას-რული პირობითი ცნებაა და მკაცრი ქრონოლოგიური საზ-ღვრით არ არის გამოყოფილი (4: 2). ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ამ ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის სასრული დგება მაშინ, როდესაც შუამდინარეთს მართავდა უკანასკნე-ლი ადგილობრივი დინასტია ანუ, დაახლოებით, ძვ.წ. 539 წელზეა საუბარი. ჩვენთვის უპრიანია ეს მიჯნა გადმოტანი-ლი იყოს ძვ.წ. 323 წლამდე, როცა ალექსანდრე მაკედონელ-მა დაამარცხა ძველი მახლობელი აღმოსავლეთის მნიშვნე-ლოვანი სახელმწიფო - სპარსეთი, რეგიონში შემოიტანა ახა-ლი კულტურული მახასიათებლები და დაამყარა ახალი პო-ლიტიკური მსოფლწესრიგი¹. ამდენად, ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ქრონოლოგიის ქვედა ზღვარი აქ შეიძლება დადგინდეს და გაივლოს.

¹ ელინისტური ხანა ძველი ისტორიის დამოუკიდებელ პერიოდად არის მიჩნეული, თუმცა ძველი ისტორიის კუთვნილებაა.

ავტორის შენიშვნა რუკებთან დაკავშირებით: სტატიაში გამოყენებული რუკები აღებულია თავისუფალი ინტერნეტული სივრციდან, დაშვებულია მათი გამოყენება. რუკების სიზუსტე გადამოწმებულია ავტორის მიერ.



რუკა 1. მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონი, იმპერიები და ქალაქი-სახელმწიფოები



რუკა 2. ძველი მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონები და ე.წ. ნაყოფიერი ნახევარმთავრის მიწები



რუკა 3. ძველი მახლობელი აღმოსავლეთი ეგვიპტის ჩათვლით

დამოწმება:

1. История Древнего Мира, под ред. В. Дьякова и Н. Никольского. М., 1952.
2. Civilizations of the Ancient Near East, ed. in Chief J. M. Sasson, Michigan 2000.
3. M. Van De Mieroop, "On Writing a History of the Ancient Near East", *Bibliotheca Orientalis* 54, 1997, 285-306.
4. M. Van De Mieroop, A History of the Ancient Near East ca. 3000-323BC, Second Edition, Blackwell Publishing, Oxford, 2007.
5. W. Von Soden, The Ancient Orient, An Introduction to the Study of the Ancient Near East, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan, 1994.
6. W. H. Ward, The Seal Cylinders of Western Asia, Carnegie Institution of Washington, 1910.

Eka Avaliani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor

**WHAT IS REORGANIZED UNDER THE CONCEPT-
ANCIENT NEAR EAST? MODERN RETHINKING OF
THE NOTIONS AND CONCEPTIONS**

In the modern Georgian scientific literature in connection to the Ancient Near East different terms appear, correspondingly, diverse historical concepts are accumulated, which must be ascertained in relationship towards the ancient reality and in correlation with the modern interpretation of the past; These terms are History of Ancient East, History of Ancient West Asia and Ancient Near Eastern History. The Modern Georgian Historiography is ultimately faced with the problem of properly defining what under these terms are considered as the concept of the Ancient History and what this concept holds: the territorial extension of the ancient cultures,

their significance, the issue of inheritance, the trajectories of the development and destruction and etc. Aftermaths rethinking of these issues we must start to applying relevantly these terms in the Modern Georgian academical environment.

In the Soviet Historiography well established term Ancient East (Russian *Drevni Vostok*) was clichéd and forced into the Georgian academical setting, the derivative analogical term - *dzveli agmosavleti* has emerged and it is in revolving up till now. The well distinguished soviet scholars like V. Avdiev, N. Nikolski, V. Struve, I. Diakonov, V. Diakov and others, established and later than had well practiced the term in their research work. As the Georgian humanities missed autonomy and the dependence on the Russian humanities was obvious by that time our well known scholars under the pressing of the ideology accepted the meaning, the concept and finally the term itself.

At this time, crisis of confidence is vast towards this concept; the basis of the dilemma is that truth and knowledge are objective and independent of what the previous soviet school believed in. The term itself, gets in resistance with the geographical concept of the field, while making definition more accurately, the extent of the geographical borders incorporates inside the system China and India as well, and Egypt, Mesopotamia, Asia Minor, and Syria-Palestine stay inside. Generally, the term Ancient East corresponds neither to the Near East nor to the Middle East. It betokens undefined abstract geographical space like "the half of the South Asia". In modern understanding Southern Asia comprises the countries of [Afghanistan](#), [Bangladesh](#), [Bhutan](#), [India](#), [Iran](#), [Maldives](#), [Nepal](#), [Pakistan](#), and [Sri Lanka](#). If the concept incorporates chine as well, then we are dealing with the East Asia, with other countries included in, like Mongolia and Korea; also, the East Asia is the same as the Far East, which comprises the Southeast Asia and the Russian Siberian region. Aftermaths the concept of "the

Ancient East” losing its clarity, meaning and it is indeed misleading and a subjective concept; with the correct concepts in the field, we will be able to shift the terms and understanding of meaning is that it is coextensive with the broad experience of Western modern epistemological thoughts.

In the edge of XXI century the processes of revision and reconsideration of concepts has started in the field. Today we say Near East or Middle East to designate this geographical area, but the two terms do not accurately overlap, and ancient historians continue to speak of the Near East. In this survey of history, Near East designates the region from the Aegean coast of Turkey to central Iran and from Northern Anatolia to the Red Sea. Egypt, whose history intersects with that of the Near East at many times, will be excluded, except when it extended its empire into Asia. As historians, we rely on sources; their extent, both in geographical terms and in what facets of life they document are vital for the interpretation, so one of the most important aspect of designation and definition of Near East is linked to the issue of extension of the cuneiforms. In the end we can make remark that, the availability and extent of the cuneiform sources define the ancient Near East as a historical subject and subdivide its history.

ეკა ავალიანი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ძველი მსოფლიოს ისტორიის სრული პროფესორი
სალომე სანიკიძე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ძველი მსოფლიოს ისტორიის დოქტორანტი

ქალღმერთის მითოსის ტრანსცედენტალური ასპექტები- სათვის

არქაულ ტრანსცედენტალურ საწყისებს უკავშირდება უძველესი „დიდი დედა ქალღმერთის“ კულტი.¹ მისი არქეტიპი მრავალშრიანია, უნივერსალური და ძველ სამყაროში გავრცელებული. მისი კულტის მრავალპლასტურობა, ფუნქციათა ამბივალენტობა, სხვადასხვა ასპექტთა თანხვედრილობა და კომპლექსური სიმბოლიკა, მას წარმოაჩენს სამყაროს დემიურგად (10: 4). ადრეული ხანის ნეოლითური ხელოვნება წარმოაჩენდა მიწათმოქმედებისა და არქაული ტექნოლოგიის მნიშვნელოვან პროცესებს, რომელსაც ქვეცნობიერად უკავშირებდა ქალურ ფიზიოლოგიას და ამას ქალის სხეულის სიმბოლიკით გამოხატავდა (10: 4).

„დიდი დედა ქალღმერთის“ ხატმა ევოლუციის პროცესში, პირველი სახელმწიფოების ფორმირების ხანაში, დაკარგა უნივერსალური ღვთაების სახე, მოხდა მისი კულტის განშრეგება; „ახალი თაობის ქალღმერთებმა“ გადაინაწილეს მისი

¹ არქაული დიდი დედა ქალღმერთის შესახებ იხ.: ე. ავალიანი ძველი ცივილიზაციების ფორმირება მახლობელ აღმოსავლეთსა და ცენტრალურ მედიტერანულ სამყაროში. თსუ გამომცემლობა, თბ., 2001; ე. ავალიანი, მედიტერანული დიდი დედა ქალღმერთის კულტის ზოგიერთი ასპექტი-სათვის. *ANA OESIS*, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. თბ., 1999.; E. Neumann, *The Great Mother*. Princeton University Press, 1991.

ფუნქციები. ისტორიულ ხანაში, „ახალი თაობის ქალღმერთებმა“ თითქოს დაჩრდილეს დიდი დედა ქალღმერთის უნივერსალური, კომპლექსური ხატი (21: 19). დამწერლობის მქონე საზოგადოებებს ეს ახალი თაობის ქალღმერთები სხვადასხვა სახელებით მოეწოდებოდნენ და განაგებდნენ საკრალურ სფეროებს. ამ ახალგაზრდა თაობის ქალღმერთებმა თავი ვერ დააღწიეს მასკულინური კულტების დომინირებას. მამრმა ღვთაებებმა პირველი სახელმწიფოს (იგულისხმება შუამდინარეთის და ეგვიპტის სახელმწიფოები) კონსტრუირების პერიოდში, წინა პლანზე გადმოინაცვლეს და წამყვანი გახდნენ სახელმწიფოს ოფიციალური კულტის დონეზე.

“დიდი დედა ქალღმერთის” ზეობის ადრეულ ხანაში (პირველ ქალაქი ურუქი, ეანნას კომპლექსი, ქალღმერთ ინანას სამკვიდრებელი) მასკულინური საწყისი სუბორდინირებულ პოზიციაში ვლინდება ქალღმერთთან მიმართებაში (10: 5). მოგვიანებით, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა პერიოდიდან, მკაფიოდ გამოიკვეთა ისტორიული განვითარების ახლებური დინამიკა; „მამრი ღვთაებების“ კულტი უკავშირდებოდა სახელმწიფოს, მის პირველ პირს და მასთან ერთად უძღვებოდა ახალ სოციალურ ექსპერიმენტს-სახელმწიფოს კონსტრუირების ღვთაებრივ აქტს. აღნიშნული სოციალურ-პოლიტიკური პროცესები, კერძოდ კი, სახელმწიფოს მრავალფუნქციური, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობა აღმოცენდა ქალაქური ტიპის საწყისებიდან. ქალაქთა პატრონობა დიდი დედაქალღმერთის ფუნქციას უკავშირდებოდა (24).

ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში, მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის რელიგიურ პანთეონში „ჩნდება“ ახალი მამრის, უზენაესი ღვთაების კულტი, რომელიც წინა თაობის ღვთაებების, „დიდი ქალბატონებისა“ და მათი პარტნიორი ღვთაებების „სიყვარულის ნაყოფია“. ზოგ შემთხვევაში მას ჰყავს მდებრი პარტნიორი, ან თავად არის „ბისექსუალური“ ბუნების, თავად ინაყოფიერებს

თავს და დიდ დედა ქალღმერთს უკარგავს მთავარ, ნაყოფის მტარებლის, შვილის გამჩენის და აღმზრდელის ფუნქციას (9; 5: 303-323).¹ ამრიგად, ზოგიერთ პანთეონში ეს „ახალი თაობის მამრი“ ექცევა პანთეონების სათავეში და გაიაზრება როგორც უნივერსალური ღვთაება და სამყაროს ახალი დემიურგი ხდება (20)².

ამ “ჩანაცვლების” დინამიკის მიუხედავად, კაცობრიობის მითოპოეტურ მახსოვრობაში მაინც რჩება „ხატი“ უნივერსალური დიდი დედა ქალღმერთისა, უზენაესი ქალბატონის, ვისგანაც დასაბამს იღებს სიცოცხლე, სამყარო, ღმერთები და ადამიანები.

ძვ.წ. II-I ათასწლეულის მახლობელ აღმოსავლეთის საზოგადოების რელიგიურ წარმოდგენებში „ანდროგენული საწყისის“ გააქტიურების მიუხედავად, ქალღმერთთა კულტები საკმაოდ მტკიცედ ინარჩუნებენ პოზიციებს. მათ უკავშირდებათ მრავალი სფერო და ფუნქცია. ისინი სხვადასხვა ასპექტებით წარმოჩნდებიან და ხანდახან მამრებთან ერთად თანაბრად „იყოფენ“ ამა თუ იმ სფეროში „წამყვან პოზიციებს“.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ქალი ღვთაებების ე.წ. არატრადიციული მდებრული ფუნქციების და სფეროების კვლევა, რაც ემიჯნება ნაყოფიერების, მშობიარობის, ბუნების მფარველობის, მარცვლეულის გამრავლების და ა.შ., კარგად ცნობილ, მდებრული კორელაციის მატარებელ თემებს. ”არატრადიციული ფუნქციების” მქონე ქალღმერთები თავის კულტში ატარებენ მასკულინურ ელემენტებს და განიცდიან ერთგვარ “მასკულინიზაციას”. ძველ ცივილიზაციებში ამ პრობლემის კვლევის თვალსაზრისით გამოვეყოფდით ორ რეგიონს; გვიან ბრინჯაოსა და რკინის ხანის მახლობელი აღ-

¹ ჰელენოპოლისის კოსმოგონიის მიხედვით, ატუმ-რა-ხაპრას ერთ-ერთი იპოსტასი – ღვთაება რა თავად ინაყოფიერებს თავს.

² შდრ. შუამდინარული სამყარო. მარლუქი.

მოსავლეთის და ხმელთაშუა ზღვის რელიგიური წარმოდგენების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გარკვეული სქემა შევიძუშაოთ, სადაც ხდება ერთგვარი დაყოფა და გრადაცია სფეროებში, რომლებშიც მდებრი ღვთაებების როლი განსაკუთრებით ვლინდება. ქვემოთ გამოვყავით ცალკეული სფეროები, შემდეგი პრინციპის საფუძველზე:

სქემა 1. ქალღმერთის კულტის პოლარულობის ასპექტები

<p>1. სფეროები, რომლებიც უკავშირდებიან „წმინდა მდებრილ საწყისებს“ (ბუნების ნაყოფიერება, საზოგადოების გამრავლების ფუნქცია, ქალაქის და სახელმწიფოს პატრონობა, დედის ფუნქცია დასხვ.) <i>პოზიტიური ასპექტები</i></p>
<p>2. სფეროები, სადაც ხდება მამრ და მდებრი ღვთაებებს შორის „პოზიციების გადანაწილება“, (წყლის სტიქია, მზე, მიწისქვეშა საუფლო-ქვესკნელი) <i>გავლენების დაბალანსების პრინციპი</i></p>
<p>3. სფეროები, სადაც ხდება მდებრი ღვთაებების ფუნქციებში მასკულიზური ასპექტების გააქტიურება (ომი, აგრესია, სისხლის მოყვარეობა, მცველის ფუნქცია) <i>ნეგატიური ასპექტები</i></p>

სფეროები (მნათობები, სტიქიები და სხვ.), სადაც ხდება მამრ. და მდებრი. ღვთაებებს შორის გავლენის სივრცეების გადანაწილება, ხშირ შემთხვევაში “ნეიტრალური საწყისის” მატარებელი და ორბუნებოვანი არიან:

ა) წყლის სტიქია: (23; 3: 64. სტრ. 1-7. 97-87) ეგვიპტურ სამყაროში მდებრი ნაუნეტი და მამრი ნუნი, ორივე ღვთაება, წყლის სტიქიას უკავშირდებოდა (22: 45). მიკე-

ნურ სამყაროში წყლის, ოკეანის ღვთაება იყო პოსეიდონი (მამრი), რომელსაც ჰყავდა აგრეთვე მღვდრი მეწყვილე – პო-სი-და-ე-ია, მისი მღვდრობითი სქესის დერივატივი (4: 67);

ბ) მზე: მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის რელიგიურ წარმოდგენებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მზის კულტს, სინათლის ან ნათების ასპექტს. ეგვიპტურ მითოლოგიაში მზეს უკავშირდება მამრი ღვთაებები – ატუმი, რა, ამონი, ჰორი (9: 428)¹.

მზე, შუამდინარული წარმომავლობის მამრი ღვთაება უთუ-შამამი, მთელი დღის მოგზაურობის შემდეგ, უბრუნდებოდა დედის წიაღს, მისი სახლი ქვემო სკენელში იმყოფებოდა (3:135-36). ბაბილონის ხანაში მზიური ასპექტის მატარებელი ახალი მამრი ღვთაება – მარდუქი გაჩნდა. იგი გადაიქცა შუამდინარეთის უზენაეს – უნივერსალურ ღვთაებად, რომელსაც მრავალი ფუნქცია უკავშირდებოდა (3:36). მაგრამ მეზობელ კულტურაში, ხეთური სამყაროს უზენაესი ღვთაება იყო მზის ქალღმერთი არინადან (21:95; 17;19). მისი კულტი უძველესი ხათური პერიოდიდან მომდინარეობს და უკავშირდებოდა ქალღმერთ ვურუსემუს (გვხვდება ფორმა „არინითი“ – ე.ი. „არინელი“). ამ დიდ ქალბატონს ხეთურ რელიგიაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მოპოვებული, მას მრავალი ასპექტი თუ ფუნქცია უკავშირდებოდა (16). იგი იყო: „ხათის მიწის დედოფალი“, „დედოფალი მიწისა და ცისა“, „მზის ღმერთი ცისა, მწყემსი ადამიანთა მოდგმის“, „ქალბატონი მეფეთა და დედოფალთა“ (28: 199; 25: 193). დაბოლოს, იგი იყო „მზე მიწისა“ (იმქვეყნიური სამყაროს „მზე“). დასავლეთ სემიტური სამყარო იცნობს მზის ქალღმერთ შაპაშს. მისი

¹ ჰათორის ერთ-ერთი ეპითეტი “HET-HERU” ნიშნავდა მზის ღმერთის „ჰორის სახლს“, ამავე დროს, ჰელიოპოლისის თეოგონიის მიხედვით, იგი რას მღვდრი პერსონიფიცირება იყო და განიხილებოდა როგორც „დედა სინათლისა“.

მეუღლეა მზის ღვთაება შამშუ, ასევე დასავლურსემიტური წარმოშობის ღვთაება, რომელიც გარკვეულ მიმართებას ავლენს აქადურ შამაშთან. პალმირაში გავრცელებული იყო შამშუს კულტი, სკულპტურაზე იგი გამოხატულია როგორც მამრი, თავზე სხივმოსილი გვირგვინითა და ხელში ანთებული ჩირაღდნით (1: 214).

გ) მიწისქვეშა საუფლო: ეგვიპტელი ქალღმერთის, ხათორის ერთ-ერთი ეპითეტი იყო „ქალბატონი წმინდა მიწის – ამენტეტისა“ (9: 429). ეგვიპტურ მითოლოგიაში მიცვალებულთა სამყაროს უკავშირდებოდნენ ქალღმერთები – ტაურტი (იკონოგრაფიულად წარმოდგენილია მონსტრის სახით – ჰიპოპოტამის, ლომის, ნიანგისა და ქალის სახის ჰიბრიდი), ნეფტიდა და სერკეტი, ამ ორ ქალღმერთს ხშირად გამოხატავდნენ სარკოფაგებზე, რათა დაეცვათ მიცვალებულები ავი სულებისაგან და შემაწუხებელი ძალებისაგან. შუა სამეფოს ხანაში ეგვიპტეში იმქვეყნიური სამყაროს მეუფე ხდება ოსირისი (1: 214), რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ეგვიპტელების პანთეონში. მან „დაჩრდილა“ ძველი სამეფოს ქალღმერთთა კულტები, რომლებიც „იმქვეყნიური სამყაროს“ მბრძანებლები იყვნენ და ასევე მეორეხარისხოვანი ღვთაებები, აბიდოსის ნეკროპოლისის „მეფე“ – სენტიმენტისუსი და სოკარი, რომლებიც მიცვალებულთა კულტს უკავშირდებოდნენ. შუამდინარულ მითოლოგიაში ქვესკნელის ცნება – „ფართო მიწა“ ქალღმერთი ერეშტიგალის საუფლო იყო (ერეშ-ტი-გალი – „ქალბატონი ფართო მიწისა“). მან ეს მიწა ძღვნად მიიღო, როცა ხდებოდა ღმერთებს შორის კოსმოსის დანაწილება (3: 129). ასურულ-ბიბლიონურ ხანაში ქალღმერთი „დააქორწინეს“ ღვთაება ნერგალზე, რომელიც ქალბატონს შეეცილა ბატონობაში და „ქვესკნელის ბატონის“ ტიტული მიიღო (3: 136-37). ეს მამრი ღმერთი მხოლოდ დროგამოშვებით რჩება თავის სატრფოს სამფლობელოში, რომელიც შუამდინარულ მითოცნობიერებაში ასოცირებულია

„მოუსავლეთის ქვეყანასთან“ (14: 54). ეგეოსურ სამყაროში მინოსური ხანის სამარხებში ჩნდება ქალღმერთის სკულპტურები და სიმბოლოები (ჰაგია ტრიადა). ნათელია, რომ მინოსელთა პანთეონის ერთ-ერთი ღვთაება მფარველობდა მიცვალებულთა სულებს და დაკავშირებული იყო „იმქვეყნიურ“ სამყაროსთან, მაგრამ კონკრეტულად თუ რომელი ქალღმერთის სახელი უკავშირდება მინოსურ-მიკენური წარწერებიდან ამ ქალღმერთს, დღეს გადაჭრით ამის დასაბუთება რთულია (21: 67-68).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ სქემაში განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ის სეგმენტი, სადაც მდებარი ღვთაებების მიერ მასკულინური ასპექტების მითვისება და გათავისება ხდება. ქალღმერთები, რომლებიც ამ სისტემაში ერთიანდებიან, გამოირჩევიან ნეგატიური, აგრესიული და ექსპანსიური მახასიათებლებით. ამავე დროს, განაგებენ მდებარი ბუნებისათვის უჩვეულო საწყისებს და სფეროებს-ომს, მსხვეპლთა შეწირვას, ღვთაების დაცვას, ნადირობას და ველურ ბუნებას. ყველა მათგანს აერთიანებს ბრძოლის ასპექტი. ბრძოლის, აგრესიულობის თემა მახლობელ აღმოსავლეთისა და მედიტერანულ სამყაროს მითოცნობიერებაში, როგორც წესი, მამრულ ბუნებას უკავშირდებოდა. პარადოქსია, მაგრამ მახლობელი აღმოსავლეთის მითოლოგია იცნობს ქალღმერთებს, რომელთა ბუნებაში ძევს აგრესიულობა, სისხლის სიყვარული, უფრო მეტიც, მათი ერთ-ერთი ასპექტი სწორედ ომებსა და ბრძოლებს უკავშირდებოდა.

ეგვიპტური სოლარული-მითოლოგიური ციკლის თანახმად, მზე მამრია, მაგრამ ჰყავს ერთგული ქალიშვილი, „მისი საყვარელი თვალი“ – სეხმეთი. ქალღმერთი – სეხმეთი ცნობილია თავისი მებრძოლი ასპექტით, ის არის ლომისთავიანი ქალი, რომელიც მზე-მამის ერთგული მცველია და გვევლინება კაცთა მოღმის დამსჯელად (9: 515; 30:

118).¹ ლომების და მებრძოლი ქალღმერთების თემა პოპულარულია წინააზიურ სამყაროშიც. შუამდინარული წარმომავლობის იშთარის ერთ-ერთი ფუნქცია მის მებრძოლ ხასიათში ვლინდება. ნიშანდობლივია, მისი მკაფიოდ გამოკვეთილი უშიშარი, აგრესიული, მებრძოლი სული (31: 155-56). მრავალრიცხოვან სცენებზე იშთარი გამოხატულია ლომების გარემოცვაში. ერთ-ერთ იკონოგრაფიულ გამოსახულებაზე ქალღმერთი მედიდურად ადგამს ფეხს ლომს, მისი აქსესუარი კი, მშვილდისარი არის. მას თავზე მუზარადის ტიპის ქუდი ახურავს. ერთ-ერთ სცენაზე კი, სამსხვერპლოს წინაშე მედიდურად დგას მებრძოლი ქალღმერთი, მტრის მოკვეთილი თავი გამოხატული არის საკურთხეველზე (1: 220). ბაბილონის ხელოვნებაში იშთარი ჩნდება საბრძოლო აღკაზმულობით, ხელთ უპყრია ხმალი („იატაგანის ტიპის“) და ფარი ე.წ. „ბრ ი“ (ე.წ. „პერსევის ფარი“), მხრებიდან ეზრდება სხვადასხვა სიგრძის ისრები (31: 156). მას უკავშირდება ქალღმერთების “ნინნისა” და “ნანას” სახელები (31: 157). დასავლურ სემიტურ სამყაროში ცნობილი იყო ქალღმერთი ასტარტა, რომელიც ორი ასპექტის – „მებრძოლისა“ და „მონადირის“ მატარებელი იყო ერთდროულად (27: 34 ფერ; 6: 1.9.2; 1: 220.). მისი ორეულია დასავლეთ სემიტური ქალღმერთი ანათი. ასტარტას საბრძოლო იკონოგრაფია უახლოვდება შუამდინარელი იშთარის აღკაზმულობას (11), ვისთანაც იგი გაიგივებულია უგარიტულ ღმერთების პანთეონის სიაში (27: 34,52). ასტარტას იკონოგრაფიაში ხშირად გვხვდებით ცხენებთან ერთად გამოსახულს (13: 40-43.). მისი მებრძოლი ასპექტი იკვეთება სტელებზე და ცილინდრულ საბეჭდურებზე, სადაც ის იარაღით არის გამოსახული. ეს სცენები მომდინარეობს სხვადასხვა ადგილიდან; ბეთელიდან მომდინარე ცილინდრზე ასტარტას შუბი უჭირავს, ხოლო

¹ სახელი “Sekhet” მომდინარეობს ძირიდან “Sekhem” – „ძლიერი, მძლავრი, მძინვარე“.

მემფისიდან და ჰიბისიდან მომდინარე სტელებზე ის აღჭურვილია შვილდ-ისრითა და კაპარჯით.¹ ზოგიერთ სცენებზე ის აგრესიულ პოზაშია წარმოდგენილი, ხელთ უპყრია იარაღი, შუბი და ფარი, და თავზე ეგვიპტური გვირგვინი ადგას (13: 23,81.)². ასტარტას კულტი, თავისი აქცენტირებული მებრძოლი ხასიათით, ძალზე გავრცელებული იყო ეგვიპტეშიც, რასაც მოწმობს არაერთი არტეფაქტი (იხ. ილუსტრაციები). ამ სცენებზე ასტარტა წარმოდგენილია ცნობილი ფარაონების გარემოცვაში, ამენხოტეპ II–სთან (ძვ.წ. 1426-1499 წწ.), რამსეს II-სთან (ძვ.წ. 1279-1213 წწ.), მერნეპტახთან (ძვ.წ. 1213-1204 წწ.) და სიფთახთან ერთად (ძვ.წ. 1198-1193).³ ასტარტა ხშირად გამძვინვარებული და დამუქრების პოზაშია გამოხატული. ეს პოზა გვხვდება ეგვიპტურ რელიეფებზე, სტელებზე და ოსტრაკონზე, სადაც ქალღმერთი ცხენზეა ამხედრებული (13: 117-119; 6: 4.1-4.7). აღნიშნულ სტელებზე ამოტვიფრულია ასტარტას სახელი (13: 82). მისი წმინდა ცხოველებიდან ცნობილია ცხენი, ლომი, კურო და თხა. მის საბრძოლო აღკაზმულობას წარმოადგენს შუბი, ისრები და ნაჯახი (18: 17.) ასტარტას კულტის გავრცელების გეოგრაფიული არეალი ძალზე ფართოა, გვხვდება აფრიკაში (სუდანი, ეგვიპტე), ესპანეთში, პალესტინა-ისრაელში, ფინიკიაში.⁴ თუ მის იკონოგრაფიული გამოსახულების სინშირეს და სტატიისტიკას დავაზუსტებთ, მაშინ ის გვხვდება სხვადასხვა კონტექსტში და სცენიურ სიუჟეტებში, მაგრამ მისი მებრ-

¹ Astarte in Iconography of Deities and Demons : Electronic Pre-Publication IDD website: <http://www/religionswissenschaft.unizh.ch/idd> 2-3.

² Astarte in Iconography of Deities and Demons : Electronic Pre-Publication IDD website: <http://www/religionswissenschaft.unizh.ch/idd> 3.

³ Astarte in Iconography of Deities and Demons : Electronic Pre-Publication IDD website: <http://www/religionswissenschaft.unizh.ch/idd> 4.

⁴ Astarte in Iconography of Deities and Demons : Electronic Pre-Publication IDD website: <http://www/religionswissenschaft.unizh.ch/idd> 4.

ძოლი აგრესიული ასპექტი ყველაზე თვალსაჩინოა (იხ. სქემა 2).

სქემა 2.

ასტარტას იკონოგრაფიული გამოსახულების ვარიაციები							
ღვთაე- ბებთან გამოსახ- ული ას- ტარტა		ცხოვე- ლებთან გამოსახ- ული ას- ტარტა		ფარაონების გარემოცვა- ში		მტრების შემზუ- სვრელი და მებრ- ძოლი	20
პტახი	9	ცხენი	2 2	სხვადასხვა ფარაონი	14		
ამუნ-რა	9	სხვა ცხო- ველები	18				
რეშეფი	15						
სეთი	7						

მესამე, მებრძოლი ასპექტების მატარებელი ქალღმერთი, ანათი ჩრდილოეთ სემიტური წარმომავლობის არის. უგარიტულ მითებში (15: 36-43), სადაც წარმოჩინდება ანათი, ნათლად ვლინდება მისი მებრძოლი, აგრესიული ბუნება. ის ღმერთი ბაალის და, და ასტარტასთან გაიგივებული ღვთაე-ბაა. გვხვდება ძვ.წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის პერიოდში, აგრეთვე ინარჩუნებს თავის პოზიციებს ბერძნულ-რომაულ ხანაში (12: 11-19 ფვრ.). იკონოგრაფიულ გამოსახ-ულებებზე ანათი გამოსახულია ცხენებისა და ეტლების გვერდით (7: 410; 29: 109 ფვრ., ილუსტ. N103-1725.). უგარიტულ მითებში ის სისხლისმოყვარული და დაუნდობე-ლი ქალღმერთია. სიშლეგის დროს, განურჩევლად ანადგუ-რებს ხალხს, არ ინდობს ნადიმზე მოწვეულ საკუთარ სტუ-მრებსაც კი. იგი კლავს აკხიტას, მშვენიერი მშვილდ-ისრის პატრონს, რათა დაეუფლოს მის იარაღს. ანათის კულტი

გავრცელებული იყო მთელს მახლობელ აღმოსავლეთში (21: 123-25).

ანათის, როგორც ბრძოლის ქალღმერთის, ფუნქციას ადასტურებს მისი სახელით აღბეჭდილი ისრისპირები. XIX დინასტიის იკონოგრაფიულ გამოსახულებაზე ჰელიოპოლისიდან ანათი საბრძოლო ნაჯახით არის გამოხატული, ხოლო ბუბასტიისის ვაზაზე კი, მას შუბი უჭირავს ფართან ერთად.¹ დერ-ელ მედინას სტელაზე ანათი კვლავ შუბით, ფართით და საბრძოლო ნაჯახით არის გამოსახული.² ასტარტასთან შედარებით ის ნაკლებად ჩნდება ეგვიპტეში, გვხვდება პალესტინაში (ბეტ-შეანი), ბაბილონში და მოგვიანებით, ბერძნულ-რომაულ პერიოდში. უგარიტში, რომელიც ანათის სამშობლოა, არ აღმოჩენილა ანათის გამოსახულებიანი რაიმე არტეფაქტი. თანამედროვე მეცნიერებაში ანათი გაიგივებულია მებრძოლი ასპექტების მქონე ქალღმერთებთან იშთარ-შავუშკასთან (33: 196), ბერძნულ ათენასთან (32: 28) და ინდურ კალისთან (3: 33-54).

ხმელთაშუა ზღვის სამყაროსთვისაც არ ყოფილა უჩვეულო აგრესიული ქალღმერთის სახე. აქვე გვსურს მოვიყვანოთ ერთი ქალღმერთის სახე, რომელიც კნოსოს ცილინდრებზეა აღბეჭდილი. ამ ქალღმერთს ხელში უჭირავს ხმალი, ხოლო მეორეთი ზურგზე დამაგრებულ საბრძოლო იარაღს იმარჯვებს (1: 220). მისი სახელის და ვინაობის იდენტიფიცირება შეუძლებელი ხდება.

საერთო ჯამში, ქალღმერთები სეხმეთი, იშთარი, ასტარტა და ანათი მებრძოლ ქალღმერთა “დიდ ოთხეულს” ქმნიან; გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, ისინი ჩნდებიან მახლობელ აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის

¹ Anat in Iconography of Deities and Demons: Electronic Pre-Publication IDD website: <http://www/religionswissenschaft.unizh.ch/idd> 5.

² Anat in Iconography of Deities and Demons: Electronic Pre-Publication IDD website: <http://www/religionswissenschaft.unizh.ch/idd> 5.

რეგიონებში. ამ ქალღმერთებს სხვა ფუნქციებთან ერთად გამოკვეთილი მებრძოლი-აგრესიული ასპექტი აქვთ და ომის/ბრძოლის თემასთან ასოცირდებიან.


დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ უძველეს არქაულ დიდ დედა ღვთაებას შესაძლებელია ჰქონოდა სხვა მრავალ ასპექტთან ერთად გამახვილებული ბრძოლის ფუნქციაც, თუმცა არქაულ არტეფაქტებზე ეს თემა არ არის ალბეკდილი და დადასტურებული. ამდენად, სავარაუდოდ, ძველი მახლობელი აღმოსავლეთის მითოპოეტურ წარმოსახვაში ომის ქალღმერთების პლეადა მოგვიანებით შემოიჭრა, მაშინ, როცა ბრძოლისა და ომის თემა მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა მახლობელი აღმოსავლეთის ტრანსრეგიონალურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან მოყოლებული, ამ რეგიონში იწყება დიდ იმპერიებს შორის ხანგრძლივი კონფლიქტებისა და კონფრონტაციების ეპოქა და სწორედ ამ კონტექსტში ჩნდებიან ეს ქალღმერთები, გამოკვეთილი მასკულინური ფიზიკური შესაძლებლობებითა და ინტერესებით.

დამოწმებანი:


1. ავალიანი ე., ძველი ცივილიზაციების ფორმირება მახლობელ აღმოსავლეთასა და ცენტრალურ მედიტერანულ სამყაროში. თსუ გამომცემლობა, თბ., 2001.
2. ავალიანი ე., მედიტერანული დიდი დედა ქალღმერთის კულტის ზოგიერთი ასპექტისათვის. *ANA ΘΕΣΙΣ*, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. თბ., 1999.
3. კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1979.
4. ჩეღვიკი ჯ., მიკენური სამყარო, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბ., 1989.

5. Элиаде М., *Азиатская Алхимия*. М., 1988.
6. CAT=Dietrich M., Loretz O., Sanmartin J., *The Cuneiform Alphabetic Texts from Ugarit, Ras Ibn Hani and other Places* (KTU second enlarged edition). 1995, Ugarit-Verlag, Münster.
7. Barnett R., Anath, Ba'al and Pasargadae. *MUSJ* 45, 1969, 407-422.
8. Berholdet A.. *Das Geschlecht*. Tubingen, 1943.
9. Budge E., *Egyptian Hieratic Papyri*. L., 1910.
10. Cameron D., *Symbols of Birth and of Death in the Neolithic Era*. London, 1984.
11. Colbow G., *Die kriegerische Ištar: zu den Erscheinungsformen bewaffneter Gottheiten zwischen der Mitte des 3. und der Mitte des 2. Jahrtausends* (Münchener Vorderasiatische Studien 8), 1991, München/Wien.
12. Cornelius I., *Many Faces of the Goddess. The Iconography of the Syro-Palestinian Goddesses Anat, Astarte, Qadeshet and Asherah c.1500-1000 BCE* (OBO 204), Fribourg Schweiz/Göttingen 2004.
13. Cornelius I., *Many Faces of the Goddess. The Iconography of the Syro-Palestinian Goddesses Anat, Astarte, Qadeshet and Asherah c.1500-1000 BCE* (OBO 204), 2nd. Enlarged edition, Fribourg Schweiz/Göttingen, 2008.
14. Crawford H., *Sumer and Sumerians*. Cambridge, 1991.
15. Day P., Art. Anat in: *DDD*, Van Der Toorn K., Becking B., Van Der Horst P.W., eds., *Iconography of Deities and Demons in the Bible*, Leiden/Boston/Köln 1999, 36–43.
16. Garstang J., *The Sun Goddess of Arinna*. *Annals of Archaeology and Anthropology*. v. VI. N3. 1914
17. Garstang J., *The Hittite Empire*. L., 1929.
18. Gubel E., 1980. *An Essay on the Axe-Bearing Astarte and her Role in a Phoenician "Triad"*: RSF 8, 1-17.
19. Gurney O., *Some Aspects of Hittite Religion*. Oxford., 1977.


20. Jacobsen T., *The Treasures of Darkness. A History of Mesopotamian Religion.* L., 1976.
21. James E., *Ancient Gods, The History of Diffusion of Religion in the Ancient Near East and the Eastern Mediterranean.* London, 1960.
22. Kees H., *Der Götterglaube im Alten Aegypten, Mitteilungen der Vorderasiatisch-Agyptischen Gesellschaft.* Vol. 45) Leipzig, 1941.
23. Labat R., *Le Poeme Babylonienne de la Création (Enuma eliš).* Paris, 1935.
24. Maisels C., *The Emergence of Civilization from Hunting and Gathering to Agriculture Cities and State in the Near East.* London, 1990.
25. Müller W., *Mitteilungen der Vorderasiatischen Gesellschaft.* VII. N5. 1902.
26. Neumann E., *The Great Mother.* Princeton University Press, 1991.
27. Niehr H., *Religionen in Usraels Umwelt: Einführung in die nordwestsemitischen Religion Syrien-Palästinas (Die Neue Echter-Bibel: Ergänzungsband zum Alten Testament 5),* Würzburg, 1998.
28. Pritchard B., *Ancient Near Eastern Texts.* L., 1955.
29. Seeden H., *Standing Armed Figures in the Leveant. Prähistorische Bronzefunde I/I, München,* 1980.
30. Tate K., *Sacred Places of Goddess: 108 Destinations,* San Francisco, 2006.
31. Ward W., *The seal Cylinders of Western Asia,* Washington, 1910.
32. Walls N., *The Goddess Anat in Ugaritic Myth, Dissertation Series SBL 135, Atlanta,* 1992.
33. Wegner I., *Gestalt und Kult der Ištar-Šawuška in Kleinasien, Neukirchen-Vluyn,* 1981.



1 სტუდია




3 სტუდია



4 სტუდია

IDD website: <http://www.religionswissenschaft.unizh.ch/idd>




სტარტე 6



სტარტე 8



სტარტე 9



სტარტე 10

DDO website: <http://www.religionswissenschaft.uni-zu.ch/bidd>




ახტარტუე 11




ახტარტუე 12



ახტარტუე 14



ახტარტუე 15



ახტარტუ 18




ახტარტუ 19




ახტარტუ 21



ახტარტუ 22



afano 1



afano 2



afano 3



afano 8

ILD website: <http://www.religionswissenschaft.uni-zh.ch/ild>

Eka Avaliani,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
Salome Sanikidze
Ph.D Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
**FOR TRANSCENDENTAL ASPECT'S OF THE GOD-
DESS MYTHOS**
RESUME

The cult of the ancient “Great Mother Goddess” is associated with archaic transcendental origins. Its archetype is multi-layered, universal and spread in the Ancient World. Multiplicity of its cult, ambivalence of the functions, coincidence of various aspects and complex symbolism represents it as the demiurge of the universe. In the period of the first states’ formation, the image of the “Great Mother Goddess” lost its position as the universal goddess and its cult became branched; “New Generation Goddesses” shared her functions. In historic period, “New Generation Goddesses” somehow shadowed the universal, complex image of the Great Mother Goddess. These Goddesses of the new generation could not overcome domination of masculine cults. While the new states were being constructed (in Mesopotamia and Egypt) the male deities took the advantage and became dominant as the official cults of the state.

The field of our interest is surveying of so called non-traditional feminine functions and fields of activity of the Goddess that differ from well known issues bearing feminine correlation such as: fertility, giving birth, nature protection, cereal volume increasing etc. The Goddesses with “non-traditional functions” include in their cult the masculine elements and are somehow “masculinized”. The goddesses which are united in this system are recognized with negative, aggressive and expansionism characteristics. At the same time, they are managing the origins and fields that are not usual for the feminine na-

ture such as the following issues: war, sacrificing, protection of animals, hunting and wild nature. Generally the Goddesses: Sekhmet, Ishtar, Astarta and Anat have formed the “Great Four” of warrior goddesses; starting from the Late Bronze Age they are met in Near Eastern and Mediterranean regions. Alongside with other functions these goddesses have the specified aggressive aspects of the warrior and are associated with the war/ struggle issue.

Together with other aspects, the ancient archaic Great Mother Goddess may have had the specific function of the warrior; however, this topic is not reflected and attested on archaic artifacts. Therefore the assembly of the war Goddesses presumably should have had entered the mytho-poetic imagination of the ancient Near East lately, in particular when fight and the war played an important role in foreign policy of trans-regional states of the Ancient Near East. Since the middle of the II millennium BC in these regions had been started the long period of conflicts and confrontations among great empires in which context these goddesses with specified masculine physical capacities and interests had arrived.

**კარლოს დიდის დიპლომატიური ურთიერთობა რომის
პაპებთან**

კარლოს დიდის (768-814) მრჩეველი ალკუინი, ადარებდა რა კარლოსს რომის პაპ ლეო III-სა და ბიზანტიის იმპერატორს, უსაფუძვლოდ როდი წერდა: „ის აღემატება პაპს და იმპერატორს სიძლიერით, სიბრძნითა და მდგომარეობით” (13: 486). უსაფუძვლოდ არც ანონიმ მეისტორიეს აქვს ნათქვამი: „მეფის (კარლოსის) სული”, ღვთისაგან ბოძებული სიამამაცით რომ გამოირჩეოდა, „არაფრით არ ჩამოუვარდებოდა პომპეუსისა და ჰანიბალის სულებს” (7: 38). მან თავისი 46 წლის მეფობის მანძილზე 50 ბრძოლა გადაიხადა და თითქმის ყველა ბრძოლაში წარმატებას მიაღწია; ევროპის დიდ ნაწილი მისი გამგებლობის ქვეშ აღმოჩნდა.

ეს სახელოვანი და ყველა ხალხის მიერ დიდად (11: 97) და „ევროპის მამად” (13: 422) წოდებული მეფე თავისი დროის უბადლო დიპლომატიც იყო. „კარლოსმა, - წერს „კარლოს დიდის ცხოვრების” ავტორი ეინჰარდი, - თავისი სამეფო დიდება ზოგიერთ „მეზობელ და შორეულ” სახელმწიფოებთან და მათ მეფეებთან „მეგობრობითაც გაზარდა”, კავშირს ეძებდა არა მარტო ევროპის სახელმწიფოებთან, არამედ აღმოსავლეთის სახელმწიფოებთანაც. სანიმუშოა მისი ურთიერთობა „გალისიის და ასტურიის მეფე ალფონს II-სთან: როდესაც ეს უკანასკნელი კარლოსს წერილს ან ელჩებს უგზავნიდა, ბრძანებდა მოეხსენებინათ ალფონსი, როგორც კაცი, რომელიც მთლიანად ეკუთვნის მას (კარლოსს) (3: 16). ფრანკთა მატეიანიდან, რომელიც დათარიღებულია

797 წლით, იმასაც ვიგებთ, რომ კარლოსმა დიდი კმაყოფილებითა და პატივით მიიღო ალფონსის ელჩი და მის მიერ მორთმეული ძღვენი (14: 183). ასევე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მას შოტლანდიის, ბიზანტიისა და ბალდაის წარმომადგენლებთან (3: 16). კარლოსს უყვარდა სხვა ქვეყნებიდან წარმოგზავნილი ელჩები, არ აშინებდა მათი სიმრავლე და თავის ხალხს ყოველთვის იმისაკენ მოუწოდებდა, რომ კარგად მიეღოთ ისინი. იცოდა რა, რომ მათი სიმრავლე არა მარტო სასახლის, არამედ მთელი „სახელმწიფოს გაჩანაგებასაც კი იწვევდა“, კარლოსი „მხედველობაში არ იღებდა ამ დანახარჯებს, რადგან იმედოვნებდა, რომ ეს დანახარჯები ამ შემთხვევაში ანაზღაურებული იქნებოდა დიდების სიუხვითა და კეთილი სახელის მოხვეჭით“ (3: 20). ამგვარად, ეინჰარდის აზრით, კარლოსს დიპლომატიური ურთიერთობის გააქტიურების და მიზანდასახულობის სულისკვეთება ამოძრავებდა, თვლიდა, რომ ამ მიზნით დახარჯული სახსრები უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც მეგობრულ ურთიერთობასა და კავშირებს მოაქვს.

კარლოს დიდს განსაკუთრებული ურთიერთობა მაინც რომის პაპებთან ჰქონდა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან თვით ადრეულ შუა საუკუნეებშიც კი პაპები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, მათ დიდ ანგარიშს უეწევდნენ. ჯერ კიდევ პაპმა ლეო I დიდმა (440-461) ის შეძლო, რომ შეაჩერა ატილას წინსვლა რომისაკენ. ატილამ თავისი ჯარი შეატრიალა და უკან გაბრუნდა. რა დაპირებით შეძლო პაპმა ეს, დღესაც გაუგებარია. ის კი ფაქტია, რომ პაპის ასეთი საქციელი აღიქვას, როგორც სასწაული. შეიქმნა ლეგენდაც, რომელმაც პაპი წმინდანის შარავანდელით შემოსა, მის პირველობაზეც იწვეს ლაპარაკი. პაპის დადგენილებებში გაჩნდა ასეთი ფრაზა: „რომაულ ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა პირველობა“.

ასეთი ავტორიტეტის მქონე პაპებთან მეზობელი ქვეყნები და მათი ხელმწიფეები მაშინაც არ წყვეტდნენ ურთიერთობას, როცა იტალიის დიდი ნაწილი ჯერ იუსტინიანემ დაიმორჩილა, შემდეგ კი – ლანგობარდებმა. პაპების მხარდაჭერა სჭირდებოდათ მათ, თუმცა მხარდაჭერასა და დახმარებას თვითონ პაპებიც ითხოვდნენ, ე.ი. ეს ურთიერთობა ურთიერთმხარდაჭერისა და დახმარების პრინციპს ექვემდებარებოდა. თანაც პაპები დახმარებას ეძებდნენ არა ყველასთან, არამედ მათთვის სასურველ და ძლიერ ძალასთან. ასე იყო ფრანკების შემთხვევაშიც, მათ კავშირი დაამყარეს არა „ზარმაც მეფეებთან“, ანუ მეროვინგების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენლებთან, რომელთაც სახელმწიფოში არაფერს ეკითხებოდნენ, არამედ მათ მაიორდომებთან, ანუ სასახლის უფროს გამგებელებთან, რადგან მათ ხელში იყო ფაქტიური ხელისუფლება. ასე მოხდა 739 წელსაც, როცა პაპმა მაიორდომ კარლოს მარტელს გაუგზავნა ელჩები თხოვნით: „ესხნა რომაელები ლანგობარდების გულზვიადობისაგან“. მანვე კარლოსს გადასცა პაპის მიერ გამოგზავნილი წმ. პეტრეს საფლავის გასაღები, რომელიც გადმოცემის თანახმად იყო ნაკურთხი და ავადმყოფთა განკურნების თვისების მქონე. ასეთი გასაღებები არც თუ მცირე როლს ასრულებდნენ პაპების დიპლომატიისში. პაპები მას უგზავნიდნენ ძლიერ ადამიანებს მეგობრობის ნიშნად. კარლოს მარტელმა პატივით მიიღო პაპის ელჩობა და მისი საჩუქრები, თავის მხრივ, თვითონაც გაიღო პაპისათვის გადასაცემი არაერთი მდიდრული საჩუქარი, რომელიც ელჩს გაატანა, მაგრამ ლანგობარდების წინააღმდეგ გამოსვლა ვერ გაბედა.

სამაგიეროდ ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრეს მისმა შვილმა პიპინ მოკლემ (751-768) და შვილიშვილმა კარლოს დიდმა. მათ ჰქონდათ ამის საფუძველი, მათი და რომის პაპის ინტერესები ერთმანეთს გადაენასკვნენ. პიპინმა, ჯერ კიდევ მაიორდომმა, ყოველგვარი წინააღმდეგობა დაძლია და ფრან-

კთა ტერიტორიული გაერთიანება მოახდინა. ასეთ ვითარებაში მისთვის ზედმეტი შეიქმნა მეროვინგთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, მეფე ხილდერიკ III, მაგრამ მის თავიდან მოსაცილებლად საჭირო იყო ისეთი ავტორიტეტის მხარდაჭერა, როგორც რომის პაპები იყვნენ. გადაიდგა ნაბიჯიც, პიპინ მოკლემ პაპ ზაქარიას გაუგზავნა ელჩობა, რათა ეკითხათ მისთვის მეროვინგი მეფეების შესახებ, რომელთაც მაშინ არ ჰქონდათ მეფური ძალაუფლება, კარგია თუ არა ეს. პაპს არ გასჭირვებია პიპინის გულის წადილის ამოცნობა და მაშინვე შეუთვალა: „უძჯობესია მეფედ იწოდებოდეს ის, ვისაც ნამდვილი ხელისუფლება გააჩნია, ოღონდაც არ დაირღვეს წესრიგი“.

ეს შემონათვალა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ 751 წლის ნოემბერში, სუასონში, პიპინს მოეწვია ფრანკი დიდებულებისა და ვასალების კრება, სადაც „ყველა ფრანკის არჩევით, ეპისკოპოსთა კურთხევითა და ვასალთა მიერ ფიცის დადებით“, იგი სამეფო ტახტზე დასვეს. უკანასკნელი მეროვინგი მეფე ხოლდერიკ III გაკრიჭეს და ეკლესიაში გამოამწყვდიეს პაპ ზაქარიას თანხმობით (3: 7; 12: 189).

სინამდვილეში ეს იყო სამეფო უფლებების უზურპაცია, მაგრამ ამის მიუხედავად, პაპმა პიპინი მაინც ცნო მეფედ, თანაც ისიც გამოაცხადა, რომ „მეფის უფლებების წყარო ხალხია და არა მისი წარმოშობა“. პიპინი სწორედ ხალხმა აირჩია მეფედ და მან არ უნდა დაუშვას ის, რომ მეფედ აირჩიონ სხვა დინასტიიდან. ასე და ამგვარად, პაპმა დამატებითი „საკრალური“ გამართლება მოუძებნა პიპინის გამეფებას, ამას დაემატა საეკლესიო გვირგვინკურთხევა, რითაც დასაბამი დაედო ახალი, პიპინიდების, ანუ კაროლინგების დინასტიის ბატონობას.

მადლიერმა პიპინ მოკლემ პაპი ზაქარია ეკლესია-მონასტრებით უხვად დაასაჩუქრა, მაგრამ როგორც ზაქარიას, ისე მომდევნო პაპის სტეფანე II-ის (752-757) წინაშე კვლავ

წამოიჭრა ლანგობარდების საკითხი. 751 წელს მათ შემუსრეს რავენის ეკზარქატი. ახლა სტეფანე II-მ დახმარებისათვის მიმართა არა ბიზანტიის იმპერატორს, ვინც მოვალე იყო დახმარებოდა მას, არამედ ფრანკთა მეფეს. პაპმა 754 წლის იანვარში ალპები გადალახა და პირადად ეახლა პიპინ მოკლეს (8: 65). პაპს მოუწყვეს საზეიმო შეხვედრა, მას ჯერ პიპინის უფროსი ვაჟი, კარლოსი, (მომავალი იმპერატორი) შეეგება, შემდეგ კი თვითონ მეფეც ეახლა თავის ოჯახის წევრებთან ერთად. პიპინმა პაპს ის პატივიც მიაგო, რომ როგორც კი წარსდგა მის წინაშე, იგი ცხენიდან ჩამოვიდა და პაპის წინ, თოვლში, მუხლი მოიყარა, შემდეგ წამოდგა და პაპთან ერთად ფეხით გაემართა სამეფო ვილა სენ-დენისაკენ, ლაგამჩავლებულს მიჰყავდა რა მისი ცხენი.

პიპინს არც პაპი დარჩა ვალში, სამეფო ვილაში მისვლისთანავე მან მუხლი მოიყარა მეფის წინ და ითხოვა: პიპინს „დაეცვა წმ. პეტრეს და რომაელთა საქმენი“. პიპინმა აღუთქვა კიდევ ეს დახმარება და სამაგიერო ჯილდოც დაიმსახურა: პაპმა, გაიმეორა რა მირონცხება, პიპინი, შვილებთან ერთად მეფედ აკურთხა. მათვე უბოძა „რომაელთა პატრიციუსის ტიტული (5: 186). მათ შორის ხელშეკრულებაც დაიდო, რომლის ძალით პიპინს უნდა დაეცვა ეკლესია, ხოლო პაპს – ახალი დინასტია (9: 44). ასე განმტკიცდა „საკურთხევლისა და სამეფო ტახტის“ კავშირი, რის შემდეგ ძლიერი ფრანკული ექსკორტით დაბრუნდა პაპი რომში.

პიპინმა კი, რომელიც აღთქმული დახმარების ერთგული აღმოჩნდა, სულ მოკლე ხანში ორგზის (754 და 756 წწ.) ილაშქრა და სასტიკად დაამარცხა ლანგობარდების მეფე აისტულფი. ამ უკანასკნელს ჩამოერთვა რავენის ეკზარქატის მიწები (ადრე ბიზანტიას რომ ეკუთვნოდა) და რომის ოლქის ტერიტორიები და ისინი გადაეცა მუდმივ მფლობელობაში „რომაულ ეკლესიას, წმინდა პეტრეს, რომის პაპებს და მათ მემკვიდრეებს“. ასე და ამგვარად, პიპინ მოკლესაგან პაპმა

მიიღო ის ოლქები, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, ხოლო პაპმა პიპინს მისცა მეფის ტიტული, რომლის მიცემა მხოლოდ იმპერატორს შეეძლო. ასე ჩამოყალიბდა საეკლესიო სახელმწიფო ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, პაპების საერო სამფლობელო. ფაქტობრივად ეს ბიზანტიისაგან რომის პაპის ჩამოშორებას ნიშნავდა. პაპისათვის მაშინდელი ბიზანტია სხვა არაფერი იყო, თუ არა „ერეტიკული იმპერია“, სადაც ხატმებრძოლეობა მძვინვარებდა (2: 61), ამიტომაც უარს ამბობდა ბიზანტიელი იმპერატორების უზენაესობაზე, უპირატესობას ანიჭებდა ფრანკების მეფეს, რომელიც თავისი ძლიერებით არა თუ ჩამორჩებოდა ბიზანტიის იმპერატორებს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში აღემატებოდა კიდევ. ასეთი დამცველის (6: 40) გაჩენა ცუდი არ იყო, მაგრამ აქტი, რომელიც მოჰყვა პიპინისეულ საჩუქარს, პაპებს დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ამყოფებდა. ამიტომაც პაპებმა იმთავითვე იწყეს ფიქრი იმაზე, რომ მიღებული საჩუქრისათვის გამოენახათ მათთვის სასურველი ფორმულირება, თუ იურიდიული გამართლება, მოექებნათ უფრო დიდი ავტორიტეტი, ვიდრე პიპინი იყო და მათ იწყეს იმის მტკიცება, რომ პაპებმა პიპინისაგან მიიღეს მხოლოდ ის, რაზეც მათ ძველისძველი და ხელშეუვალი უფლება აქვთ. ამუშავდა ისტორიაში ყველაზე ცნობილი სიყალბე - „კონსტანტინეს ნაბოძარი“ (Donatio Constantini), რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა შემდგომი საუკუნეების პაპების დიპლომატიაში.

ეს უხეში და უგემოვნოდ შედგენილი დოკუმენტი უპირველესად იმაზე მოგვითხრობს, რომ კეთრისაგან სასწაულებრივად განკურნებულმა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306-337) თავის მშველელს - პაპ სილვესტრის უბოძა საიმპერატორო ხელისუფლება მთელ დასავლეთში, ხოლო თავისთვის დაიტოვა იმპერიის მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი და შესაბამისად სატახტო ქალაქი რომიდან კონსტანტინოპოლში გადაიტანა (4: 28-34). არ არის გამორიცხული, რომ პაპების

კანცელარიიდან გამოსულ ამ დოკუმენტს იცნობდნენ კარლოს დიდის დროს, მაგრამ მას მაინც ხელი არ შეუშლია ფრანკებისა და პაპების ურთიერთობის გაღრმავება-განმტკიცებისათვის, ლანგობარდებთან კვლავ გართულებული საქმის მოწესრიგებისათვის.

მას შემდეგ, რაც დეზიდერიუსი (აისტულფის გარდაცვალების შემდეგ ლანგობარდების მეფე რომ გახდა) თავს დაესხა პაპის სამფლობელოებს, პაპ ადრიანეს არ დარჩა სხვა გამოსავალი, თუ არა დახმარებისთვის მიემართა კარლოს დიდისათვის, ამ უკანასკნელს მან ელჩობა გაუგზავნა ვინმე პეტრეს მეთაურობით (15. A 770, 772: 295, 303). ელჩი, რომელიც კარლოსს ეახლა თავის ვილაში – ტეულონისში, დაბეჯითებით ითხოვდა, რომ ფრანკთა მეფეს გადაერჩინა რომაელი ერი მეფე დეზიდერიუსის გულზვიადობისაგან. ელჩმა პაპის დავალებით ისიც თქვა, რომ კარლოსი მოვალეა ადასრულოს ღვთის ნება, რამეთუ იგი არის კანონიერი მეურვე და მფარველი რომაელი ერისა, და ეს იმ დროიდან, როცა ნეტარხსენებულმა პაპმა სტეფანემ მას სცხო წმ. მირონი და მეფედ და რომაელთა პატრიციუსად განაწესა. კარლოსმა თავის მხრივ, დახმარება აღუთქვა ელჩს და 773 წელს ქალაქ იენაში შეკრებილ სახალხო კრებაზე ის გადაწყვეტილებაც მიიღო, რომ ომი დაეწყოთ ლანგობარდების წინააღმდეგ.

ფრანკთა მხედრობა ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი ჯარისა გაიგზავნა კარლოსის წინამძღოლობით, მეორე ნაწილს კი სათავეში ჩაუდგა კარლოსის ბიძა ბერნარდი, რომელმაც იოვის მთა გადალახა და შევიდა იტალიაში. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა პიემონტის ველზე, სადაც კარლოსმა დაამარცხა დეზიდერიუსი. ეს უკანასკნელი ბრძოლის ველიდან გაიქცა და თავი შეაფარა პავიას. მისი შვილი ადალგიზი კი გადაიხვეწა კონსტანტინოპოლში. გამარჯვებული კარლოსი 774 წელს სახეიმოდ შევიდა რომში, სადაც მას მიესალ-

მწიგნობრობის „ფრანკებისა და ლანგობარდების მეფეს“, პაპმა ადრიანემ კი მის წინაშე ერთგულების ფიცად დადო, მეტიც, კარლოსს მან ხელახლა უბოძა პატრიციუსის ტიტული. ისე, რომ, აქედან მოყოლებული კარლოსის სამეფო ტიტული ასე უღერდა: „მეფე ფრანკებისა და ლანგობარდებისა და რომაელთა პატრიციუსი.“ რომში მყოფმა კარლოსმა თავის მხრივ, პაპს ხელახლა დაუმტკიცა პიპინის მიერ გაცემული ტერიტორიები.

კარლოს დიდს კვლავ მოუხდა ბრძოლები პავიაში ჩაკეტილ დეზიდერიუსთან. მხოლოდ ათი თვის შემდეგ, 774 წლის ივნისში, შეძლეს ფრანკებმა პავიის აღება, მათ დეზიდერიუსი შეიპყრეს, ბერად აღკვეცეს და ოჯახითურთ ფრანკთა სამეფოში გაგზავნეს.

კარლოსი სასტიკად გაუსწორდა დეზიდერიუსის შვილს ადალგიზს და მის მოკავშირეს ბავარიის ჰერცოგ ტასილონსაც, რომლებიც აუჯანყდნენ მას; ისინი დაიმორჩილა და ბერად აღკვეცა, ხოლო ლანგობარდების მეფედ 781 წელს თავისი ოთხი წლის შვილი პიპინი გამოაცხადა, რომელიც ერთხანს მამის ხელმძღვანელობით უძღვებოდა ტახტს. ფაქტობრივად, მთელი იტალია კარლოსის ხელში აღმოჩნდა, მას ემორჩილებოდა პაპიც.

პაპებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ადრიანეს გარდაცვალებით (795 წ.) დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ადრიანესთან კარლოსის ურთიერთობა მარტო პოლიტიკური ან კიდევ დიპლომატიური ხასიათის მატარებელი როდი იყო. მასთან მას თბილი ადამიანური გრძნობაც აკავშირებდა. აკი, როგორც ეინჰარდი წერს, მისი გარდაცვალების გაგებისას კარლოსმა იგი „ისე დაიტირა, თითქოს დაკარგა არა მეგობარი, არამედ შვილი ან ძმა. (3: 19).

ასევე საქმიანი და თბილი ურთიერთობა აკავშირებდა კარლოსს მომდევნო პაპთან, ლეო III-სთან (795-816). ამ უკანასკნელმა ტახტზე ასვლისთანავე კარლოსს ერთგულება

შეჭფიცა და ამის ნიშნად წმ. პეტრეს საფლავის გასაღები და ქალაქ რომის დროშა გაუგზავნა. ამ სიმბოლოთი მას გარკვეული უფლებები ენიჭებოდა სასულიერო ხელისუფლებაზე (6: 47).

პაპისადმი პატივისცემა და სიყვარული შეინიშნებოდა კარლოსის ქცევაშიც. მის საჩუქრებსა და წერილებში, რომლებსაც ხშირად უგზავნიდა პაპს. (17: 9-10, 553-556). ეინჰარდს არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ კარლოსი „უხვად ასაჩუქრებდა პაპებს“, მეტიც, პაპის გულის მოგების მიზნით, მან „მდიდრულად მოართვევინა წმ. პეტრეს ტაძარი, რომელიც მსოფლიოს ყველა ტაძრებს შორის გამოირჩეოდა“, აქ მოდიოდა სალოცავადაც (3: 23), ჩადიოდა ბევრ ისეთ რამეს, რასაც ჩვეულებრივ არ აკეთებდა. „ერთხელაც რომში, პაპი ადრიანეს, ხოლო მეორეჯერ მისი მემკვიდრის ლეოს თხოვნით იგი გამოეწყო რომაულად, ჩაიცვა გრძელი ტუნიკა და ქლამიდი, რომაული ფეხსაცმელი (3: 21).

მისი ეს საქციელი მართო ღრმადმორწმუნეობით არ აიხსნებოდა, მას შორს გათვლილი პოლიტიკური მიზნებიც ამოძრავებდა. სურდა სინამდვილედ ექცია იმპერიის აღდგენის იდეა, რომელიც თავისი ქვეყნის „ძლიერთა“ შეგნებაში დიდი ხანია მზადდებოდა. იმპერიის აღდგენის იდეას მხარს უჭერდა თვით კარლოსის მთავარი მრჩეველი ალკუინიც, რომელიც იმპერიაში ხელავედდა ღვთის ნების გამოვლინებას. აღსანიშნავია, რომ ეს იდეა უფრო შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ჯერ კიდევ ეკლესიის მამებმა - წმ.იერონიმემ და წმ. ავგუსტინემ, დაეყრდნენ რა ბიბლიურ მოტივებს, კიდევ უფრო განავითარეს იოსებ ფლავიუსის (დაახლ. 17-100) და II საუკუნის ბერძენი მეცნიერის კლავდიოს პტოლემეაიოსის სახელებთან დაკავშირებული ის პერიოდიზაცია, რომლის თანახმად კაცობრიობის განვითარების მთელი პროცესი თავსდება ოთხ ერთიმეორის მომდევნო მსოფლიო მონარქიაში.

ესენია: ასურელ-ბაბილონელთა, მიდიელ-სპარსელთა, ბერძენ-მაკედონელთა და რომის მონარქია.

აქედან უკანასკნელს, რომის მონარქიას, ქვეყნიერების დასასრულამდე უნდა ეარსება, არ შეიძლებოდა მისი დაღუპვა, მეტიც, ქრისტიანებმა გამარჯვებას რომ მიაღწიეს, თავიანთ მისიად დედამიწაზე „ღვთის ქალაქის“ აშენება გამოაცხადეს. ეს იდეა აიტაცეს და განავითარეს ისიდორე სევილიელმა და ბედა პატივდებულმა, რომლებიც ვერ შეურიგდნენ რა რომის იმპერიის დაღუპვას, წამოაყენეს *translatio*-ს (გადატანის) იდეა, რომლის თანახმად ქრისტიანული იმპერია, როგორც სიმბოლო მომავალი „ღვთის ქალაქისა“ უნდა გადასულიყო ხალხიდან ხალხში, სახელმწიფოდან სახელმწიფოში (12: 191). ეს იმპერია მთელ ქრისტიანულ სამყაროს ერთი მმართველის ქვეშ გააერთიანებდა, მაშასადამე, არ დაირღვეოდა მემკვიდრეობითობა, იმავდროულად დამკვიდრდებოდა ის კოსმოპოლიტური ტენდენციაც, რაც ასე დამახასიათებელი იყო შუასაუკუნეობრივი პაპობისა და კათოლიკური ეკლესიისათვის. ისინი არ ცნობდნენ ეროვნულობას, აკი ქრისტეს წინაშე, მოციქულთა მოძღვრების თანახმად, არ არსებობს არც ელინი და არც ებრაელი. ამავე პრინციპს უნდა დაქვემდებარებოდა ის კოსმოპოლიტური მონარქიაც, რომლის შექმნაზეც კარლოს დიდი ოცნებობდა, თუმცა ასეთი იმპერიის აღდგენის მოსურნე თვით პაპი, ლეო III-ც იყო, ვინაიდან საიმპერატორო გვირგვინის გადაცემა კარლოსისათვის არა მართლ დამცველის გაჩენას მოასწავებდა, არამედ იმის გარანტიასაც უზრუნველყოფდა, რომ ერთიანად ებატონა ყველა ეროვნებაზე. ერთი სიტყვით ეკლესიის და სახელმწიფოს კავშირი აუცილებელი იყო. მეფე და პაპი ერთმანეთს საჭიროებდნენ. ერთში იყო პოლიტიკური ძალა, მეორეში კი – სულიერი. ამ აზრის შემცველია ის წერილიც, რომელსაც კარლოსი უგზავნის პაპს თავისი სიძის (ფაქტობრივად ელჩის) ანჟილბერტის ხელით. „ურთიერთ დათმობით შევაზავოთ ყველა

ის სიკეთე, - ნათქვამია წერილში, - რაც ეკლესიის დიდები-სათვის ან თქვენი პატივის განმტკიცებისათვის, ან ჩვენი პატრიციუსობისა” და მთელი საქრისტიანოს გაერთიანებისათვის ეგზომ საჭირო არის. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი ის იყო, რომელიც გადაიდგა თქვენი წინამორბედების დროს, როცა მივალწიეთ შეთანხმებას მამობრივი წმინდა კავშირის შესახებ; თქვენთანაც ასევე „ნდობისა და სიყვარულის (17: 355-356), მოპოვება მსურს”. რათა ერთობლივად შევძლოთ მთელი საქრისტიანოს, რომაული ეკლესიისა და პაპის ძალა-უფლების დაცვა წარმართთა შემოტევებისა და ურწმუნოთა აოხრებისაგან. იმისათვის, რომ „ქრისტიანმა ხალხმა ყოველ-თვის გაიმარჯვოს მტერზე” – განაგრძობს კარლოსი, „თქვენმა კეთილგონიერებამ” განუხრელად უნდა დაიცვას წმინდა კანონები. თქვენს საქციელში უნდა ჩანდეს სიწმინდის მაგალითები; თქვენი ბაგეებიდან უნდა ამოდიოდეს წმინდა შეგონება (16: 213; 1: 48-49), რაც ადამიანს სიკეთის კეთების სურვილს აღუძრავს და რწმენას განუმტკიცებს, მტერზე გაამარჯვებინებს. თავის მეორე, სიძისადმი განკუთვნილ წერილშიც, კარლოსი იმას მოითხოვს, რომ სიძესაც აქტიური მონაწილეობა მიეღოს პაპის დარწმუნებაში. მას უნდა ეთქვა: მთელი საქრისტიანოს გასაერთიანებლად უპირველესად ის არის საჭირო, რომ თვითონ პაპი მოიქცეს ღირსეულად, მან უნდა დაიცვას წმინდა კანონები, უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ აღმოფხვრას სიმონია და „ცუდი ჩვევები”, რომლებიც „ძირს უთხრის და წამლავს წმიდა ეკლესიას”, მხოლოდ პაპის ღირსეულ საქციელს შეუძლია ადამიანებს გაუჩინოს იმის სურვილი, რომ „ადიღონ ღმერთი და დაიცვან საქრისტიანო (16: 212-213). ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ კარლოსი პაპის ზნეობრივ მოქმედებას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, თუმცა თავის ხელისუფლებას პაპის ხელისუფლებაზე მაღლა აყენებდა. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ კარლოსი არის „მეფე და წმინდა ეკლესიის მფარველი”, რო-

მელსაც მთელი საქრისტიანოს გაერთიანება და სიკეთე სურს (17: 355-356). აქვე ვიტყვი, რომ ამ ტიტულს მარტო კარლოსი არ ატარებდა მისი მატარებელი კარლოსის მამა ჰიპინიც იყო (15: 293). ამ ტიტულით მოიხსენიებდა იგი თავის თავს, როცა ელჩების პირით აისტულფისაგან მოითხოვდა იმ ტერიტორიების დაბრუნებას რომის ეკლესიისათვის, რაც მისგან მიტაცებული ჰქონდა (9: 43-44).

ამგვარად, როგორც ნათქვამიდან ჩანს, კარლოს დიდს რომის პაპთან ერთად მთელი ქრისტიანული სამყაროს (თვით ბიზანტიის ჩათვლით) ერთ იმპერიაში გაერთიანება სურდა. ამის წინაღმდეგი, როგორც ვთქვით, არც პაპი იყო, მაგრამ ვინაიდან მას პოლიტიკურად დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა (არ იყო თავისუფალი თავის საგარეო პოლიტიკაში, რჩევა-დარიგებას ფრანკთა ხელმწიფეებს ეკითხებოდა), ამიტომაც იმას შეეცადა, რომ ხელიდან არ გაეშვა იმპერიის შექმნის ინიციატივა და სხვების დასანახად მაინც შეენარჩუნებინა სულიერი მეთაურობა, რაც მას მისცემდა იმპერიის შექმნის მოსურნე კარლოსისათვის იმპერატორის ტიტულის გადაცემის საშუალებას. ასეთი მომენტი ლეო III-ს მას შემდეგ დაუდგა, როცა რომში მოხდა ერთი საკმაოდ საშიში ინციდენტი.

საქმე ის არის, რომ ლეო III, რომელიც არ განეკუთვნებოდა დიდგვაროვანთა წრეს, იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა რომაელი დიდებულებისათვის. შეიქმნა შეთქმულთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სასულიერო პირები, ადრიანეს ძმისშვილები: პასხალისი და კამპალუსი (1: 48). ლეო III-ზე მათ გაავრცელეს შეურაცხმყოფელი მოსაზრებანი, სახელდობრ ის, რომ იგი შემჩნეულია ამორალურობაში, ავხორცობასა და მექრთამეობაში და 798 წლის 25 აპრილს საზეიმო ლიტანიის დროს, ხმლებითა და ჯოხებით შეიარაღებული შეთქმულები თავს დაესხნენ პაპს, ზედ შედგნენ და სცემეს, შემდეგ ენის ამოგლეჯა და თვალების დათხრაც მო-

უნდომეს (18: 139), მაგრამ იგი სასწაულებრივად გადაურჩა მათ. მან ღამის სიბნელით ისარგებლა და თავს გაქცევით უშველა. იგი კედელზე გადაძვრა და შიშისაგან დაფეთებულმა კარლოსის ელჩებთან მიიღობინა, რომლებიც იდგნენ წმ. პეტრეს ბაზილიკასთან. აბატებმა ვირუდუსმა და ვინიგიზუსმა პაპი ჯერ სპოლეტოს ჰერცოგთან მიიყვანეს, ხოლო შემდეგ გადავიდნენ საქსონიაში და შეჩერდნენ პადერბორნში, სადაც კარლოსის ბანაკი იყო. როგორც ალკუინი გადმოგვცემს, აქ მათ ისაუბრეს არა მარტო პაპის გასაჭირზე, არამედ იმპერიის აღდგენის ცალკეულ დეტალებზე, თუმცა ეს საუბარი დიდხანს როდი გაგრძელდა. შეხვედრაზე სულ მალე აჯანყებულ რომაელ დიდებულთა ელჩებიც გამოცხადდნენ (14: A.799: 184), რომლებმაც ამჯერადაც პაპი დაადანაშაულებს გარყვნილებაში, ფიცის გატეხვასა და სხვა უღირს საქციელში (18: 140). ისინი პაპის სასწრაფოდ გასამართლებას მოითხოვდნენ, მაგრამ ამის დაშვება იმპერატორს არ შეეძლო, რამეთუ, როგორც პაპის მომხრეები ამტკიცებდნენ, „პაპი ღმერთის მოადგილე დედამიწაზე“, რომლის გასამართლების უფლება არავის აქვს (10: 64).

და მანც წამოყენებული ბრალდებების სერიოზულობამ და უპირველესად კი, პაპის დაცვის სურვილმა კარლოსის ის უკარნახა, რომ მეორე დღესვე რომში გაეგზავნა თავისი ელჩები: მთავარეპისკოპოსები ჰილდბალდი და არნი, ეპისკოპოსები კუნიბერტ ბერნარდი, ოტი, იესე, ფლაიკუსი, გრაფები ჰელინგოტი, როთეკარი და გერმაში (18: 140). ფაქტობრივად ეს იყო საგამოძიებო კომისია, რომელსაც პაპის უდანაშაულობა უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ რომში ჩასული ელჩები მალევე დარწმუნდნენ, რომ ისინი მარტოდმარტონი ვერაფერს გახდებოდნენ, საჭირო იყო თვით კარლოსის ჩამოსვლა. თვით პაპიც ამის მოსურნე იყო, თუმცა მან კარგად იცოდა, რომ მას დამცირებულად უნდა ეგრძნო თავი, რადგან იძულებული

იქნებოდა თავისი უდანაშაულობა ემტკიცებინა სიუზერენის წინაშე, ანუ დე ფაქტო თავი ეცნო მის ქვეშევრდომად.

დიდებულთა, ეპისკოპოსთა და აბატთა რჩევითა და გადაწყვეტილებით კარლოსი მიემგზავრება რომში, რათა როგორც ეინჰარდი ამბობს, აღედგინა ეკლესიისა და პაპის შერყეული ავტორიტეტი (15: A800: 304). იგი რომში 800 წელს, შობამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა. მას თვით პაპი ლეო III შეეგება და საუზმის შემდეგ ქალაქი დაათვალიერებინა.

კარლოსმა რამოდენიმე დღე დაჰყო რომში და იმთავითვე იმას შეეცადა, რომ სიმშვიდე მოეტანა ხალხისათვის. მას მოუხდა პასუხის გაცემა იმ ბრალდებებზეც, რომელსაც რომაელი დიდკაცები უყენებდნენ პაპს, თუმცა პაპს ვერცერთი ბრალდება ვერ დაუმტკიცეს.

ხალხის წინაშე თვით პაპსაც მოუხდა თავის მართლება, სახარებით ხელში მან საჯაროდ დაიფიცა, რომ არ ჩაუდენია არც ერთი ის დანაშაული, რომელშიც მოწინააღმდეგეები სდებდნენ ბრალს. „ღმერთია მოწმე და მხოლოდ მის მსჯავრს ვემორჩილები” (17: 20) – ამბობს პაპი.

ეს ფიცი გარკვეულად დიპლომატიური ნაბიჯიც იყო, მიზნად ისახავდა აჯანყებულთა დამოშმინებას, იმის დამტკიცებას, რომ პაპი უმწიკვლო და შეუმცდარია.

მეფის ჩამოსვლას რომში ის შედეგიც მოჰყვა, რომ სულ მალე დააპატიმრეს პასხალისი, კამპულუსი და ბევრი სხვა რომაელი დიდებული, ვინც პაპს სიკვდილს უქაღდა. იმპერატორის ბრძანებით მომდევნო წელს მათ სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს (14: 801:189). განაჩენს საფუძვლად დაედო რომაული კანონის ის მუხლი, რომლის თანახმად „უწმინდესობათა შეურაცხმყოფელი სიკვდილით დასჯას ექვემდებარებოდა, მაგრამ პაპმა ამ შემთხვევაშიც დიპლომატიას მიმართა, იმპერატორის წინაშე შუამდგომლობა გასწია და სიკვდილმისჯილებისთვის პატიება ითხოვა. შედეგმაც არ და-

აყონა. სიკვდილი მათ ფრანკთა სამეფოში გადასახლებით შეუცვალეს (18: 148). ფრანგი ისტორიკოსი ვიოლე არცთუ უსაფუძვლოდ ამბობს, რომ ლეო III ჭკვიანი პაპი იყო (19: 252, 263-264), ხელსაყრელი მომენტი, რომელიც რომში კარლოსის ჩამოსვლას უკავშირდება, მან ხელიდან არ გაუშვა, 23 დეკემბერს სასწრაფოდ შეკრიბა ყველა ის პირი, ვინც ჯერ კიდევ პადებორნში ახლდა მას. მათ კვლავ განაახლეს მსჯელობა რომის იმპერიის აღდგენის შესახებ. ვინაიდან ამ დროისათვის ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე გადაყენებული იყო და ტახტზე იჯდა მისი დედა, იმპერატორის ტიტული ვაკანტურად ჩათვალეს და ამ საბაბით კარლოსს ერთხმად სთხოვეს მიეღო ეს ტიტული (1. გაბისონია 2009:58), რაზეც დაითანხმეს კიდევ, მაგრამ პაპი არ დაელოდა გვირგვინკურთხევისათვის საჭირო პროცესს; 2 დღის შემდეგ, 800 წლის 25 დეკემბერს, ქრისტეშობის დღეს, როცა კარლოსი იმყოფებოდა წმ პეტრეს ტაძარში და ლოცულობდა, მას პაპმა მოულოდნელად იმპერატორის ოქროს გვირგვინი დაადგა თავზე, რასაც იქ დამსწრე რომაელები აღფრთოვანებით შეხვდნენ, მათ იგალობეს და ხმამაღლა წარმოთქვეს: „სიცოცხლე და გამარჯვება ღვთით კურთხეულ გვირგვინოსანს, დიდებულს და მშვიდობისმყოფელს, რომაელთა იმპერატორს კარლოს ავგუსტიუსს (15: 304-305). შემდეგ პაპმა ქელი მოიხარა და თავყანი სცა კარლოსს და იმავედროულად პატრიციუსის სახელწოდების ნაცვლად იმპერატორი უწოდა მას (15: 305). ფაქტობრივად, ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ახალი იმპერიის აღმოცენება, რომელმაც მოიცვა იმ დროს უკვე არარსებული დასავლეთ რომის იმპერიის მნიშვნელოვანი ნაწილი (იტალია, გალია, გერმანია) ქალაქ რომითურთ, სადაც მუდამ კეისრები და იმპერატორები ისხდნენ.

თუ ეინჰარდს დავუჯერებთ, კარლოსს უსიამოვნოდ მიუღია პაპის ეს საქციელი, სახელდობრ ის, რომ მან თავზე

დაიდგა იმპერატორის გვირგვინი. პირველ ხანებში, - წერს ეინჰარდი, - კარლოსი იმას ამტკიცებდა, რომ პაპის ასეთი გადაწყვეტილების ცოდნის შემთხვევაში „საზეიმო დღესასწაულის მიუხედავად იგი არ წავიდოდა ეკლესიაში” (3: 23). აქ შეიძლება ის ითქვას, რომ ამას კარლოსი ამბობდა არა იმის გამო, რომ მას არ სურდა იმპერატორობა, არამედ იმიტომ, რომ ამ ტიტულის მიღება უნდოდა არა პაპისაგან (რომელსაც თავის ვასალად თვლიდა), არამედ თავისივე თანასწორისაგან, როგორც მას ბიზანტიის იმპერატორი მიაჩნდა (3: 23).

უკმაყოფილების მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ პაპმა ლეო III-მ გვირგვინკურთხევა მოაწყო სათანადო ცერემონიის გარეშე, თანაც ისე მოიქცა, რომ განადიდა თავისი როლი ამ საქმეში.

კარლოსის უკმაყოფილება უსაფუძვლო არ ყოფილა: „განა საიმპერატორო გვირგვინი არ უბოძა პაპმა, და განა ის, ვინც მბოძებელია, არ ღვას იმაზე მაღლა, ვინც მას იღებს?” ეს არგუმენტი არაერთხელ გამოუყენებიათ პაპებს საერო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ვერ ვიტყვით, რომ ლეო III-მ არ გადადგა მარჯვე დიპლომატიური ნაბიჯი.

უკმაყოფილების მიუხედავად კარლოსს უარი არ უთქვამს იმპერატორის ტიტულზე. პირიქით, როგორც ამას გვირგვინკურთხევის შემდგომი საბუთებიც ადასტურებენ, მას ყველგან საზგასმით აქვს ნათქვამი, რომ „კარლოსი, უბრწყინვალესი ავგუსტუსი და ღვთითკურთხეული გვირგვინოსანია. იგია მშვიდობის მყოფელი და რომაელთა იმპერატორი, მმართველი სახელმწიფოსი და მაღლითა ღვთისათა მეფე ფრანკთა და ლანგობარდებისა” (18: 148).

წყაროები იმასაც გვიდასტურებენ, რომ კარლოს დიდი არა მარტო ფრანკთა სამეფოში, არამედ მთელს იტალიაში, თვით ქალაქ რომშიც კი თავს სრულუფლებიან მბრძანებლად გრძნობდა. მას არ სჭირდებოდა პაპებისადმი მიმართვა, რათა

დაეცვა რომში თავისი კუთვნილი უფლებები. აკი, როგორც მემატთანე ვადმოგვცემს, კარლოსმა „მიიღო რომში ძალაუფლება რომაელების მიმართ (18: 148). იგი იმასაც კი შეეცადა, რომ ახლადშექმნილი იმპერია და მისი წესწყობილება დაემსგავსებინა გვიანი რომის იმპერიის წესწყობილებისათვის (19: 437, 440). 802 წლის კაპიტულარში მან ისიც მოითხოვა, რომ იმპერიაში მცხოვრებ ყოველ თავისუფალ კაცს ხელახლა მიეცა მისთვის ერთგულების ფიცი, რომელიც განადიდებდა არა მარტო საიმპერატორო ხელისუფლებას, არამედ მისდამი ეკლესიის მორჩილებასაც: იმპერატორი იდგა ეკლესიის სათავეში, ეპისკოპოსები და აბატები მასთან ისეთსავე ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ, როგორც საერო ვასალები. ამის მიუხედავად კარლოსის წყალობით ბევრად უფრო ამაღლდა პაპების ავტორიტეტი, რაც მათ შორის სისტემატურ ელჩობებსა და ურთიერთდახმარებაში ვლინდებოდა. მათ ერთობლივად იზრუნეს იმისათვის, რომ ფრთები შეესხა რომის მემკვიდრეობის იდეას, რომელიც ფრანკთა საზოგადოების შეგნებში დიდი ხანია მწიფდებოდა.

ერთი სიტყვით, ფრანკთა იმპერიის შექმნა რომის პაპების და კარლოს დიდის ერთობლივი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი შედეგია, თუმცა კარლოს დიდი მარტო იმპერიის შექმნით როდი შემოიფარგლა, მან იმთავითვე იზრუნა თავისი რეზიდენციის მოწყობისათვის. თუ ხლოდვიგის მმართველობიდან მოყოლებული ფრანკთა სამეფოს პლიტიკური ცენტრი პარიზი იყო, კარლოსმა იწყო ახალი ქალაქის აახენის მშენებლობა, რომელიც გახდა იმპერიის ცენტრი. თანამედროვენი მას ახალ რომად მოიხსენიებდნენ (6. ჯავახია 2009:49). ქალაქის მშენებლობისას ფართოდ გამოიყენებოდა რომაული არქიტექტურის ნიმუშები, ბევრი რამ გადმოიღეს კონსტანტინეპოლის არქიტექტურიდანაც. კარლოსი აშენებდა სასახლეებს, ტაძრებს, ხიდებს თუ სხვა ნაგებობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ დროს აშენებული აახენის კაპელა და

ღვთისმშობლის ტაძარი, რომელსაც ალკუინი სოლომონის ტაძარს ადარებდა (6: 50). ტაძრის სვეტებისათვის მარმარილო სპეციალურად რომიდან და რავენიდან ჩამოჰქონდა (3: 17). რომაელთა და პაპის მხარდაჭერა არც ამ საქმეში აკლდა კარლოს დიდს.

დამოწმებანი:

1. გაბისონია ნ., პერტაია დ., პაპების ბრძოლა საერო ხელისუფლებისათვის, თბ., 2009.
2. დილი შ., ბიზანტიის იმპერიის ისტორია, ბ. ბრეგვადის თარგ., თბ., 1998.
3. ეინჰარდი, კარლოს დიდის ცხოვრება – გ. კუტალია, ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება“, თბ., 2005.
4. კუტალია გ., პაპების საერო ხელისუფლების წარმოშობა და ე.წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარი“. – გ. კუტალია, ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება“, თბ., 2005.
5. ჟან ბატისტ დიუროზელი, ევროპა, მისი ხალხების ისტორია, თარგმ. ფრანგულიდან, თბ., 2008.
6. ჯავახია ბ., მარადიული რომი, თბ., 2009.
7. Аноним. Жизнь императора Людовика. – Историки эпохи Каролингов, М., 1999.
8. Гергей Е. История Папства. М., 1996.
9. Карелин М.С. Важн. моменты в истории папство, М., 1901.
10. Лозинский С.П. История папства, М; 1986.
11. Нитхард. История в четырёх книгах – Историки эпохи Каролингов, М., 1999.
12. Сидоров А. И. Взлёт и падение Каролингов. - Историки эпохи Каролингов. М., 1999.
13. Флеккенштейн Й. Карл Великий – Создатели империи. Ростов - на – Дону. 1998.

14. Annales Laurissenses, A797, A 799, A 801. - Monumenta Germaniae Historica. Edidit G.H. Pertz, t I, Hannoverae, MDCC XXVIII.
15. Chronicon Moissiacense. A.770, A.772, A.799, A.800 A.801. – MGH, t I.
16. Jacques Delperrie De Bayac. Charlemagne, Imprime en France, 1976.
17. Monumenta Carolina Epuctoe. Carol – Jaffe. Bibliotheca rerun germanicarum;
18. Muhlbacher. Carl der grosser, t I, 1889.
19. Violet P., Ilistsire des in institut. Polit de la Franze. P., 1932.

Guram Kutalia

Doctor of Historical Seienes, Professor of Gori Teaching University

**THE DIPLOMATIE RELATIONSHIP OF CARLOS
THE GREAT WITH ROMAN CATHOLIC POPES
SUMMARY**

The Diplomatie career of Carlos the Great was distinguished by his particlar relationship with Roman Catholic Popes that was of Common interest too.

On one hand, Carlos the Great's support with the reputation of piety contributed to the significant growth of the Popes' authority and enhanced their civil power, inherited by Pepin the Short in the earlier period.

On the other hand, the Popes played a ericial role in strengthening Carlos the Great's ruling power. It was Pope Leo III who put a Crown of Emperor on Carlos the Great quite un-

expectedly and initiated the restoration of Western Roman Empire.

The Pope guided the princess of Carlos the Great's ascending the throne with the purpose of giving it much of religious character and refused to obey his evil authority. This, Carlos the Great was not happy about the ceremony itself though he accepted the title.

ზვიად შერაზადიშვილი
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**ხელისუფლების ინსიგნია გვიან ბრინჯაო-აღრე რკინის
ხანის სამხრეთ კავკასიაში**

2002 წელს, სოფელ აწყურში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ადგილობრივი მაცხოვრებლის ეზოში, მიწის სამუშაოების შედეგად ქვაყრილიანი სამარხი გამოჩნდა, რომლის დიამეტრიც 3,8 მ-ია. სამარხი ნაწილობრივ დაზიანებული და გაძარცვული იყო. დასაკრძალავ კამერაში უწყესრიგოდ მიმოფანტული 62 მიცვალებულის ჩონჩხის სხვადასხვა ფრაგმენტი აღმოჩნდა. სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მდიდარია: ბრინჯაოს ცხრა სატევრისპირი, ერთი შუბისპირი, ობსიდიანის ფუძე ამოღარული ოცამდე ისრისპირი, ოქროს წრიული ფორმის ფირფიტები, ბრინჯაოს ათობით სხვადასხვაგვარი საკინძე და სამაჯური, სხვადასხვა ტიპის სამოცზე მეტი თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ერთი ცალი ორთითა. აღნიშნული სამარხი პროფესორმა ვ. ლიჩელმა ძვ. წ. XVI-XVს-ით დაათარილა (5: 205-228. ტაბ. 7/10; 6: 218-224).

ჩვენი კვლევის ობიექტი ბრინჯაოს ორთითა განლავთ.

როგორც უახლესი არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, ბრინჯაოს ორთითა სამხრეთ კავკასიაში ძვ. წ. XVI-XV ს-ში ჩნდება და სამაოდ დიდი ხნის განმავლობაში არსებობს. აღმოჩენილი მასალების მიხედვით ბრინჯაოს ორთითები და სამთითები სამხრეთ კავკასიაში 30 ერთეულამდეა დადასტურებული, მათგან საქართველოში 15-მდე ეგზემპლიარია აღმოჩენილი: თრელი (1: ტაბ. 15/5; 7: 61. ტაბ. 89/1708), პატარძეული (7: 61. ტაბ. 89/1705, 1710-1711), წაღვლი (3; 7: 61. ტაბ. 89/1705, 1706), აწყური (5: 205-228. ტაბ. 7/10; 6: 218-224), ავრანლო (7: 61. ტაბ. 89/1704), საგარეჯო (7:

61. ტაბ. 89/1700-1701), თაქ-ქილისა (9: ტაბ. XXX), ბოლ-
ნისი (7: 61. ტაბ. 89/1702) (იხ. ტაბ. I). სომხეთში მიკვლე-
ულია 10-მდე ნიმუში: ლენინაკანი (11: 122-124. სურ. 49/1;
12: ტაბ. 6/1; 7: 61. ტაბ. 89/1712), ვანადორი (კიროვაკანი)
(11: 142-144. სურ. 59/2; 12: ტაბ. 6/2; 7: 61. ტაბ.
89/1713), ლჭაშენი (11: 104-105.ტაბ. IX; 13: 146-153), მუ-
ხანათ-თაფა (12: ტაბ. 6/5; 7: 61. ტაბ. 89/1716), ადიამანი
(11: 156-159. სურ. 64/7; 12: ტაბ. 6/8; 7: 61. ტაბ.
89/1717), ბალუკაი (10: 145-147; 12: ტაბ. 6/6; 7: 61. ტაბ.
89/1718), სომხეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (12:
ტაბ. 6/9; 7: 61. ტაბ. 89/1719), ვარდაკარი (15: 55-77.
სურ. 5), აჩადორი (10: 136-145; 12: ტაბ. 6/1; 6: 61. ტაბ.
89/1720). (იხ. ტაბ. II). ყველაზე ნაკლები რაოდენობის ორ-
თითა აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, 6 ცალი.

სამხრეთ კავკასიაში რაოდენობრივად ყველაზე მეტი ორ-
თითა და სამთითა ძვ. წ. XIII-VIII საუკუნეებში გვხვდება.
ძვ. წ. VIII ს-ის შემდეგ კი აღნიშნული ტიპის იარაღი სამ-
ხრეთ კავკასიაში არსებობას წყვეტს. ჯერ-ჯერობით უადრესი
ეგზემპლარი სოფ. აწყურში აღმოჩენილი ორთითაა, რომლის
თარიღი ძვ. წ. XVI-XV საუკუნეა (5: 205-228. ტაბ. 7/10;
6: 218-224). ორთითის მაგვარი იარაღები წინა აზიაში საკ-
მაოდ ადრეული პერიოდიდანაა ცნობილი. ე. ჰერცფელდის
აზრით, ისინი წარმოადგენენ ცერემონიალურ ნიშანს, რომლე-
ბიც სათავეს ჯემდეთ-ნასრიდან იღებენ (არქეოლოგიური
კულტურა შუამდინარეთში დაახ. ძვ. წ. IV ათასწ. დასას. ძვ.
წ. III ათასწ. I ნახ.). აღსანიშნავია, რომ სამთითების გამო-
სახულებები ძველი საბერძნეთის ტერიტორიაზე შუა მინოსუ-
რი I პერიოდის (ძვ. წ. 2100-1900 წწ.) სახლების საძირ-
კვლებზეა გამოსახული (2). საინტერესოა ისიც, რომ ერთ-
ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძველ ბერძნული
ღვთაება პოსეიდონი სამკაპით, იგივე სამთითითაა წარმოდგე-
ნილი. თითო-თითო ეგზემპლარი ცნობილია ბიბლოსიდან,

(თარიღდება ძვ. წ. 1850-1790 წწ.), ღაზადან (თარიღდება ძვ. წ. 1350-1230 წწ.) და მეგილოდან, (თარიღდება ძვ. წ. 1365-1200 წწ.) (8: 63-65, 173, ტაბ. 63, 131, 145). ორთითები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ირანშიც, ჰისარ II, მარლიკის ნეკროპოლი, ლურისტანული კომპლექსები, ჰასან-ლუ, რადა, ჰაკიმი და თეფე სიალკი ნეკროპოლი, საიდანაც ექვსი ორთითაა ცნობილი, რომლებიც ძვ. წ. X-VIII სს. თარიღდებიან (14: 77).

სამხრეთ კავკასიური ორთითები მოზრდილი ზომისანი არიან, ხშირ შემთხვევაში მათი სიგრძე 90 სმ-ს, ხოლო წვერების გაშლილობა კი 30 სმ-ს აჭარბებს. უმეტესად მათი ორნამენტი თითქმის ერთგვაროვანია, თუმცა მდიდრული და მაქსიმალურად შესაძლებელი დეკორატიული ელემენტებით შემკული. ძირითადად ამკობდნენ ტარს და შვერილებთან მისი შეერთების ადგილს. ტარის და ზოგ შემთხვევაში წვერების შეერთების ადგილს, მთელს სიგრძეზე ინტერვალებით ორ-ორ, სამ-სამ რელიეფურ და ჩაღარულ წრეს ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად გამოსახავდნენ. ორი ორთითის შემთხვევაში (ბოლნისიდან და ბალუკაიდან) მათი წვერების დასაწყისში დატანილია მცირე ზომის შვერილები, რომლებიც ორად იყოფა. კ. კუმნარიოვას მოსაზრებით, აღნიშნული შვერილები ცხოველების ზომომორფული გამოსახულებებია (10: 167-168), რაც ვფიქრობთ რომ საეჭვოა. ორთითებს და სამთითებს, ტარის ქვედა ნაწილი გაგანიერებული ჰქონდათ, რომელიც შემკული იყო რელიეფური წრეებით ან ბრტყელი არშიისმაგვარი სარტყელით. მასზე ვერტიკალური ჩაღარული ხაზები იყო დატანილი. ორთითები და სამთითები სატარე ხვრელით მაგრდებოდნენ ხის ტარზე, რომლისთვისაც მასრაზე სამანჭვლე ნახვრეტებს აკეთებდნენ. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული ტიპის იარაღები სადაა, ორნამენტაციის გარეშე.

სამხრეთ კავკასიური ბრინჯაოს ორთითები და სამთითები მოპოვებულია მდიდრული სამარხებიდან, სადაც გარდა თიხის

ჭურჭლებისა თითქმის ყოველთვის თან ახლავს რამდენიმე ტიპის საბრძოლო იარაღი. ზოგიერთ სამარხში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ბრინჯაოს სატყვერისპირი, შუბისპირი, სხვადასხვა სახეობის ცული, ასევე ლახტის თავები, ბრინჯაოს დიადემები, ბრინჯაოს სარტყელები, მცირე ზომის ქანდაკებები, სამკაულები, ლითონის ჭურჭელი, აგრეთვე ისრისპირები, ოთხთვალა ეტლები, სამფეხა მაგიდები, ოქროს ნივთები და სხვ. (11: 104-105. ტაბ. IX; 13: 146-153) ყოველივე ეს მიუთითებს ბრინჯაოს ორთითების და სამთითების მფლობელების საზოგადოებაში აშკრად მაღალ სოციალურ სტატუსზე.

ბრინჯაოს ორთითებს და სამთითებს, სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენის საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვთ. დღემდე აღმოჩენილია ამ ტიპის 30-მდე ეგზემპლარი. მათი ფუნქციის და დანიშნულების შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთ-ერთი პირველი, ვინც გათხრების შედეგად აღმოაჩინა ბრინჯაოს ორთითა და მისი ფუნქციის შესახებ გამოთქვა მოსაზრება, გახლდათ ჟაკ დე მორგანი. მისი აღმოჩენილი ორთითა ქვის ყრილის ქვეშ ადამიანის და ხარის (კამეჩის?) ძვლებთან ერთდ მდებარეობდა, რის გამოც ავტორმა ბრინჯაოს ორთითა ხარის კულტს დაუკავშირა. თუმცა, დღემდე აღმოჩენილ სამხრეთ კავკასიურ ორთითებთან და სამთითებთან ერთად, არსად არ არის დადასტურებული ხარის დამარხვის ფაქტი, ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც ორთითებს და სამთითებს ხარის კულტს მიაკუთვნებდა. ორთითებს და სამთითებს სხვა ცხოველის კულტს უკავშირებს კ. კუშნარიოვა. მისი აზრით, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სამარხეულ მასალებში ბრინჯაოს ორთითების და ლაგამების I ტიპის ხშირი თანხვედრა მიუთითებს ამ საგნის მდიდარი მეომრების კუთვნილებად და მის საბრძოლო იარაღად გამოყენებას. მოსაზრების დასადასტურებლად ავტორი იშველიებს ი. ჯაფარზადეს მიერ გამოქვეყნებულ კობისტანის კლდის გა-

მოსახლეებს, სადაც ასახულია ადმიანების გარეულ ცხოვე-
 ლებზე ნადირობის სცენა. ერთ-ერთ მონადირეს ხელში უჭი-
 რავს გრძელტარიანი სამითთა იარაღი, რომელსაც ესვრის
 ნადირს. კ. კუშნარიოვას აზრით, სამხრეთ კავკასიური ორთი-
 თების და სამითთების უმეტესობა გამოიყენებოდა როგორც
 საბრძოლო იარაღი, ხოლო მათი მფლობელები კი გახლდნენ
 მხედრები. აღნიშნულ მოსაზრებას აკრიტიკებს ტ. ხაჩატრიან-
 ნი. მისი აზრით, არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვე-
 ბულია სხვადასხვა ტიპის უამრავი საბრძოლო იარაღი (მახ-
 ვილები, სატევრისპირები, შუბისპირები, ცულები და სხვ.),
 მაშინ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ორთითების და
 სამითთების რაოდენობა სხვა საბრძოლო იარაღთან შედარე-
 ბით ძალიან უმნიშვნელოა, მათი რაოდენობა მხოლოდ სამ
 ათეულს აღწევს (15: 55-77). ჩვენი აზრით, ორთითებს და
 სამითთებს მათი აღნაგობის თავისებურებების გამო საბრძო-
 ლო იარაღებად ვერ გამოიყენებდნენ. სამხრეთ კავკასიაში აღ-
 მოჩენილი ამ ტიპის ყველა იარაღს იმდენად წვრილი და
 გრძელი წვერები გააჩნიათ, რომ ნაკლებად სავარაუდოა მათ
 დიდი დაწოლისათვის გაეძლოთ. ორთითების საბრძოლოდ გა-
 მოყენება ნამდვილად დასტურდება ეგვიპტური მასალების მი-
 ხედვით, სადაც ნათლად ჩანს, რომ იქაური ორთითები სამ-
 ხრეთ კავკასიურებთან შედარებით მცირე ზომისანი არიან,
 მათი წვერები უფრო მოკლე და უფრო სქელია. გარდა ამისა,
 ეგვიპტური ორთითების წვერები ერთმანეთს უკავშირდებიან
 სპეციალური ხარიხით, რომელიც მათ შუა ნაწილში ერთმა-
 ნეთთან აერთებს, რაც უზრუნველყოფდა ორთითებზე ფიზი-
 კური დაწოლის გაზრდას (4) (იხ. ტაბ. III). ტ. ხაჩატრიანი
 კ. კუშნარიოვას მოსაზრების კრიტიკის შემდეგ გეთავაზობს
 საკუთარ ვერსიას. იგი ფიქრობს, რომ ბრინჯაოს ორთითები
 და სამითითები დაკავშირებულია მიწათმოქმედების ტრადიცი-
 ებთან. მათი მფლობელები იყვნენ მიწათმოქმედი ტომის ბე-
 ლადები ან გავლენიანი წვერები, რომლებსაც აღნიშნული სა-

განი ნაყოფიერების კულტის აღსანიშნავად ჰქონდათ. მისი აზრით ორთითები და სამთითები გამოიყენებოდა მეურნეობაში, როგორც ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულების იარაღი (15: 55-77).

ვფიქრობთ, რომ ბრინჯაოს ორთითები და სამთითები შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო როგორც საბრძოლო, ასევე საურნეო დანიშნულების იარაღად, თუმცა სავსებით გამოვრიცხავთ მათ რიცხვში სამხრეთ კავკასიურ მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილ ცალებს. მათი ძალზე სუსტი აღნაგობა, ზოგ შემთხვევაში მდიდრული ორნამენტი და კონსტრუქციული მხარე არ გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისინი გაუძლებდნენ დიდ ფიზიკურ დაწოლას ან გამოიყენებოდნენ ყოველდღიურ პრაქტიკულ მეურნეობაში. ვფიქრობთ, რომ ბრინჯაოს ორთითები და სამთითები წარმოადგენდნენ მხოლოდ ტომის ბელადების (მეთაური) ხელისუფლების ინსიგნიას, რომელშიც შესაძლოა გაერთიანებული იყო როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლება.

დამოწმებანი:

1. აბრამიშვილი რ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1979.
2. ლორთქიფანიძე ო., ანტიკური არქეოლოგია, თბ., 1971.
3. რამიშვილი ა., ხაშურის ექსპედიციის შრომები I, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღვლში. - ძიებანი, დამატება VI.I, თბ., 2004.
4. Flinders Petrie W., M. Tools and Weafons, London, 1917.
5. Licheli V., A Middle Bronze Age burial At Atskuri. Ancient Near Eastern Studies. Supplement 19. Archaeology in Southern Caucasus: Perspectives from Georgia. Leuveen pais-dudley, ma. 2008.
6. Licheli V., A Burial with a stone embankment at Atsquri. – Georgian Journal of Georgian Archaeology, Tbilisi, 2004, pp. 218-224.

7. Picchelaury K., Waffen der Bronzezeit aus Ost-Georgien. Berlin, 1995.
8. Schaeffer C.F.A., Stratigraphie Comparee, Paris, 1959.
9. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941.
10. Кушнарёва К., Некоторые памятники эпохи поздней бронзы в Нагорном Карабахе. Советская археология, XXVII. Москва, 1957, стр. 135-177.
11. Мартиросян А. А., Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964 г.
12. Мартиросян А. А., Поселения и могильники эпохи поздней бронзы. Археологические памятники Армении 2. Памятники эпохи бронзы, Ереван, 1969.
13. Мнацакян А. О., Раскопки Курганов на Побережье оз. Севан в 1956.
14. Погребова М., Иран и Закавказье в раннем железном веке, Москва, 1984.
15. Хачатрян Т., Комплекс бронзовых предметов из селения Вардакар (Артикский район), Известия Академии Наук Армянской ССР, №3, Ереван, 1961, стр. 55-70.

Zviad Sherazadishvili

Ph.D Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**THE AUTHORITY INSIGNIAS IN SOUTH CAUCASIA
IN THE LATE BRONZE AND EARLY IRON AGES
SUMMARY**

This article is about bronze forks, which were spread in South Caucasus from the beginning of Late Bronze Age (XVI-XV ss. B.C.) till Iron Period (VII s. B.C.). There are approximately 30 bronze forks excavated in Georgia, Armenia and Azerbaijan. In most of cases these artifacts are found in rich burials, with daggers, axes, swords, spearheads, golden, silver

and bronze adornments, pottery, metal vessels and etc. E. Herzfeld thinks that, this type of tool comes from Jemdet Nasr period and is ceremonial sign. K. Kushnariova suggests that bronze forks are weapon. She depends on Gobustan rock images, where horsemen are holding long weapon with three tips and are hunting on wild animals. T. Khachatrian disagrees her opinion and thinks that, small quantity of bronze forks shows that, they weren't used as weapon. He suggested that bronze forks were sign of fertility, besides they were used as pitch-forks also.

We agree, bronze forks were used as weapon and as economical tools, but we exclude that South Caucasian specimens were used in everyday life. With such weak, long and thin construction it was impossible for forks to hold big physical depression in battles and in economical work. Only forks from Egypt could be used on military purpose. They have short and thick tips, which are connected in the middle. We suggest that South Caucasian bronze forks were symbols of tribe chief power.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I.


1. თრელი. 2,5-6. პატარძელი. 3. წალვლი. 4. აწყური.
7. ბოლნისი.
8. წარმოშობის ადგილი უცნობია. 9. ავრანლო. 10-11. საგარეჯო. 12. თაქ-ქილისა.

ტაბ. II.

1. ლენინაკანი. 2. ვანაძორი (კიროვაკანი). 3-4. ლჭაშენი.
5. მუხანათ-თაფა. 6. ადიამანი.
7. ბალუკაი. 8. სომხეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი 9. ვარდაკარი. 10. აჩაძორი.


ტაბ. III.

ეგვიპტის მასალები.



1. თრელი. 2,5-6. პატარძეული. 3. წადელი. 4. აწეური. 7. ბოლნისი. 8. წარმოშობის ადგილი უცნობია. 9. აგრანლი. 10-11. საგარეჯო. 12. თაქ-ქედისა.

ტაბ. I.



1. ღენინაკანი. 2. ვანადორი (კიროვაკანი). 3-4. ღჭაშენი.
 5. მუხანათ-თაფა. 6. ადიამანი. 7. ბაღუკაი. 8. სომხეთის
 სახ. ისტ. მუ'ხ. 9. ვარდაკარი. 10. ანადორი.

ტაბ. II.



ტაბ. III.

ვაჟა ჩოჩია
კორის სასწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი

1881 წელს „სამი იმპერატორის კავშირის“ განახლების ისტორიისათვის

1870 წელს საფრანგეთის განადგურების და გერმანიის იმპერიის აღმოცენების შემდეგ, კანცლერ ბისმარკის დიპლომატიური ძალისხმევა მიმართული იყო საფრანგეთის იზოლაციისკენ, მისი აღორძინების და შესაძლო მოკავშირეების მონახვის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ბისმარკი მონარქიული სოლიდარობის საფუძველზე სამი იმპერიის დაკავშირებას ცდილობდა. ეს მცდელობა წარმატებით დასრულდა და 1873 წ. 21 ოქტომბერს აღმოცენდა „სამი იმპერატორის კავშირი“ გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის მონარქების მონაწილეობით (4: 42). მართალია, ეს იყო არა სახელმწიფოთა კავშირი, არამედ მონარქების დინასტიური შეთანხმება, რომელიც ბისმარკის ძალისხმევით დაიდო და ის მომდევნო წლების მანძილზე გერმანიის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საფუძვლად გადაიქცა.

1878 წლის ბერლინის კონგრესის შემდეგ, რომელზეც კონგრესის თავჯდომარე ბისმარკი „პატიოსანი მაკლერის“ როლს ასრულებდა, გერმანიის ურთიერთობები რუსეთთან დაიძაბა, რომელიც ადანაშაულებდა ბისმარკს, რომ რუსეთმა დაკარგა თურქეთთან მოპოვებული დიდი გამარჯვების შედეგები. ურთიერთობას ართულებდა ორთა კავშირის გაფორმებაც 1879 წელს ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიას შორის, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული (3: 157). მაგრამ

დიდი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი ბისმარკი სულაც არ ფიქრობდა, მტრული ურთიერთობების შენარჩუნებას რუსეთთან და ავსტრია-უნგრეთის იმედად დარჩენას (14: 594). როგორც თავის მოგონებებში წერდა ბისმარკი, - „არაგონივრული და უპატიოსნო იქნებოდა, პირად გაღიზიანების გამო ის ხიდი დაგვენგრია, რომელიც რუსეთთან დაახლოებაში გვიწყობს ხელს“ (2: 228). თუმცა, ბისმარკი იქვე აღნიშნავდა, რომ „ჩვენ შეგვიძლია და პატიოსნად უნდა დავიცვათ კავშირი ავსტრია-უნგრეთის მონარქიასთან; ეს პასუხობს ჩვენს ინტერესებს, გერმანიის ისტორიულ ტრადიციებს და ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ აზრს“ (2: 228).

გერმანიასთან დაახლოებაზე ფიქრობდა რუსეთიც, რაც ხელს შეუწყობდა ცარიზმის საშინაო მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომელიც რევოლუციური ძალების მძლავრ ზეწოლას განიცდიდა. ეს დაახლოება ხელს შეუწყობდა აგრეთვე რუსეთის დასავლეთის საზღვრების უსაფრთხოებას და ზურგის გამაგრებას ახლო აღმოსავლეთში და შუა აზიაში ინგლისთან ბრძოლის შემთხვევაში; ხელს შეუწყობდა არმიაში წამოწყებული გარდაქმნების დამთავრებას. ბუნებრივია, რუსეთის ასეთი პოლიტიკა ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ ბერლინის კონგრესის შემდეგ რუსეთი არასახარბიელო საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა (10: 588).

მძიმე საგარეო-პოლიტიკური კრიზისი სულის მოთქმის აუცილებლობას მოითხოვდა და რუსეთის მთავრობა გერმანიასთან დაახლოების გზას მონარქიული სოლიდარობის პოლიტიკის განახლებაში ხედავდა (10: 589). ასეთი მოსაზრებები განსაზღვრავდნენ რუსეთის საგარეო პოლიტიკას ბერლინის კონგრესის შემდეგ - ალექსანდრე II-ის მეფობის ბოლოს და ალექსანდრე III-ის მეფობის დასაწყისში.

თვითონ ბისმარკსაც მიაჩნდა, რომ თუ განაახლებდნენ „სამი იმპერატორის კავშირს“, ეს იქნებოდა დაზღვევის ერთ-

ერთი კარგი საშუალება კონტინენტზე სხვადასხვა გარიგებათა საქმეებში (9: 142). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმპერატორი ვილჰელმ I-იც „სამი იმპერატორის კავშირის“ განახლების მომხრე იყო (16: 80).

ალექსანდრე II და მისი გარემოცვა კარგად ხედავდა, რომ ბისმარკიც ცდილობდა რუსეთთან დაახლოებას, ამიტომ რუსეთის ელჩს ბერლინში საბუროვს დაავალეს ხელი შეეწყო დაახლოების პროცესისთვის. ბისმარკი კარგად შეხვდა საბუროვს, მაგრამ მოლაპარაკების დაწყებისას პირობა წაუყენა, რომ შესაძლო შეთანხმება ყოფილიყო სამხრეთი, ე.ი. გერმანიისა და რუსეთის გარდა მასში მონაწილეობა უნდა მიეღო ავსტრია-უნგრეთსაც. რუსეთის მხარე ამას არ ელოდა და მოლაპარაკებანი საბუროვსა და ბისმარკს შორის, რომელსაც შემდგომ შეუერთდა ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბარონი ჰაიმერლე, საკმაოდ გაჭიანურდა და წელიწადნახევარს გაგრძელდა. ამის მიზეზს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ რუსეთს არ სურდა ვენის ჩართვა მოლაპარაკებაში. ნიშანდობლივია, რომ ვენაც გაურბოდა რუსეთთან შეთანხმებას და „სამი იმპერატორის კავშირის“ აღდგენას.

ვენაში იმედი ჰქონდათ, რომ გაგრძელდებოდა მჭიდრო თანამშრომლობა ინგლისთან რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ იმედები გაუქრათ, რადგან 1880 წ. აპრილში ბიკონსფილდის კონსერვატორული კაბინეტი შეცვალა ლიბერალების მთავრობამ გლადსტონის მეთაურობით. 1880 წ. აგვისტოს ბოლოს შედგა ბისმარკის შეხვედრა ჰაიმერლესთან და განუცხადა მას, რომ აუცილებელი იყო შეთანხმება ვენასა და პეტერბურგს შორის აღმოსავლეთის საკითხებში, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია მუდმივად იქნებოდა რთულ მდგომარეობაში ორ მოკავშირეს შორის. ვენაში მიხვდნენ, რომ ინგლისის ახალმა მთავრობამ შეცვალა თავისი ტაქტიკა რუსეთის მი-

მართ, ეს კი ნიშნავდა, რომ ვენას აღარ უნდა ჰქონოდა ლონდონის მხარდაჭერის იმედი რუსეთის წინააღმდეგ. ობიექტურად ვენის ინტერესები მოითხოვდა რუსეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას, რადგან რუსეთის გავლენა ბალკანეთზე უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ავსტრია-უნგრეთისა. რაიმე მოულოდნელობას რომ არ ჰქონოდა ადგილი, ბისმარკი შეეცადა ზეწოლა მოეხდინა ჰაიმერლეზე, რომ მას არ მოეთხოვა ძალიან ბევრი რუსეთთან შეთანხმებისას. ამან ნაწილობრივ გამოიღო შედეგი. ბისმარკმა შექმნილი სიტუაცია გამოიყენა, რათა დაერწმუნებუნა პეტერბურგი, განეახლებინათ სამი იმპერატორის კავშირი (15: 87). ვენა რომ დაემშვიდებინა ბისმარკმა განუცხადა ჰაიმერლეს, რომ უკეთესი იყო რუსეთთან ხელშეკრულება ჰქონოდათ, ვიდრე უარი ეთქვათ მასზე (12: №251).

გავლენის სფეროების გაყოფა იყო ბისმარკის ბალკანური პოლიტიკის პრინციპი, ამიტომ სურდა გაეგო რუსეთის აზრი ამის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. ორი მეტოქე – ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი ცდილობდა, მიეღო გერმანიის მხარდაჭერა. 1879 წელს ორთა კავშირის გაფორმებით ვენას შეეძლო ეფიქრა, რომ გერმანია საბოლოოდ დადგა ავსტრია-უნგრეთის მხარეზე. მართალია, კავშირი იყო თავდაცვითი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა იმაში, რომ მხარდაჭერა, რომელიც მიიღო ვენამ მის მისწრაფებებში აღმოსავლეთის მიმართ, კვლავაც გაგრძელებულიყო. მაგრამ, ვენა შეაშფოთა გარკვეულმა სიმპტომებმა რუსეთ-გერმანიის დაახლოებაში.

დაინახეს რა ბისმარკის მზადყოფნა დაედო რუსეთთან შეთანხმება, პეტერბურგში ჩათვალეს, რომ გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ და სიტუაცია მიიჩნიეს გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის კავშირის დასუსტების ნიშნად. თუმცა, ბისმარკი სიურპრიზს უმზადებდა ორივე მხარეს. იგი

მხარდაჭერის გარანტიას აძლევდა ვენას, მაგრამ სულაც არ აპირებდა მხარდაჭერა აღმოეჩინა ვენის ნებისმიერი ნაბიჯისთვის აღმოსავლეთში. ამის მიუხედავად, ბისმარკი მაინც უპირატესობას ანიჭებდა ვენასთან კავშირს, ვიდრე რუსეთთან მეგობრობას.

1880 წ. იანვარში ჰაიმერლე გაეცნო სამი იმპერატორის კავშირის შეთანხმების წინასწარ ტექსტს და რიგი შენიშვნები გააკეთა, ისინი ეხებოდა საკითხს, რათა შეეზღუდათ სახელმწიფოების რიცხვი, რომელთა მიმართაც ავსტრია ვალდებული იქნებოდა შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი, ომის შემთხვევაში რუსეთსა და მათ შორის. ამასთანავე, ჰაიმერლე ბისმარკს პირდაპირ უსვამდა კითხვას, ხომ არ მოხდებოდა რაიმე ცვლილება სამოკავშირეო ურთიერთობებში, რომელიც ჩამოყალიბდა 1879 წელს. ბისმარკმა ამაზე უპასუხა, რომ 1879 წლის შეთანხმება ძალაში რჩებოდა ნებისმიერ სიტუაციაში. ეს მთლად ზუსტი პასუხი არ იყო, რადგან რუსეთთან კავშირი აძლიერებდა ბერლინის პოზიციას ავსტრიასთან მიმართებაში.

ხანგრძლივი მოლაპარაკებანი სამ მხარეს შორის იმით დასრულდა, რომ 1881 წ. 18 ივნისს ბერლინში, ბისმარკმა, საბუროვმა და ვენის ელჩმა სეგენიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას გერმანიას, რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის, რომლითაც აღადგინეს სამი იმპერატორის კავშირი (11: 589).

1873 წლის შეთანხმების მსგავსად, ისტორიაში ეს შეთანხმება შევიდა „სამი იმპერატორის კავშირის“ სახელწოდებით. სინამდვილეში, იგი არ წარმოადგენდა სამხედრო კავშირს და იყო შეთანხმება ნეიტრალიტეტის შესახებ. ხელშეკრულების პირველ მუხლში ნათქვამი იყო, რომ მისი მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებდნენ დაეცვათ კეთილსასურველი ნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდებოდა ომის მდგომარეობაში მეორე დიდ სახელმწი-

ფოსთან. ნეიტრალიტეტის გარანტია ვრცელდებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ თურქეთთან ომს დაიწყებდა ერთ-ერთი სახელმწიფო ამ სამიდან (10: 589). ამ შემთხვევაში, ერთი პირობაც იყო წამოყენებული, კერძოდ, შეთანხმების სამივე მონაწილე წინასწარ უნდა შეთანხმებულიყო ომის შედეგებზე. იმ დროის საერთაშორისო ვითარების მიხედვით ეს ხელშეკრულება მოასწავებდა, რომ ავსტრია-უნგრეთი და გერმანია ვალდებულებას იღებდნენ, დაეცვათ ნეიტრალიტეტი რუსეთ-თურქეთის ახალი ომის შემთხვევაში, იმ პირობით, რომ მათი ინტერესები წინასწარ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

მეორე მუხლის თანახმად, რუსეთი და გერმანია აცხადებდნენ „თავისი მტკიცე გადაწყვეტილების შესახებ პატივი ეცათ ავსტრია-უნგრეთის ინტერესებისთვის, გამომდინარე მისი ახალი მდგომარეობიდან, რომელიც უზრუნველყო ბერლინის ტრაქტატმა“¹. შემდეგ ნათქვამი იყო, რომ შეთანხმების მონაწილე სამივე მხარე „იძლევა დაპირებას, რომ ცვლილებანი ევროპული თურქეთის ტერიტორიულ სტატუსს კვლავში შეიძლება მოხდეს მხოლოდ მათი ურთიერთშეთანხმებით“. ასეთ ვალდებულებას რომ იღებდნენ, ამით თავს იზღვევდნენ მოულოდნელობისა და ვერაგობისგან ერთმანეთის მიმართ (5: 159).

მესამე მუხლის თანახმად, სამივე მხარე ცნობდა სამხედრო გემებისთვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დახურვის ევროპულ და ურთიერთსავალდებულო ხასიათის პრინციპს, დაფუძნებულს საერთაშორისო სამართალზე. ეს მუხლი ნიშნავდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის თანხმობას სრუტეების რეჟიმის რუსულ გაგებაზე. ამით ისინი უარყოფდნენ სრუტეების დახურვის პრინციპის ინგლისურ ინ-

¹ აქ იგულისხმებოდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ოკუპაცია ავსტრია-უნგრეთის მიერ.

ტერპრეტაციას, რომელიც ჩამოაყალიბა ბერლინის კონგრესზე მარკიზმა სოლსბერიმ. ამით, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი უარყოფდნენ ინგლისის უფლებას – შეეყვანა თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი სრუტეებსა და შავ ზღვაში თურქეთთან შეთანხმებით (5: 159-160).

შეთანხმობებმა ინგლისთან ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში უბიძგეს, რუსეთს ხელი მოეწერა შეთანხმებისთვის, რომლითაც იხურებოდა შავი ზღვის სრუტეები სამხედრო გემებისთვის. მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღდგენილი თავისი შავი ზღვის ფლოტი (7: 129-135; 3: 158).

აღდგენილი „სამი იმპერატორის კავშირი“ მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და მხოლოდ 1918 წელს გახდა ცნობილი (8: 60). შეთანხმებას დაემატა აგრეთვე ოქმი, რომელიც აკონკრეტებდა შეთანხმების მეორე მუხლს. ოქმის თანახმად, ავსტრია-უნგრეთი ინარჩუნებდა მის მიერ ოკუპირებული თურქეთის პროვინციების – ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიის „უფლებას“ იმ მომენტში, როცა ის ამას შესაფერისად მიიჩნევდა (6: 238).

შეთანხმების მონაწილე სამივე სახელმწიფომ ივალდებულა „საჭიროების შემთხვევაში“ უარი ეთქვათ თურქეთისთვის, დაეკავებინა თავისი ჯარებით აღმოსავლეთ რუმელია და ბალკანეთის ქედი. ეს პასუხობდა რუსეთის ინტერესებს, რომ არ დაეშვათ თურქეთის ჯარები ბულგარეთში. სამივე სახელმწიფომ თანხმობას აცხადებდა, არ გაეწიათ წინააღმდეგობა ბულგარეთისთვის აღმოსავლეთ რუმელია შეეერთებინა იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი წამოიჭრებოდა გარკვეულ ვითარებაში. მეორე მხრივ, შეთანხმების მონაწილენი ვალდებულებას იღებდნენ, აღეკვეთათ ბულგარეთის ნებისმიერი აგრე-

სიული მოქმედება მეზობელი პროვინციების, კერძოდ, მაკედონის მიმართ (5: 160-161).

„სამი იმპერატორის კავშირის“ აღდგენა შეესაბამებოდა ბისმარკის განზრახვას – უზრუნველყო ბერლინისთვის მთავარი არბიტრის როლი ვენასა და პეტერბურგს შორის. იმავე დროს, ის იძლეოდა რუსეთის ნეიტრალიტეტის გარანტიას საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში და ხელს უშლიდა საფრანგეთ-რუსეთის კავშირის შესაძლებლობას. რუსეთმა მიაღწია გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტს ინგლისსა და თურქეთთან მისი ომის შემთხვევაში. ეს შეთანხმება მიზნად ისახავდა მონარქიული პრინციპის განმტკიცებას, მათი სახელმწიფოების საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობის ხელშეუხებლობას და ხელის შეწყობას ევროპული მშვიდობისათვის.

გაზეთი „დროება“ ეხმაურებოდა მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას და თავის ფურცლებზე წერდა: „თუ გერმანიას ჰგონია, რომ მისი თავგამოდება, რომელშიც იხატება მხოლოდ ერთი მუქარა საფრანგეთის პოლიტიკისადმი, თუ ჰგონია, რომ ამგვარი მისი ქცევა საფრანგეთზე დიდ ზედ-მოქმედებას იქონიებს, შემცდარია. ამით მხოლოდ ის გამოდის, რომ საფრანგეთი უფრო მკვეთრად ეკიდება თავის შინაგან საქმეების გაუმჯობესებას. ეხლა საფრანგეთს არაფრის არ ეშინია, ეხლა რომ სამხედრო ძალა ჰყავს, არასოდეს იმდენი არ ჰყოლია. სამხედრო საქმის მცოდნე კაცების აზრით, ექვსი თვის განმავლობაში საფრანგეთს შეუძლია მოემზადოს საომრად.

მაგრამ საფრანგეთს მშვიდობიანობა უნდა და ძნელად გარდაახვევინებენ მას ამ გზიდან. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მის საკუთარ ღირსებას შეეხებიან, ის ეცდება, რომ შეიკავოს თავი და მშვიდობიანობა არ დაარღვიოს“ (1: №32).

„სამი იმპერატორის კავშირის“ განახლება წარმოადგენდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის უდავო წარმატებას (13: 351). გამოიყენა რა რუსეთის მდგომარეობა ბისმარკმა, შეძლო, მართალია დროებით, მისი ჩამოცილება საფრანგეთისგან, რაც კიდევ უფრო ანმტკიცებდა გერმანიის ისედაც ძლიერ მდგომარეობას ევროპის კონტინენტზე.

დამოწმებანი:

1. „ღროება“, 1881.
2. Бисмарк О., Мысли и воспоминания, т. II. М., 1941.
3. Бриггс Э., Клэвин П. Европа нового и новейшего времени. Пер. с англ., М., 2006.
4. Зайончковский А.М., Подготовка России к мировой войне в международном отношении. Л., 1926.
5. История дипломатии, т. II. М., 1963.
6. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. I. М., 1925.
7. Русско-германские отношения 1873-1914 гг. Документы из секретного архива б. Министерства Иностранных дел. М., 1922.
8. Фей С., Происхождение мировой войны, т. I. Пер. с англ., М., 1934.
9. Dawson W., The German Empire 1867-1914, vol. 2. Hamden, Connecticut, 1966.
10. Deutsche Geschichte, Bd. 2. Berlin, 1967.
11. Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches. 1871-1914. Bd. 1-4. Berlin, 1928. - Bd. II.
12. Die Grosse Politik der Europäischen Kabinette. Sammlung der Diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Bd. 1-40. Berlin, 1922-1927. – Bd. III.
13. Engelberg E., Bismarck. Das Reich in der Mitte Europas. Berlin, 1990.

14. Gall L., Bismarck. Der Weise Revolutionär. Frankfurt a/M., 1980.
15. Kennedy P., The realities behind diplomacy: background influences on british External Policy. 1865-1980. London, 1981.
16. Mommsen W., Bismarck. Ein politisches Lebensbild. München, 1959.

Vazha Chochia

Gori Teaching University, Full Professor

**FOR THE RENEWING OF “THE UNION OF THREE
EMPERORS” HISTORY IN 1881
RESUME**

In the work the importance of “the union of three emperors” is discussed through the international relationship view. After the Berlin Congress in 1878 many things changed in the relationships of the states, although Germany still continuous fighting for hegemony on the Europe continent. For it was necessary the further isolation of French and control its allies. For reaching these goals Chancellor Bismarck saw the important mechanism in the renewing of “the union of three emperors”, which would be relied on principle of the monarchic solidarity.

In the work there is shown the reasons and aims, which encouraged Austria-Hungary and Russian to agree the initiative of Bismarck about the renewing of “the union of three emperors”. They hoped to reach their goals with the support of Germany. Russian foreign-political situation became difficult after the Berlin Congress. The rivalry with England in near East and Central Asia was added it and they saw the means to solve these problems by renewing of the union. In Vienna

hoped that union Germany would consider their interest in the relationship with Balkan and Russian, as it had been in Berlin Congress. On June 18, 1881 with Berlin signed agreement they restored “the union of three emperors” signed in 1873, the agreement about neutrality and in case of difficulty of international relationships the interests of three countries would be guaranteed protected.

ვაჟა ჩოჩია
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი

**ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობათა გამწვავება სამხრეთ
აფრიკაში
(XIX ს. 80-90-იანი წლების პირველი ნახევარი)**

XIX ს. 70-80-იან წლებში ინგლისმა დაიპყრო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კუნძულები წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში, იმპერიას შეუერთა ბირმა და გვინეის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ინგლისი ცდილობდა ჩინეთსა და ავღანეთში შეჭრას, მაგრამ განსაკუთრებით აქტიურად ლონდონი აფრიკის კონტინენტზე მოქმედებდა. კოლონიური ექსპანსიის საკითხებში, როგორც კონსერვატორები ისე ლიბერალები ერთნაირ პოლიტიკას ატარებდნენ. ამას ადასტურებდა საგარეო საქმეთა მინისტრი დიზრაელის მთავრობაში, ლორდი დერბი, რომელიც 1885 წელს პრემიერ-მინისტრ უ. გლადსტონს სწერდა: „ანექსიებისაკენ სწრაფვა დემოკრატიის გაბატონებული იდეაა. მე ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება ცვალებადი განწყობა“ (ციტ. 10: 37).

გაერთიანების შემდეგ გერმანია უცბად გადაიქცა ევროპის ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოდ (იხ. 1: 47-71). გერმანული პრესა აქტიურ პროპაგანდას უწევდა კოლონიურ-ექსპანსიონისტურ პოლიტიკას (9: 101). პრესის მიხედვით, კოლონიური ექსპანსია საზოგადოების სოციალური სიძნელეებისაგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება იყო (9: 105-106). წინ იყო ბრძოლა უკვე გაყოფილი მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის (6: 282).

XIX ს. მეორე ნახევარში სამხრეთ აფრიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოე-

ბის კოლონიურ გეგმებში. პირველ რიგში, ეს ეხებოდა ინგლისსა და გერმანიას. სამხრეთ აფრიკას ინგლისი განიხილავდა როგორც პოლიტიკურ და სტრატეგიულ პოზიციას ინდოეთის, შორეული აღმოსავლეთის და ავსტრალიისკენ მიმავალ გზაზე. გარდა ამისა, ამ რეგიონს განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ინგლისის კოლონიური სამფლობელოების ერთიანი სისტემის გეგმებში ქაიროდან კაპშტატამდე. აქედან გამომდინარე, ინგლისი მტრულად ეკიდებოდა აფრიკის სამხრეთში ორი დამოუკიდებელი ბურების რესპუბლიკის - ტრანსვაალის და ორანჟის სახელმწიფოს არსებობას.

XIX ს. 80-იან წლებში, გერმანია შეუდგა კოლონიური იმპერიის შექმნას. 1883-1885 წლებში გერმანიამ ხელში ჩაიგდო პირველი კოლონიები აფრიკასა და ოკეანიაში, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 2 მლნ. 907 ათ. კვ. კმ-ს, მოსახლეობა კი - 14,4 მლნ-ს (5: 188). 1884 წელს გერმანიამ ხელში ჩაიგდო სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორია. ბერლინი ცდილობდა კონტაქტების დამყარებას პორტუგალიასთან სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე და ბურების მიმართ კეთილგანწყობას გამოხატავდა. 1884 წელს ტრანსვაალის პრეზიდენტი პ. კრიუგერი ეწვია ბერლინს, სადაც ოფიციალური მიღების დროს გამოთქვა აზრი თავისი ქვეყნის გერმანიასთან მტკიცე ურთიერთობის შესახებ. ყველაფერი ეს ლონდონის სერიოზულ შემოფოთებას იწვევდა, რადგან არ სურდა სამხრეთ აფრიკაში თავისი ბატონობის გაყოფა ვინმესთან. ამ ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი ინგლისსა და გერმანიას შორის გამწვავდა კიდევ ერთი გარემოების გამო. XIX ს. 70-80-იან წლებში სამხრეთ აფრიკაში გაიხსნა ალმასისა და ოქროს დიდი საბადოები, რამაც გამოიწვია ინგლისელი და გერმანელი მსხვილი მრეწველების, აგრეთვე ფინანსური წრეების დიდი ინტერესი. XIX ს. 80-იანი და 90-იანი წლების პირველ ნახევარში მათ შო-

რის გაიშალა მწვავე ბრძოლა, ტრანსვაალში გავლენის სფეროებისა და კაპიტალის დაბანდებისათვის.

1886 წელს ტრანსვაალში აღმოაჩინეს ოქროს მდიდარი საბადოები. იმ 300 ათასი კგ. ოქროდან, რომელსაც ყოველთვიურად მოიპოვებდნენ მთელ მსოფლიოში, 80 ათასი კგ. მოდიოდა ინგლისის კოლონიებზე და თითქმის ამდენივე ტრანსვაალზე. მაშასადამე, ინგლისს თავისი დაპყრობითი გეგმები სისრულეში რომ მოეყვანა ამ სახელმწიფოს მიმართ, მაშინ მას ექნებოდა ოქროს მსოფლიო მოპოვების ნახევარი (15: 96). სპეციალისტები ტრანსვაალის საბადოს საერთო ღირებულებას განსაზღვრავდნენ 12-14 მილიარდი ფრანკის ოდენობით (7: 242). ბურების არმიის მთავარსარდალ ჟუბერს კარგად ესმოდა რას ნიშნავდა ეს მილიარდები ინგლისისათვის, ამიტომ ამბობდა: „ ეს ოქრო იმის მიზეზი გახდება, რომ ჩვენი ქვეყანა სისხლით გაიჟღინთება“ (13: 135).

ინგლისის კოლონიური წრეები და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ლონდონში, ენერგიულად შეუდგნენ მზადებას ტრანსვაალის დაპყრობისათვის. მთავარი როლი ამ გეგმების შესრულებაში ეკუთვნოდა სესილ როდსს. მრავალი წლის მანძილზე ის იყო მძლავრი სინდიკატის „დე-ბერს“-ის ერთ-ერთი დირექტორი. ეს სინდიკატი აკონტროლებდა ალმასების მსოფლიო მოპოვების 90%-ს. 1888-1889 წლებში როდსმა დააფუძნა ბრიტანეთის სამხრეთ აფრიკული კომპანია, რომლის კონტროლსაც დაექვემდებარა უზარმაზარი ტერიტორია. მას მოგვიანებით როდესია ეწოდა (2). ამ კომპანიის ძირითადი კაპიტალი 3,5 მლნ. ფუნტ სტერლინგს შეადგენდა. მისი საქმიანობის შედეგად, პირველი ათი წლის განმავლობაში გაიყვანეს 300 მილზე მეტი სიგრძის რკინიგზის ხაზი, დაარსდა შვიდი ქალაქი, აშენდა სატელეგრაფო ხაზების ფართო ქსელი, ხელს უწყობდნენ ოქროს ახალი საბადოების გახსნას და ბოლოს, გაიყიდა 1070 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 6,4 მლნ. აკრი (8: 12-13).

XIX ს. 90-იანი წლების შუა ხანებში ინგლისის დაპყრობით პოლიტიკას სამხრეთ აფრიკაში დაუპირისპირდა ახალგაზრდა და ძლიერი გერმანიის იმპერია, რომელიც გვიან გამოვიდა კოლონიურ ასპარეზზე და ახლა ცდილობდა დანაკარგის ანაზღაურებას (3: 171). გერმანია ჯერ კიდევ 1876 წელს შეეცადა ტრანსვაალში შეჭრას. მმართველი ზედაფენა კარგად ხედავდა, რომ კოლონიების შექმნა ამ რეგიონში მას მილიარდობით მარკას დაუზოგავდა კოლონიურ ნელლეულზე (12: 57).

გერმანიის გეგმებში შედიოდა რკინიგზის ხაზის გაყვანა დელაგოადან პრეტორიამდე. ეს ხაზი ბურებს ოკეანის სანაპიროზე გაიყვანდა. ამ საკითხზე 1884 წელს ბერლინში შედგა მოლაპარაკებანი კრიუგერს, ვილჰელმ I და ბისმარკს შორის. 1884 წლის შემოდგომაზე გერმანიამ დელაგოაში ორი სამხედრო ზომალდი გააგზავნა, შეძლო ფართო ტერიტორიების შექმნა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში და ცდილობდა მიახლოებოდა ტრანსვაალს. იმავე დროს, ინგლისმა ხელში ჩაიგდო ბეჩუანალენდი და ამით ტრანსვაალსა და გერმანიის სამფლობელოებს შორის ჩადგა.

სამხრეთ აფრიკაში გერმანიის ფინანსური კაპიტალის ინტერესები მხოლოდ ვაჭრობით არ იყო განპირობებული. ტრანსვაალით დაინტერესდა „გერმანული ბანკი“ სიმენსის მეთაურობით. 1893 წელს სიმენსმა იოჰანესბურგში შექმნა დიდი სააქციო საზოგადოება. გერმანული საინვესტიციო კაპიტალი ტრანსვაალში, იმ დროს, 500 მლნ. მარკას შეადგენდა (11: №2613). ტრანსვაალის სიმდიდრე მრავალ გერმანულ კოლონისტს იზიდავდა. მარტო იოჰანესბურგში 15 ათასამდე გერმანელი დასახლდა. (11: №2613). თუმცა, ისინი ინგლისელებზე ნაკლები იყვნენ, რომლებიც დაახლოებით 62 ათას ადამიანს შეადგენდნენ (4: 129). გერმანელი კოლონისტები აქტიურობით გამოირჩეოდნენ და საკუთარ თავს მიიჩნევდნენ ბირთვად, საიდანაც უნდა აღმოცენებულიყო „ახალი დიდი

გერმანია სამხრეთ აფრიკაში“ (14: 7). ეს იდეა მჭიდროდ უკავშირდებოდა მეორე იდეას - 1891 წელს შექმნილი პან-გერმანული კავშირის იდეოლოგიები ამტკიცებდნენ, თითქოს გერმანელებსა და ბურებს შორის არსებობდა მჭიდრო სისხლისმიერი „ტომობრივი კავშირი“. აქედან გამომდინარე, პან-გერმანელები აკეთებდნენ დასკვნას, რომ მომავალში ბურები გერმანელების მიერ უნდა ყოფილიყვნენ ასიმილირებული. სინამდვილეში, ეს ნიშნავდა ტრანსვაალისადმი გერმანიის პროექტორატის დამყარების სურვილს, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო იმ საფრთხის აღმოფხვრა, რომელიც ინგლისისაგან მომდინარეობდა.

ბურების საკითხის ამგვარად გადაწყვეტას მხარს უჭერდნენ გერმანიის სამრეწველო და ფინანსური კაპიტალის გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ესწრაფოდნენ სამხრეთ აფრიკაში კოლონიური ექსპანსიის გაფართოებას. მათ მხარს აძლევდა იმპერიის მმართველი ზედაფენა. სტატუს - მდივნის მარშალ ფონ ბიბერშტეინის გამოთქმით, ისინი ერთად გამოხატავდნენ იმ „საზოგადოებრივ აზრს“, რომელიც „მოუწოდებდა მთავრობას მტკიცე პოზიცია დაეკავებინა ბურების რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხში“ (11: №2589).

ინგლისისაგან განსხვავებით, გერმანიას არ შეეძლო ემოქმედა პირდაპირი დაპყრობის მეთოდით. ამის მიზეზი იყო ის, რომ გერმანიას არ გააჩნდა პლაცდარმი, მომზადებული კადრები, სამხედრო და სხვა წანამძღვრები, რომლებიც აუცილებელი იყო სამხრეთ აფრიკაში ანექსიის პოლიტიკის განხორციელებისათვის. ამ თვალსაზრით, გერმანიასთან შედარებით ინგლისს მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდა. ასე მაგალითად, ლონდონის მიერ ბურებისათვის თავსმოხვეული 1884 წლის კონვენციის თანახმად, მას ეძლეოდა უფლება განეხორციელებინა კონტროლი ტრანსვაალის საგარეო პოლიტიკაზე. ინგლისს გარშემორტყმული ჰყავდა ტრანსვაალი თავისი სამფლობელოებით და ცდილობდა ის გარე სამყაროსა-

გან მოეწყვიტა. მაგრამ, ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან პრეტორია დაკავშირებული იყო პირდაპირი სარკინიგზო ხაზით პორტუგალიის ნავსადგურ ლორენსუ-მარკიშთან დელაგოას ყურეში, რომელიც ძირითადად გერმანული კაპიტალის მიერ იყო გაყვანილი.

ინგლისის ელჩს, მელეტს, გერმანიის საგარეო უწყების სტატუს-მდივანმა - მარშალმა განუცხადა, რომ გერმანია დელაგოაში არავითარ მიზნებს არ ისახავდა სტატუს კვოს გარდა, რომ ბერლინი მკვეთრად უარყოფდა როდსის ცდებს დაერღვია „პორტის და რკინიგზის ხაზის კომერციული დამოუკიდებლობა“ (11: №2577).

ლონდონი რომ დაერწმუნებინათ გერმანიის მტკიცე პოზიციაში - დაეცვა თავისი ინტერესები, 1895 წ. იანვარში ბერლინმა დემონსტრაციულად გააგზავნა დელაგოაში ორი სამხედრო გემი. ამის თაობაზე გარკვევით გამოთქვა თავისი აზრი, პრეტორიაში გერმანიის კონსულმა 1895 წ. 27 იანვარს, იმპერატორ ვილჰელმ II-ის დაბადების დღესთან დაკავშირებულ ზეიმზე. მან განაცხადა, რომ გერმანია ტრანსვაალის საუკეთესო მეგობარი იყო და ამიტომ არ დაუშვებდა პოლიტიკური წონასწორობის დარღვევას სამხრეთ აფრიკაში. „ მე ვიცი, რომ მომავალში შეიძლება გერმანელების იმედი მქონდეს, - უპასუხა ტრანსვაალის პრეზიდენტმა კრიუგერმა, - ჩვენი პატარა რესპუბლიკა მხოლოდ იკრებს ძალებს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ როდესაც ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს სურს ფეხი დაგვაბიჯოს, მეორე ცდილობს ამას ხელი შეუშალოს“ (4: 132).

ამრიგად, ინგლისსა და გერმანიას შორის წინააღმდეგობების მკვეთრი გამწვავება სამხრეთ აფრიკაში XIX ს. 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის, გამოწვეული იყო თითოეული მხარის მიერ მისწრაფებით - უპირატესობა მიეღო ტრანსვაალში. ორივე სახელმწიფოს კოლონიურ ექსპანსიაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა მსხვილი კაპიტალი. მაგრამ ამ

პერიოდში მხოლოდ დაიწყო საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ფინანსური ოლიგარქია და საკითხი ეხებოდა მხოლოდ კაპიტალის ექსპორტის დაწყებით ეტაპს სამხრეთ აფრიკაში. ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული „შავი კონტინენტის“ ტერიტორიული გაყოფა კოლონიურ სახელმწიფოებს შორის. ეს პროცესი წინ იყო. თუმცა, არსებული ვითარება არ ასუსტებდა ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობებს აფრიკის კონტინენტის ამ ნაწილში. XIX ს. 90-იანი წლების შუა პერიოდი წარმოადგენდა ამ დაპირისპირების ზრდის პერიოდს, რომელსაც მოგვიანებით უნდა გამოეწვია სერიოზული პოლიტიკური შედეგები.

დამოწმებანი:

1. ჩოჩია ვ., ბისმარკი და გერმანიის საგარეო პოლიტიკა (1871-1882). თბ., 1996.
2. როლსის შესახებ იხ.: Давидсон А.Б. Создание южноафриканской компании. – Империализм и борьба рабочего класса. М., 1960, с. 143-161.
3. Бриггс Э., Клэвин П., Европа нового и новейшего времени с 1789 года и до наших дней. Пер. с англ., М., 2006;
4. Дармштеттер П., История раздела Африки (1870-1919 гг.). М., 1925.
5. Всемирная история, т. VII. М., 1960.
6. История дипломатии, т. II. М., 1963.
7. Рабинович М.Б., Англо-германский конфликт в южной Африке в 1896 г. – Страны и народы востока. М., 1969, вып. 9.
8. Сборник консульских донесений. СПб., 1899, вып. 1.
9. Чарный И.С., Начало колониальной экспансии Германии в Африке (1879-1885). М., 1970.
10. Chamberlain M., New Imperialism. N.Y., 1970.

11. Die Grosse Politik der europäischen Kabinette. 1871-1914. Sammlung der Diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Bd. 11. Berlin, 1923.
12. Hagen M., Bismarcks Kolonialpolitik. Stuttgart, 1923.
13. Krüger P., Lebenserinnerungen. München, 1902.
14. Wud J.A., Die Rolle der Buren republiken in der auswärtigen und kolonialen Politik des Deutschen Reiches in der Jahren 1883 - 1900. Nürnberg, 1927.
15. Zikursch J., Politische Geschichte des neuen Deutschen Kaiserreiches. Bd. 3. Frankfurt a/M., 1930.

Vazha Chochia

Gori Teaching University, Full Professor

**ENGLAND-GERMAN INTENSIFICATION OF ANTAGONISM IN SOUTH AFRICA
(FIRST PART OF THE YEARS OF 80-90 OF
XIX CENTURY)
RESUME**

There is discussed colonial oppose between England and German in South Africa, caused by economical and political interests collide of European states arose for Africa dispart. The fundamental motive of that battle related to economics. That was stipulated by gold and diamond layer, found in the South Africa.

By that time there was not completed Africa's territorial dispart among the colonial states and that's why there wasn't war between England and German. That process was forward which followed serious results.

ლელა თოგოშვილი
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

კულტურის გავლენა პიროვნებაზე

სიტყვა "კულტურა" ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს დამუშავებას, მოვლას. პირველად იგი იხმარა ძვ. წ. მე-3-2 სს. რომაელმა მოღვაწემ კატონმა. მან დაწერა წიგნი სოფლის მეურნეობის შესახებ, სადაც სიტყვა "კულტურა" გამოყენებული იყო მიწის, ნიადაგის დამუშავების, მოვლა-პატრონობის აღსანიშნავად. შემდგომ ამ ტერმინმა შეიცვალა თავისი მნიშვნელობა და გამოყენებულ იქნა ადამიანის სულიერი საქმიანობის მიმართ. ამის დასტურია, ცნობილი გამოთქმა "ფილოსოფია არის სულის კულტურა", რომელიც ეკუთვნის ძვ. წ. 1 ს. გამოჩენილ რომაელ ორატორს და მოაზროვნეს ციცერონს. მე-18-19 სს. ევროპულ აზროვნებაში კულტურა გაუიგვდა ცივილიზაციას. ამასთან, ფრანგები უპირატესობას აძლევდნენ ტერმინს "ცივილიზაცია", ხოლო გერმანელები - კულტურას. (8: 298). მე-20 ს. სიტყვა "კულტურამ" სულ სხვა მნიშვნელობა მიიღო. იგი უკვე იხმარება ფართო აზრით და აღნიშნავს ადამიანის საქმიანობის შედეგად შექმნილ ღირებულებათა და ფასეულობათა, მათი შესაბამისი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების, მოვლენებისა და პროცესების, ნივთებისა და პროდუქტების ერთობლიობას. ამ გაგებით კულტურა უპირისპირდება ბუნებას. იგი მოიცავს ყველაფერს, რაც შექმნილია არა ბუნების, არამედ ადამიანის მიერ. ბუნება არსებობს თავისთავად, ადამიანი არ მონაწილეობს მის ქმნალობასა და ცვალებადობაში. ბუნებამ წარმოქმნა სიცოცხლე მთელი თა-

ვისი მრავალფეროვნებით, მათ შორის ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება. მაგრამ აქ მთავრდება ბუნების მოქმედების ძალა. ამის შემდეგ ადამიანი იწყებს თავის საქმიანობას, რომლის წყალობით იგი ქმნის რეალობის ახალ სახეობას - კულტურას. მაშასადამე, ბუნება არის ის, რაც მოხდა და ახლაც ხდება ადამიანის ჩარევის გარეშე. კულტურა კი არის ის, რაც არ არის ბუნება. იგი ადამიანის მიერ შექმნილი სამყაროა მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც ვერ "ეტევა სიცოცხლეში", მისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ბიოლოგიური არსებობა, ამიტომაც ქმნის იგი სპეციფიკურ ადამიანურ სამყაროს - ცხოვრებას. რომ არა ადამიანის ეს უნიკალური უნარი შემოქმედებისა, არ იარსებებდა კულტურა (1: 4). კულტურა ადამიანმა შექმნა ბუნებასთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით, მისი სტიქიებისაგან დასაცავად, მისი სიმდიდრის გამოსაყენებლად. მაგრამ კულტურის განვითარებასთან ერთად ადამიანი დაშორდა ბუნებას, უფრო მეტიც: კულტურამ იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა თვით ბუნებაში, რომ საფრთხე შეექმნა თავად ბუნებას. მონტენის თქმით, ჩვენ ისე გადავტვირთეთ ბუნება ჩვენი გამონაგონით, რომ ლამის დავახრჩეთ ის. ადამიანის არსებობისათვის გარკვეული წონასწორობა უნდა იყოს მასსა და ბუნებას შორის. მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა გავლენას ახდენს კულტურის განვითარება ადამიანის სულზე, მის ფსიქოლოგიაზე (5: 303). კულტურის გავლენა პიროვნებაზე და მის ცხოვრებაზე თითქოს მხოლოდ დადებითი უნდა იყოს, მაგრამ ბევრ მოაზროვნეს აფიქრებს ის წინააღმდეგობანი, რაც კულტურის განვითარებას ახლავს. ჟან-ჟაკ რუსო თვლიდა, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებამ ხელი შეუწყო ადამიანის ზნეობის დაცემას და ბედნიერება წაართვა მას. რუსოს თვალსაზრისი

გამონაკლისი არ არის. კულტურის განვითარების წინააღმდეგობებზე უფრო ადრეც და შემდეგაც საუბრობდნენ, ვინაიდან მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ყოველთვის ვერ უწყობს ხელს ადამიანთა შორის ადამიანურ ურთიერთობებს, სიკეთისა და ბედნიერების ზრდას. მას შემდეგ, რაც მეცნიერები გაჩნდნენ, კარგი ადამიანი გაქრნენო, ჩიოდა ჯერ კიდევ ძველ რომში მეცნიერი და ფილოსოფოსი სენეკა. უილიამ ფოლკნერის თქმით, უაღრესად კულტურულ ადამიანებს ჭკვიანურად და აღფრთოვანებით შეუძლიათ იმსჯელონ ბახზე, ჰენდელზე, ბრუკნერზე და ამავე დროს ჯალათებად მოგვევლინონ, ერთი-ცა და მეორეც - ერთსა და იმავე პიროვნებაში..." (9: 34).

მეცნიერებასა და ტექნიკაზე დამყარებულმა ინდუსტრიამ უმაღლეს დონეს მიაღწია. ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყანა იყო ფაშისტური გერმანიაც, მაგრამ სწორედ იქ ისწავლეს ადამიანის თმისაგან ქეჩის წარმოება და მარტო ოსვენციმიდან ამ მიზნით სამოცი ათასი კგ თმა გაიგზავნა გერმანიაში. ნუთუ ეს კაცობრიობის მიღწევის მაჩვენებელია?! მაგრამ კულტურის ამგვარ წინააღმდეგობებში დანაშაული თვით კულტურას არ მიუძღვის, არამედ მის დამახინჯებას, მისი და საზოგადოების ცალმხრივ და წინააღმდეგობრივ განვითარებას. კულტურის წინააღმდეგობებს გარკვეული სოციალური საფუძველი აქვთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის საზოგადოება კარგი ან ცუდი მიზნებისათვის იყენებს კულტურას. საზოგადოებაში ადამიანთა ინტერესებისა და მიზნების ცალმხრივად წარმართვა ამახინჯებს თვით კულტურას, ხოლო ამგვარი კულტურის ათვისება კიდევ უფრო განამტკიცებს და აღრმავებს საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს. დამახინჯებული კულტურა კი ადამიანის არსებით მისწრაფებას აღარ ემსახურება (6: 349).

კულტურას ადამიანები მხოლოდ იმისთვის არ ქმნიან, რომ მოთხოვნილებები ტექნიკური საშუალებებით დაიკმაყო-

ფილონ. კულტურის შექმნა გამოხატავს ადამიანის მისწრაფებას შემოქმედებისაკენ. კულტურა ბუნებაზე ადამიანის გაბატონების გამოხატულება არაა მხოლოდ. ის ასახავს იმას, თუ რამდენად გარდაიქმნა თვით ადამიანი. როდესაც საზოგადოება უმთავრესად მატერიალურ, ნივთიერ ფასეულობებზე ზრუნავს, მაშინ იჩრდილება ის ღირებულებები, რომელთაც ეს ფასეულობები უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მატერიალურზე ზრუნვა აღარ არის საჭირო და ადამიანებმა მთელი თავისი ყურადღება სულიერ მოთხოვნილებებზე უნდა გადაიტანონ (2: 57). საქმე მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებისა და ინტერესების ურთიერთობას ეხება და არა ერთ-ერთის უგულებელყოფას. მატერიალური სიმდიდრის ზრდა ტექნიკის განვითარებაზე დამოკიდებული, ტექნიკა კი მეცნიერებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ საზოგადოება, რომელიც მატერიალურ ფასეულობათა ზრდას აქცევს უმთავრეს ყურადღებას, სულიერი კულტურიდან მხოლოდ მეცნიერებას აფასებს. ახალი მანქანები მეცნიერების წყალობით იქმნება, ამიტომ მეცნიერება საქმედ ითვლება. კულტურის სხვა სფეროების, მაგალითად, ხელოვნების ან ფილოსოფიის ღირებულება კი საეჭვო ხდება. სულიერი სამყაროს ამგვარი გადაფასება კარგად გამოხატა ტურგენევის ცნობილმა გმირმა ბაზაროვმა, რომელიც ამბობს: წესიერი ქიმიკოსი ოცვეერ უფრო სასარგებლოა, რომელიც გნებავთ გენიალურ პოეტზეო (3: 148-149). მეცნიერების მნიშვნელობა მარტო იმასი კი არ არის, რომ ის ადამიანური ცხოვრების მრავალი პრობლემის გადაჭრას ემსახურება, არამედ იმაშიც, რომ ის ავლენს ადამიანის არსებით მისწრაფებას - შემოქმედებას. მაგრამ თვითონ მეცნიერებასა და მეცნიერულ შემოქმედებაზე არსებობს ცალმხრივი წარმოდგენა. ის, რომ მეცნიერების მიზანია სამყაროს ჭეშმარიტი სურათის შექმნა, იმ ილუზიას ბადებს, თითქოს

მეცნიერი მხოლოდ სამყაროს პირისპირ იდგეს და ადამიანი და ადამიანური პრობლემები მას არ ეხებოდეს. სინამდვილეში მეცნიერული კვლევა არ არის მხოლოდ ბუნების დაკითხვა. ის სხვა - წარსულის, აწმყოსა თუ მომავლის - ადამიანებთან დიალოგია, რადგან მეცნიერს უკვე არსებულ შეხედულებებთან აქვს საქმე და არა მხოლოდ თავის კვლევის საგანთან (4: 25). მეცნიერებაზე, ადამიანის ცხოვრებაში მის ადგილზე ცალმხრივი წარმოდგენა არ ჰქონიათ მეცნიერების ისეთ კორიფეებს, როგორც იყვნენ აინშტაინი, ბორნი, შროდინგერი, ჰაიზენბერგი... ალბერტ აინშტაინი, მაგალითად, ფიქრობდა, რომ გამოჩენილი ადამიანების მორალურ თვისებებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე მათ გონით მიღწევებს.

ადამიანის ცხოვრებაში მეცნიერების ადგილზე სწორი წარმოდგენა იმის გაგებასაც გულისხმობს, რომ შემოქმედება მეცნიერულ კვლევაზე არ დაიყვანება, ხოლო ადამიანის ღირებულებები - ჭეშმარიტებაზე.

როცა ქვეყნისა და ეპოქის კულტურას ახასიათებენ, ჩვეულებრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის დონისა და მხატვრული კულტურის სურათით იფარგლებიან. პიროვნების კულტურაზე უფრო ხშირად იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ რა იცის მან, რამდენად არის განათლებული, რამდენად ესმის ხელოვნება და ლიტერატურა. კულტურაში გულისხმობენ აგრეთვე ადამიანის ქცევის მანერებს, მაგრამ ეს მანერები გამოხატავენ ან უნდა გამოხატავდნენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებებს, მათ წარმოდგენებს ღირებულებათა შესახებ, იმას, თუ რას მეტ ღირებულებებს ანიჭებს ადამიანი და რას ნაკლებს, რა მიაჩნია სიკეთედ და რა - ბოროტებად. ეს იმას ნიშნავს, რომ კულტურის მნიშვნელოვანი მხარე უნდა იყოს ზნეობა. საზოგადოებაში მეცნიერული მიღწევები და მხატვრული კულტურა უფრო თვალნათლივ არსებობს: ერთი მეც-

ნიერულ წიგნებში და ტექნიკის მიღწევებშია განხორციელებული, მეორე - ხელოვნების ნაწარმოებების სახით არსებობს. ზნეობრივი კულტურა კი თითქოს ნაკლებად ხელშესახებია; ამიტომ კულტურაზე ბჭობის დროს ზნეობას გვერდს უვლიან. ქვეყნის კულტურაზე იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ რამდენი წიგნია ბიბლიოთეკებში, რამდენს აქვს უმაღლესი განათლება, რამდენი მაყურებელი ჰყავს კინოსა და თეატრს... ზნეობაზე მსჯელობას კი იშვიათად შეეხვდებით და ძნელიც არის ალბათ ხალხის ზნეობის, მისი ღირებულებების დახასიათება. მაგრამ კულტურა ზნეობის გარეშე ამის გამო არ უნდა წარმოვიდგინოთ. ზნეობა კულტურის ყველაზე ღრმა ფენა უნდა იყოს, ის ყველაზე მეტად გამოხატავს მის დონეს. ერთი კულტურის შეცვლა მეორით არ დამთავრდება, ვიდრე არ მოხდება ძირეული ცვლილებები ადამიანთა ზნეობრივ ღირებულებებში. ზნეობრივი რეკოლუცია კულტურული რეკოლუციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. კულტურას მრავალი ფუნქცია აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთ-ერთი მათგანი ის არის, რომ მისი საშუალებით ადამიანი ითვისებს საზოგადოებაში მიღებულ ნორმებსა და წესებს, სხვა ადამიანების გამოცდილებასა და ცოდნას, ამყარებს მათთან ურთიერთობას. საზოგადოება პიროვნებას იმით აკონტროლებს, რომ მის ერთ საქციელს იწონებს და კიცხავს მეორეს, ხოლო ადამიანებისა და საზოგადოებრივი აზრის მიერ მისი საქციელის შეფასებისადმი გულგრილი არავინ არ არის. (5: 303).

საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიროვნების ჩაბმის, მისი წესებისა და ნორმების ათვისებისა და სოციალური როლების მომზადებისა და შესრულების პროცესს სოციოლოგები სოციალიზაციას უწოდებენ. კულტურა პიროვნების სოციალიზაციის მთავარი საშუალებაა. მაგრამ კულტურის დანიშნულება მხოლოდ ის არ არის, რომ პიროვნების სოციალიზაციას, საზოგადოებასთან მის შეგუებას შეუწყოს ხელი. თავისი სოცი-

აღური ურთიერთობები რომ მოაწესრიგოს, ადამიანი უბრალოდ კი არ უნდა დაეუფლოს საზოგადოებაში მიღებულ ნორმებსა და შეხედულებებს, არამედ მათი გააზრებისა და შეფასების უნარიც უნდა ჰქონდეს. კულტურა არ არის ქცევის წესების იმგვარი ნუსხა, რომელშიც ადამიანმა პირდაპირ შეიძლება ამოიკითხოს ის, თუ როგორ უნდა მოიქცეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ცხოვრებაში ახალი ვითარებები ჩნდება ხოლმე, რომლებიც ადამიანს არჩევანის წინაშე აყენებენ, რადგან მისი მოვალეობანი ხშირად ერთმანეთსაც ეწინააღმდეგებიან. ასეთ დროს ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რომელ ინტერესს მისცეს უპირატესობა, რომელი მოვალეობა დააყენოს უფრო მაღლა, რა გააკეთოს პირველ რიგში. პიროვნების კულტურა საზოგადოების მიერ მოპოვებული ცოდნისა და გამოცდილების უბრალო შეთვისება კი არ არის, არამედ იმის უნარი, რომ ამ ცოდნასა და გამოცდილებაზე დამყარებით ადამიანმა თვითონ განსაჯოს ვითარება და თავისი დამოკიდებულება და ქცევა განსაზღვროს. მაშასადამე, კულტურას მარტო ის ფუნქცია კი არ აქვს, რომ ხელი შეუწყოს პიროვნების შეგუებას საზოგადოებასთან, მის სოციალიზაციას, არამედ ისიც, რომ განავითაროს ადამიანის უნარები, მისი გონება და გრძნობები, რაც მას საშუალებას მისცემს განსაზღვროს თავისი ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისი ნამდვილი ინტერესები და მოვალეობანი და მათ შესატყვისად მოიქცეს. (7: 240). კულტურა ადამიანის თავისუფალი და შეგნებული მოქმედების უნარის განვითარებას ემსახურება. თავისუფალი და შეგნებული მოქმედება კი არსებითად შემოქმედებაა. შემოქმედება მხოლოდ გენიალური მეცნიერული აღმოჩენების გაკეთება და ხელოვნების შედევრების შექმნა როდია. ადამიანი ყოველ ნაბიჯზე ექცევა ისეთ ვითარებაში, რომელიც მისგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას, შემოქმედებას მოითხოვს. შემოქმედება მარტო კულტურის პროდუქტის შექმნა კი არ

არის, არამედ, აგრეთვე, მისი ათვისებაც. მხატვრული ნაწარმოების ნამდვილი აღქმისათვის აუცილებელია თანაგრძნობა, თანაგანცდა, რომელიც იმას უნდა ეხმიანებოდეს, რასაც ხელოვანი განიცდიდა ნაწარმოების შექმნის დროს. ასევე მეცნიერების ათვისება არ არის მხოლოდ გარკვეული შედეგებისა და ფორმულების დამახსოვრება; ის იმ გზის წარმოდგენასაც გულისხმობს, რომელსაც ამ შედეგებამდე მივყავართ. იგივე ითქმის ზნეობაზე: ადამიანი, რომელიც სხვის კეთილ საქციელს ხედავს, მაგრამ ამგვარი საქციელის უნარი თვით არ აქვს, სიკეთესაც ვერ გაიგებს - ის იმის ძიებას დაიწყებს, თუ რატომ მოიქცა ადამიანი ასე, რა სარგებლობას მოელის ის თავისი საქციელისაგან ზნეობრივი საქციელის უნარი, ზნეობრივი შემოქმედების უნარი და მისი აღქმის უნარიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ადამიანს, რომელსაც ნამდვილი ზნეობრივი საქციელის უნარი არ აქვს, არც ამგვარი ქცევის დანახვა შეუძლია. კულტურა შემოქმედებაა, შემოქმედება კი ადამიანის უნარების დაძაბვას, მისი ძალების მოხმარებას მოითხოვს. (9: 46).

კულტურა არ არსებობს ტრადიციების გარეშე. ტრადიციები კულტურის არსებობის, თაობიდან თაობისათვის მისი გადაცემის ფორმაა. ტრადიციებში ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორიაა გასაგნებული, მათში ჩვენი წინაპრების აზრები და გრძნობებია ჩაქსოვილი და მათი პატივისცემა ისტორიის ხსოვნა არის. ადამიანის განსაზღვრებათა შორის ასეთიც არის: ადამიანი არის ისტორიის გრძნობის მქონე ცხოველი. ილიას კი უთქვამს, რომ ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა. მაგრამ საზოგადოება, რომელიც ბრმად მისდევს წარსულს, ერთხელ შექმნილ კულტურულ ტრადიციებზეა მიჯაჭვული და მათი შეცვლა არ შეუძლია, ერთ წერტილზე გასაყინად არის განწირული. ტრადიციებისადმი დამოკიდებულება საზოგადოებისა და მისი კულტურის ხასიათს ასახავს და თვითონაც ახდენს გავლენას მათ განვი-

თარებაზე. ტრადიციის გამართლება მის სიძველეში როდია, მაგრამ სიძველე არც მისი უარყოფის საფუძვლად გამოდგება. ტრადიციის უარყოფაც ტრადიციას. ამიტომ ტრადიციებისადმი დამოკიდებულება არ შეიძლება შერჩევითი არ იყოს: საზოგადოებამ მათი ადამიანური შინაარსი უნდა შეინარჩუნოს და უკუავდოს მათში ყოველგვარი არაადამიანური. ადამიანი, საზოგადოება, კულტურა თავისი ბუნებით უარყოფით მოვლენებს უპირისპირდება, მაგრამ ის, თუ როგორი იქნება უარყოფით მოვლენებთან ამ ბრძოლის შედეგი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იბრძობლებენ ეს ძალები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარანტირებული პროგრესი არ არსებობს. პროგრესი შეიძლება მხოლოდ ადამიანთა ბრძოლის შედეგი იყოს, რაც, თავის მხრივ, იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რამდენად ვერ ურიგდება ადამიანი უარყოფით მოვლენებს. ჰენრი თოროს უთქვამს: "არა აქვს მნიშვნელობა, მიაღწევს თუ არა გემი ნავსადგურს, მთავარი ის არის, რომ გეზს არ ასცდეს". არა აქვს მნიშვნელობა იმიტომ, რომ ცხოვრების ოკეანეში არც არსებობს ნავსადგური, სადაც კაცობრიობის მოძრაობა შეწყდებოდა და ადამიანებს არავითარი საზრუნავი აღარ ექნებოდათ.

დამოწმებანი:

1. ბუაჩიძე თ., ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., 2003.
2. ბუაჩიძე თ., ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა, თბ., 1976.
3. დოსტოვესკი თ., თხზულებათა კრებული, ტ. 5, მოსკოვი, 1956.
4. მენაბდე ა., პროტექციონიზმი და მასთან ბრძოლა, თბ., 1977.
5. ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.

6. რუბინშტეინი ს., საერთო ფსიქოლოგიის პრობლემები, მოსკოვი, 1973.
7. უზნაძე დ., ფილოსოფიური შრომები, თბ., 1984.
8. ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი, მოსკოვი, 1983.
9. ჯიოევი ო., კულტურა და ადამიანის ცხოვრება, თბ., 1985.

Lela Togoshvili

Gori Teaching University, Associate Professor

**CULTURAL INFLUENCE ON PERSONALITY
RESUME**

Culture is created by people all over the world for its diversity. But the culture is so important amendments to the nature of the threat itself. It is important to understand what the impact of culture on human development. Cultural influence on the person and his life seems to be the only positive, But there are obstacles to the development of culture is accompanied by. Culture reflects the human desire to create craftsmanship to. Developing a culture of human skills and feelings of his mind, Which will enable it to define its place and role in public life, his real interests and obligations of. Culture of a free and deliberate action aimed to develop skills. Free and conscious act is essentially artistic. Culture means the main person's socialization. Values should be the party of morality; The most expresses the level of. A culture change is not completed until the second will not be fundamental changes in human moral. Moral Revolution Cultural Revolution, the most important part of. There is no culture without a tradition. But the society that once created does not change the cultural traditions of one point is to stop. Attitude towards the traditions of society and

its culture reflects the character of. Justify its tradition of antiquity when, but the antiquity of its rejection of any suitable basis for. Tradition rejects the tradition of. Therefore traditions approach should be selective: their content of human society to maintain and rejected them all.

თინა იველაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**სოფელ საროს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული
ძეგლები
(საკულტო სალოცავები)**

სოფელი სარო ზღვის დონიდან 1148 მეტრ სიმაღლეზე, ისტორიული ჯავახეთის პლატოს ქვედა ტერასაზე, მტკვრის მარჯვენა მაღალ სანაპიროზე მდებარეობს. სოფელი დღეისათვის ადმინისტრაციულად ასპინძის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება. იგი რაიონული ცენტრიდან 17 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელ საროს დასავლეთიდან მტკვრის ხეობა, ჩრდილოეთით (2-3 კმ-ის დაშორებით) სოფელი ხიზაბზვრა, აღმოსავლეთით (5-6 კილომეტრში) სოფლები თოკი და ვარგავი, ხოლო სამხრეთით (3-4 კილომეტრში) სოფელი ხერთვისი ესაზღვრება.

საროს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამარხებში დაფიქსირებული არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებს, რომ “გვიანი ბრინჯაოს საწყის პერიოდში (ძვ.წ.ა. XV-XIV ს.ს.) და ელინისტურ ხანაში (ძვ.წ. IV-III ს.ს.) ისტორიულ ჯავახეთში, კერძოდ, ჯავახეთის პლატოს ქვედა ტერასაზე (სარო-ხიზაბავრის მიდამოები) ინტენსიური ცხოვრება ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად მოპოვებულ მასალასაც (ადრებრინჯაოს, ფეოდალური ხანის და სხვ.), შეიძლება ითქვას, რომ აქ ცხოვრება არ ჩამქრალა სულ ცოტა ძვ.წ.აღრ.-ით III ათასწლეულიდან დღემდე” (4: 136).

თავის დროზე აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: “სოფელი სარო მეტად საინტერესო ადგილია ისტორიულ-არქეოლოგიურად.” (2: 137). მკვლევრის მიერ ამ მოსაზრების ნა-

თელი დასტურია შემორჩენილი არაერთი ისტორიული ძეგლი და XX საუკუნის ბოლოს ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალა.

დღეისათვის სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილია სხვადასხვა ეპოქაში აგებული რამდენიმე ციხის ნაშთი და არაერთი საკულტო სალოცავი (მთავარანგელოზის, კვირაცხოველობის ეკლესიები, ამაღლების, წმ. გიორგისა და წმ. მარინეს სახელობის ეკლესიების ნაშთები და ა.შ.).

მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. აღნიშნული სალოცავებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც სოფლის სამხრეთ ნაწილში, თითქმის ციცაბო კლდის (ქარაფის) ნაპირასაა აგებული და საკმაოდ კარგადაა შემონახული. მკვლევართა აზრით ეკლესია XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება. ეკლესიის ეზოს აღმოსავლეთით ამჟამად გაუქმებული ადრეული სასაფლაოა, სადაც ქვითხურობის შესანიშნავი ნიმუშების არაერთი საფლავის ქვა და საინტერესო ეპიტაფიებია შემონახული.

მთავარანგელოზის ეკლესიის ეზო ჩრდილო-სამხრეთის მხრიდან უზარმაზარი ქვის ბუნებრივი ფილებით იყო შემოღობილი. ერთ-ერთ ფილაზე ჯვარი იყო ამოკვეთილი. XX საუკუნის 60-იან წლებში ეს ღობე მოშალეს (ფილები ტრაქტორით ამოყარეს), ჯვრიანი ქვა ისე გადააბრუნეს, რომ ჯვარი მიწის მხარეს მოექცა (“პირქვე დაამხეს”). იმ წლიდან მოყოლებული ყოველ წელს სეტყვა და დელგმა უნადგურებდა მოსახლეობას მოსავალს. მთხრობელთა გადმოცემით, ეს ჯვარი მთავარანგელოზს განასახიერებდა და სოფელი მისი პირქვედამხობისთვის ისჯებოდა. ბუნებრივი კატაკლიზმები მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, როცა ეს ჯვრიანი ფილა კვლავ აღმართეს - “ფეხზე წამოაყენეს”.

XX საუკუნის 30-იან წლებში ეკლესია მონიხულა გ. ბოჭორიძემ და აღნიშნა: სოფელ საროს “მთავარანგელოზის

ეკლესია 12,8 X 7,2 მ. ნაგებია თლილი ქვისაგან, ახურავს კრამიტი ღარისებური. კარი აქვს დასავლეთით 1, სარკმელი აღმოსავლეთით 3, სამხრეთით სარკმელი 1 და სანათურიც 1, დასავლეთით სარკმელი 1. შიგნით და გარეთ გალესილია კირით. იატაკი თლილი ქვაა. ტრაპეზი სამია. საკურთხევლის ტრაპეზი დაცილებულია კედელს. ეკლესია განახლებულ-გადაკეთებულია. ეკლესიის დასავლეთ მხარეს 4 სვეტზე დგას (დასავლეთ ნაწილზე) სამრეკლო” (1: 225).

დ. ბერძენიშვილი უფრო სხვა კუთხით დაწვრილებით აღწერს ამ სალოცავს და მიუთითებს: საროს “მთავარანგელოზის ეკლესია მოზრდილი ორნავიანი ტაძარია, გარედან შეთეთრებული და ინტერიერგალესილი, გვიან საკმაოდ შეკეთებულიც (გამოცვლილია კამარა). ამის მიუხედავად, იგი ძალზე შთამბეჭდავი ნაგებობაა — დაუმუშავებელი, რუხი ქვით ნაგები, თლილი კონსტრიქციული ნაწილებით. ცენტრალური ნავი დასავლეთის ერთი დიდი და სამხრეთის ორი მომცრო თალითაა გახსნილი ორმხრივი, ვიწრო გარშემოსავლელისაკენ. ეს უკანასკნელიც სამხრეთის ფასადის შემდგომში ამოქოლილი დიდ ორთაღეთით იხსნებოდა გარეთ. სამხრეთის ნავის უფასადო კიდეში ტრაპეზის ქვა და ემბაზია შემონახული, ჩრდილოეთი პასტოფორუმი კი საერთო აბრისის გარეთაა გამოტანილი. ეს დიდი ტაძარი მორთული იყო. დღემდეა დარჩენილი სამხრეთის ფასადის მორთულობა, მათგან ერთ-ერთი ყორე გალავანში უკუღმაა ჩატანებული.” (3: 86).

ამ აღწერებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეკლესიაში არსებული სამი საკურთხეველი, რადგან სამსაკურთხევლიანი ეკლესია საქართველოში სულ რამდენიმე — თითზე ჩამოსათვლელია.

მ. ბერიძის შენიშვნით: ამ ეკლესიაში “უცნაური და მნიშვნელოვანი არის ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის საკურთხევლის მთავარი ნაწილის ტრაპეზის სიმრავ-

ლე. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო ლეგენდა აქვს ჩაწერილი ივ. როსტომაშვილს მე-19 საუკუნის ბოლოს. ოდესღაც სოფელში უცხოვრია სამ ძმას, ძლიერ თავადიშვილებს, რომლებსაც აუშენებიათ როგორც ციხე, ისე ეკლესია. რადგან თითოეულს ცალ-ცალკე მოძღვარი ჰყავდა, გაუკეთებიათ სამი ტრაპეზე, რომ ცალ-ცალკე შეესრულებინათ ღვთისმსახურება” (5: 66).

ივ. როსტომაშვილის გადმოცემით: საროს “საყდარში აღსანიშნავია მაცხოვრის ერთი ძველი ხატი. იგი დახატულია კაკლის ფიცარზედ ფერადის წამლებით და სიგრძე აქვს 8 და სიგანე 6 ვერშოკი. სახის მარჯვნივ და მარცხნივ ოქროს ფერის ასოებით აწერია სიტყვები: “იესო ქრისტე,” ხოლო ბოლოში ესე: “ადიდე შენ მაცხოვარო, მადიდებელი შენი აბაშიძე ლეონი, 1747, გლახაკი ივანე.” ვინ არის აქ მოხსენებული ლეონ აბაშიძე ჩვენ არ ვიცით, მაგრამ საჭიროდ ვთვლით დაგურთოთ, რომ საროდან 7-8 ვერსის მანძილზე ძვეს სოფელი თოკი, სადაც დღესაც სცხოვრობენ ბეგნი აბაშიძენი, რჯულით მაჰმადიანნი, მაგრამ ქართულად ჯერაც მშვენიერად მოლაპარაკენი. ვგონებ, რომ ამ ხატის პატრონი ლეონ აბაშიძე ამათგანი უნდა იყოს და 1747 წლებში ყველანი თუ არა ზოგნი მაინც ქრისტეს მადიარებელნი არიან” (6: 403). აღნიშნული ხატი დღეს სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმშია დაცული.

წმ. გიორგის ეკლესია სოფ. საროს ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი სალოცავია, წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც სოფლის ბაღებში - ნიჯგორში მდებარეობს. ეკლესია ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. დ. ბერძენიშვილის აღწერით: “უთლელი და თლილი (კონსტრუქციული ნაწილები) ქვით ნაგები ეკლესია უპილასტროა, განიერი და დამჯდარი პროპორციისა. მასალა ნალისებური სატრიუმფო თალი, სხმული კამარა, აღმოსავლეთი სარკმლის ბრტყელი სათაური, ამ კარგად შემონახულ ეკლესიას ძველის მიმსგავ-

სებით XIII-XIV საუკუნეებში აშენებულ ნიმუშად წარმოგვიდგენს. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა და გალავანი” (3: 38).

ეკლესია გადახურულია ქვის კრამიტით (თლილი თხელი ფილებით), იატაკიც ქვის ფილებისაა. აღმოსავლეთით აქვს პატარა სარკმელი, კარი კი სამხრეთითაა. კარი იმდენად დაბალია, რომ ეკლესიაში შემსვლელი იძულებულია თავდახრილი შევიდეს. კარის ბალავარზე ბოლნური ჯვარია გამოკვეთილი. ეკლესიის “სამხრეთის შესასვლელთან სანთლისაგან გაშვებული გამოსახულებაა, ხოლო მის ქვევით პალმეტი უნდა იყოს.” (3: 39).

XX საუკუნის 70-იან წლებამდე ეკლესია სავალალო მდგომარეობაში იყო (სახურავზე ამოსულმა ხეებმა და ბუჩქებმა სახურავის ფილებს ადგილი შეუცვალა და ავდრის დროს ეკლესიაშიც ისევე წვიმდა, როგორც გარეთ). მოსახლეობა სალოცავის სახურავის გაწმენდას ერიდებოდა (ხე წმინდა სალოცავზეა ამოსული და ვაი თუ ეკლესიამ დაგვიძრახოსო). ძეგლის გაწმენდის მიზნით ჩვენ მიემართეთ ძეგლთა დაცვის რაიონულ სამმართველოს უფროსს, მაგრამ პასუხად მივიღეთ: “ეკლესია სმეტაში არ მიზის, ამიტომ მისი გაწმენდა არ შეუძლებელია.” საბედნიეროდ, სალოცავის გაწმენდა-დასუფთავება ისევ მოსახლეობამ (განსაკუთრებით ქალებმა იაქტიურეს) თავის თავზე აიღო.

სასოფლო რელიგიური დღეობა “გიორგობა” ყოველწლიურად ექვს მაისს აღინიშნება. ხუთ მაისს მზის ჩასვლის შემდეგ, ეკლესია ღამისმთევვლებით ივსება. ძირითადად ქალები მიდიან, მიაქვთ სანთელი და შესაწირი ფრინველები (მტრედი, ქათამი), რომელსაც ეკლესიის ეზოში ცოცხლად უშვებენ. მთელი ღამე ეკლესია სანთლებითაა გაჩირაღდებული და ღამისმთევვლთა გალობა ისმის. 6 მაისს, მზის ამოსვლის შემდეგ, ღამისმთევვლები ანთებული სანთლებით ხელ-

ში და ლოცით ეკლესიის ნიტოლიას სამჯერ შემოუვლიან. ამ პროცესში მათ სოფლიდან მოსული ხალხიც უერთდება.

ამ დღეობაზე თავს იყრის არა მხოლოდ სოფელ საროს, არამედ სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფლებიდან მოსული მოსახლეობა. ეკლესიასთან სავალდებულო რიტუალის ჩატარების შემდეგ საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე იშლება სასოფლო (გიორგობის) სუფრა. დღეობაზე წამსვლელებს თან მიაქვთ სასმელ-საჭმელი. სუფრასთან ხალხი ნათესავ-ანობლობის მიხედვით სხდება და მიტანილ სანოვაგეს თავიანთ წინ შლიან. სუფრას არჩეული თამადა უძღვება. პირველი სადღევრძელო, რა თქმა უნდა, წმ. გიორგის და მის ეკლესიას ეძღვნება. დღეობაზე მუსიკის თანხლებით ცეკვა-თამაშიც იმართება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სოფლის რამდენიმე “განათლებული” ახალგაზრდა, სამსახურში დაწინაურების მიზნით, პარტიის რაიონული კომიტეტიდან მიღებული დავალებით შეეცადა ეს საერთო სასოფლო (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით რეგიონალური) დღეობა დაეშალათ და საოჯახო დღეობად ექციათ. საბედნიეროდ, სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წყალობით, რომელსაც შეგნებული ჰქონდა ამ დღის მნიშვნელობა და ისტორიული ღირებულება, წინ აღუდგა ახალგაზრდა “ნოვატორთა” მცდელობას და დღეობა (რომელმაც 70-წლიან კომუნისტურ წნეხს გაუძლო) შენარჩუნებული იქნა.

წმ. მარინეს ეკლესია. ნიჯგორში, ორმოცის ციხის ახლოს, ჩრდილოეთის მხარეს, წმ. მარინეს სახელობის ეკლესიის ნაწილია შემორჩენილი. დ. ბერძენიშვილის მითითებით: სოფელში “წმ. მარინეს ეკლესიის ბუდეა გადარჩენილა. აქაცაა გვიანი პერიოდის საფლავები, რომელთა შორის გამოირჩევა მომადლო ქვა ჯვრად გამოკვეთილი” (3: 138).

XX საუკუნის 60-იან წლებამდე აღმოსავლეთ მხარეს შემორჩენილი საკურთხევლის კედლის შიდა მხარეს შემორ-

ჩენილი იყო ფრესკების ნაშთები (სამწუხაროდ ეს ფრესკები დაფიქსირებული არ იყო, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს თუ რომელი წმინდანები იყო გამოსახული), რომელიც წვიმამ თუ თოვლმა ჩამორეცხა.

კვირაცხოვლობის ეკლესია. სოფლიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით, სამხრეთით, შემაღლებულ სერზე, რომელიც “ზულას” სახელითაა ცნობილი, არის მოქმედი სასაფლაო. ამ სასაფლაოდან სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, ასიოდე მეტრის დაშორებით, ეკლესიის ნანგრევებია (ერთ ადგილას გროვად ყრია ეკლესიის ნაშალი ქვები), რომელსაც მოსახლეობა “კვირაცხოვლის” ნაეკლესიარს უწოდებს.

ამ ეკლესიის დღეობა არის აღდგომის სწორზე “კვირაცხოვლის” სახელწოდებით. საყურადღებოა ისიც, რომ სოფელ საროს მოსახლეობა მიცვალებულთა საფლავზე არა აღდგომის მეორე დღეს (როგორც ეს საქართველოს სხვა კუთხეებში ხდებოდა და დღესაც ხდება), არამედ აღდგომის სწორზე, კვირაცხოვლობის დღეს გადის. ანთებენ სანთელს, აწყობენ ამ დღისთვის საგანგებოდ მომზადებულ კერძებს (წითელი კვერცხი, მოხარშული ხორცი, ქადა, ხაჭაპური, ლავაში, ხილი), სასმელს (ღვინო თუ არაყი) და იქ მყოფებს სთხოვენ მის მიცვალებულს ერთი ჭიქით შესანდობარი უთხრან. ხანდაზმულები მიდიან ეკლესიის ნანგრევებზე, სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ. ყველა ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ სასაფლაოსთან შერჩეულ ადგილას იშლება სასოფლო სუფრა. ნადიმი ისევე მიმდინარეობს, როგორც გიორგობის დღეობის სუფრაზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ არ არის მუსიკა და ცეკვა-თამაში.

ამაღლების ეკლესია. დასახლებული პუნქტიდან აღმოსავლეთით, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, “ოდისების” სახელით ცნობილ ტერიტორიაზე ნაგებობის ნანგრევი კვალი

ჩანს, რომლის დანიშნულება სოფლის მოსახლეობისთვის გარკვეულ დრომდე უცნობი იყო.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში საროში გახშირდა ახალგაზრდების ტრაგიკული გარდაცვალების შემთხვევები. სწორედ ამ პერიოდში, საროდან საკმაოდ დამორებულ სოფელ ზველში, ხანში შესულმა ქალბატონმა სიზმარი ნახა, რომ სოფელს მიტოვებულ-მივიწყებული ამაღლების ეკლესია სჯის. რა თქმა უნდა, სიზმრის ამბავმა საროს მოსახლეობამდეც მოაღწია. სოფელმა გადაწყვიტა რომ, საზიაროდ ეყიდათ შესაწირი ხარი და იმ წელს, ამაღლების ეკლესიის ნანგრევებთან, ამაღლების დღეობა აღენიშნათ. დღეობისთვის ყველა ოჯახი მოემზადა და გაემართნენ “ოდისებში.” მათ ნანგრევებზე დაანთეს სანთლები, მოილოცეს, დაკლეს შესაწირი ხარი, იქვე მოხარშეს და სასოფლო პურობა გამართეს. საღვთო ხარის მოხარშული ზორცი ყველას ჩამოურიგეს, ვისაც სახლში ავადმყოფი ჰყავდა, მისი წილიც გაატანეს. იმ დროიდან მოყოლებული, სოფელი ამაღლების დღესასწაულს ამ ეკლესიის ნანგრევებთან ზეიმობს იმ წესით და რიგით, როგორც თავდაპირველად აღნიშნეს.

უცნობი ეკლესია. გასული საუკუნის 60-70-იან წლებამდე, თაღისებრი მოყვანილობის ნანგრევები სოფლის განაპირას, ჩრდილო-სამხრეთით, კაკაბესაანთ (ლევან გიორგაძის შვილისა და შვილიშვილების) სახლის სიახლოვეს, შემორჩენილი იყო ეკლესიის ნანგრევების თაღისებური მოყვანილობის ორი კედლის ნარჩენები, რომელზედაც ფრესკების კვალი შემიმჩნეოდა. სამწუხაროდ, სოფელში არავინ არ იცოდა ეს ნაეკლესიარი რომელი წმინდანის სახელზე იქნა აგებული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საროს ტერიტორიაზე არსებული საკულტო ნაგებობების დიდი ნაწილის შესახებ წერილობითი წყაროები ჯერ-ჯერობით არაფერს არ გვეუბნება. ამიტომ ამ ძეგლების გამომზეურება, აღრიცხვა და დაფიქსირება (მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც) ქართუ-

ლი მართლმადიდებლურ ეკლესიათა მშენებლობისა თუ არქიტექტურის შესწავლის საქმეში სპეციალისტებსა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს გარკვეულ დახმარებს გაუწევს. საუბარს დ. ბერძენიშვილის სიტყვებით დავამთავრებთ: “ქართული საეკლესიო არქიტექტურის ისტორიაში ბევრია მცირე ზომის შეუმჩნეველი ძეგლი, რომელიც არ იპყრობს ყურადღებას განსაკუთრებული მხატვრულ-სივრცითი გადაწყვეტით და არც არაფერს მატებს განსაკუთრებულს ამა თუ იმ არქიტექტურული ტიპის განვითარებას. ამასთანავე, იგი წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს იმ არქიტექტურული თუ ბუნებრივი გარემოსი, რომელთან კავშირი მას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას და განუმეორებლობას ანიჭებს, ხოლო დრო, უმეტეს შემთხვევაში გარკვეულ კეთილშობილებასა და ღირსებას სძენს.” (3: 96).

დამოწმებანი:

1. ბოჭირიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1982.
2. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.
3. ბერძენიშვილი დ., ჯავახეთი, I, თბ., 2000.
4. ღამბაშიძე ო., ღამბაშიძე ი., კვიციანი რ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება სოფელ საროში//ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის გზაჯვარედინზე, ახალციხე, 2000.
5. ბერიძე მ., ტაძრები და სახელები, თბ., 2010.
6. ჟურნალი “მოგზაური”, № 5, თბ., 1905.

Tina Ivelashvili

*Doctor of Historical Sciences, Professor,
Akhaltsikhe State Teaching University*

**MONUMENTS SITUATED ON THE TERRITORY
OF THE VILLAGE SARO
(CULT PRAYING PLACES)
RESUME**

Village Saro is situated in the south of Javakheti plateau. It is rich in historical monuments, fortresses and cult praying places. Many of them are built in different epochs but some of them haven't been studied yet.

It should be mentioned that in the history of Georgian cult architecture many unnoticeable monuments which are small in size, don't attract any attention because of their artistic –spatial characteristics. But in spite of it, they are inseparable parts of architecture and nature. This connection makes them being attractive and the time gives them dignity and nobility.

The article deals with those cult monuments which have not been registered and discussed in a special literature yet.

**ქართული ხალხური დღესასწაული – ეთნოკულტურული
მემკვიდრეობის ძეგლი**

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი მრავალმხრივი სულიერი კულტურის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს ტრადიციული ჩვევების, რწმენების და სხვადასხვა ქმედებების ერთგვი “ნაზავი” წარმოადგენს. ქართული ეთნოლოგიური მეცნიერებისათვის ყოველთვის აქტუალური იყო ამ საკითხის ირგვლივ კვლევები, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი ეკავა ხალხურ დღეობა-დღესასწაულებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხალხური დღესასწაულები ქართული ეთნოსის ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგია, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია. ქართული დღეობა-დღესასწაულების შესწავლის საკითხის წამოწევა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე გლობალური პროცესების მიმდინარეობის ფონზე.

ქართული ხალხური დღესასწაულები, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ეროვნული ენერჯისა და ხალხის შემოქმედებითი უნარის გამოხატულებაა. თუ ძეგლების მიხედვით ჩვენ ვსწავლობთ წარსული ეპოქის ხელოვნებას, სამშენებლო ტექნიკას, ვარკვევთ ოსტატების ნიჭსა და უნარს, დღესასწაულების გამოვლენასა და მათ დაცვას ასევე საიმედოდ მივყავართ ერის ზნეობრივ სიმდიდრეთა გამომჟღავნებისაკენ. (10: 3)

ხალხური დღესასწაულების კვლევისას მნიშვნელოვანია მოხდეს ერთგვარი სისტემატიზაცია, რაც გააადვილებს მათ შესწავლას. ჩვენი მიზანია ქართლის ხალხურ დღეობათა კა-

ლენდრის შექმნა. დღევანდელ სტატიაში ზოგადად მიმოვიხილავთ ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა დროს წარმოებულ კვლევებს. ვფიქრობთ, პრობლემა აქტუალურია და ჩვენ მიერ წარმოებული მუშაობა ბევრ სიახლეს შეიტანს მასში. საერთოდ, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდრისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვნება. მასში თავმოყრილია დღესასწაულები და სამზადისი ამ დღესასწაულების შესახებ დრად, აღკვეთები, მაგიური რიტუალები, მკითხაობა, წინასწარმეტყველება, მარხვები, საერთო ტრაპეზები, გართობა-თამაშობანი, პროცესიები და მასკარადები, რიტუალური ცეცხლის დანთება, წმინდანთა კულტები, რწმენა-წარმოდგენები ავსულებზე და სხვ. (1: 3)

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ეროვნული, ტრადიციული ნელ-ნელა ქრება და მათ ადგილს იკავებს უცხო, ხშირად მიუღებელი ჩვევები. შეიძლება ითქვას, რომ ხალხური დღესასწაულები ჩვენს თვალწინ ქრება, პრობლემა ახალი არ არის. ქართველ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს სახალხო დღეობა-დღესასწაულების გაქრობა-გადასხვაფერება თანაბრად აწუხებდათ მე-19-მე-20-ე საუკუნეების მანძილზე და დღესაც. ჯერ კიდევ 1894 წ. გაზეთ “ივერიაში” ალ. ხახანაშვილი წერდა: სამწუხაროდ, რაც დრო მიდის დღესასწაულის და ხატობის სახე, მისი მიგებება და გატარება უფრო იცვლება და თანაც კიდევ ისპობა. ჯერ-ჯერობით ძველებური მაღლი ისევ სოფლად თუ მოიპოება. დღესასწაულმა და ხატობამაც მხოლოდ იქ შეინარჩუნა საეროვნო ფერი. (20: 82)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ხალხურ დღესასწაულებს ისევე უნდა მოვლა და დაფასება, როგორც სხვა ფასდაუდებელ საუნჯეს. მათი დღევანდელი, დომებისა და ცენზურისაგან თავისუფალი პოზიციიდან შესწავლა საშუალებას მოგვცემს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ და მომავალ თა-

ობას შემოვუნახოთ ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ჩვენი წინაპრების საუკუნოვანი ტრადიციული ცხოვრების ნაყოფია.

ქართლის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში დღეობების ტრადიციული ფორმები მეტ-ნაკლებად მივიწყებულია. ჩვენი კვლევის მიზანიც სწორედ ის არის, რომ წინ წამოვწიოთ ხალხის მენსიერებაში დაშრევებული რწმენა-წარმოდგენები და მათდამი მიძღვნილი დღეობა-დღესასწაულები. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ეპოქაში ისინი ნელ-ნელა ქრება. ამის ფონზე, საჭიროა ჩვენი საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირებულობა ტრადიციული დღეობა-დღესასწაულების ირგვლივ. მაშინ ჩვენს ყოფაში იოლად აღარ მოხდება მათი აჟიტირებითი ჩანაცვლება დასავლური ტრადიციებით, რიტუალებითა და ტერმინებით. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ახალი წლის აღნიშვნის ქართული ფორმების ცოდნა, რომლის ხალხური სახე განუმეორებელია თავისი ეროვნული კოლორიტით, პოეტურობით, გამსჭვალულია მრავალსაუკუნოვანი ემპირიული სიბრძნით.

ჩვენი მთავარი მიზანია საველე-ეთნოგრაფიულ მასალასა, ისტორიულ წყაროებსა და სხვადასხვა დროს წარმობულ კვლევებზე დაყრდნობით შედგეს ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღეისათვის დაფიქსირებული დღეობა-დღესასწაულების მეტ-ნაკლებად სრული კალენდარი; გლობალიზაციის ფონზე წარმოჩინდეს ის კულტურული ტრადიციები, რომლებიც დაკავშირებულია მათთან; გამოიკვეთოს საზოგადოებრივი განვითარების გავლენა მათზე სხვადასხვა ფორმაციებში. აქტუალურად მიგვაჩნია კანონიკური დღესასწაულებისა და ხალხური დღეობების გადაკვეთისა და მკაცრად გამიჯვნის პროცესები, მათი გეოგრაფიული ლოკალიზება და ტერმინოლოგიის მოძიება-ანალიზი.

ვფიქრობთ, თემა საკმაოდ აქტუალურია, რადგან დღემდე სისტემურად არ შესწავლილა ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაფიქსირებული ხალხური დღეობები—გარდა

რამოდენიმე გამონაკლისისა. აღნიშნულზე ინფორმაცია გაბნეულია სხვადასხვა კვლევებში. ქართულ ეთნოგრაფიაში ამ საკითხს ეხებოდა არაერთი ავტორი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის, პ. ინგოროყვას, ს. მაკალათიას თ. ოჩიაურის, გ. ჯვალაბაძის, ჯ. რუხაძის, ვალ. ითონიშვილის, ნ. აბაკელიას, ნ. ლამბაშიძის, ქ. ალავერდაშვილის, ნ. ბრეგაძის, ირ. სურგულაძის, ნ. შოშიტაშვილის და სხვ. მონოგრაფიები და სტატიები, სადაც კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით, წარმოდგენილია ქართლის ხალხურ-რელიგიური დღესასწაულების რიგი ასპექტები, თუმცა, არ შექმნილა ქართლის დღეობათა კალენდარი. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ ჩვენი კვლევა იქნება ერთგვარი სიახლე ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის.

ქართლის ხალხურ დღეობათა კალენდრის შექმნისას გათვალისწინებული იქნება ქართლში კომპლექტურად მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფათთვის დამახასიათებელი დღეობებისა და რიტუალების კვლევა. დღემდე მეცნიერულად არ შესწავლილა ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების, ოსების, სომხების, აისორების და სხვ. ხალხურ-რელიგიური ტრადიციები. მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს მათთვის დამახასიათებელი დღესასწაულები და ადგილობრივი ტრადიციების გავლენა მათზე. დღეს, როდესაც საქართველოში მიმდინარე ეთნიკურმა პროცესებმა სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა, ვფიქრობთ, ჩვენი კვლევა დროულია ამ კუთხითაც.

დღეობა-დღესასწაულების კვლევისას საკმაოდ აქტუალურია მათი ტიპოლოგიის გარკვევა. თანამედროვე საზოგადოებისათვის უკვე ძნელი გასარკვევეია რომელი დღესასწაულია სატაძრო, რომელი საუფლო და რომელი ხალხური.

ქართული საზოგადოების რწმენისაკენ შემობრუნებამ ის რადიკალური გახადა ხალხური დღესასწაულებისადმი, რაც, ვფიქრობთ არ უნდა იყოს მთლად მართებული. ქართველების უძველესი მსოფლმხედველობის შემცველი სარწმუნოებრივი

ხასიათის გადმონაშთები ეთნოგრაფიულ ყოფასა და ამ ყოფის ამსახველ წერილობით წყაროებში უმთავრესად რელიგიური სინკრეტიზმის სახით გვევლინება. უნდა ითქვას, რომ ეს გადმონაშთები უმეტეს წილად ქრისტიანულ ელემენტებთან არის შერწყმული – წერს ვ. ბარდაველიძე (2: 6) ავტორის აზრით, ქრისტიანობა ხალხურ სარწმუნოებას შედარებით ნაკლებად შეეხო და რომ ქრისტიანობა ქართველების კულტურული განვითარების დროის მხოლოდ ერთ მონაკვეთში იყო მოცემული. ქრისტიანულ ხანას წინ უსწრებდა განვითარების გრძელი პერიოდი, რომელიც იდეოლოგიის სახით უძველეს მდიდარ სარწმუნოებებს და კულტებს შეიცავდა. (2: 7) ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წინაქრისტიანული სჭარბობს. მათი ერთგვარი “კონფლიქტი” დღეისათვის კარგად ჩანს ძველად მთელს საქართველოში გავრცელებულ დღესასწაულ ჭიაკოკონობაში, რომელიც ვნების კვირის ოთხშაბათს იმართება. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდრის მიხედვით ამ დღეს ინთებოდა კოცონი, ტარდებოდა სხვადასხვა რიტუალები. ამ კუთხით საინტერესო ცნობებს გვაწვდის გიორგი შარაშიძე ნაშრომში – “გაზაფხულის ქრისტიანული, ხალხური და ქალაქური დღესასწაულები.” აქ ავტორი მიმოიხილავს “Кавказский каленрь”-ში 1854 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ წერილს, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ხალხურ დღეობათა ჩატარების წეს-ჩვეულებები და რიტუალები, მათ შორის-გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებული ქრისტიანული და ხალხური დღესასწაულები.

დღეს, ხალხის მხრიდან, ჭიაკოკონობისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ ის არის მაგიურ-სატანისტური დღესასწაული და რიტუალი. ამის გასაქარწყლებლად აუცილებლად მიგვაჩნია მასზე სწორი და მეცნიერულ კვლევაზე დაყრდნობილი

ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნულის ერთ-ერთი ცდაა გ. შარაშიძის კვლევა, თუმცა ვთვლით, რომ იგი ოდნავ ზოგადია და ერთი კონკრეტული წერილის ანალიზით შემოიფარგლება. მასში არაფერია ნათქვამი, რატომ იმართება ჭიაკოკონობა მაინცდამაინც ვნების კვირის ოთხშაბათს მიუხედავად იმისა, რომ ავტორი აღნიშნავს დღესასწაულის შორეული წარსულის ფესვებზე. აქ გვერდს ვერ ავუვლი ერთ ცნობას, რომელიც ჩაწერილია ჩემ მიერ გორის რაიონის სოფ. ხიდისთავში 2005 წ. მთხრობელის გადმოცემით, ჭიაკოკონობის ვნების კვირის ოთხშაბათს გამართვა დაკავშირებული იყო ბუნების განახლებასთან, საცხოვრებლის, სამეურნეო ეზოსა და ვენახის დასუფთავებასთან. თითოეული ოჯახი ემზადებოდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისათვის – აწესრიგებდა ეზო-კარმიდამოს. აგროვებდა ზამთრის ნარჩენს და მას სწავდა აუცილებლად ვნების კვირის ოთხშაბათს, რადგან შემდეგი დღეები უქმეები იყო და საქმიანობა აღარ შეიძლებოდა. (მთხრობელი გრიგოლ კოშორიძე, 75 წლის.) რამდენად მართებულია ეს მოსაზრება, ამაზე ჩვენ კვლევაში აუცილებლად შევჩერდებით. თუმცა შეიძლება სინამდვილისაგან არც ისე შორს იყოს. როგორც ჩანს სანიტარულმა ჩვევამ დროთა განმავლობაში საკრალურობა შეიძინა და მივიღეთ გაზაფხულის დღესასწაული-ჭიაკოკონობა. აქვე ძალზე აქტუალურია სიცხადის შეტანა კოცონზე გადახტომის რიტუალთან დაკავშირებით, რომლის დროსაც დღეს ხალხი წარმოთქვამს ალილოია კუდიანებსო, რაც დიდი შეცდომაა და უფრო დამაბნეველი. ტრადიციული ფორმულა შელოცვაა: არი ურული-ურული ურული კუდიანებს. ამ სიტყვების ფესვები უნდა ვეძებოთ წინარექრისტოვანი ხანის ქართული ხალხური სიმღერების მისამღერებში. ჩვენს კვლევაში ამ საკითხს აუცილებლად დავუბრუნდებით.

ნაშრომში გამოყენებული იქნება ის ნარატიული წყაროები, რომლის საფუძველზეც პავლე ინგოროყვას მიერ შე-

იქმნა ქართულ წარმართულ დღეობათა კალენდარი. ასევე ვახუშტი ბატონიშვილის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” და იოანე ბატონიშვილის ისტორიულ-კულტურული ღირებულების ნაწარმოები-“ხუმარასწავლა” (“კალმასობა”). თუმცა, ძნელია წყაროთმოდნობითი ლიტერატურის წინასწარ გამოკვეთა. შემდგომი კვლევები აქაც ბევრ სიახლეს გამოაჩენს.

ჩვენი კვლევის არეალი ისტორიული ქართლი იქნება. ეს ის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია, რომლის განვითარებაც ყოველთვის რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. აქ ქართლურმა დიალექტმა საფუძველი დაუდო ერთიან ქართულ ენას და აქ გაჩნდა პირველი ადმინისტრაციულ-კულტურულ-პოლიტიკური ცენტრი. საქართველოს ისტორიის ყველა ეტაპზე, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ქართლი ყოველთვის წამყვანსა და ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი აქ დაფიქსირებული ტრადიციული და სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებული დღეობების წარმოჩენა-შესწავლა. თითოეული სასოფლო-რელიგიური ტრადიციების გენეტიკური ფესვები საკმაოდ სიღრმეში, შორს მიდის. საუკუნეების განმავლობაში ეს დღესასწაულები იმდენად მოერგო ქართლის სოფლებს, რომ ერთგვარად გახალხურდა კიდევაც. ისინი შეისისხლხორცა სოფლის მკვიდრმა ხალხმა და იქცა ოჯახის წლიური შინაგანაწესის ერთ-ერთ მთავარ რგოლად – აღნიშნავს ნ. შოშიტაშვილი სტატიაში – “შიდა ქართლის თანამედროვე სოფლის კულტურული ყოფა და საზოგადოებრივი ცხოვრება.” ამ წერილში ავტორი ძირითადად საუბრობს სასოფლო-საეკლესიო დღეობებზე. ჩამოთვლის მხოლოდ მცირედ ნაწილს და ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას: დღეობები იყო თვით სოფლების შემაკავშირებელი საშუალება; ეს იყო მეზობელ სოფლებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა... მათ ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე მოსალოდნელი ნიშნო-

ბა-ქორწილები, ნათელ მირონობის საშუალებით ოჯახების ურთიერთობათა განმტკიცება და სხვ. დღეობა იყო აგრეთვე პირადი შესაძლებლობების გამოვლინების საშუალება. მის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა ჭიდაობა, ლხინი, რაც აგრერივად ფასობდა სოფელში. დღეობებზევე იმართებოდა ბაზრობები. (17: 126-127) სამწუხაროდ დღეობებმა დღეს დაკარგეს პირვანდელი სახე და იქცნენ მხოლოდ “ღრეობად”. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა ხელისუფლების მძიმე წლებში ხელისუფლების მცდელობა-სოფლის დღესასწაულებისათვის გამოეცვალათ რელიგიური შინაარსი. მისტიკურ საბურველმოხსნილ სოფლის დღესასწაულში გაჩნდა შეუსაბამო ელემენტები. მაგალითისათვის მოვიყვანო სოფ. ხიდისთავში ჩაწერილ მონათხრობს. თურმე დღეობის დღეს ლხინის დროს გამოჰქონდათ საბჭოთა სიმბოლიკები-დროშა, ლიდერთა ფოტოები და გერბი (მთხრ. შოთა კვიცაშვილი. 82 წლის) ხელისუფლების ძალისხმევა მიმართული იყო მათი ტრანსფორმაციისაკენ, რამაც დღეობებს ნამდვილი სახე დაუკარგა. დღეს ქართლის თითქმის ყველა სოფელი აღნიშნავს მამა-პაპეულ დღეობას. ჩვენ მათ ჩვენს კვლევაში დეტალურად განვიხილავთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველმა ეთნოლოგებმა, კვლევების შედეგად, შექმნეს ქართული ხალხური დღეობების საინტერესო სურათი. დღეს ჩვენ რამოდენიმე მონოგრაფიის ზოგად ანალიზზე შევჩერდებით.

ერთ-ერთი პირველი და სიღრმისეული კვლევა აწარმოა ცნობილმა ქართველმა ეთნოლოგმა ვერა ბარდაველიძემ მონოგრაფიაში “ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბალ-ბაბარი)”, სადაც საუბარია ქართული დღეობებიდან ისეთ გამორჩეულ ფენომენზე, როგორიცაა ბარბალობა. მართალია ავტორი ძირითადად სვანეთზე საუბრობს, მაგრამ რიტუალებს საერთოქართულ კონტექსტში განიხილავს. ვ. ბარდაველიძის აზრით, ეთნოგრაფიული გად-

მონაშთების შესწავლა საგულისხმო ფაქტის დადგენის შესაძლებლობას იძლევა: მზე ბარბალეს კულტთან დაკავშირებით უნდა ყოფილიყო შემუშავებული უძველესი ქართული კალენდარი. ამას გვაფიქრებინებს დღეობა ბარბალობაში დაცული რწმენისა და წეს-ჩვეულებათა გადმონაშთები. (2: 99) აქვე უნდა აღინიშნოს ნ. ბრეგაძის საინტერესო დასკვნა ამავე საკითხზე: ძველქართულ წარმართულ კალენდარს, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ხალხთა კალენდრებს, საფუძვლად უნდა დასდებოდა აგრარული ხალხური კალენდარი. ამდენად, ახალი სამეურნეო სეზონის დადგომით განისაზღვრა კალენდარული ახალი წლის დასაწყისიც, რისი მოწმობაც უნდა იყოს საახალწლო წეს-ჩვეულებაში გადმონაშთის სახით შემორჩენილი ზოგი რიტუალი. (3: 400) საკითხზე მუშაობისას ერთგვარ სახელმძღვანელოდ შეიძლება ჩაითვალოს ნ. აბაკელიას, ნ. ლამბაშიძის, ქ. ალავერდაშვილის “ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი”. მასში განხილულია მთელს საქართველოში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა და ამ კუთხით წარმოებული სხვადასხვა კვლევები. შესაბამისად, შექმნილია ქართულ ხალხურ დღეობათა ძალზე ზოგადი კალენდარი. წიგნში ქართლის დღეობები მხოლოდ პარალელების დონეზეა წარმოჩენილი. მისი გაცნობის შედეგად მივიღეთ ქართლის დღეობათა შემდეგი სურათი: ქართლში დღესასწაულობდნენ ბარბალობას. აცხობდნენ ნიგვზიან ქაღებს (რაც დღეს ლობიანმა ჩაანაცვლა), გაჰქონდათ გზაჯვარედინზე, ჭრიდნენ და გამვლელ-გამომვლელს ურიგებდნენ – ბავშვებს ბატონები არ გაუმიზეზდებათო. ამ დღეს იცოდნენ პირველი მეკვლეობაც.

კალენდარულ ციკლში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შობას, როგორც უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს. მას ძველად ქართლში ქრისტეს კორკოტობას უწოდებდნენ. ამ დღეს იხარშებოდა მარცვლეული ანუ კორკოტი, როგორც მას ქართლში უწოდებდნენ. კორკოტი იხარშებოდა ახალ

წელსაც, თუმცა ეს ტრადიცია ამ დროისთვის აღარ არსებობს. ე.წ. “კორკოტობა” დღეს მოძრავია და ემთხვევა ხორციელის შაბათს. მას ნათლისღებას ხარშავს ახალი მიცვალებულის პატრონი. საერთოდაც, დღეისათვის ქართლში ხობლის მოხარშვის ტრადიცია მხოლოდ მიცვალებულის სულის მოხსენიებასთან ასოცირდება. მან დაკარგა ის დანიშნულება, რაზეც ეთნოგრაფები სხვადასხვა კვლევებში საუბრობენ (ვ. ბარდაველიძე, ნ. ბრეგაძე, და კალენდარი). საინტერესოა, რა მდგომარეობა იყო ამ კუთხით მასალის ჩაწერის დროს. ვფიქრობ, ტრანსფორმაცია უკვე დაწყებული იქნებოდა, თუმცა არ მოხდა მასზე ყურადღების გამახვილება. ცნობების განხილვა ძველი ინერციით გაგრძელდა. ჩვენს კვლევაში სახეცვლილებებზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება. მარცვლეულის ხარშვის ტრადიციის ცვლილება შესაძლებელია ქართული კალენდრის არაერთხელ ცვლილებასთან იყოს დაკავშირებული. ნ. ბრეგაძის თქმით, იანვრის კალენდრის შემოღებასთან ერთად, ახალმა თარიღმაც მემკვიდრეობით მიიღო და აითვისა ადრეული ახალი წლების რიტუალები (მარცვლეულის ხარშვა, გამომცხვარი კვერები და სხვ.), მაგრამ რადგან იანვარი არ ემთხვევა სამიწათმოქმედო სეზონის დასაწყისს, აღნიშნული რიტუალების ნაწილი კარგავს ძველ შინაარსს (3: 400) და ზოგჯერ ქრება კიდევ. იქნებ კორკოტის ხარშვის ტრადიცია ხალხური აგრარული კალენდრით დარჩა ბუნებრივ პერიოდში (ხორციელის შაბათი ხშირად თებერვლის ბოლოს ემთხვევა). თუმცა ყურადღებას იპყრობს გამრავლებასა და ბარაქასთან დაკავშირებული რიტუალის მიცვალებულთათვის შესრულების ტრადიცია. ფესვები ისევ წინაქრისტიანულ პერიოდში უნდა ვეძებოთ, რადგან ტრადიციული საეკლესიო კალენდრისათვის უცხოა მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი “კორკოტობა”.

ახალი წლის აღნიშვნაც საერთოქართული იყო: ცხვებოდა რიტუალური პურები, იცოდნენ მეკვლეობა.

ნათლისდება საეკლესიო დღესასწაულია და მასაც მთელი საქართველო აღნიშნავდა. შემდეგი კალენდარული დღეა – ნინობა.

ხორციელის ხუთშაბათს მოდიოდა სახლთანგელოზობა. იკვლებოდა ნიშანდადებული წიწილიდან გაზრდილი ქათამი, რომელსაც მხოლოდ ოჯახის წევრები მიირთმევდნენ.

ყველიერში აღნიშნავდნენ ჩიტიფაფობას. ცხვებოდა გულიანი ქადა. ეწყობოდა ბერიკაობა-ყენობა.

დიდმარხვის პირველ ოთხშაბათ-პარასკევს ქართლში დამწვრის უქმე იცოდნენ.

კალენდარული დღესასწაული ხარება. მიცვალებულის პატრონი გააკეთებდა კოლიოს და მოხარშავდა ზურგიელს.

ბზობა. თუ ბზა გაყვავებული იყო, ქართლში, ხალხის რწმენით, მარცვლეული კარგი და უხვი იქნებოდა. ეს რწმენა დღემდე შემორჩათ და ცდილობენ დაპურებული ბზა შეიძინონ.

ვნების კვირის ოთხშაბათს ჭიაკოკონობა.

წითელ პარასკევს ქართლში საფლავზე გადიოდნენ. გაჰქონდათ კოლიო და სხვა საჭმელი. ახალი მიცვალებულის ჭირისუფალ ქალებს არ უნდა გაერეცხათ და სახლის ჭვარტლი არ უნდა ჩამოერეცხათ.

შაბათს – ჭონა, რომლის ფესვებიც უძველეს პერიოდშია დასაძებნი.

აღდგომა ზოგადქრისტიანულია. იქ, სადაც ეკლესია იყო, ხალხი წირვას ესწრებოდა.

აღდგომის შემდგომი ორშაბათი- საფლავზე გასვლის დღეა. ამ დღეს აღინიშნებოდა ღვთისმშობლობა, იმართებოდა ლხინი.

სამშაბათი – სამებობა სოფ. ბერშუეთთან მდებარე ეკლესიის დღე.

კვირაცხოვლობა - აღდგომის სწორზე.

6 მაისი – გიორგობა. გორიჯვრობა. მას მთელი ქართლი აღნიშნავდა.

7 მაისი – ჯვარპატიოსნობა-ძელიცხოველობა, ახალ-ჯვრობა.

ამაღლება – აღდგომის მე-40-ე დღეს.

სულთმოფენობა – ამაღლების სწორზე. უმზეოდ დაკრეფილ ყვავილებს საფლავეებს დააყრიდნენ.

12 ივლისი კალენდარული - პეტრე-პავლობა

ხვნა-თესვასთან დაკავშირებული და ავდრისთვის განკუთვნილი დღეობები და რიტუალები.

ასეთია ქართლის დღეობათა კალენდარი ქართული ხალხური კალენდრის მიხედვით. ვფიქრობთ, ის საკმაოდ ფრაგმენტულია. ჩვენი ნაშრომი მის მასშტაბს გაზრდის და უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს.

ქართულ-ხალხურ დღეობა-დღესასწაულებსა და რიტუალებში განსაკუთრებული არქაული წეს-ჩვეულებების ღრმა ანალიზია მოცემული ირაკლი სურგულაძის წიგნში- “მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში”, სადაც ავტორი, მითოსის მონაცემებზე დაყრდნობით, გადმოგვცემს ხალხური დღესასწაულების ძალზე საინტერესო სურათს. იგი რიტუალებსა და წესებში სხვადასხვა დროის ფენებზე, ღვთაებების აღდგენადობასა და მოკვდაობაზე, მათს ხასიათზე, სიმბოლიკაზე, გარეგნულ ნიშნებსა და სახეებზე საუბრობს. მონოგრაფიაში წარმოდგენილი მასალები და დასკვნები, რომლებზეც კვლევაში ჩვენ არაერთხელ შევჩერდებით, გაგვიოლებს დღესასწაულების წარმომავლობის, ხასიათის და ტიპის დადგენას-განსაკუთრებით არქაული ღვთაებებისა და ქრისტიანული წმინდანების მიმართებაში. ნაშრომში ავტორი ხაზგასმით საუბრობს ყველიერის თამაშობებზე, რომლებიც ხალხურ დღესასწაულთაგან ყველაზე კარგად არის შესწავლილი. დღეისათვის არსებულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვეთილია ამ თამაშობათა წარმომავლობის, ტერმი-

ნოლოგიის, ნილაბთა გენეზისის, მათში დაცული საერთო-რელიგიური კონცეფციის, სანახაობრივი მხარის საინტერესო სურათი. როგორც ი. სურგულაძე აღნიშნავს, საერთოდ, აღიარებულია მათი აგრარული ბუნება, ცალკეულ პერსონაჟთა კავშირი აღდგენად და მოკვდავ ღვთაებებთან. ეს თამაშობანი, ისევე როგორც სხვა ქართული დღესასწაულები, მიწისმოქმედთა საზოგადოებაშია აღმოცენებული და ჩამოყალიბებული და ამდენად, მათი კავშირი არქაულ სამიწათმოქმედო კოსმოგონიასა და რელიგიასთან უდავოა, რადგან მათ საფუძველში ყველგან გამოსჭვივის ბუნების ძალთა ნაყოფიერების, მისი მუდმივი განახლების იდეა (12: 105)

ქართლის ხალხური დღესასწაულების შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯულიეტა რუხაძის მონოგრაფიებს, სტატიებსა და საველე-ეთნოგრაფიულ დღიურებს. ქართლის 1947-48 წწ. დღიურები გამოცემული წიგნად, შეიცავს ჩვენთვის საინტერესო უამრავ ცნობას. პურის კულტთან დაკავშირებული ძველი ქართული წესჩვეულებების ამსახველი მასალების ანალიზის შედეგად, ჩვენ შეგვიძლია სიცხადე შევიტანოთ კალენდარული თუ აგრარული დღეობების აღნიშვნაში. წიგნით ჩვენ ფაქტობრივად პირველწყაროს ვეხებით. ქართლში შეკრებილი მასალები ჩაწერილია სიტყვასიტყვით, ტერმინოლოგიის დაცვით, რაც ჩვენთვის მის მნიშვნელობას უფრო მეტად ზრდის. საველე დღიურებში ჩვენ ვხვდებით ოსური გვარის მთხრობელებისაგან გაკეთებულ ჩანაწერებს, რაც ვფიქრობთ ძალზე აქტუალურია.

ჯულიეტა რუხაძის ნაშრომში “ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა” საუბარია ქართული ხალხური დღესასწაულების მნიშვნელობასა და მათს აღდგენაზე. აქ ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ბერიკაობა-ყენობაზე, რომლის ირგვლივ არაერთი კვლევა იქნა წარმოებული - მათ შორის ავტორის მიერ. მოძიებული მასალის ანალიზის სა-

ფუძველზე ჯ. რუხაძე ასკვნის, რომ ჯერჯერობით დღესასწაულის ბევრი ასპექტია კვლავ ამოუცნობი, თუმცა დღეისათვის ამ კუთხით ნაწილობრივ ამომწურავად მიმჩნია ი. სურგულაძის ზემოთ აღნიშნული მონოგრაფია. ავტორის აზრით, სიუჟეტურად, ბერიკაობა მოიცავდა საკულტო, მისტერიულ მომენტებს, კერძოდ, ღვთაების აღდგენისა და სიკვდილის სცენებს, ნიღბოსანთა მსვლელობებს, სექსუალურ იმიტაციას და ა.შ. ასევე, მასში დაშრევებული იყო მრავალი ისტორიული მომენტი, სოციალური მოტივები, ზოგჯერ აქ ტოტემურ გადმონაშთებსაც ხედავენ. (12: 105)

ქართლში შემორჩენილ წყლის კულტის გადმონაშთებსა და მასთან დაკავშირებულ რიტუალებზეა საუბარი მზია მაკალათიას სტატიაში “წყლის კულტის გადმონაშთები შიდა ქართლში”. მასში, ქართლის მთისწინა ზოლში მოძიებული მასალისა და არსებული კვლევების ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია ადამიანის მიერ წყლის სტიქიისადმი წაყენებული პრაქტიკული მოთხოვნები. საერთოდ, ამინდის გამგებელი ძალებისადმი მიძღვნილი რიტუალური მოქმედებებით ცდილობდნენ ადამიანები რაიმე ზეგავლენა მოეხდინათ ბუნებაზე და მიეღოთ სასურველი შედეგი. ბუნებრივია, რიტუალები რეალურად ვერავითარ დახმარებას ვერ უწევდა მიწისმოქმედს. იგი მხოლოდ ცდილობდა რამენაირად ემოქმედა სტიქიაზე, რომელიც დაუძლეველია დღესაც - ტექნიკური პროგრესის პირობებში. ამ ხალხური წესებიდან მაგიური მოქმედებები შეადგენს არქაულ ფენას. მათი მიზანია სასურველი ამინდის პროვოცირება. ამასთანავე, ეს მოქმედებები განსაკუთრებული სიმარტივით გამოირჩევიან. ისინი ჩვეულებრივ, ანალოგიის პრინციპს ემყარებიან და ამიტომ შემსრულებელი ხელოვნურად ქმნის სურათს, რომლის მსგავსი სიტუაციის შექმნით რეალურად არის დაინტერესებული (12: 219). მ. მაკალათია სტატიაში საუბრობს ახალი წლის, წყალკურთხევის, ბერიკაობა-ყენობის, დიდი ხუთშაბათის

ტრადიციებზე. როგორც თავად ავტორიც აღნიშნავს, პასუხ-გაუცემელი მის წერილში ბევრი კითხვა რჩება. ჩვენ, ჩვენის მხრივ, შევეცდებით გავამდიდროთ ეს საკითხი სხვა მასალებით. მკვლევარი ავლებს ძალზე საინტერესო პარალელებს აღმოსავლურ მითოლოგიასა და ევროპის ხალხების ჩვეულებებთან. სტატიაში არ არის ნახსენები ახალ წელს ოჯახიდან წყლის გატანის აკრძალვა. ამის დამადასტურებელი მასალა ჩავიწერე სოფ. ხიდისთავში 2005 წ. მერი ჯაბახიძისაგან. მთხრობელი გაზრდილი იყო სოფ. ატენში და გათხოვილი ხიდისთავში. მისი გადმოცემით, ქართლელი ახალ წელს სახლიდან წყალს არ გაიტანდა - ბარაქა გამოჰყვებო. ჩემ მიერ ჩაწერილი მასალა დასტურდება ნელი ბრეგაძის სტატიაში - “ძველქართული წარმართული და ხალხური აგრარული კალენდრების ურთიერთმიმართების საკითხისათვის” (3: 392)

ნაშრომებში, რომლებსაც მე გავეცანი, ძირითადად მოყვანილი და შესწავლილია ის მასალა, რომელიც ავტორებს თუ სხვადასხვა მკვლევრებს შეუგროვებიათ უმთავრესად ქართლის მთისწინა ზოლში. ამ კუთხით ნაკლებად ჩანს მტკვრის ხეობისა და საერთოდ, ქართლის დაბლობის სოფლებისა და ქალაქების მასალა. ვფიქრობთ, ჩვენს კვლევაში მათზე გაკეთდეს აქცენტი, რადგან იქ უდაოდ საინტერესო ცნობებს მოვიპოვებთ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ გორის რაიონის ორი სოფელი - ნაწრეტი და წითელუბანი.

ნაწრეტში მცხოვრები ლევან ფსუტურის (47 წ.) გადმოცემით, მისი წინაპრები აქ გადმოსახლებულან ახალგორიდან, სადაც ჩასახლებულან ხევსურეთიდან. ბოლომდე დადიოდნენ ახალგორის ერთ-ერთ სალოცავში, თუმცა სოფელ ნაწრეტის დღეობასაც ჩვეულებრივად აღნიშნავდნენ (ამ საკითხს ჩვენ აუცილებლად მივუბრუნდებით ერთი პატარა სოფლის მოსახლეობა აღნიშნავდა რამოდენიმე ტრადიციულ დღესასწაულს, რაც უდაოდ საინტერესო ფაქტია). რაც შეე-

ნება წითელუბანს, აქ დღეისათვისათვის ცხოვრობენ ადგილობრივი და ეკომიგრანტი ქართველები (აჭარლები) და ოსები. ჩემთვის საინტერესოა, რა სურათს მოგვცემს ამ სოფლებში მოპოვებული მასალა.

ნაშრომში გვერდს ვერ ავუვლით შიდა ქართლში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს. ქართლს, როგორც საქართველოს გულს, ოდითგანვე ქვეყნის გარედან თუ შიგნიდან, მრავალი ხალხი ეტანებოდა. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების აქ თავმოყრას ყველა ეპოქაში ჰქონდა ადგილი. რადგან ჩვენს კვლევაში უნდა ვისაუბროთ ქართლში კომპაქტურად მცხოვრები “უცხო ტომთა” დღეობა-დღესასწაულებზე, მართებულად მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ მათი ქართლში “შემოსვლის” საკითხზე.

შიდა ქართლში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს უცხოვრიათ როგორც ქალაქებსა და ქალაქური ტიპის დასახლებებში, ისე სოფლად. მაგალითად, ქართლში ადრიდანვე ჩანს სომხების ცხოვრების კვალი, თუმცა, მათი მასშტაბური შემოსახლება მოგვიანებით, 1830-იან და 1880-იან წლებში მოხდა. სომხებს ასახლებდნენ მიტოვებულ ან ნახევრადმიტოვებულ პუნქტებში და აძლევდნენ სახნავ-სათეს მიწებს. ისინი გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ, რაც ქართველი გაჭირვებული გლეხისათვის ერთგვარ სატყუარას წარმოადგენდა და მოხდა ქართლის მოსახლეობის მასიური გადასვლა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე. სამწუხაროდ, აღმსარებლობის გამო ისინი სომხებად იქნენ ჩაწერილნი, თუმცა ბევრმა შეინარჩუნა ქართული გვარი. გორსა და გორის რაიონში, ასევე კასპის რაიონში ცხოვრობენ სომხური ოჯახები, რომლებიც ქართველებთან ნაწილობრივ ინტეგრირებულნი არიან ისინი ყველანაირად ქართული ტრადიციული წეს-ჩვეულებებით ცხოვრობენ – გარკვეული გამონაკლისის გარდა, რაც მათს აღმსარებლობასა და სარწმუნოებრივ რიტუალებს უკავშირდება. ხშირ შემთხვევაში, ქარ-

თლის სომხური მოსახლეობა, აღნიშნავს ადგილობრივ დღესასწაულებს. სწორედ ეს არის ჩვენი კვლევის მიზანი – გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაცხოვრებისა და კულტურული პროცესების გათავისებების ფონზე წარმოვანინოთ ის დღეობები და დღესასწაულები, რომლებიც დამახასიათებელია ქართლში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმოდგენლებისათვის.

სომხებთან ერთად ქართლში ხდება ბერძნების, ოსების, აზერბაიჯანელების, აისორების ჩამოსახლება. ეს საკმაოდ რთული და მტკივნეული პროცესია – განსაკუთრებით ოსებთან მიმართებაში.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლების, მათი შემდგომი განსახლებისა და ქართველებთან თანაცხოვრების პრობლემებზე არაერთი მონოგრაფია თუ სტატია დაიწერა. ჩვენთვის ყველაზე მისაღებად მიიჩნევა ის მოსაზრებები და დასკვნები, რომლებიც მოცემულია როლანდ თოფჩიშვილის წიგნში “საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები”. ვფიქრობთ, ეს წიგნი ჩვენთვის იქნება ძირითადი წყარო ოსური დღეობა-დღესასწაულების კვლევისას. მასში სწორედ ჩვენ მიერ საკვლევ რეგიონზე აქცენტი გაკეთებული. მასში საუბარია მიგრაციულ პროცესებზე. ამ ეტაპზე თავს შევიკავებ ოსთა საქართველოში შემოსვლის ისტორიის განხილვისაგან; მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ოსებმა ქართველების ძირძველი ხატ-სალოცავებიც გაითავისეს და ქართველებთან ერთად დადიოდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე. იძენდნენ ქართველ მეგობრებსა და ნათესავებს, ეზიარებოდნენ ქართულ კულტურას, წეს-ჩვეულებებს. თითქმის ყველა ოსს ჰყავდა ქართველი მოკეთე, რომელთანაც ყველა ვითარებაში მიესვლებოდა. ყოველივე ეს გარკვეულ გავლენას ახდენდა ერთა შორის ურთიერთობაზე. მაგრამ ათეული წლების განმავლობაში იმაზე საუბარმა, რომ ოსები ცხოვრობდნენ არა საქართველოში, არამედ თავის მი-

წაზე, თავის სამშობლოში, შიდა ქართლში ავტონომიური ოლქის შექმნამ, ისტორიის ფალსიფიკაციამ, ქართული ენის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების უგულვებელყოფამ თავისი შედეგი გამოიღო. ჩვენი კვლევის მიზანია, ამ ურთულესი პრობლემის ფონზე შევქმნათ ქართლში მცხოვრები ოსებისათვის დამახასიათებელი დღეობების ერთგვარი კალენდარი.

ქართლში კომპაქტურად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები. მათი წინაპრები საქართველოში თითქმის მთლიანად სპარსეთიდან და თურქეთიდან მოსულან გვიანფეოდალურ ხანაში. ისინი თავდაპირველად საქართველოს სამხრეთ პროვინციებში ცხოვრობდნენ. დღეისათვის კი ფაქტობრივად მთელს საქართველოში არიან განსახლებულნი - მათ შორის ქართლში. ქართველებთან საკმაოდ მჭიდრო კონტაქტების მიუხედავად, აზერბაიჯანელები იცავენ თავიანთ წეს-ჩვეულებებს, რაც ყველაზე კარგად მათი ტრადიციული დღესასწაულების გამართვაში ვლინდება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოსახლეობენ ქართველთა მიერ მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში, თითქმის არ შეიმჩნევა მათი ადგილობრივებთან აშკარა ინტეგრაცია. შესაბამისად, ნაკლებად აქვთ შეთვისებული ქართული დღეობა-დღესასწაულები, რასაც ვერ ვიტყვით აისორებზე.

შიდა ქართლში მცხოვრები დღევანდელი აისორები მოსულნი არიან 1827 წ. რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად 100 ოჯახი აყრილა ურმიის რაიონის ორი სოფლიდან (ორმუდ ალაჯი და თაქერ დუშაი) და ერევანში დასახლებულა, ხოლო შემდეგ, თბილისში. დღევანდელი განსახლების ადგილას (ქანდა) ისინი მუხრანბატონს დაუსახლებია. ქანდაში დასახლებისთანავე აისორები ჩაერთვნენ ქრისტიანულ დღესასწაულებში. ისინი დღესაც მონაწილეობენ მეზობელი ქართული სოფლების ხალხურ და საეკლესიო დღეობებში. თუ რამდენად შორს არის წასული ეს პროცესი, ამაზე საუბარი ჩვენი კვლევის დასრულების შემდეგ შეგვეძლება.

ამრიგად, ქართულ ეთნოლოგიაში აქტუალურ პრობლემად რჩება წინაქრისტიანული და ქრისტიანულ რწმენებისა და რიტუალების კვლევის საკითხი. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი თითქმის ყველა დღესასწაული მათ “ნაზავს” წარმოადგენს. მნიშვნელოვანია მათი შესწავლა თანამედროვე მიდგომით. მათში სიცხადის შეტანა შესაძლებელია ქართლის ხალხურ დღეობათა კალენდრის შექმნითაც. სიღრმისეული კვლევები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ქართული ხალხური დღესასწაული ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

დამოწმებანი:

1. აბაკელია ნ., დამბაშიძე ნ., ალავერდაშვილი ქ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბ., 1991.
2. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბალ-ბაბარი), თბ., 2006.
3. ბრეგაძე ნ., ძველქართული წარმართული და ხალხური აგრარული კალენდრების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1975.
4. თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
5. ინგოროყვა პ., ძველქართული წარმართული კალენდარი, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. 6-7. 1929-32 წწ.
6. მაკალათია მ., წყლის კულტის გადმონაშთები შიდა ქართლში, კრებული შიდა ქართლი, თბ., 1987.
7. ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954.
8. რუხაძე ჯ., ქართული ხალხური დღესასწაული, თბ., 1966.
9. რუხაძე ჯ., ქართლი I, პურის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, თბ., 2010.

10. რუხაძე ჯ., ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა, თბ., 1980.
11. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, (1986-87წწ.), თბ., 1990.
12. სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2009.
13. სურგულაძე ი., ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან, მსე 20. 1978.
14. ქართველი ხალხის ტრადიციული სამეურნეო და სულიერი კულტურა, თბ., 1987.
15. ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები (რედ. ვალ. ითონიშვილი), თბ., 1988.
16. შარაშიძე გ., გაზაფხულის ქრისტიანული, ხალხური და ქალაქური დღესასწაულები, თბ., 2003.
17. შოშიტაშვილი ნ., შიდა ქართლის თანამედროვე სოფლის კულტურული ყოფა და საზოგადოებრივი ცხოვრება, კრებული “შიდა ქართლი”, 1987.
18. ჯალაბაძე გ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, კრებ. “შიდა ქართლი”, 1987.
19. წიქვაძე რ., ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურული ტრადიციები XV-XVII-ე სს. თბ., 1988.
20. გაზეთი “ივერია”, 1894, №82.

Tamila Koshoridze

PhD Student of Sokhumi State University

**THE GEORGIAN NATIONAL HOLIDAY – ETHNO-
CULTURAL HEREDITARY
RESUME**

Georgian folk holidays and festive occasions as history and cultural monuments are expression of national energy and skills of folk activities. To study them scientifically is too vital in contemporary globalization background in order not to change or disappear. Studying celebrations is important to compile a complete calendar of nowadays, fixed celebrations in the life of Kartli based on the materials of a field-etnography, historical sources and researches have been made several times, that doesn't exist. A lot of information of them are presented in the researches of Georgian scientists although mainly as examples of parallel and general analysis. During the research of holidays in Kartli it's essential to show their globalization to find out their types and geographical location. It's novelty to study holidays and rituals typical for several ethnic groups living in Kartli.

Based on deep researches we can conclude that Georgian folk holiday is an ethnocultural hereditary monument.

ბადრი რაზმაძე
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

ნიკოლოზ ბერიანიძის დრამატურგია

ნიკოლოზ ანდრიას ძე ბერიანიძე დაიბადა გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში 1905 წლის 14 დეკემბერს. მისი მშობლები სოფლის მეურნე გლეხები იყვნენ.

1924 წელს ნიკოლოზმა მეჯვრისხევის 8-წლიანი სკოლა დაამთავრა. ნიკოლოზი 1924 წლიდან 1926 წლამდე თბილისის მე-2 ცხრაწლიან სკოლაში სწავლობდა, როლის დამთავრების შემდეგაც, 1926 წლის ნოემბრიდან პატარა მეჯვრისხევის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. აქ მან 1931 წლამდე იმუშავა.

1931 წელს ნიკოლოზი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად გადაიყვანეს დიდი მეჯვრისხევის არასრულ საშუალო სკოლაში, რომელიც შემდგომში საშუალოდ გადაკეთდა. ამ სკოლაში მან 1932 წლამდე - გარდაცვალებამდე დაჰყო.

ნიკოლოზი 1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედაგოგიური სექტორის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც მან 1939 წელს დაამთავრა.

ნიკოლოზ ბერიანიძე 66 წელიწადი უანგაროდ ემსახურა მეჯვრისხეველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას, რისთვისაც დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის ორდენით“, „შრომის წითელი დროშის ორდენით“, ხოლო სახალხო განათლების დარგში დიდი დამსახურებისათვის მას მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

შრომობდა რა თავდაუზოგავად ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოზე, რომელიც გამოსაცემად მზად ჰქონდა (სამწუხაროდ, ხელნაწერი დაკარგულია - ბ.რ.). ზოგიერთი საკითხის გარშემო აკადემიკოს აკაკი შანიძეს ეკამათებოდა და მასთან საქმიანი მიმოწერა ჰქონდა.

შესაშური სიყვარულით იგონებენ ნიკო მასწავლებელს მისი ყოფილი მოსწავლეები. დიდმა პედაგოგმა წარუშლელი კვალი დატოვა მათ მეხსიერებაში.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ნიკოლოზ ბერიანიძე ეწეოდა ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას, წერდა ლექსებს, პოემებსა და დრამატულ ნაწარმოებებს. შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზი იყო თვითნაბადი და თვითნასწავლი მსახიობი, დრამატურგი და რეჟისორი, ვინაიდან მას თეატრალური განათლება არ მიუღია. ჩემი აზრით, ქართველმა თეატრმცოდნეებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ ამ გენიალური პიროვნების შემოქმედება და კუთვნილი ადგილი მიუჩინონ ქართული თეატრის ისტორიაში.

ნ. ბერიანიძის კალამს ეკუთვნის შემდეგი დრამატული ნაწარმოებები: პიესები „ნიშნების საუბარი“, „კეთილი პაპა“, „მისამართი ბერლინში“, „ონავარი“, „ცის საიდუმლო“; სატირა „ქიტესას კონტროლი“, ინსცენირება „აი რას ამბობს ანბანი“, კომედია „გატეხილი ღობე“, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ბედი ქართლისა“.

1934 წელს გორის თეატრში წარმოდგენილ იქნა ნ. ბერიანიძის ოთხმოქმედებიანი კომედია „გატეხილი ღობე“. 1955 წელს „საბლიტგამმა“ წიგნში „პიესები“ დაბეჭდა მისი ორი პიესა „ნიშნების საუბარი“ და „კეთილი პაპა“.

ნიკოლოზ ბერიანიძე გარდაიცვალა 1992 წელს 87 წლის ასაკში... დაკრძალულია ქ. თბილისში მუხიანის სასაფლაოზე.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავ ბატონი ნიკოლოზის დრამატულ ნაწარმოებებს.

ინსცენირება „აი რას ამბობს ანბანი“

ინსცენირება „აი რას ამბობს ანბანი“ მიძღვნილია იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ 100 წლის იუბილესადმი და 1976 წელსაა დაწერილი. ეს არის შესანიშნავი ხოტბა, რასაც „დედა ენა“ უდავოდ იმსახურებს.

ნაწარმოებში ოთხი პერსონაჟია: I მთხრობელი, I მეფანდურე, II მთხრობელი, II მეფანდურე. ინსცენირება შესანიშნავადაა გაფორმებული. ი. გოგებაშვილის სურათს გვირგვინი აქვს შემოვლებული. გვირგვინში მკაფიოდ მოჩანს ქართული ანბანი თავისი რიგით. სურათის მარჯვნივ დგანან I მთხრობელი და I მეფანდურე, მარცხნივ კი II მთხრობელი და II მეფანდურე. მთხრობელები ზეპირად ამბობენ სტროფებს, მეფანდურეები კი მღერიან. მკითხველს რომ ნათელი წარმოდგენა შეექმნას ინსცენირების არქიტექტონიკაზე, საილუსტრაციოდ ორიოდ სტროფს მოვიყვან:

- | | |
|--------------|---|
| II მთხრობელი | თ-ვით იაკობიც მათ შორის
ამ საქმით იყო გართული,
მან შეაყვარა პატარებს
წიგნი და ენა ქართული. |
| I მთხრობელი | ი-ს იყო კაცი, ჩვენში რომ
არწია ცოდნის აკვანი,
რომლითაც გამოიზარდნენ
ჩვენი მამა და პაპანი. |
| II მეფანდურე | წიგნი ქართული ანბანის, |

ასი წლის კარდფურცლოვანი,
მუდამ ბრწყინვალე იქნება,
თუნდ გახდეს ათასწლოვანი.

პიესა „ნიშნების საუბარი“

როგორც ქვემოთ ითქვა, პიესა ნიშნების საუბარი 1955 წელს „საბლიტგამის“ მიერ გამოქვეყნებულია წიგნში „პიესები“.

პიესას აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და თავიდან ბოლომდე გააჟღენთილია მოწოდებით მოსწავლეებისადმი, რომ ბევრითად ისწავლონ.

საბავშვო პიესა „ნიშნების საუბარი“ ათეული წლების განმავლობაში იდგმებოდა საქართველოს სასკოლო დრამატული კოლექტივების მიერ და დიდი მოწონებით სარგებლობდა.

პიესაში ექვსი მოქმედი პირია : მოწაფე გივი, ხუთიანი, ოთხიანი, სამიანი ორიანი და ერთიანი.

ნიკოლოზ ბერიანიძე, შესანიშნავი პედაგოგი და ფსიქოლოგი ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავს ნიშნების 5, 4, 3, 2 და 1-ის საშუალებით მათ ღირსებასა და ნაკლს. ეს ხუთივე ნიშანი თანმიმდევრულად უნმარტავენ მოწაფეს - გივის, თუ თითოეული მათგანი რას წარმოადგენს და საბოლოო ჯამში კეთდება ლოგიკური დასკვნა, რომ ხუთიანზე სწავლა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე დაეუშვათ სამიანზე, ვინაიდან ხუთოსანი ბევრითი მოსწავლე სისტემატურად სწავლობს ამა თუ იმ საგნის თემატიკას და წინა მასალის კარგად ცოდნა მომდევნოს შესწავლას უიოლებს და ა. შ. რაც შეეხება ზარმაცებს, ისინი საბოლოო ჯამში, ვერავითარ შედეგს ვერ აღწევენ და უცოდინარები რჩებიან.

უდავოა, რომ პიესას „ნიშნების საუბარი“ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

კეთილი პაპა

პიესაში კეთილი პაპა მოქმედება წარმოებს ახალი წლის დღით. შვიდი მოსწავლე ოთხი ვაჟი და სამი გოგონა დილაადრიან იკრიბებიან თოვლით დაფარულ მაღლობზე მდგარი ვეებერთელა მუხის ხის ქვეშ. ახალგაზრდების საუბრის ძირითადი თემაა პროფესიის არჩევა და თითოეული ასახელებს თავის მიერ არჩეულ პროფესიას, ასაბუთებს მის უპირატესობას სხვა პროფესიასთან შედარებით. მოქმედი პირები არიან კეთილი პაპა, ვასო, შოთა, ქეთო, ვანო, თინა, ნინო და ოთარი. მოსწავლეებს დიდი ყურადღებით უსმენს ცხოვრების დიდი გამოცდილების მქონე ბრძენკაცი - კეთილი პაპა, რომელიც მათ შესანიშნავ დარიგებებს აძლევს. ამრიგად, პიესა თავიდან ბოლომდე განმსჭვალულია იმ იდეით, რომ ახალგაზრდებმა დროზე იპოვონ თავისი თავი, აირჩიონ პროფესია და გამოადგინონ თავს ქვეყანას.

ონავარი

„ონავარი“ სამმოქმედებიანი დიდაქტიკური ხასიათის შესანიშნავი პიესაა. მისი მოქმედი პირნი არიან: 1) სოფიო - მოხუცი დიასახლისი; 2) გიორგი - მისი შვილი; 3) რეზო - გიორგის ვაჟი, მოწაფე; 4) თამრო - რეზოს უმცროსი და, მოწაფე; 5) მალხაზი - თამროს მეგობარი, მოწაფე; 6) ციალა - ზარმაცი მოწაფე; 7) ტასია - ციალას დედა; 8) მათე - ლიყიანი ბიჭი; 9) ნინო - სოფლის ექიმი; 10) ბიჭი - ექიმთან გაგზავნილი; 11) ბავშვები - დარბაზიდან.

პიესის მთავარი მოქმედი გმირია ონავარი მოსწავლე რეზო, რომელიც ავტორის ენით თავის თავს შემდეგნაირად ახასიათებს:

„ონავარს მეძახიან, მიყვარს რბენა, თამაში, ეს შურდულიც თან დამაქვს, გარჯობილი ქამარში, ისე მიყვარს... ისე,

რომ თითქოს მართლა თოფია! უნდა გითხრათ, ძალიან კარგი გასართობია... ერთხელ იცით, რა მოხდა? გავისროლე თუ არა, კენჭმა ერთ ქალს ზუზუნით ცხვირის წინ გაუარა. ატყდა ალიაქოთი, ლანძღვა, წყევლა, მუქარა... მომძახოდნენ „გიჟი ხარ! ზანღანღარა, უქნარა“.

მთელი პიესა გაჟღენთილია საქმიანი შეგონებებით, რომელსაც უფროსები რეზოს აძლევენ, რათა სწორ გზას დაადგეს და ბეჯითად ისწავლოს. პიესის დედააზრი ჩაქსოვილია შემდეგ სტროფში:

„წიგნი ცოდნის წყაროა,
სწავლა - ცოდნის შენება!
ცოდნაშია ამჟამად
ვაჟკაცობაც, მშენებაც“.

პიესის ძირითადი ნაწილი პროზაული დიალოგებისაგან შედგება, თუმცა ავტორი, სადაც ეს საჭიროდ მიაჩნია, შესანიშნავად იყენებს პოეზიასაც. მას საუკეთესო ალლო აქვს და ლექსებს წერს თორმეტმარცვლიანი სტრიქონით, რომელიც არის უაღრესად რიტმული, რითმული, მუსიკალური და სხარტი.

ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ ამ პიესას გაეცნობა მკითხველთა ფართო საზოგადოება და საქართველოს სკოლების დრამატული წრეები თავიანთ სცენებზე წარმოაჩინენ.

ქიტესას კონტროლი

ერთმოქმედებიან სატირაში „ქიტესას კონტროლი“ ნ. ბერიანიძემ მძაფრი იუმორის გამოყენებით აღწერა ქართველი გლეხი ქიტესა და მისი მეუღლე - დარო, რომელთაც არ გააჩნიათ კლასიკური განათლება და, ამის გამო, ექმნებათ უამრავი კურიოზული მომენტი თავისი ვაჟის - მოსწავლის გიგოს აღზრდაში.

გიგოს მამა ქიტესა, რომელმაც გადაწყვიტა, გაარკვიოს, თუ რა ცოდნას იღებს მისი შვილი სკოლაში. ერთ დღეს შეუდგა გიგოს გაკონტროლებას და სასაცილო მდგომარეობაში ვარდება, რადგანაც მას არ გააჩნია ელემენტარული საკითხების ცოდნა ისეთ საგნებში, როგორცაა ქართული ენის გრამატიკა, მათემატიკა, გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება. სატირაში ნათლად ჩანს, რომ ის მშობელი რომელსაც თავად არ გააჩნია განათლება, შვილების სწავლა-აღზრდა სრულყოფილად არ შეუძლია.

ცის საიდუმლო

ფანტასტიკური პიესა „ცის საიდუმლო“ ეძღვნება ადამიანის კოსმოსში გაფრენის ასი წლის იუბილეს. ნ. ბერიანძის უკიდევანო ფანტაზიის წყალობით პიესაში მოქმედება ძირითადად ცაში მიმდინარეობს. ვინაიდან იური გაგარინის კოსმოსში გაფრენიდან (1961 წლის 12 აპრილი) გასულია უკვე 100 წელი ყველაფერი ხდება 2061 წელს.

პიესის მოქმედი პირნი არიან: პეტრე - აგრონომი; დარია - მისი მეუღლე, ექიმი; სოსო - მათი ვაჟი, მოსწავლე; ვანო, ლალი, გივი - სოსოს ამხანაგები; ვასილი - მასწავლებელი; ლია - მისი პატარა გოგონა; ელენე - ლალის დედა; მერაბი - კოსმოსური ხომალდის პილოტი; ლევანი - ინჟინერი; ნატო - კოსმოდრომის თანამშრომელი.

პიესაში მონაწილეობენ აგრეთვე უცნობი დედა, მთხრობელი ქალი და კაცი, პლანეტოიდის ველური ბავშვი და სხვა ველური ადამიანები.

ეს ფანტასტიკური პიესა ბევრი რამით არის საინტერესო, მაგრამ მე მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევეხები. მწერალს პიესაში აქვს დიდების ჰიზნი მიძღვნილი ადამიანისათვის, რომლის გენიამაც შესძლო ყველა წინააღმდეგობის დაძ-

ლევა და კოსმოსში გაფრინდა. ნ. ბერიანიძეს ეს პიესა დაწერილი აქვს გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, მანამ სანამ მობილური ტელეფონი საყოველთაო მოხმარების საკომუნიკაციო საშუალება გახდებოდა და ის გუჟანით ხვდება, რომ მეცნიერები ასეთ აპარატს შექმნიან და პირობითად მას „რადიო-ტელევიზორს“ არქმევს. ამბობს, რომ ეს არის გონიერი მანქანა, კიბერნეტიკის უკანასკნელი სიტყვა და ა.შ. ნ. ბერიანიძის აზრით, 2061 წელს დედამიწაზე იქნება საყოველთაო კეთილდღეობა. დავიწყებას მიეცემა ომები, ჯარები, საომარი საჭურველი, შუღლი, მტრობა და ა. შ.

ამ მხრივ შეიძლება პარალელი გავავლოთ დიდ ინგლისელ მოაზროვნეს თომას მორსა და მეჯვრისხეველ ნიკოლოზ ბერიანიძეს შორის. თუკი თომას მორი არარსებულ კუნძულზე „უტოპიაზე“ ჰქმნის იდეალური ცხოვრების სურათს, ბერიანიძე ბევრად უფრო შორს მიდის და საყოველთაო კეთილდღეობას მთელი ჩვენი პლანეტის, დედამიწისათვის სახავს.

ნ. ბერიანიძე პიესაში ერთ-ერთ გმირს პეტრეს ათქმევინებს, რომ ის გორის მიდამოებს ხელოვნური წვიმით რწყავს. როდესაც ნიკოლოზი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს 2061 წლისათვის, მან მშვენივრად იცის, თუ რა აღმოჩენები გააკეთა მისმა უნიჭიერესმა მოწაფემ ნოდარ ბიბილაშვილმა ღრუბლების ფიზიკაში, იცის, რომ ნ. ბიბილაშვილი მსოფლიოში ცნობილი მეჯვრისხეველი ფიზიკოსი, არის ავტორი სეტყვის ღრუბლების სპეციალური ჯურევებით დაშლისა და საჭიროების შემთხვევაში ხელოვნური ნალექების მოყვანისა.

„ცის საიდუმლოში“ უკვე პრაქტიკაშია ხელოვნური თანამგზავრით მარსზე მგზავრობა. რა თქმა უნდა, ნ. ბერიანიძის ფანტასტიკა უკვე 2011 წელს რეალობადაა ქცეული და უკვე არის იმის მაგალითები, თუ როგორ ხორციელდება ექ-

სკურსიები კოსმოსში. კოსმოსური ზომადი, რომლითაც ოთხი მოსწავლე და მათი მასწავლებელი მარსზე მიფრინავენ, ფრიად საინტერესოა აღწერილი.

პიესის ავტორმა შესანიშნავად იცის ასტრონომია და ერკვევა კოსმონავტიკაში, რის გამოც პიესას უდიდესი როლი ენიჭება ახალგაზრდების ამ სფეროში განსწავლის საქმეში. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პიესის მკითხველისა ან მაყურებლისათვის პლანეტოიდი, რომელზედაც ვითომ ჩვენი გმირები დაეშენენ. იქ სიცოცხლე ჩქეფს და თან ველურები ცხოვრობენ. ნ. ბერიანიძე თავისი გონების თვალთ მიმზიდველად აღწერს პლანეტა მარსს და მისი ფანტასტიკა ნაწილობრივ იმ სინამდვილეს შეესაბამება, რაც უკვე მეცნიერებმა ზუსტად დაადგინეს. ახლო მომავალში დაგეგმილია სპეციალური ლაბორატორიის გაგზავნა მარსზე, რათა ის ყოველმხრივ შეისწავლოს.

პიესაში მრავლადაა გამოთქმული ფილოსოფიური მოსაზრებანი ადამიანის დანიშნულებასა და უკვდავებაზე.

მისამართი ბერლინში

პიესა „მისამართი ბერლინში“ მიძღვნილია მეორე მსოფლიო ომისადმი... პიესა დიდი მოცულობისაა და რვა მოქმედებისაგან შედგება. მისი გმირები არიან: გიორგი, გიგლა, ნატო, ოთარი, თამრო, ქეთინო, ელიზა, ნინო, შოთა, პეტრე, პაპუნა, მეზობლები. პიესას შეგნებულად არ მიმოვიხილავ, ვინაიდან ის ტენდენციურია და მსგავსი შინაარსის ნაწარმოებები მრავლადაა დაწერილი.

ამრიგად, ნიკოლოზ ბერიანიძე გახლდათ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი, რომელიც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ნაყოფიერ შრომას ეწეოდა როგორც პედაგოგი-ნოვატორი, ქართული ზმნის მკვლევარი

და გრამატიკის სახელმძღვანელოს ავტორი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბერიანიძემ, მრავალ სფეროში მოღვაწე პიროვნებად, ყველაზე მნიშვნელოვანი კვალი დრამატურგიაში დატოვა და იღებდა რა თავისი პიესებისა და კომედიების პროტოტიპებს მეჯვრისხევის ცხოვრების სინამდვილიდან, შექმნა შესანიშნავი გმირების გალერეა, რომელთაც უდავოდ შესწევთ უნარი შეიტანონ წვლილი ზნეობრივად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღზრდის საქმეში.

დამოწმებანი:

1. პიესები, საბლიტგამი, თბ., 1955.
2. რაზმაძე ბ., სოფელი მეჯვრისხევი, თბ., 2001.
3. რაზმაძე ბ., მეჯვრისხეველთა ფოლკლორი, თბ., 2005.

Badri Razmadze

Gori Teaching University, Associate Professor

THE DRAMA OF NIKOLOZ BERIANIDZE RESUME

Nikoloz Berianidze was born in the village of Mejvriskhevi in 1905 and died in 1992.

Nikoloz Berianidze was a very gifted person. He was very well-versed in the pedagogy, also in Georgian language and literature. Nikoloz Berianidze wrote Georgian Grammar textbook. At the same time N. Berianidze intensively worked in literature, wrote verses, poems and dramatic works.

In this theme we discuss N. Berianidze as a playwright. He wrote the following dramatic works: “Talk of the Signs”,

“Kind Grandfather”, “Address in Berlin”, “Mischievous Child”, “The Secret of the Sky”, “Kitesa’s Control”, “What does Alphabet Say”, “Broken Fence” and “The Fate of Kartli”.

In 1964 Nikoloz Berianidze’s comedy “Broken Fence” was staged in Gori Theatre. In 1955 “Sablitgam” published his two plays “Talk of the Signs” and “Kind Grandfather”.

Nikoloz Berianidze was a playwright, a director, an actor and invariable leader of drama team in Mejvriskhevi club for 46 years.

From N. Berianidze’s dramatic works I should focus on his fantasy play “The Secret of the Sky”. He dedicated this play to hundred year anniversary of human flight in space. Due to author’s great fantasy the action mostly is taking place in the sky in 2061.

This fantasy play is interesting in many ways. First of all, the writer dedicated fame anthem to the human for flying in the space and for overcoming all the resistances. N. Berianidze wrote the play in the 80-s of XIX century before the mobile phone was invented. He guesses that the scientists will soon make such technology and calls it “radio-TV”.

N. Berianidze is an optimistic person. In his opinion by 2061 there will be general well-being on the planet; the wars, weapons, hostility, feud and all the evil will be forgotten.

In this respect, we can make a parallel between Thomas More and Berianidze. While Thomas More makes an ideal life on the non-existing island “Utopia”, Berianidze looks farther and outlines general prosperity for the whole planet.

გიორგი სოსიაშვილი
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი

**აკად. ს. ჯანაშიას შიდა ქართლში მოღვაწეობის უცნობი
დეტალები (XX ს. I მეოთხედი)**

საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ მართლმადიდებლური ეკლესია მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლშევიკებმა არაერთი მოქმედი ტაძარი დახურეს. დაიწყო სასულიერო პირების დევნა. თუმცა, გასაბჭოებიდან მცირე ხნის შემდეგ მართლმადიდებლური მრევლის დაჟინებული თხოვნის შედეგად ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და არაერთ გაუქმებულ ტაძარში წირვა-ლოცვა კვლავ აღდგა (1: 56). სწორედ ამის შედეგად ამოქმედდა გორში სომხური გრიგორიანული ეკლესია 1924 წელს (3: 1). ეკლესიის ამოქმედების თხოვნით მიმართეს გორელმა მართლმადიდებლებმა „გორის აღმასკომის შინა სამმართველოს,” როგორც ჩანს, ხელისუფლებამ მათი თხოვნაც დააკმაყოფილა. 1923 წელს შედგა გორის საკათედრო ტაძრის რელიგიური საზოგადოების კრება, რომელმაც მიიღო წესდება და აირჩია სამრევლო საბჭო. კრების თავმჯდომარე იყო ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი (4: 63). იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ერთ-ერთ წერილიდან ირკვევა, რომ 1924 წელს გორში კათოლიკე ქრისტიანებსაც აღუდგინეს უფლებები, მათ გადაეცათ ეკლესია, სადაც პარტიული სკოლა იყო განთავსებული (5: 2). 1923 წელს გორის აღმასკომის ხელმძღვანელობამ სალოცავი დაუბრუნა სურამსა და ქარელში მცხოვრებ ებრაელებს (4: 7). ხელისუფლების ინიციატივით შეიქმნა სიძველეთა და ხე-

ლოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი, რომელმაც საქართველოში არსებულ ყველა სააზრო აღმასკომს, ასევე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის და აფხაზეთის ს.ს.რ სახალხო კომისართა საბჭოებს სპეციალური ინსტრუქცია დაუგზავნა. ეს იყო ე.წ. საიდუმლო ცირკულიარი. აღნიშნულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაუქმებული ეკლესიებიდან გამოტანილ ნივთები ადგილზე უნდა აღნუსხულიყო, ამ პროცესზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ადგილობრივ აღმასკომებს, რომლებსაც ნივთების დათვლა და კატეგორიზაცია, ამ საკითხის მკოდნე პირთა თანდასწრებით უნდა მოეხდინათ. ამაზე უნდა შედგენილიყო სათანადო აქტი და საეკლესიო ნივთების ნუსხები, აქტებთან ერთად უნდა გადაგზავნილიყო განათლების სახალხო კომისარიატში. ზემოთ აღნიშნულ კომიტეტში შედიოდნენ: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი და იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი. დოკუმენტში ვკითხულობთ: „საქ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში მოსულ ცნობებით ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით ადგილობრივ ბევრგან ისეთ სახუროთ-მოძღვრებო ძეგლს შეეხენ, რომელთაც დიდი სამეცნიერო საისტორიო მნიშვნელობა აქვთ.

რათა დაცულ იქნას ზემოთხსენებული განძები ისტორიისა და კულტურისათვის, თანახმად ს.კ. დადგენილებისა ა.წ. 21 მარტს დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების დაცვის საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც შედიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი და იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი. გაუწყებთ რა ზემოთხსენებულს, საგანგებო კომიტეტი წინადადებას გაძლევთ ეკლესია-მონასტრების გაუქმებისა და ჩამორთმევისას აუცილებლად იხელმძღვანელოთ შემდეგით:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთ-მოდღვრებო ძეგლი დაყოფილია სამ კატეგორიაზე:

ა) ძეგლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულან, მაგრამ წარწერებითა, არქიტექტურულ ფორმებით თუ სხვა რითმე დიდ სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენდნენ;

ბ) ძეგლები ძვირფას განძეულობითურთ, რომელნიც დღემდე ურყევად დგანან და სადაც წარმოებს, ან და უკანასკნელამდე წარმოებდა მღვდელ-მსახურება;

გ) ძეგლები, რომელნიც თავისთავად არავითარ სახუროთ-მოდღვრებო ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ დღემდე დამცველნი არიან ძვირფას განძეულობათა;

ზემოთხსენებულ ძეგლთაგან პირველი ორი კატეგორიის სათანადოდ აღნუსხული, შენახული და დაცული უნდა იქნას ისტორიისა და კულტურისათვის და მამასადამე, არავითარი შეკეობა, გაკეთება ან სხვა რაიმე მიზნისათვის მათი გამოყენება სასტიკად აკრძალულია. რაც შეეხება თვით ძეგლებში დაცულ განძებს, ისიც სამგვარი კატეგორიაა:

ა) ჭედვითი ხელოვნების კოლექციები: ხატები, ჯვრები და სხვა.

ბ) ქსოვით ხელოვნების ნივთები;

გ) სხვადასხვა შინაარსის ძველი ხელნაწერები. პირველ ორ კატეგორიის განძეულობა ღირებულებით ორ ნაწილად იყოფა:

ა) ისტორიულ-მხატვრულ მნიშვნელობის ძვირფასი ნახელავი, იშვიათის თვლებით, ქვებითა და წარწერებით შემკული.

ბ) განძეულობა, რომელიც მხოლოდ ნივთიერ ღირებულებას წარმოადგენს. გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში თავდაპირველად საჭირო და აუცილებელია ყველა განძის აღნუსხვა დამოუკიდებლად ამა თუ იმ ღირებულებისა.

აღნუსხვას აწარმოებენ ადგილობრივი ადმასკომის პასუხისმგებელი თანამშრომელი მცოდნე პირთა თანდასწრებით. ყველა ნივთი მესამე კატეგორიის ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული თუ იგი გაუქმდა, დაუყოვნებლივ გატანილ უნდა იქმნას სათანადო აქტის შედგენით. მეორე კატეგორიის იმ ეკლესია-მონასტრებში, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილნი არიან ცეცხლისა და ხიფათისაგან, ასე უნდა მოხდეს რესპუბლიკის სიმდიდრეთა პირველი რეგისტრაცია, რომელსაც მოჰყვება მეორე ნაბიჯის გადადგმა, სახელდობრ: მთელს რესპუბლიკაში სათანადო პუნქტების ამორჩევა, სადაც დაარსებული იქნება საისტორიო მუზეუმები. ამიტომ დროებით სანამ საიმისოდ სათანადო კომისიები შესდგებოდეს, რომელნიც თითოეულ ნივთის შესაფერის ღირებულებას გამოარკვევენ და დაადგენენ, თუ რომელი მეორე კატეგორიაში მოქცეულ ძეგლთაგანი უნდა გადაკეთდეს მუზეუმად, ყველა აღნუსხული ნივთის მოვლა პატრონობა ევალება ადგილობრივ ადმასკომის მიერ დანიშნულ პირთ-ადმასკომისა და პირველთა ურთიერთის პასუხისმგებლობით. განძთა ნუსხისა და აქტის ერთი ცალი გამოგზავნილ უნდა იქნას განათლების სახალხო კომისარიატში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტისათვის (6)

შიდა ქართლში არსებული ტაძრების და საეკლესიო ქონების გადარჩენის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა სიმონ ჯანაშიამ, ხელისუფლების დავალებით იგი სრულიად ახალგაზრდა ჩაერთო სიძველეთა შესწავლის საქმეში. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტმა გორის მაზრის ეკლესია-მონასტრების შესასწავლად სპეციალური ექსპერტები გამოჰყო. კომიტეტის ერთ-ერთ ლოკუმენტში აღნიშნულია: “კომიტეტი ამასთანავე წარმოავლენს მეცნიერ-ექსპერტებს: პროფ. აკაკი შანიძეს და ასისტენტს სიმონ ჯანაშიას. და გაუწყებთ აუცილებელივ შესასრულებლად შემდეგს:

1) მეცნიერ-ექსპერტის ხელმძღვანელობით და თქვენ მიერ დანიშნულ პირთა მონაწილეობით უნდა მოხდეს რწმუნებულ თქვენდამი მაზრის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა აღწერა.

2) მეცნიერ-ექსპერტმა უნდა გამოარკვიოს რომელ სიძველეს აქვს საისტორიო-სამეცნიერო მნიშვნელობა და რომელი მათგანია მარტოოდენ ნივთიერ ღირებულების

3) ექსპერტმავე უნდა დაასახელოს 23 აპრილს გამოგზავნილ ცირკულიართან დართულ სიის ფარგლებში და მის გარეშე, რომელი საარქიტექტურო ძეგლთაგანი დაცულ უნდა იქნას ისტორიისა და კულტურისათვის და, კერძოდ, რომელ მათგანში უნდა მოთავსდეს საისტორიო მუზეუმი.

4) აღნუსხული ნივთები გადატანილ უნდა იქნას ხაზინაში, ანდა დაცულ იქნას იმ ეკლესია-მონასტერში, რომელიც დაინიშნება მუზეუმად და რომელიც ამასთანავე უზრუნველყოფილია ცეცხლისა და სხვა ხიფათისაგან.

5) ხელნაწერები უკლებლივ და ის ძველი ნივთები, რომელთა დატოვება ადგილობრივ არაა საჭირო გადმოგზავნილ უნდა იქნას ტფილისს.

6) სიძველეთა სიები და ოქმები უნდა წარმოეგზავნოს საგანგებო კომიტეტს საბოლოო დასამტკიცებლად.

7) სიძველეთა დაცვის მთელი პასუხისმგებლობა ევალება აღმასკომს და საგანგებო კომიტეტის მიერ საბოლოო დასტურის გამოტანამდე რომელიმე მათგანის დანიშნულებისათვის გამოყენება სასტიკად აკრძალულია” (7). კომიტეტის მიერ მეცნიერ-ექსპერტად გამოყოფილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აკაკი შანიძე, აქტიურად იყო ჩართული ასევე 1922 წელს შექმნილ კომისიაშიც, რომელსაც ევალებოდა საქართველოდან გატანილი სამუზეუმო და საარქივო კოლექციების შესწავლა. ეს კომისია შეიქმნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისარიატისა და ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით. აღ-

ნიშნულ კომისიაში შედიოდნენ: ნ. მარი, ს. ოლდენბურგი, ვ. ბარტოლდი, ი. მარი, მ. პოკროვსკი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე (2: 130). კომისია მოქმედებდა სსრკ ცაკის პრეზიდიუმის 1922 წლის 20 ივნისის დადგენილებით, რომლის მიხედვით საქართველოს გადაეცა რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილი სამუხეუმო და საარქივო კოლექციები (2: 130). შიდა ქართლის სიძველეთა შესწავლის საქმეში ს. ჯანაშია ა. შანიძის აისტენტად იყო დანიშნული, თუმცა, როგორც ჩანს ა. შანიძის მოუცლევლობის გამო, მთელის ეს სამუშაო ს. ჯანაშიამ შეასრულა. მცირე ხანში იგი კომიტეტის რწმუნებულად დაინიშნა. ახალგაზრდა ისტორიკოსმა გორის მაზრის ტერიტორიაზე არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლები საგანგებოდ შეისწავლა და გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს მოხსენებითი ბარათით მიმართა, რომელშიც გორის მაზრის ტერიტორიაზე არსებული არაერთი ტაძრისათვის, როგორც დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლისათვის ხელისუფლებისაგან საგანგებო ყურადღების მიქცევის საკითხი დააყენა, დოკუმენტში ვკითხულობთ: „გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულის სიმონ ჯანაშიასაგან. თანახმად შემოსენებულ კომიტეტის თქვენდამი ა. წლის მაისის 17-ის მომართვისა №132/8595, მაქვს პატივი მოგახსენოთ უწყებისა და შესრულებისათვის შემდეგი: 1) თქვენდამი რწმუნებული მაზრის ქვემოხსენებული ეკლესიები: ტყვიავის თემში – ერგნეთისა, შინდისის თემში – ნიქოზისა, დირბის თემში – არადეთისა, ბრეთისა, სალოლაშენისა და წვერისა, გომის თემში – ვაყის გრიგორიანთა და ნაბახტევისა, რუისის თემში – რუისისა და ურბნისისა, საციხურის თემში – ატოცისა, ხიდისთავის თემში – ხიდისთავისა და ატენისა (დიდი სიონი და სხვა პატარები), ახალქალაქის თემში ახალქალაქის (გრიგორითა და მართლმადიდებელთა), ხოვლესი, ყარაღაჯი-

სა, მეტეხისა, ერთაწმინდისა და რკონისა, კავთისხევის თემში – ნიჩბისისა, ქვათახევის, წინარეხისა და ლავრისა, მეჯვრისხევის თემში – მეჯვრისხევისა, სურამის თემში იტრიისა, ქარელის თემში – სარკისა და ყინცვისისა, ხცისის თემში – წრომისა, ხაშურის თემში – ჭალისა და ქვემო ჭალის თემში – სამთავისისა, ქვ. ჭალის ღვთისმშობლის მიძინებისა და ქვ. ჭალის ჯვარი-პატიოსნისა – წარმოადგენენ მაღალ ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლებს ძველი ქართული ხელოვნებისა და მათი (ე.ი. შენობების) რაიმე გარეშე მიზნისათვის გამოყენება ყოვლად დაუშვებელია. 2) ასეთივე მნიშვნელობისა არის და ასევე დაცული უნდა იქნას საერო ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ძეგლი, როგორც მაგალითად, ე.წ. მარშლიანთ სახლი (თარხნიშვილებისა) დ. ახალქალაქში. 3) იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საეკლესიო და საერო შენობები ჩამორთმეულია მათი წინანდელი მფლობელებისაგან (საეკლესიო მთავრობის თუ კერძო პირებისაგან), მათთვის ყურისგდება და მათი დაცვის მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაევალოს ადგილობრივ აღმასკომებს. 4) ზოგიერთ დაკეტილ ეკლესიაში დაცულია ან და ადგილობრივ აღმასკომში ინახება ისეთი საისტორიო-სამეცნიერო ღირებულების ნივთი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადმოტანილ იქმნან თქვენი განკარგულებით გორის ხაზინაში დასაცავად იმ დრომდის, სანამ მათს შემდგომს ბედს გადასწყვეტდეს საგანგებო კომიტეტი. 5) რუისის, ურბნისის, ნიქოზის, არბოს, ერგნეთის, მეტეხის, სამთავისის, ქვემო ჭალის ღვთისმშობლის მიძინების, ქვ. ჭალის ჯვარის პატიოსნის, ერთაწმინდის, ატოცის, გორის გრიგორიანთა, წმ. სტეფანეს და გორის მართლმადიდებელ ოქონის ეკლესიებში დაცულია უძვირფასესი საისტორიო და სამეცნიერო მნიშვნელობის ნივთიულობა, რომელიც ადგილობრივ უნდა იქნეს დატოვებული საგანგებო კომიტეტის სპეციალურ განკარგულებამდის. 6) დანარჩენ ნივთების დაცვის მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაევალოს ხელისუფ-

ლების ადგილობრივ ორგანოებს. 7) საკითხს ადგილობრივი მუზეუმების მოწყობის შესახებ განიხილავს საგანგებო კომიტეტი. 8) ამასთანავე გაუწყებთ, რომ ზემოაღნიშნულ ეკლესიებიდან საგანგებო კომიტეტის დავალებით და მისთვისვე გადასაცემად გატანილია ჩემ მიერ სათანადო ხელწერილთა ჩაბარებით: ა) ახალქალაქის გრიგორიანთა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან — ორი სომხური ხელნაწერი. ბ) ქარელის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან ერთი ქართული ხელნაწერი, გ) რუისის ტაძრიდან-ერთი ქართული ხელნაწერი, დ) მეტეხის ეკლესიიდან — ერთი ქართული ხელნაწერი და პატარა გატეხილი ხის ჯვარი ვერცხლით მოჭედილი, ე) სამთავისის ეკლესიიდან — სამი ქართული ხელნაწერი, ვ) გორის გრიგორიანთა წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესიიდან 8 (რვა) სომხური ხელნაწერი და ერთი ც სომხური ძველნაბეჭდი წიგნი. 9) დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია მოგახსენოთ შემდეგი: სოფ. ბრეთის ეკლესიაში ინახებოდა ტყავზე ნაწერი ქართ. სახარება, ვერცხლით შემოსილი და ასეთივე სახარება ინახებოდა სოფ. სალოლაშენის ეკლესიაში. მე ეს სახარებები ვერ ვიპოვე. პირველის შესახებ სოფ. ბრეთის ღვდელმა ეხლა უკვე ანაფორა გახდილმა, განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინად, როდესაც მან ბრეთის ეკლესიის ქონება ჩააბარა სოფ. სალოლაშენის ღვდელს, ასეთი ხელნაწერი ბრეთის ეკლესიაში ინახებოდა. მიუხედავად ამისა, სალოლაშენის ღვდელმა ჩემს დაკითხვაზე განაცხადა, რომ არც ერთი ხელნაწერის შესახებ მან არაფერი არ იცის. ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვ აღმასკომს სასტიკი გამოძიება დანიშნოს ამ საქმეზე, რათა ხსენებულ ეკლესიების საინვენტარო წიგნების გასინჯვითა და სხვა საშუალებით აღმოჩენილი იქმნან ეს ორი ძვირფასი ძეგლი ქართული მწერლობისა. ყოველივე ზემოთხსენებულის შესრულების შესახებ გთხოვთ, უახლოეს დროში აცნობთ

საგანგებო კომიტეტს (ტფილისში, განათლების კომისარიატის მისამართით).

ს.ს.ს. რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებული ს. ჯანაშია, ქ. გორი, ივნისის 11, 1923 წელი (8: 44-45).

ბოლშევიკების მიერ ეკლესიებიდან გამოტანილი ნივთები ინახებოდა ჯერ ხაზინაში, ხოლო შემდეგ ადგილობრივი აღმასკომის წარმომადგენლის მიერ ბარდებოდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტს. ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გორის არქივში მიკვლეული კიდევ ერთი დოკუმენტის საფუძველზე, ეს არის საეკლესიო ნივთების გადაბარების აქტი.

“1923 წ. 27 ოქტომბერს ჩვენ ქვემოთ ამაზედ ხელის მომწერელნი ერთის მხრივ საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულ სიმონ ჯანაშია და მეორეს მხრით გორის სამაზრო აღმასკომის რწმუნებულ არტამ მარუტოვი ვარდგენთ ამ აქტს შემდეგზე:

1. თანახმად საქართველოს ხელოვნებისა და სიძველეთა ძეგლთა დაცვის კომიტეტის მოწერილობისა ამა წლის 13 ოქტომბრიდან № 340/18949 მე აღმასკომის რწმუნებულმა ა. მარუტოვმა ჩაგაბარეთ თქვენ კომიტეტის რწმუნებულს ს. ჯანაშიას გორის ხაზინაში დაცულ ისტორიულ მნიშვნელობის საეკლესიო ნივთები ხსენებულ კომიტეტისათვის გადასაცემად.
2. ხსენებულ ნივთებს შეუყენეთ სათანადო სია, რაზედაც ხელს ვაწერთ.

დოკუმენტს აქვს ს. ჯანაშიას და ა. მარუტოვის ხელმოწერა. ასევე ახლავს საეკლესიო ნივთების სია:

“სია საისტორიო-სამეცნიერო ღირებულების ნივთებისა, რომლებიც გადაეცა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულ სიმონ ჯანაშიას თანახმად აქტისა.

1. ღვთისმშობლის ხატი დიდი ტანისა, ქვათახევის მონასტრიდან;
2. წმ. თევდორეს ვერცხლის ხატი, ახალქალაქის წმ. თევდორეს ეკლესია;
3. ღვთისმშობლის ხატი ქართული წარწერით;
4. ფიცარი ნაწილებიანი, ჩხეიძეების წარწერით, იტრიის ეკლესია;
5. ღვთისმშობლის ხატი, იტრიის ეკლესია;
6. ღუგუბი ქალის სარტყლისა;
7. წმ. ნიკოლოზის დიდი ტანის ხატი, ვერცხლის წარწერით, ქარელის ღვთისმშობლის ეკლესია;
8. წმ. ნიკოლოზის პატარა ტანის ხატი, ქარელის ღვთისმშობლის ეკლესია;
9. ჩვილ ღვთისმშობლის ხატი, პატარა ტანისა, ქარელის ღვთისმშობლის ეკლესია;
10. ვერცხლით მოჭედილი ნაწილებიანი ფიცარი, ქარელის ღვთისმშობლის ეკლესია;
11. ნაწილებიანი ფიცარი ვერცხლით მოჭედილი, დირბის თემიდან;
12. მიქელ მთავარანგელოზის ვერცხლის ხატი, დირბის თემიდან;
13. მაცხოვრის დიდი ხატი ვერცხლის, დირბის თემიდან;
14. ჩვილ ღვთისმშობლის ხატი ვერცხლისა, დირბის თემიდან;
15. ვერცხლის ჯვარი დიდი ზომისა, დირბის თემიდან;
16. პატარა ვერცხლის ჯვარი დირბის თემიდან;
17. მაცხოვრის დიდი ზომის ხატი ვერცხლისა, დირბის თემიდან;
18. წმ. გიორგის ხატი ვერცხლისა, დირბის თემიდან;
19. წმ. საბას ხატი ვერცხლზე ნაჭედი დირბის თემიდან;
20. ხის მკლავი ვერცხლგადაკრული, დირბის თემიდან;

21. ხატზე აცლილი ვერცხლი, პგ. 7სმ, ღირბის თემიდან;
22. ჯვარზე აცლილი ვერცხლი 90 მისხ. ღირბის თემიდან;
23. ფეშხუმი ვერცხლისა რუს. წარწერით ქვათახევის მონასტრიდან, ქვათახევის მონასტრიდან, ბატონიშვილის სვიმ. წარწერით ქვათახევის მონასტრიდან;
24. ჯვარი ვერცხლისა არქიმანდრიტ ტარასისა, ქვათახევის მონასტრიდან;
25. ქართული სახარება ტყავზე ნაწერი, ღირბის ეკლესიიდან;
26. ორი სომხური ხელნაწერი სახარება გორის სომეხთა ეკლესიიდან;

ჩავაბარე სამაზრო არმასკომის რწმუნებული ა. მარტიროვი;

მივიღე კომიტეტის რწმინებული: ს. ჯანაშია;
ოქტომბრის 27, 1927 წელი (9).

ერთ-ერთი დოკუმენტით რომელსაც ხელს აწერს შინა მმართველობის განყოფილების გამგე ს. ცხოვრებაშვილი, ირკვევა, რომ ვიდრე აღნიშნული ნივთები და სიწმინდეები საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტს გადაეცემოდა, ინახებოდა გორის საზინაში განსაკუთრებულ რკინის სალაროში (10). ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია გორის მაზრაში შემავალი ეკლესია-მონასტრებში დაცული ისტორიული მნიშვნელობის საეკლესიო ნივთების მცირე ჩამონათვალი. ხოლო რა ბედი ეწია სხვა დანარჩენს ეს ჯერჯერობით უცნობია.

დამოწმებანი:

1. სოსიაშვილი გ., დიცის ისტორია, თბ., 2010.
2. ფუტკარაძე ტ., ვაშაკიძე ი., ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმა 1917-1935 წლებში, თბ., 2011.

3. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი № 3, ანაწერი 1, საქ. 363.
4. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი № 3, ანაწერი 1, საქ. 335.
5. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი № 3, ანაწერი 1, საქ. 52.
6. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი № 3, ანაწერი 1, საქ. 27.
7. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი № 3, ანაწერი 1, საქ. 180.
8. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი 3, ანაწერი 1, № 37.
9. გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 3, № 26, აღწერა, № 1 დოკ. № 416.
10. გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 3, № 27, აღწერა, № 1, დოკ. № 20.

Giorgi Sosiashvili

Gori Teaching University, Full Professor

**UNKNOWN DETAILS FROM THE RESEARCH BY THE
ACAD. S. JANASHIA MADE IN SHIDA KARTLI REGION
(XX C. I QUARTER)
RESUME**

Victory of Bolshevism was fulfilled by closing monasteries in Georgia. Government discredited ecclesiastics, their properties were described and given to the Treasury.

An unknown letter by the Georgian historian S. Janashia is stored in Gori archive, retelling that as a result of his attempts he saved several Georgian monuments from the “red” terror.

*იოსებ (სოსო) აღიშპარაშვილი
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესორი
ა(ა)იპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი*

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობი დეტალები

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში 1815 წელს აზნაურ კონსტანტინე მელვინეთხუცესიშვილისა და ანა წინამძღვრიშვილის ოჯახში.

მელვინეთხუცესის სახელი საქართველოს სამეფო კარზე ჯერ კიდევ თამარის პერიოდიდან ჩანს. XIV საუკუნის ძეგლის „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მის მოვალეობას შეადგენდა ღვინის გადასახადის აკრეფა, ზვრების დამუშავებისას თვალყურის დევნება და სხვ. მელვინეთხუცესს სასყიდელიც ეძლეოდა „თითო ჭური ღვინო ზვარზე“ (18: 321-322). იოანე ბაგრატიონის ცნობით, ეს გვარი ვახტანგ V შაჰ-ნავაზის დროიდან იხსენიება და კათალიკოსის აზნაურები ყოფილან საციციანოში (2: 54).

დიმიტრის პაპა – თომა მელვინეთხუცესიშვილი ერეკლე II-სთან დაახლოებული პირი იყო და მემანდარბაშის თანამდებობა ეკავა (14: 567). 1793 წლის საბუთით იგი ციციშვილების სახლთხუცესიცაა (14: 200).

ერეკლემ ერთგულ მოხელეს დამსახურება არ დაუკარგა და 1787 წელს ხიდისთავში 50 დღიური მიწა უბოძა (8: 214).

დიმიტრის დედის – ანა წინამძღვრიშვილის მამა - დეკანოზი იოსები იყო ძმა ილია წინამძღვრიშვილისა, რომლის ინიციატივით დაარსდა სკოლა სოფ. წინამძღვრიანთკარში.

დიმიტრის მშობლები შვილის საღვთისმსახურო კარიერაზე ოცნებობდნენ, მაგრამ მას სამხედრო განათლება მიუღია და შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში, ჩრდ. კავკასიაში – დარგოს ოპერაციაში თავიც გამოუჩენია, რისთვისაც ხელისუფლებას სტანისლავსკის სახელობის ორდენით დაუჯილდოვებია (4: 103). ამ ოპერაციას მან ორი ნაშრომი მიუძღვნა: „ანდიისა და დარღოს პახოდი 1845 წლისა“ და „მოგონება ანუ ლაშქრობა პირისპირ იმამი შამილისა 1845 წელსა“.

მოგვიანებით დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილმა იურიდიული განათლებაც მიიღო და გორის სასამართლო კანცელარიაში დაიწყო მუშაობა. მისი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა XIX ს-ის 40-იანი წლებიდან იწყება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა ცნობილ ფრანგ ქართველოლოგთან, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ – მარი ბროსესთან სიახლოვემ. სავარაუდოდ, ფრანგ მეცნიერს დიმიტრი მისმა სიძემ (დის ქმარმა), გენერალ-მაიორმა იოსებ მამაცაშვილმა შეახვედრა, რომელიც ბროსეს კარგად იცნობდა.

1848 წლის 30 მარტს გიორგი ერისთავის, იოსებ მამაცაშვილისა და დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის ინიციატივით მარი ბროსე მოუწვევიათ გორში, გორის „უეზდის“ კეთილშობილს საზოგადოებასთან შესახვედრად. ოფიციალური ნაწილის შემდეგ ფრანგი მეცნიერის საპატივსაცემოდ სადილი გაუმართავეთ, რომელსაც 66 თავადაზნაური და რუსი ჩინოვნიკი დასწრებია. თამადა ყოფილა გიორგი ერისთავი. ამ შეხვედრას დიმიტრი მელვინეთუხუცესმა მოგვიანებით სტატიაც მიუძღვნა „ცისკარში“ (9: 281-283).

დიმიტრი თან ახლდა მარი ბროსეს გორის რაიონის ისტორიულ ძეგლთა დათვალიერებისას, ხოლო ფრანგი ქართველოლოგის პეტერბურგში წასვლის შემდეგ ეს საქმიანობა დამოუკიდებლად გააგრძელა.

მარი ბროსეს რეკომენდაციით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ კავკასიის მეფისნაცვალ – მიხეილ ვორონცოვის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა დიმიტრი მეღვინეთხუცისშვილს არქეოლოგიური მოგზაურობის გაგრძელების ნებართვა მიეღო. გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ, სექტემბერში მოგზაურობისა და კვლევითი მუშაობის ჩატარების შესახებ გუბერნატორისაგან ნებართვა მიღებულ იქნა და მარი ბროსემ დიმიტრის სპეციალური მარშრუტი შეუდგინა შემდგომი მუშაობის წარმართვისათვის.

მოგზაურობა 16 სექტემბერს დაწყებულა და მეღვინეთხუცისშვილს მოუვლია მთელი საციციანო: ყინწვისი, წრომი, სარკის წმ. გიორგი, წვიმოეთის ნათლისმცემელი, მძოვრეთის ციხე, კიმოთესუბანი, დაბისა და სადგერის ეკლესიები. იტრია, ატოცი, ოქონა, თიღვა, ერკნეთი, დირბი, არადეთი, ბრეთი და სხვ.

პირველივე მოგზაურობა ძალზე ნაყოფიერი გამომდგარა და დიმიტრის ხელში ჩავარდნია: „შემოკლებითი მოთხრობა საქართველოს თავადთა და აზნაურთა თუ რომელ მეფეთაგან აღყვანებულ არიან ესე ვითართა ღირსებათა ზედა, ოდეს და ვინ სიღით მოსრულან საქართველოსა შინა და რომელნი ყოფილან მათგანნი სახელოვანნი და განდიდებულნი აზოვანებითა მიერ თჳსთა და ვითარ შთამოდიან მამრობითს სქესით მათგან აწმყონი გვარნი მათნი“ და „მეფე ერეკლეს წიგნი მოწერილი ბატონიშვილობაში ინდოეთიდან, ოდეს ნადირშაჰი იბრძოდა აქ“. დღეისათვის ორივე ეს ძეგლი ინახება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში.

მოგზაურობა მეღვინეთუხუცესიშვილს საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებოდა, მაგრამ კვლევისა და საქმის კეთების სურვილს იგი ვერ შეუდრეკია. ქართლში მოგზაურობის შემდეგ იგი ბროსეს წერს: „ისეთ ავღარში მომიხდა სიარული, როგორც შეგვემთხვა ჩუ ნ გორიდან რომ გავედით. რამდენს ადგილს გადაუდებელმა წვიმამ დამამწყვდია და ვიჯექი გაწუწული ცეცხლის პირს თრთოლით, მაგრამ, რადგანაც ესრეთი დაწყება საქმისა ბოლოს კეთილსა მოასწავებს, ამ აზრათ, არა ვწუხნდი აგრე რიგადო” (16: 7).

როგორც კი ამინდები გამოსულა, დიმიტრის მოგზაურობა გაუგრძელებია და უნახავს ბრეთის მონასტერი და უსანეთის ციხე. სოფელ ჭალაში (ქვემოჭალა) ბარძიმ ამილახვარს მისთვის უჩვენებია ამილახვართა საგვარეულო ხატები და სამთავისის დიდი ჯვარი. სამთავისის აღწერისა და შესწავლის შემდეგ მეცნიერს თათე მამებელის უდაბნოს ნახვის სურვილიც ჰქონია, მაგრამ კვლავ გაავდრებულა და ვეღარ მოუხერხებია. აშურიანის უდაბნოში მისთვის უჩვენებიათ ბერების სადგომი და ეკლესია, მაგრამ ხურვალეთის შემდეგ გზა ვეღარ გაუგრძელებია გზებზე ოსი აბრაგების თავდასხმების საშიშროების გამო. როგორც თვითონ წერს: „აზნაური დავით მაღალოვი და ექვსნი თოფ-იარაღიანი კაცნი გამომყვნენ, რადგან ოსების შიში იყო, რომელნიც რაზბოინიკობდნენ “-ო.

სამწუხაროდ, დიმიტრის მარი ბროსეს რეკომენდაციით ვორონცოვის მიერ კვლევებისათვის გამოყოფილი 200 მანეთი მალე გამოლევია და იძულებული გამხდარა გორში დაბრუნებულიყო. უსახსრობით ხელფეხშეკრული და საქმის კეთების სურვილით გულანთებული ახალგაზრდა ძალიან წუხდა უმოქმედობას და წერდა: „მე მსურს რაც საქართველოში ძველი ეკლესიაა, თუ მონასტერი, ჯვარი, ხატი და რაზეც ძველი წარწერილობაა, ყველა აღვწერო თვითოეულად და წარწერებაც ეგრეთ გადმოვიღო ...მე ჩემს თავს და შრომას

არ დავზოგავ, მაგრამ ღონისძიება არა მაქვს, როგორც აქამდე ვიარე საკუთარის ჩემის ხარჯით, კიდევ ისე ვიარო უცნობსა და შორს ალაგებში“-ო.

ამ მოგზაურობის შემდეგ მელვინეთუხუცესიშვილს „მეფის ირაკლის ცხოვრების“ დაწერა დაუწყია და ნანახი ეკლესიების აღწერილობები, ქართველ თავად-აზნაურთა შთამომავლობა და ეტრატზე ნაწერი ერისთავების გვარის ისტორია ბროსესათვის გაუგზავნია პეტერბურგში.

ღიმიტრის პირველივე ნაშრომს მარი ბროსე აღტაცებაში მოუყვანია. იგი ახალგაზრდა მეცნიერს სწერდა: „თქვენ კარგი მოყმე ჭაბუკი ბრძანდებით, მეცნიერება და მამული გიყვართ, სახელი გექნებათ ამისთანა ძიებების გამო“ (4: 103).

მელვინეთუხუცესიშვილისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მარი ბროსეს პეტერბურგში ისტორიულ-ფილოლოგიური სექციის სხდომაზე მოხსენება წაუკითხავს, რასაც დიდი ინტერესი გამოუწვევია და ღიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი 1849 წელს ამ სამეცნიერო მოხსენებისათვის სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო სიგელით დაუჯილდოვებიათ.

წარმატებამ ახალგაზრდა მეცნიერს ფრთები შეასხა. იგი ბროსეს სთხოვდა, შუამდგომლობა გაეწია შესაბამის პირებთან, რათა მოგზაურობის ნებართვა დროულად მიეღო და დაწყებული საქმე არ შეფერხებულყო: „ვითხოვ მიშუამავლთ, დამერთვას ნება კიდევ ვიარო ექვს თვეს აპრილიდგან. უეჭველია, რომ ბევრს კარგ ანბებს ვიშოვნო ამ წიგნებისათვის და ზოგიერთ სასიამოვნო პრედანიებს, ისე მოთხრობას ხალხთა შიგა და შიგ სხოლიობებში ჩაუმატებ“, ნათქვამია 1848 წლის 28 დეკემბერს გაგზავნილ წერილში (16: 9).

როგორც მომდევნო წერილებიდან ირკვევა, მარი ბროსე მელვინეთუხუცესიშვილს სთხოვდა სამთავისის ტაძარში ხელმეორედ მისვლას, იქ ორი წარწერის ამოკითხვას და აშური-

ანში ილარიონ სამთავნელის ლავრის ნახვას. ბროსეს სურვილი ჰქონია, მეღვინეთუხუცესიშვილს ახალციხის საფაშოსა და სომხეთში ემოგზაურა, ასევე გამგზავრებულიყო ათონის მთაზე.

1849 წელსვე დიმიტრი სთხოვს ფრანგ მეცნიერს, რათა შუამდგომლობა გაუწიოს მისივე (ბროსეს) მეგობარ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელ ლელთან, კანცელარიაში მცირე მწერლად გადაყვანის მიზნით. „აქ დრო მექნება ვისწავლო ფრანციცული და თათრული. ეს ორივე ჩემთვის ფრიად საჭირო არს, იქავ ხშირად მექნება შემთხვევა კარგის წიგნების კითხვისაო“, სწერს უფროს მეგობარს დიმიტრი (16: 12).

1849 წელსვე მეღვინეთუხუცესიშვილს გაუშიფრავს და შეუსწავლია წვიმოეთის, კიძოთესუბნის, თიღვისა და ვერის ღვთისმშობლის წარწერები.

კვლევა-ძიების პარალელურად, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაც უხდებოდა, რაც მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო. ამას ემატებოდა ის ფაქტი, რომ დაფინანსებას ხშირად დროულად ვერ იღებდა და მოგზაურობა საკუთარი ხარჯით უხდებოდა: „მე ვერ მოვიცალე რო აქამდე მომერთმია ესენი“, სწერდა იგი ბროსეს 1849 წლის 27 დეკემბერს: „რადგან გუბერნატორს ველოდით რევიზიისათვის, დრო არა მქონდა, სუდიის საქმეებს გამზადებდი. ახლა ამ დღესასწაულში ძლივს შევასრულე ...ნამესტნიკმა ინება და მისწერა ხაზინის პალატას მომეცეს მე ოცი თუმანი პროგონის ფული და ჩემის ჩინის მიხედვით დღეში 45 კობ. თეთრი ფული ჯამაგირის გარდა ...ეს ფული ჯერ არ მიმიღია. აქამდინაც ჩემის მარტო მცირე ჯამაგირით დავდიოდით“ (16: 14-15).

1850 წელს მეღვინეთუხუცესს იმერეთში დაუწყია მოგზაურობა და მოუვლია: საჩინო, ოდიში, სადადიანო, შორაპნისა და რაჭის მაზრები და იმავე წლის ივლისში ახალციხეში

გამგზავრებულია, მაგრამ გზაში გაცივებულია და იძულებული გამხდარა გორში დაბრუნებულიყო. წლის ბოლომდე იგი თბილისშია და ქართული თეატრისა და „ცისკრის“ გამოცემითაა დაკავებული გიორგი ერისთავთან ერთად.

1852 წლის აგვისტოში იგი უფლისციხეში მიემგზავრება კავკასიის იმდროინდელ მეფისნაცვალ – მიხეილ ვორონცოვთან, გრაფ სოლოგუფთან, დოქტორ ანდრეევსკისთან და სხვა მაღალი დონის ჩინოვნიკებთან ერთად და დაფინანსების მიღებისთანავე უფლისციხის არქეოლოგიურ გათხრებს იწყებს, თან დეტალურ ანგარიშს აცნობს მარი ბროსეს, მაგრამ მალე ვორონცოვი პეტერბურგს გაიწვიეს და გათხრებიც შეჩერებულია.

სამწუხაროდ, დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის მიერ უფლისციხის გათხრების მასალები დაკარგულია. მის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას მხოლოდ გაზეთ „კავკაზში“ (1852 წ. №43; №66, №70) დაბეჭდილი მოკლე ანგარიშები გვიქმნის. ამ ანგარიშების მიხედვით ვიგებთ, რომ მას შესასწავლი ნაგებობების გეგმა გაუკეთებია. თავდაპირველად გაუთხრია დიდი დარბაზი დაახლოებით ოთხი მეტრის სიგრძეზე, სადაც აღმოჩენილა სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. დიდი დარბაზის გვერდზე უნახავს დიდი ქვევრები და გაუთხრია რამდენიმე სამარხი. იგი აზრს გამოთქვამდა, რომ დიდი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარჩინებული პირის სასახლეს წარმოადგენდა.

დიმიტრი სამსახურებრივი მოვალეობის დროსაც არ კარგავდა დროს უქმად. 1859 წელს იგი დაკავებული ყოფილა გორის მაზრის ხიდისთავის უბანზე საბატონო გლეხების (ყმების) აღწერით. სოფელ კავთისხევში მისთვის უჩვენებიათ მიცვალებულის აკლდამა ძვირფასი სამარხეული ინვენტარით. აკლდამის აღწერილობას იგი მარი ბროსეს უგზავნის, მაგრამ, უსახსრობის გამო, სამარხეული ინვენტარის შეძენას ვერ ახერხებს.

1874 წელს იგი ბროსეს სთხოვს დაეხმაროს უკვე დასრულებული საქართველოს შესახებ გამოკვლევისა და უფლისციხის ჩანახატების გამოცემაში, მით უფრო, რომ ამავე წელს იგი სრულიად უშუშეგარი დარჩენილა: „მერწმუნეთ მე ძვირად მიღირს ჩემი მოგზაურობა, ვალიც დავიდე, ოღონდ აკადემიისა და თქვენი სურვილი შემესრულებინა. ამგვარ შემთხვევაში თქვენ კარგად მოგეხსენება ოცი თუმანი მე არ მეყოფოდა თუ ჩემიც არ მომეხმარებინა. მე დავრჩი შტატ გარეთ, ვცხოვრობ სოფელში არა უქმად და სამსახური აღარა მსურს თავისუფალი ცხოვრების მეტი ჩემს სახლში, გორის ახლო“ (იგულისხმება სოფ. ხიდისთავი – ი.ა.).

როგორც ჩანს, დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის შემოქმედებითი, ენერგიული და მოაზროვნე ბუნება-ხასიათი კანცელარიის მონოტონურ, სკრუპულოზურ და უინტერესო საქმეს ვერ შეეგუა და საჯარო სამსახურზე უარი თქვა. ამის შემდეგ დიმიტრის დიდხანს აღარ უცოცხლია და 1878 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა.

დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს სიძველეთა აღმოჩენა-გადარჩენის თვალსაზრისით. მისი დამსახურებაა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროს „ძველი ერისთავთას“ ტყავზე დაწერილი დედნის აღმოჩენა. დიმიტრის მისი ერთი პირი გადაუწერია და დედანთან ერთად მარი ბროსესათვის გაუგზავნია პეტერბურგში. მოგვიანებით იგი ბროსემ ფრანგულადაც თარგმნა (19: 263).

აქტიურად იყო ჩართული ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეში. მარი ბროსესადმი 1851 წლის 20 მარტს მიწერილ ზემოხსენებულ წერილში აღნიშნულია: „ნამესტნიკის სურვილია დაიბეჭდოს რაც ქართული ძველი წიგნებია და დოკუმენტების პირი, ღირსი ცნობისა. ამისათვის დამიბარეს მე სიმონოვის კანცელარიაში და აღმიტყვეს ამაში მეც მქონდეს მონაწილეობა და თუ საჭიროება მოითხოვს გამაგ-

ზავნიან მე სახელმწიფო ხარჯით სხვაგან და სხვაგან. კიდევ დაიბეჭდება ქართული გაზეთები და ამაშიც უნდა ვიყო მეო“ . მან, გიორგი ერისთავთან ერთად ძალზე დიდი როლი ითამაშა „ცისკრის“ დაარსების საქმეში.

დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი ბევრს ზრუნავდა პეტერბურგში გამოცემული ქართული წიგნის გავრცელების (ჩუბინაშვილის ლექსიკონი, ქართლის ცხოვრება, ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, ვახუშტის გეოგრაფია და სხვა) თვალსაზრისით. ათი წლის (1841-51 წწ.) განმავლობაში მას, პეტრე ქებაძესთან ერთად, გაუყიდა და პეტერბურგში მარი ბროსესათვის გაუგზავნია 255 მანეთი და 78 კაპიკი (16: 24).

იგი ასევე ბევრს აკეთებდა მშობლიური სოფელ – ხიდისთავში სკოლის, ბანკის დაარსების, აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა და ქველმოქმედების მიზნით, აქტიურად წერდა სოფლის საჭირობოროტო საკითხებზე „ივერიაში“, „დროებაში“. მას ამ საქმეში მხარში უდგნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ ახლობლები და ასევე ცნობილი ადამიანები: გენერალ-მაიორი ივანე კონსტანტინეს ძე მამაცაშვილი და ისტორიკოსი – დიმიტრი ბაქრაძე, რომლებსაც იმ დროისათვის ხიდისთავთან აქტიური კავშირი ჰქონდათ. როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, ივანე მამაცაშვილი ვიატკაში გადაასახლეს და იქიდან მხოლოდ 1836 წელს დაბრუნდა. გადასახლებაში ივანემ დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის და – ნინა შეერთო ცოლად, ხოლო ივანესა და ნინას ქალიშვილზე 1865 წელს იქორწინა დიმიტრი ბაქრაძემ, ანუ, მელვინეთუხუცესიშვილისათვის ივანე მამაცაშვილი და დიმიტრი ბაქრაძე სიძეები იყვნენ.

ცალკე უნდა აღინიშნოს დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის, როგორც დრამატურგის შესახებ.

ცნობილია, რომ ქართული თეატრის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1850 წლის 2(14) იანვარი, როდესაც გიორ-

გი ერისთავმა თბილისში დადგა პიესა „გაყრა“, თუმცა, დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის პიესა: „გამოუცდელიობა, ანუ დროებით განშორება საყვარელთან“, ჯერ კიდევ 1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისსა და 7 აგვისტოს დაუდგამთ გორელ სცენისმოყვარულებს.

1851 წლის მარტში დიმიტრი ამ საქმის სრულყოფილებისათვის გადაუყვანიათ თბილისში სამუშაოდ, იმ დავალებით, რომ გიორგი ერისთავისათვის „ქართული თეატრის გამართვა“ უნდა ეშველა. აღნიშნული წლის 20 მარტს მელვინეთუხუცესიშვილი მარი ბროსეს ამ ამბავს შემდეგი სიტყვებით აუწყებს: „სამშაფათს დღეს დირექტორის თანამდებობის აღმსრულებელმან უ[ფალ]მან სჩერბინინმა და თავადმა გიორგი ერისთავმან წარმადგინეს მე კნიაზ ნამესტნიკთან (მ. ვორონცოვთან – ი.ა.) კარგის რეკომენდაციით და მოახსენეს მის ბრწყინვალეობას, რო შემდგომ მოგზაურობისა მე ვშველი და ვცდილობ ქართულის ტეატრის გაწყობას. კნიაზ ნამესტნიკმა მიმიღო ალერსით და მიბრძანა: „...ახლა შენ უ[ნდ]ა დარჩე ტფილისში დროებით და უშველო გიორგის ერისთავს ქართული ტეატრის გამართვა. მე მალე გადმოგიყვან ჩემთან, ჩემს კანცელარიაში“, და ამაზე მაშინვე უბრძანა მისმა ბრწყინვალეობამ სჩერბინინს მოახდინოს განკარგულება, დამნიშნონ მე მის კანცელარიაში. ...ახლა მე ვწერ ქართულს პიესებს და ვასწავლი წარმოდგენას ჩუ ნს ახალ აკტიორებს და აკტრისებს ...ჩემს დაწერილ პიესებს სწავლობენ და წარმოდგენენ ქართულს ენაზედ მომავალ დღესასწაულებშიო“. თუმცა, მარი ბროსესადმი გაგზავნილი შემდეგი წერილებიდან ჩანს, რომ იგი თბილისში აღარ გადაუყვანიათ და გორში, ბროსესავე რეკომენდაციით დაუნიშნავეთ „გეოგრაფიის საზოგადოებრივი განყოფილების“ წევრ თანამშრომლად.

მელვინეთუხუცესიშვილის სხვა პიესებიდან აღსანიშნავია - „ეკიბაში“, რომელიც 1876 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. 1869 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა „კატა აწონა“, ხო-

ლო, იმავე „დროებაში“ 1870 წელს - „უბედური მთარაშიყე“ (13: 149). ჩვენ მათ მხატვრულ ანალიზსა და ღირებულებებზე აღარ შევჩერდებით, რადგან იგი ფართოდ აქვს განხილული ერთ ქავთარაძეს.

1846 წელს დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილს დაუწერია პიესა „ჩაჩნების ჩვეულება“, რომელიც „ცისკარში“ გამოუქვეყნებია 1859 წელს. 1869 წელს იმავე „ცისკარში“ (№ 10) იბეჭდება დიმიტრის კიდევ ერთი პიესა „ვიჭაკი“. ირკვევა, რომ მელვინეთუხუცესიშვილს სხვა პიესებიც ჰქონია დაწერილი, მაგ. „არშიყნი“ და „ანჩხლი ცოლი“, მაგრამ ცენზურას ისინი დაუბლოკია.

გარდა პიესებისა, ცნობილია დიმიტრის რამდენიმე ლექსიც, რომელთაც ასევე „დროებაში“ აქვეყნებდა. ერთ-ერთი ლექსი მან გორიჯვარსაც მიუძღვნა, რომლის აღწერილობა და წარწერები მოგვიანებით მარი ბროსემ თავის „Rapport“-ებში გამოაქვეყნა დიმიტრის მიერ მიწოდებულ სამთავისის, რუისის, ურბნისის, ატენის ეკლესიების აღწერილობებთან ერთად.

დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი ბევრს ზრუნავდა გაჭირვებულთა დახმარების მიზნით, როგორც პირადად, ასევე ცნობილ პირებთან რეკომენდაციების გზით. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოსავალი მხოლოდ ხიდისთავში არსებული ყმა-მამული და გორის სამსახურში არსებული მცირე ხელფასი იყო. 1852 წლის 12 ივლისს იგი მარი ბროსეს სთხოვდა დახმარება გაეწია ჯანმრთელობაშერყეულ პეტრე ქებაძისათვის, რომლის ერთადერთი სარჩო წიგნების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი იყო: „გთხოვთ უმორჩილესად უშუამავლთ და შეეწინნეთ აკადემიაში ესოდენ შრომის მიღებისათვის მიეცეს მას რა მე ჯილდო, რადგანაც საკუთრივ თვნიერ სხვა საქმისა, მხოლოდ ამ წიგნების გასასყიდლად აკადემიის ბრძანებით სცხოვრობს ტფილისში თავის ხარჯზე ქირით დაჭერილ სახლშიო“ (16: 24).

დიმიტრიმ გაუწია რეკომენდაცია მარი ბროსესთან 1856 წელს შემდეგში ცნობილ ქართველ ისტორიკოსს – დიმიტრი ბაქრაძეს. აღნიშნულ წელს ბაქრაძემ დაასრულა მოსკოვის სასულიერო აკადემია და გორში დაიწყო მოღვაწეობა სამაზრო სასწავლებლის „სმოტრიტელად“ (მეთვალყურედ). აქვე დაძვებრებულა ორი დიმიტრი. „ღიად ღიდი შრომის-მოყვარეა და ცდილობს საქართველოს სიძველეთა განცხადებას“, სწერდა აკადემიკოს ბროსეს მეგობრის შესახებ მეღვი-ნეთუხუცესიშვილი (16: 30).

ბროსესადმი მიწერილ სხვა წერილში იგი ონისიძე იოსელიანის შეწევნას ითხოვს: „იმედი მაქვს ძალიან შეეწე-ვით, რადგან ქართველნი გიყვარან. ეგეც ქართველი კაცია გადმოვარდნილი“ (16: 9).

1856 წელს, თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, პეტერბურგში სასწავლებლად წასულა დიმიტრის დის-შვილი – ზაქარია მამაცაშვილი. დიმიტრი ფრანგ აკადემი-კოსს სთხოვს მფარველობა და მამობრივი მზრუნველობა გა-უწიოს მის დისწულს და დაეხმაროს უცხო ენების („ფრან-ციცულის“ და ლათინურის) შესწავლაში. მარი ბროსეს მარ-თლაც კარგად მიუღია ახალგაზრდა, მაგრამ ახალგაზრდას პეტერბურგის ნესტიანი ჰავა ვერ აუტანია და მალევე უკან გამობრუნებულა იმპერიის დედაქალაქიდან.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის გარდაცვალების შე-სახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. 1893 წლის „სა-ქართველოს კალენდარის“ მიხედვით, იგი გარდაცვლილა 1860 წელს (10: 429). მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობით 1880 წელს (4: 103). თუმცა არც ერთი თარიღი ზუსტი არ არის. იგი გარდაიცვალა 1878 წლის 6 დეკემბერს და დასაფლავე-ბულია ხიდისთავში, ზედაველას სასაფლაოზე.

ილია ბერძნიშვილი ამ 50 წლის წინ გაზეთ „სტალი-ნელში“ წერდა: „არიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი შრომით გარკვეული წვლილი შეიტანეს მშობლიური მხარის

შესწავლის საქმეში, მაგრამ დროთა ვითარების გამო, მათი ღვაწლი და ამაგი დავიწყებას მიეცა. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთხუცესიშვილი“ (3: 27.04.1957).

მართლაც, დღეისათვის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ღვაწლი სრულიად დაუფასებელია, ხოლო მისი საფლავი ყველასაგან მიტოვებული. საზოგადოების (მათ შორის - ხიდისთაველების) უმრავლესობამ არც კი იცის მისი არსებობის შესახებ. საფლავს ორივე მხრიდან ეპიტაფია ახლავს. სამხრეთის წარწერა კარგად იკითხება: „აქა განისვენებს გვამი აზნაურის კოლეჟსკი ასესორის დიმიტრი კონსტანტინეს ძის მეღვინეთხუცესის შკლისა, იშვა 1815, მიიცვალა 6 დეკემბერს 1878 წ.“ (იხ: სურ. დანართი 2)

ძალზე დაზიანებულია და ხავსისაგან შეჭმული ჩრდილოეთის წარწერა. საფლავის ქვას აღმოსავლეთით ნაპირი ჩამოტეხილი აქვს და დაახლოებით შემდეგი შინაარსის წარწერა აქვს: „...დ..(დასდევ?) ღვაწლი მამულს არხეოლოგიურის შრომით, რომელიც გამოიცა სანკტ-პეტერბურღის სამეცნიერო აკადემიის მიერ“.

გავრცელებული ინფორმაციით დიმიტრი მეღვინეთხუცესს ცოლ-შვილი არ ჰყავდა, მაგრამ ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ.

დიმიტრი მეღვინეთხუციშვილის საფლავი სხვა საფლავებისაგან განმარტოებითაა. მხოლოდ ერთი საფლავია მის გვერდით (სამხრეთით). წარწერა ძლიერ დაზიანებულია. ძნელად იკითხება „კესარია სააკაძე“. ჩვენი აზრით, იგი მეცნიერის მეუღლე უნდა იყოს.

1804 წლის კამერალურ აღწერებში ხიდისთავში მოხსენიებულნი არიან მემამულეები: ზურაბ და ივანე სააკაძეები (6: 7486), შესაძლოა რომელიმე მათგანის ქალიშვილი იყოს კესარია.

დიმიტრის და კესარიას შვილიც შესძენიათ, სავარაუდოდ – ვაჟი, რადგან იგი მღვდელ ევრემ ალექსი-მესხიშვილთან და ბერ ტარასისთან ჰყავდათ მიბარებული. „მღვდელი ჩემი შვილის ოსტატი იყო და ბერი მეგობარი არისო“, სწერდა იგი ბროსეს 1850 წლის 22 თებერვალს (16: 16).

დამოწმებანი:

1. აბრამიშვილი ვ., გორიჯვარი, აღ. ტაბატაძის რედ., თბ., 1994.
2. ბაგრატიონი იოანე, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.
3. ბერძნიშვილი ი., დიმიტრი მელვინეთხუცეიშვილი, გაზ. „სტალინელი“, 27. 04. 1957 წ. № 84.
4. ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983.
5. გამყრელიძე გ., დიმიტრი მელვინეთხუცეიშვილი (1815-1878), ჟურნ. „ძიებანი“, 1999, №4.
6. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. 7486.
7. კასრაძე ო., დიმიტრი მელვინეთხუცეიშვილი - მეცნიერი და თეატრალი, ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, №1. (იანვარ-თებერვალი), 1986.
8. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) მასალები შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძნიშვილმა, თბ., 1953.
9. მელვინეთხუცეიშვილი დ., „სადილი გორის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოთა“, ჟურნ. „ცისკარი“, 1860 წ. აპრილი, №4.
10. „საქართველოს კალენდარი“, 1893.
11. „საქართველოს კალენდარი“, 1895.

12. უთურაშვილი ი., გლახობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX ს-ის II ნახევარში (გორის მაზრის მასალების მიხედვით), თბ., 1957.
13. ჭავთარაძე ე., დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დრამატული მოღვაწეობიდან, „მაცნე“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, №4 (49), თბ., 1969.
14. ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ. ტ. VIII, 1985.
15. ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეიანე) ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.
16. ხანთაძე შ., დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, კრებულში: „საისტორიო მოამბე“, № 6, თბ., 1952.
17. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. №13151.
18. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი ტ. VI, თბ., 1982.
19. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977.

Ioseb (Soso) Alimbarashvili

Gori Teaching University, Assistant Professor

Ph.D Student of Sokhumi State University

**THE UNKNOWN DETAILS OF THE LIFE AND CAREER OF DIMITRI MEGVINETUKHUTSESHVILI
RESUME**

Dimitri Megvinetkhucesishvili was on the second half of the 19th century's talented playwright, archaeologist, and historian and this article is about his life and career.

He made a lot of for learning Georgian history. He was travelling around the country and research historical monu-

ments. He learnt Ateni Sioni, Upliscikhe, Samtavisi, Kintsvisi, Tsromi, Atoci, Oqona, Tigvi, Kimotesubani historical monuments.

He sent researching items to Marie Brosset in Petersburg. Later Marie Brosset published these items in his „Rapports”.

Dimitri Megvinetkhucesishvili contributed to found Georgian theatre. Mikheil Vorontsov invited him in Tbilisi and he managed to found Georgian theatre and journal „Tsiskari”.

He also cared for developing his own village-Xidistavi. He was initiated to found school and bank, regulated ways, published villages documents in „Droeba” „Iveria” and in „Kavkaz”.

His works defended in the department of Petersburg Science Academy.

He was philanthropist and contributed to distribute books.

In spite of these, Dimitri Megvinetkhucesishvili doesn't appraise at his true worth and his grave is deserted from everybody.

The author of article wants to fill up the gaps.

დანართი ფოტოები:



სურათზე: დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი (უცნობი ავტორი, ზეთი, ტილო)
პირველად გამოაქვეყნა გ. გამყრელიძემ ჟურნ. „ძიებანში“, 1999 წ. N4



სურათზე: დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის საფლავი ხიდისთავში, ზედაველას სასაფლაოზე



მეღვინეთუხუცესიშვილების საგვარეულო ეკლესია
სოფ. ხიდისთავში

მერაბ კალანდაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

პროფესორ ილია ტაბალუას განხეობა

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის და სწავლების საქმეში თავისი წონიანი სიტყვა თქვა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ილია ტაბალუამ (1918-2004). იგი თავისი შრომისმოყვარეობით, მეცნიერული ნაყოფიერებით, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მოწაფეებს შორის, უდაოდ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა იყო. თავად განსაჯეთ, მან დაწერა რამდენიმე ათეული წიგნი, რამდენიმე ასეული სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი და აქვს უამრავი საგაზეთო პუბლიკაცია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფ. ილია ტაბალუას შრომების სრული ბიბლიოგრაფიის გამოცემა. ეს ძალიან კარგი იქნებოდა და ხელს შეუწყობს მისი ნაღვაწის სიღრმისეულ შესწავლას.

წინამდებარე ნაშრომს პროფ. ილია ტაბალუას შემოქმედების სრულყოფილად წარმოჩენის პრეტენზია არ გააჩნია. ამას, ალბათ, ერთი საგანგებო მონოგრაფია უნდა მიეძღვნას. ჩვენი ნაშრომი უფრო მოკრძალებულ მიზანს ისახავს. ამჯერად, ფართო საზოგადოებას შევახსენებთ ღვაწლმოსილი მეცნიერის განვლილ გზას და შევამზადებთ ნიადაგს მისი შემოქმედების მეცნიერული განხილვისათვის. ეს პატარა ნარკვევი ოთხი ნაწილისაგან შედგება. შესავალი, ბიოგრაფიული ცნობები, შემოქმედების მოკლე მიმოხილვა და მოგონებები. პროფ. ილია ტაბალუას ცხოვრება და მოღვაწეობა ჯერ არ

გამხდარა ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო შესწავლის საგანი და ელის თავის მკვლევარს.

* * *

ილია ტაბაღუა დაიბადა 1918 წლის 12 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში (დღეა, თებრო ლაზარია, ხოლო მამა - მაქსიმე ტაბაღუა), ერთი წლისაც არ იყო ბატონი ილია, როდესაც დედა გარდაეცვალა. 1938 წელს კი მან მამა დაკარგა. 1929 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადადის ფოთში. აქ დაასრულა მან საშუალო სკოლა და გადაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის სპეციალობით. 1941 წელს დაიწყო ომი. ილია ტაბაღუა იძულებული გახდა მიეტოვებინა უნივერსიტეტი და ჯარისკაცის ფარაჯა ჩაეცვა. იგი არმიაში იქნა გაწვეული. მონაწილეობა მიიღო სამამულო ომში 1941 – 1945 წლებში. ომის დროს იყო ოფიცერი. ჯავშნიანი მატარებლის უფროსი – კაპიტანი. ომის შემდეგ ილია ტაბაღუა დაუბრუნდა მშობლიურ უნივერსიტეტს და დაასრულა სწავლა. მან თავის ვიწრო სპეციალობად დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია აირჩია. ასეთ არჩევანს ზურგს უმაგრებდა უცხო ენების, პირველი რიგში კი, ფრანგულის, კარგად ცოდნა. მუყაით და გამრჯე ყმაწვილს ყურადღება მიაპყრო ცნობილმა მეცნიერმა ალექსანდრე ნამორაძემ და მას რეკომენდაცია გაუწია ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. მან თავის მოწაფეს საკანდიდატო დისერტაციის თემად შეურჩია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წინ. 1945-1947 წლებში იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის მსმენელი, ხოლო 1947-48 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ატაშე - რეფერენტი. 1948 წელს ილია ტაბაღუამ მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი და უახლესი

ისტორიის კათედრაზე, რომელსაც სათავეში ედგა ღვაწლმოსილი მეცნიერი პროფ. ალექსანდრე ნამორაძე. 1950 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობანი პირველი მსოფლიო ომის წინ, რომელიც 1960 წელს გამოცა ცალკე მონოგრაფიის სახით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის დროს მას კონსულტაციებს უწევდა ამ საკითხის კომპეტენტური რუსი მკვლევარი ა. მანფრედი. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ი. ტაბალუა გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოცენტი. 1948-72 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: მეორე მდივანად, პირველ მდივანად, გენერალურ მდივანად, მინისტრის თანაშემწედ. 1961-1962 წლებში ბატონი ილია ტაბალუა სტაჟირებას გადიოდა პარიზში სორბონის უნივერსიტეტში. ეს მეცნიერული მივლინება მეტად მნიშვნელოვანი იყო და მისი შემდგომი მეცნიერული ზრდის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიჯნად გვევლინება. ფაქტობრივად, აქედან იწყება მის მიერ დასავლეთ ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში საქართველოზე დაცული მასალების მოძიება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ილია ტაბალუას გაშვება სერიოზული შეცდომა იყო, რომელმაც მას მძიმე მორალური ტრავმა მიაყენა. ამ რანგის სპეციალისტებს მოფრთხილება სჭირდებოდათ. უნებლიეთ მახსენდება ცნობილი რუსი მწერლის მიხეილ ბუღლაკოვის გენიალური გამონათქვამი: „შეურაცხყოფა არის საუკეთესო ჯილდო კარგად შესრულებული სამსახურის“, მაგრამ ნათქვამია „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმას, რომ 1962 წელს ძირითადად ილია ტაბალუას ძალისხმევით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ევროპის ქვეყნების ისტორიის გან-

ყოფილება, რომელსაც 1970 წლიდან სათავეში თავად ჩაუდგა. ფაქტობრივად, საქართველოში ჩამოყალიბდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლის მეორე თვალსაჩინო ცენტრი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1967 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: საქართველო - საფრანგეთის ურთიერთობა (მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში). ამ ურთიერთობების ისტორიაში ცენტრალური ადგილი ეკავა სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიურ მისიას საფრანგეთში.

1970 წელს ის სათავეში ჩაუდგა ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებას და გარდაცვალებამდე, თითქმის ოცდაათობეტი წლის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა მას. ამ ხნის განმავლობაში მისი რედაქტორობით გამოვიდა რამდენიმე საინტერესო სამეცნიერო კრებული, სადაც გაშუქებული იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიის, საქართველოს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის მრავალი აქტუალური საკითხი. მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა მრავალი საკანდიდატო დისერტაცია. მისმა მოწაფეებმა მურმან პაპაშვილმა და ვაჟა ჩოჩიამ 90-იან წლებში წარმატებით დაიცვეს სადოქტორო დისერტაცია და გახდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები.

80-იანი წლების შუა ხანებში უმთავრესად კათედრის გამგის პროფ. კოტე ანთაძის ძალისხმევით შედეგად ის დაუბრუნდა უნივერსიტეტს და ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრას. იგი შეთავსებით მეოთხედ შტატზე იყო უნივერსიტეტში და კითხულობდა ლექციებს უახლეს ისტორიაში (1).

2004 წლის ოქტომბერში ქართულმა ისტორიოგრაფიამ მძიმე დანაკლისი განიცადა. უეცრად, გულის შეტევით, 89 წლის ასაკში გარდაიცვალა პროფ. ილია ტაბალუა.

* * *

პროფ. ილია ტაბალუას სახით საქმე გვაქვს დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევართან საქართველოში. ამ კონტექსტში რუსეთის და საქართველოს ჩართვამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი დამსახურება ისტორიული მეცნიერების წინაშე.

ილია ტაბალუას საკანდიდატო დისერტაცია ეხებოდა აქტუალურ და საინტერესო თემას: რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას პირველი მსოფლიო ომის წინ. ასეთი არჩევანი, ალბათ, შემთხვევითი არ იყო. როგორც ჩანს, ალ. ნამორაძეს ძალზედ აინტერესებდა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია პირველი მსოფლიო ომის წინ. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ მან თავის მეორე მოწაფეს, გივი კილურაძეს საკანდიდატო დისერტაციის თემა, სწორედ პირველი მსოფლიო ომის წინ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიიდან შეურჩია. მაროკოს პირველი კრიზისი 1905-1906 წლებში (2). ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული იყო და საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე 40-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ იყო ჯეროვნად დამუშავებული. მისი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობდა.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიის შესწავლას საქართველოში თავისი ტრადიცია გააჩნია. ილია ტაბალუას საკანდიდატო დისერტაციასთან ერთად, ცხადია, ვგულისხმობთ გივი ჟორდანიას სადოქტორო დისერტაციას „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში“ (3) და ვარლამ დონაძის სადოქტორო დისერტაციას „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე“ (4). ქართველმა ისტორიკოსებმა აღნიშნული პრობლემის დამუშავების საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს.

საკანდიდატო დისერტაცია წარმოადგენდა მეცნიერებაში პირველ სერიოზულ ბარიერს, რომელიც ილია ტაბალუამ წარმატებით გადალახა. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ დისერტანტი საკმაო ჩახელულებას ამჟღავნებს აღნიშნულ საკითხში და კარგად იცნობს პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთ - საფრანგეთის ურთიერთობებს. ერკვევა ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის არსებული პოლიტიკის რთულ პერიპეტეტიებში. მნიშვნელოვანწილად ეს იმით იყო გამოწვეული, რომ იგი ძალიან კარგად იცნობს აღნიშნულ საკითხზე არსებულ წყაროებს. წყაროებთან ერთად, აღნიშნულ თემაზე მსჯელობა ეყრდნობოდა მეტად მდიდარ და მრავალფეროვან საკვლევ ლიტერატურას როგორც რუსულ, ისე უცხო ენებზე. და მაინც აქ მთავარი ის იყო, რომ ილია ტაბალუამ საკანდიდატო დისერტაციაში კარგად გამოამჟღავნა თავისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი და დაგვიანხა, თუ როგორ იყო დაუფლებული მეცნიერული კვლევის მეთოდებს. ეს ახალგაზრდა, დამწყები ისტორიკოსის სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი და წარმატება იყო (5).

პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში სტაჟირება 1961-1962 წლებში პროფ. ილია ტაბალუას ბიოგრაფიაში მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება. ამ სამეცნიერო მივლინებამ ღრმა კვალი დატოვა მთელ მის შემოქმედებაში. ფაქტობრივად, აქედან იწყება საქართველო-ევროპის ურთიერთობების სერიოზული მეცნიერული კვლევა. მან ხელი მოკიდა ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში საქართველოზე არსებული მასალის მოძიებას. ეს მეტად საშური საქმე იყო. საქართველო - საფრანგეთის ურთიერთობებით დაინტერესება XVIII საუკუნის დასაწყისში ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. ამ პრობლემით დაინტერესება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მასში, უწინარესად საფრანგეთში სამეცნიერო მივლინების კეთილისმყოფელი გავლენის ანარეკლი უნდა დავინახოთ.

პროფ. ილია ტაბალუას დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ შეისწავლა საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობები XVIII საუკუნის დასაწყისში, სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში, საფრანგეთსა და იტალიაში. მან შეძლო დაედგინა სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის მარშრუტი, რაც სერიოზული სიახლე იყო. მან გულმოდგინედ შეისწავლა მიხეილ თამარაშვილის არქივი, რომელიც ინახებოდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, სამხედრო სამინისტროს არქივი, ეროვნული არქივი, დეპარტამენტების არქივები. ამან კიდევ უფრო მეტი ნათელი მოჰფინა საკითხს, რადგან მან შეძლო ზოგიერთი ახალი ფაქტის დაზუსტება და გამოვლენა. ცხადია, შემთხვევითი სულაც არ ყოფილა, რომ ილია ტაბალუას ნაშრომს სპეციალისტების (შ. მესხია, ზ. ანჩაბაძე, მ. დუმბაძე, შ. ხანთაძე) დადებითი შეფასება ხვდა წილად.

ნაშრომის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ორიოდ სიტყვა თქმულიყო ამ ეპოქის იტალიაზე. ამას, ცხადია, თავისი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და აღნიშნულ თემაზე ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურით არათუ მაშინ, არამედ დღესაც არა ვართ განებივრებული. ეს ამ ხარვეზის შევსების გზაზე გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა და შინაარსობრივად გაამდიდრებდა ნაშრომს (6).

ამ თემაზე მუშაობა ამით არ დასრულებულა და მან გამოსცა საფრანგეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში აღნიშნულ თემაზე არსებული დოკუმენტური მასალა, რომელიც ფაქტობრივად მისი სოლიდური მონოგრაფიის წყაროთმცოდნეობით ბაზას ქმნიდა. „საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან“, ნაწილი პირველი (1707 წლის

მარტი - 1714 წლის დეკემბერი). ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარებაში სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ქართველი მკვლევარებისათვის ხელმისაწვდომი გახდა საზღვარგარეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში საქართველოს ისტორიაზე დაცული მასალები (7).

ისტორიული მეცნიერების წინაშე პროფ. ილია ტაბალუას დამსახურება, ცხადია, ამით არ ამოიწურებოდა. ეს პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ მან გააგრძელა საქართველოზე ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცული მასალების მოძიება და გამომზეურება. შესამჩნევად გააფართოვა მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები. ახლა ის მოიცავდა შუა საუკუნეების ისტორიას, ახალ და უახლეს ეპოქას. ამ მხრივ, პირველ რიგში, ბუნებრივია, ყურადღებას იპყრობს მისი სამი წიგნი – საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ამით ის შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში. (8, 9, 10, 11). ავსტრიის არქივებში მოძიებულ მასალას ეფუძნება მისი ნაშრომი „საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში“ (12). საინტერესოა ნაპოლენ ბონაპარტის აღმოსავლურ პოლიტიკაში საქართველოს ადგილი. ეს საკითხი ნაკლებად იყო შესწავლილი და მას ერთ-ერთმა პირველმა პროფ. ილია ტაბალუამ მიაქცია ყურადღება. ამ თემას ეხება პროფ. ილია ტაბალუას წიგნი „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში“ (13). ბოლოს ის ესპანეთის არქივებში საქართველოს ისტორიაზე დაცულ დოკუმენტებზე მუშაობდა.

აღნიშნული პრობლემების გაშუქების დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთსულოვნება არ სუფევს და სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ ყველაფერი ეს, ვფიქრობთ, ჩრდილს არ აყენებს პროფ. ილია ტაბალუას ნაღ-

ვაწს. მან მოგვცა წარსულის საკუთარი ხედვა და ეს იყო მთავარი. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“.

პროფ. ილია ტაბალუას ჰქონდა ფართო საერთაშორისო კონტაქტები. ის მონაწილეობდა ისტორიკოსთა საერთაშორისო ფორუმებში: სტოკჰოლმში (1960), ვენაში (1965), მოსკოვში (1970), სან-ფრანცისკოში (1975), ბუქარესტში (1980), შტუტგარტსა (1985) და მადრიდში (1990), რაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო ქართული ისტორიოგრაფიის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით.

* * *

მე უშუალოდ პროფ. ილია ტაბალუას მოწაფეების რიცხვს არ მივეკუთვნები, მაგრამ ბატონმა ილიამ ჩემს ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ამის დაკვიწყების უფლება არ მაქვს. აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს ჩემი სამსახურებრივი დასაქმება ისტორიის ინსტიტუტში, ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში, რაშიც ბატონ ილია ტაბალუას თანადგომას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ბატონი ილია იყო ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ხელმძღვანელი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩემს სამსახურებრივ საქმიანობაში პროფ. ილია ტაბალუას ნამდვილად ლომის წილი მიუძღვის. ნათქვამს დავუმატებდი იმასაც, რომ მან გამიწია რეკომენდაცია ისტორიის ფაკულტეტის დეკანთან, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგესთან, პროფ. კარლო მეშველიანთან. ასე მოხდა ჩემი დაბრუნება უნივერსიტეტში და ამაში დიდი წვლილი პროფ. ილია ტაბალუას მიუძღვის. შემდეგ, უმთავრესად პროფ. კოტე ანთაძის ძალისხმევით, მუშაობა გავაგრძელე ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე, სადაც ვმუშაობ ამჟამად.

პროფ. ილია ტაბალუა პირველად გავიცანი 1977 წლის ოქტომბერში ვლადიმერ (ვოვა) ივანოვის დედის ქ-ნ საშიკო ჩხიკვიშვილის პანაშვიდზე. ის დამელაპარაკა. დაინტერესდა რა თემაზე ვმუშაობდი. მომცა საინტერესო რჩევები. მე, როგორც ასპირანტს, პროფესორის ყურადღება, ბუნებრივია, ძალიან მესიამოვნა. ზაფხულში, როდესაც მოსკოვში მივდიოდი ჩემს საკანდიდატო დისერტაციაზე სამუშაოდ, მან რეკომენდაცია გამიწია და წერილი გამატანა ცნობილ რუს ისტორიკოსთან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფ. დ. დავილოვიჩთან, შემდეგ კი მისი მეშვეობით გავიცანი პროფ. მ. ბარგი, პროფ. ვ. სალოვი, პროფ. ა. ადო და მრავალი სხვა. ამ შემოქმედებით კონტაქტებს, ჩემი მეცნიერული ზრდისათვის, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბ-ნ ილიას ეს გულისხმიერება დასაფასებელი იყო. შემდეგ წლებში მჭიდრო კონტაქტები არ გვქონია, მაგრამ თბილი და კარგი ურთიერთობები შენარჩუნებულ იქნა. ბუნებრივია, რომ ჩვენს შორის ურთიერთობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც მე მუშაობა დავიწყე ისტორიის ინსტიტუტში, ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში, რომელსაც ის ედგა სათავეში. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დღის წესრიგში დადგა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვის საკითხი. მე ან ბოლომდე უნდა მიმეყვანა და დამესრულებინა ამ თემაზე მუშაობა, ან უნდა შემეცვალა თემა (ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „ფრიდრიხ შილერის შეხედულებები ახალი ისტორიის საკითხებზე“, რომელიც შემირჩიეს პროფ. კოტე ანთაძემ და პროფ. გივი კიდურაძემ). მე უფრო ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბ-ნ ილიას სურდა ჩემთვის შეეცვალა თემა. ამას ჰქონდა თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, მაგრამ გადაწყვიტა მაინც მოესმინა ჩემთვის. როდესაც მან მოისმინა თუ რა მქონდა გაკეთებული, უყოყმანოდ დამიჭირა მხარი. თემის შეცვლის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. შვებით ამოვისუნთქე. რა თქმა უნდა,

თემის შეცვლა არ მინდოდა და ჩატარებული მუშაობის მიტოვება მენანებოდა. ამიტომ მის მხარდაჭერას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პროფ. ილია ტაბაღუას სახით საქმე გვაქვს საქართველო - ევროპის ქვეყნების ურთიერთობების ერთ-ერთ საინტერესო და კომპეტენტურ მკვლევართან საქართველოში.

დამოწმებანი:

1. პროფ. ილია ტაბაღუას პირადი საქმე - ისტორიის ინსტიტუტის არქივი.
2. კილურაძე გ., ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი), თბ., 1960. კ. ანთაძე, გივი კილურაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1983. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე - თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 359, თბ., 2005. M. Kalandadze, Ein Georgischer Erforscher der Neuen Geschichte West Europas – “Georgica”, 30. 2007.
3. Жордания Г., Очерки из истории франко-русских отношении конца XVI и первой половины XVII вв. часть I и II. Тб., 1959.
4. ღონაძე ვ., რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები XVII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1959. ვ. თვალავაძე, ვარლამ ღონაძე, თბ., 1993. მ. კალანდაძე, პროფესორი ვარლამ ღონაძე - „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 4., თბ., 2008.
5. ტაბაღუა ი., რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის წინ. თბ., 1960.
6. ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბ., 1972.
7. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების ისტორიიდან (1707 წლის მარტი - 1714 წლის დეკემბერი), თბ., 1975.

8. ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნოსაცავებში, (XIII-XV სს.), წიგნი 1., თბ., 1984.
9. ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნოსაცავებში, (1600-1623 წწ.), წიგნი 2., თბ., 1986.
10. ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნოსაცავებში, (1623-1633 წწ.), წიგნი 3., თბ., 1987.
11. ტაბაღუა ი., მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1982.
12. ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
13. ტაბაღუა ი., „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში, თბ., 1974.

Merab Kalandadze

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MEMORY OF PROFESSOR ILIA TABAGUA

RESUME

The given paper does not intend to fully present the works of Prof. Ilia Tabagua (1918-2004). This aim should be probably achieved by a special monograph. As yet this paper has a more modest aim and reminds the Georgian society about the life course of the distinguished scientist. We will prepare ground for scientific analysis of his works. This essay has four parts: introduction, biographical data, short overview of the works and reminiscences. The life and works of Prof. Ilia Tabagua has not become object of special examination in the Georgian historiography yet. We tried to make the first step in the task of filling in this gap. This paper will give a general understanding of his works. Prof. I. Tabagua has a profound contribution in studying the relations of Georgia and European countries.

ერთი ეპიზოდი მიხეილ თამარაშვილის ბიოგრაფიიდან
(1903 წლის წერილი რომიდან)

მიხეილ თამარაშვილი, თავისი განთქმული წიგნის „ქართული ეკლესია დასაბამითგან – დღემდე,“ შესავალში წერდა: „ქართული ეკლესია, მარადიული ჯვაროსანი გახდა, მისი ისტორია კი მარადიული მარტიროლოგი(ა).“ (2: 13). დღეს თავისუფლად შეგვიძლია ეს სიტყვები, თვით მიხეილ თამარაშვილს მიუხედავოთ: იგი ხომ საქართველოს და მისი ეკლესიის დამცველი, ნამდვილი ჯვაროსანი რაინდი იყო, ჩვენ კი ამ დაუცხრომელი მოღვაწის მარტიროლოგები ვართ. მარტიროლოგები, რადგანაც მიხეილ თამარაშვილის სიცოცხლეს და აღსასრულიც მოწამებრივი გახლდათ.

1896 წლიდან მიხეილი იძულებულია, სამუდამოდ იტალიაში დამკვიდრდეს და მოღვაწეობა იქ განაგრძოს. აღსანიშნავია, რომ მიხეილ თამარაშვილის საქმიანობისა და ღვაწლის შესახებ, ფართო საზოგადოებამ, პირველად 1900 წელს შეიტყო ალ. ხახანაშვილის წერილიდან, რომელიც „ივერიაში“ (7: 2-3) დაიბეჭდა.

მიხეილის მთელი სიცოცხლე, შეიძლება ითქვას, ერთი მთავარი საკითხის გარშემო ტრიალებდა: არსებობდნენ თუ არა ქართველი კათოლიკენი? ეს საკითხი იყო მთავარი მისი რომში მოღვაწეობის დროსაც.

1902 წელს დაიბეჭდა მიხეილ თამარაშვილის კაპიტალური ნაშრომი: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, მაგრამ მიხეილი კვლევასა და ბრძოლას კვლავაც განაგრძობს. „ბრძოლას“ იმიტომ, რომ ამ წიგნის

მიუხედავად, კვლავ გრძელდება თავდასხმები ქართველ კათოლიკეებზე და პირადად მიხეილზე.

სწორედ მისი ამგვარი მოღვაწეობის ამსახველია 1903 წლის ერთი წერილი, რომელიც მკვლევართა ყურადღების არეში არ მოხვედრილა¹, რადგან ის ინახება არა მიხეილ თამარაშვილის პირად ფონდში (რომელიც, თავის მხრივ, სამ ნაწილადაა გაყოფილ-გაბნეული; ერთი ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში, მეორე – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და მესამე – ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში), არამედ პოლიევექტოს კარბელაშვილის არქივში.

წერილში ვკითხულობთ: „თქვენო პატიოსნებაჲ, ფ(რია)დ პატივცემულო უ(ფალო) პეტრე!² გავლილი ოქტომბრის ორს, გაახლე წერილი და მასთანვე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა და პასუხი მღვდელ ნაჰაპეტიანის წერილის შესახებ. როგორც ვსცანი, ეს უკვე მიგიღიათ, რადგან სექტემბრის 30 „ივერიის“ №208-ში დაბეჭდა მასთან (ე.ი. წერილთან, ვ.კ.) გამოგზავნილი ბიბლიოგრაფია კაფუჩინის წერილის შესახებ³, ხოლო მეორე (პასუხი, ვ.კ.) ნაჰაპეტიანის წერილის შესახებკი, აქამდინ არ დაბეჭდილა. ეხლანდელი აქ მოსული 10 ოქტომბრის „ივერიაშიც,“ კიდევ არ არის დაბეჭდილი. არ ვიცი, ამდენი რათ დააგვიანეთ მისი

¹ მას ვიხილავთ მხოლოდ ჩვენ, სტატიაში „ქართველი კათოლიკენი საუკუნის დასაწყისში“, ყურნალი „საქართველო, ეროპა – ამერიკა“ №1/97, ამჟამად წარმოვადგენთ შევსებულ და გადამუშავებულ ვარიანტს.

² პეტრე, როგორც ჩანს, არის პეტრე მირიანაშვილი (1860-1940), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მიხეილის პირველი წიგნის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ დაბეჭდვაში.

³ 1903 წლის №208 „ივერიაში,“ ავტორის მითითების გარეშე, მართლაც დაბეჭდილია პატარა შენიშვნა ტრაპიზონელი კაფუცინელი (კაფუჩინი) პატრის – ევგენიო მოდიკელის შესახებ, რომელსაც 1902 წელს თბილისი, გორი, ახალციხე, ქუთაისი მოუვლია და აქაურ კათოლიკეებს შეხვედრია. მისი შთაბეჭდილებები დაბეჭდილია ორდენის თვიურ ჟურნალში: „Annalecta Ordinis Minorum Capuccinorum.“

დაბეჭდვა. მის შესწორებას, ვგონებ ეგოდენი ხანი არ მოუნდებოდა. წინადაც მოგწერე, და ახლაც მოგახსენებ, რომ მე მაგის დაბეჭდვას ვუცდი, რომ გამოგიგზავნო მეორე წიგნი გამოსაცემად. ამისათვის მუდამდღე მოველი მის გამოქვეყნებას. არა მგონია რომ ცენზორის მხრით, რაიმე დაბრკოლება იყოს, მაგის შესახებ. ახლა მე, მოუთმენლად მოველი მაგის ამბავს. ამისათვის, თუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზია, მაგის გამოცემისათვის, გთხოვ უმორჩილესად, საჩქაროთ მაცნობოთ წერილით, ვრცლად. აგრეთვე, კარგი იქნება, რომ მაგის შესახებ ტელეგრაფითაც, ორიოდენ სიტყვა მომაწოდოთ საჩქაროთ, ამ ადრესით: „Rome, Tamarati, Sistina 60,“ რათა მოსვენებული ვიყო. ხოლო თუ ამ წერილის მიღებამდინ დაიბეჭდა, მაშინ ცხადია, ტელეგრაფმა საჭირო აღარ არის; წერილით კი მაცნობეთ დაგვიანების მიზეზი. იმედი მაქვს, ამ სამსახურზედ არ დამზარდებით. ეგრეთვე იმედი მაქვს, ცენზორის კერძოდ, არავითარი სიძნელე იყოს.

„ივერიის“ №214-ში, პატივცემული მღ(ვღელი) პ. კარბელაშვილი, თავის სტატიაში „სვანეთში ორი კვირით,“ შოშიტა რაჭის ერისთავის შესახებ ამბობს: ვანტანგ მეექვსის მედროვეაო, მე-XVIII საუკ(უნის) დამდგესო. ჩემის აზრით, ეს შოშიტა ეკუთვნის მე-XVII საუკუნოს. მისი ერთი წერილი, უთარილო, ჩემი გამოცემული „ისტორიის“ 244 გვ. არის¹. ეს წერილი მოხსენებულია 1674 წ. კაფუცინების

¹ წიგნში „ისტორია კათოლიკობა ქართველთა შორის“, 244-ე გვერდზე მართლაც მოტანილია შოშიტა რაჭის ერისთავის წერილი კათოლიკე მისიონერებისადმი. იგი მართალია, დათარიღებული არ არის, მაგრამ რადგანაც წერილი პატრ სერაფინოსადმი მიმართული, აშკარაა, რომ შოშიტა ერისთავის დაწერილია XVII ს. 60-70-იან წლებში, რადგან სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა დასავლეთ საქართველოში პატრი სერაფინო მელიკოკელი („Serafino da Melicocea“). 1671 წელს კი, დასავლეთ საქართველოში მოღვაწე პატრების მეთაურად რომიდან გამოიგზავნა ბენარდე ნეაპოლელი. შოშიტა რაჭის ერისთავის წერილი ასეთი შინაარსისაა: „ქ. შოშიტა ერისთავი, ვიკადრებ ძმაო, ბატონო სერაფინო და მისნო ამხანაგნო, მრავალი თქვენის კაისა და ჭკუიანის თავის შესაფერი მოკითხვა და ნახვის ნატ-

მოსხენებაში და ნეაპოლში მისი პირი მოუტანია პატრ<ი> ბერნადეს(ს) 1680 წ. გთხოვ, ეს შენიშვნა მოახსენოთ მდ(ვდელ) პ. კარბელაშვილს¹, რომელსაც დიდი პატივისცემით მოვიკითხამ და ამასთანავე, გთხოვ გამომიგზავნოს ერთი ეგზემპლარი, თავისი გამოცემული ქართული კატოლიკოზების სია. ეგრეთვე, უმორჩილესად გთხოვ აქ დებულები მეორე წერილი მიაწოდოთ მამა პავლე ყალაიჯევს.² თედოსი³ აღარეფერი ვიცი. მთავრობამ დაამტკიცა თუ არა? საჩქაროდ მოველი თქვენს პასუხს.

ვრა მოგვიხსენებია<თ>. აწე, მეფემანცა (იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატი, ვ.კ.) წიგნი მოგწერათ და ჩვენც ყველას, დიდათ გვეამების რომე, ორიოდე კაი მეცნიერი და აქიმი პატრი აქ იქნებოდეთ. სიკეთის და კარგად მოპყრობის მეტი თქვენ აქა არა გიშავდეს რა და ალაგისა და სარჩოს საქმეც გაგირიგოთ და რომ პაპთანაც, როგორც წიგნი ვინდოდესთ, იმისთანა წიგნი მივიწეროთ.“

¹ პოლიეკქტოს კარბელაშვილი (1855-1936), ცნობილი საეკლესიო მოღვაწე იყო. იგი ერთ-ერთია ოთხ ძმათაგან, რომლებიც, ასევე ეკლესიის სამსახურში იყვნენ. წერდა „ცხვილოელის,, ფსევდონიმითაც. მოტანილი წერილი სწორედ მისმა არქივმა შემოგვინახა. „ივერიაში“ დაბეჭდილ კარბელაშვილის სტატიაში, რომელსაც მ. თამარაშვილი ასახელებს (№214, 1903), საუბარია ბარძიმის მსგავს კათხაზე, რომელიც უშუალოდ ღვთისმშობლის ეკლესიაში ინახებოდა; მას სადგამზე ასეთი წარწერა ჰქონია: „ქ. შემომიწირავს ესე ვერცხლის კათხა მე ერისთავს შოშიტას უშკულის დედა-ღვთისათვის, ჩვენად სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად. ამინ ღმერთო.“ ამ წაწერიდან გამომდინარე, ძნელია იმის თქმა, ეს შოშიტა (II) XVII ს. მოღვაწე (1661-1684), თუ XVIII საუკუნის – შოშიტა III-ს ეკუთვნის (1696-1731). თავისთავად, ძალზე საინტერესო ფაქტია ის, რომ მიხეილ თამარაშვილი ასეთ დეტალებსაც აქცევდა ყურადღებას.

² პავლე ყალაიჯევი, წერილში გვარი ძლივს განირჩევა, მაგრამ ცხადია, საქმე ეხება თბილისის კათოლიკური ეკლესიის მამინდელ წინამძღვარ პავლე ყალაიჯიშვილს. ჩანს, კონვერტში მეორე წერილიც იდო მის სახელზე.

³ „თედო“ არის თედო სახოკია, რომელიც 1901 წელს მიხეილს რომში ეწვია და მასთან ერთად „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ გადაიკითხა და შეასწორა. 1903 წელს, უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ, თედო სახოკია ქ. სოხუმის ხმოსნებს აურჩევიათ ქალაქის გამგეობის წევრად (იხ. 4: 68, 292) , მაგრამ მთავრობამ მისი კანდიდატურა არ დაამტკიცა. სწორედ ამას კითხულობს მიხეილ თამარაშვილი თავის წერილში.

მარად<ა> თქვენი პატივისმცემელი და ბედნიერების მომსურნე – მ(ამა) მიხეილ თამარათი. 2 ნოემბერს, 1903 რომი. „Via Sistina 60, Rome, Italie, Res. p. Michel Thamarathi.“ (6: №284).

როგორც ვხედავთ, წერილი მრავალ საინტერესო საკითხს ეხება, მაგრამ მთავარი მაინც ერთი პრობლემაა – ქართველი კათოლიკეები და ინსინუაციები მათ გარშემო. ეს საკითხი სწორედ იმ პერიოდში გამწვავდა, რადგან წერილში ნახსენებმა, მხითარისტმა მღვდელმა ტერ-ნაჰაპეტიანმა და მის უკან მდგარმა ძალებმა, სერიოზული შეტევა მიიტანეს ქართველ კათოლიკეებზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართველი კათოლიკეები საერთოდ არ არსებობდნენ და ისინი მხოლოდ XIX ს-ში გაჩნდნენ, როდესაც სომეხი კათოლიკეები გაქართველდნენ. ეს დავა არ იყო მხოლოდ თეორიული ხასიათის. აღნიშნული დებულების დამტკიცების შემთხვევაში, მხითარისტები მოითხოვდნენ საქართველოში მცხოვრები კათოლიკეებისათვის ჩამოერთვათ ღვთისმსახურების („რიტის“) ქართულად აღსრულების უფლება და ღვთისმსახურება მხოლოდ სომხურ-ლათინურად წარმართულიყო. ამ საკითხს გაბრიელ ტერ-ნაჰაპეტიანმა სამი მოხსენება უძღვნა, რომელიც ერთ ბროშურად გამოსცა: „Gli Armeni Cattolici in Georgia el a questioni fra cattolici Armeni e Georgiani.“ სწორედ გ. ნაჰაპეტიანის საპასუხო პირველი წერილის დაბეჭდვას ელოდა მიხეილი საქართველოში. მისი დაძაბული მოლოდინი, სავსებით გასაგებია, რადგან თამარაშვილმა იცოდა, რომ მხითარისტები ძლიერ ადამიანურ და მატერიალურ რესურსს ფლობდნენ და მისი წერილის დაბლოკვა, სავსებით შესაძლებელი იყო. მაშინ, მის შემდგომ ნაბიჯებს, ამ მხრივ, შესაძლოა აზრი დაჰკარგვოდა. ამიტომაც წერდა თამარაშვილი ზემოთ მოტანილ წერილში: „მე მაგის (იგულისხმება წერილი ნაჰაპეტიანის ნაშრომის შესახებ, ვ.კ.) დაბეჭდვას ვუცდი,

რომ გამოვიგზავნო მეორე წიგნი გამოსაცემად.“ ამ ფრაზაში იგულისხმება თამარაშვილის წიგნი, რომელიც, მართლაც დაიბეჭდა თბილისში 1904 წელს = „პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა).“ მიხეილმა არ იცოდა, რომ როდესაც მისი აღნიშნული წერილი იწერებოდა (1903 წლის 2 ნოემბერი), მისი პირველი წერილი (და მისი გაგრძელებაც), უკვე დაბეჭდილი იყო 1903 წლის 25-30 ოქტომბრის „ივერიაში“ (№№228, 229, 230, 231). ამ წერილებში, რომლებიც მიხეილმა შემდეგ, თავის ახალ წიგნს („პასუხად სომხის მწერლებს“) დაურთო, თამარაშვილი სხვათაშორის წერდა: „ძლიერ მაკვირვებს, ბ-ნ ავტორის (ე.ი. გ. ნაჰაპეტიანის, ვ.კ.) თავგასულობა, რომ თვით რომის წმ. საყდარს რჩევას აძლევს, რომ კათოლიკეებს ძალა დაატანოს, რათა მიუბრუნდნენ თავიანთ სომხურ დედაენას და ტიპიკონსაო. მამა ნაჰაპეტიანს ჰგონია რომის კარდინალები მასავით სომხური პატრიოტობით აღვზნებულნი იყვნენ და ყველაც მასავით კენეციის—მ<ე>ხითარისტების უნივერსიტეტში გაწვრთნილნი იყვნენ, საცა სხვას არას სწავლობენ, თუ არ სომხურ უზომო პატრიოტობას და ყველაფრის გასომხებას.“ (4: 3; 1: 253).

გაბრიელ ნაჰაპეტიანი კი, თავის საქმეს აგრძელებდა; 1903 წელს მხითარისტებმა ის თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში მოავლინეს. მიუხედავად სპეციალური მითითებისა, რომ ფრთხილად ემოქმედა, მას მალე კონფლიქტი მოუვიდა თბილისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარ პავლე ყალაიჯიშვილთან. ამის შემდეგ, ის რომში გაბრუნდა და იქიდან განაგრძო თავისი საქმე. მიხეილ თამარაშვილმა, თავის მხრივ, ძლიერ არგუმენტს მიმართა – ფრანგულ ენაზე შეადგინა მოხსენება („რაპორტი“) და სათითაოდ დაურიგა კარდინალებს და თვით რომის პაპს. ამ რაპორტში ის

ძირფესვიანად აქარწყლებდა მხითარისტების მტკიცებებს (3: 67-74).

ასე იბრძოდა პარტი მიხეილ თამარაში სიცოცხლის ბოლომდე. მისი სიცოცხლე კი ასე უცნაურად შეწყდა, 1911 წლის სექტემბერში, პატარა ქალაქ სანტა-მარინელაში...

დამოწმებანი:

1. თამარაშვილი მ., პასუხად სომხის მწერლებს, თბ., 1904.
2. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამითგან – დღემდე, თარგმანი ფრანგულიდან, თბ. 1995.
3. ლომსაძე შ., მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბილისი, 1984.
4. „ივერია“, გაზეთი, 1903, №231, 30 ოქტომბერი (ხუთშაბათი).
5. კიკნაძე ვ., ქართველი კათოლიკენი საუკუნის დასაწყისში, ჟურნალი „საქართველო, ევროპა – ამერიკა“ №1/97.
6. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, პოლიევექტოს კარბელაშვილის ფონდი, საქმე №284.
7. ხახანაშვილი ალ., გაზეთი „ივერია“, 1900, №225.

Vazha Kiknadze

Professor of the Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Director of the Institute of History and Ethnology

ONE EPISODE FROM THE BIOGRAPHY OF MIKHEIL TAMARASHVILI (THE 1908 LETTER FROM ROME) SUMMARY

The article analyzes personal letter of the well-known religious figure and scholar Michail Tamatashvili (Michel Tamarati), which was kept in the Georgian National Historical Archives. The letter was unknown for scientists, because it was preserved in the archive of famous church historian, archpriest

Polievkt Karbelashvili instead of Michel Tamarati's archive (although the letter was addressed to another person - Petre Mirianashvili).

That letter was written in Rome, 1903 year and reflects the situation around Georgian Catholics. In particular, the Congregation of Venice Mkhitarists enhanced the propaganda against the Georgian Catholics and justified that denomination like Georgian Catholics do not exist at all. Lobbying on the matter was entrusted to the Mkhitarist priest Gabriel Ter Nahapatian, who was sent in Georgia to seek approvals for this matter. This matter aroused lot of misunderstanding and controversy in the Georgian Catholic parish. This, in turn, allowed the Russian imperial authorities to emphasize persecution of Catholics in Georgia.

All this issues was placed in the center of Tamaratis attention. Core concept of the letter written by Tamarati in 1903 year is the nullifying the thesis of G. Nahapatian.

In addition, M. Tamarati letter discusses other interesting details of Georgian history, which are presented in this article at first time.

ელდარ მამისთვალიშვილი
კორის სასწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი

ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III საქართველოში

მაკარიოსი (მისი არაბული სახელია მაკარიუს იბნ აზ-ზა'იმ, ალ-ჰალაბი ალ-ანთაქი), სირიელი არაბი, ჯერ ალექსის მიტროპოლიტი იყო, ხოლო 1647 წლის 12 დეკემბერს აირჩიეს ანტიოქიის პატრიარქად. საპატრიარქო, XVII საუკუნეში, თურქებისაგან შევიწროებას განიცდიდა და საკმაოდ დიდი ვალეებიც ჰქონდა. მაკარიოსიც, სხვა პატრიარქების მსგავსად, საჭირო თანხების საშოვნელად მართლმადიდებლურ ქვეყნებში მოგზაურობდა. ასეთმა განზრახვამ მოიყვანა ის საქართველოშიც, მაგრამ დამასკოში დაბრუნების მაგიერ (ამ ქალაქში იყო მაშინ ანტიოქიის პატრიარქების რეზიდენცია), მას, მისდა უნებურად, მოსკოვში წასვლა მოუხდა.

მაკარიოსი მოსკოვში პირველად იყო 1655 წელს. მისი რუსეთის დედაქალაქში ყოფნა დაემთხვა პატრიარქ ნიკონის (1652-1667) საეკლესიო რეფორმას. მაკარიოსმა მხარი დაუჭირა რეფორმას, რასაც ნიკონისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მაკარიოსი მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში ერთ-ერთ სერიოზულ ავტორიტეტად ითვლებოდა. მას მოსკოვში ჯეროვნად დაუფასეს თანადგომა და დიდად დასაჩუქრებული უკან, დამასკოში გაისტუმრეს (4: 9-10).

მეორედ მაკარიოსს მოსკოვში წასვლა მოუხდა მაშინ, როდესაც მეფე ალექსი მიხეილის ძემ (1629-1676) პატრიარქ ნიკონის საქმესთან დაკავშირებით მსოფლიო პატრიარქების (კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და

ალექსანდრიის) მოწვევა გადაწყვიტა და მათთან სპეციალური მოციქული, ბერძენი იეროდიაკონი მელეტი გააგზავნა. მოციქული ჯერ კონსტანტინოპოლში მივიდა, სადაც იმ დროს იერუსალიმის პატრიარქი ნექტარიოსიც იმყოფებოდა. ადგილობრივმა მღვდელმთავართა კრებამ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც გატარებული იყო აზრი პატრიარქ ნიკონის მეფისადმი მორჩილების შესახებ. დადგენილებას დაეთანხმნენ ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოსი და ან ტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი. დადგენილება, პატრიარქების ხელმოწერით, მელეტიმ მეფეს ჩაუტანა 1664 წ. 30 აპრილს, მაგრამ ის საკმარისი არ აღმოჩნდა ნიკონის გასასამართლებლად. საჭირო იყო პატრიარქების მოსკოვში ჩაყვანა. მათთან გაიგზავნა ელჩობა, რომელმაც მხოლოდ კონსტანტინოპოლამდე მიაღწია. ელჩობის წევრებმა რიკოვიცის მახლობლად ინახულეს იერუსალიმის პატრიარქი ნექტარიოსი და მეფის მიწვევა გადასცეს. პატრიარქს მიწვევაზე თანხმობა განუცხადებია და ისიც უთქვამს, რომ მოსკოვში წავიდოდა საქართველოზე გავლით (9: 166). შემდეგში მან, ისევე როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, საერთაშორისო ვითარების გართულების მომიზეზებით, უარი თქვა მოსკოვში წასვლაზე. ელჩობის წევრები, მელეტის გარდა, რუსეთში დაბრუნდნენ, მელეტი კი ალექსანდრიაში წავიდა, რომლის პატრიარქმა პაისიოსმა თანხმობა განაცხადა. ამის შემდეგ მელეტიმ სინის მთის მონასტრის არქიეპისკოპოსი, პატრიარქის ტიტულზე მეოცნებე, ანანია მოინახულა და მოსკოვში წასვლაზე დაითანხმა. პატრიარქი, არქიეპისკოპოსი და მელეტი ერთად წავიდნენ დამასკოში პატრიარქ მაკარიოსთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მაკარიოსი საქართველოში იმყოფებოდა მოწყალეების მოსაგროვებლად. ამის შემდეგ სამივე საქართველოს გზას დაადგა და ისინი 1665 წლის 1 ოქტომბერს თბილისში მოვიდნენ (9: 274-275).

მელეტიმ თბილისში შეიტყო, რომ მაკარიოსი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და მასთან წასვლა გადაწყვიტა. ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰ-ნავაზმა მელეტი იმერეთში არ გაუშვა და თავის კაცი გაგზავნა. შიკრიკმა მელეტის, პაისიოსის და ქართლის კათალიკოსის დომენტის წერილები წაიღო. მაკარიოსი მათ დაჰპირდა, რომ ათი დღის შემდეგ თბილისში იქნებოდა, მაგრამ დიდი დაგვიანებით მივიდა. როდესაც მას რუსეთის ხელმწიფის მიწვევა გადასცეს, მოსკოვში წასვლაზე უარი განაცხადა, რადგან იმერეთში შეაგროვა დიდძალი შესაწირი, რომელიც სასწრაფოდ უნდა წაეღო დამასკოში ვალების დასაფარად. პაისიოსმაც უარი განაცხადა მოსკოვში წასვლაზე. მელეტიმ მაინც შეძლო მათი დაყოლიება და შეთანხმდნენ, რომ პაისიოსი მაკარიოსს შემახაში დაელოდებოდა, სადაც ანტიოქიის პატრიარქი აღდგომის შემდეგ მივიდოდა. საქართველოში დარჩნენ ანანია და ტრაპიზონის მიტროპოლიტი. პაისიოსი და მელეტი არჩილ II-ის კაცებმა კახეთიდან შემახამდე გააცილეს.

მაკარიოსს, თავდაპირველად, განზრახული ჰქონდა თბილისიდან თუშეთის გზით თერგის ციხე-ქალაქში გადასულიყო, მაგრამ ვერ შეძლო. მელეტი იძულებული გახდა შემახადან თბილისში დაბრუნებულიყო და მაკარიოსი შემახაში წასვლაზე დაიყოლია. პაისიოს ალექსანდრიელი და მაკარიოს ანტიოქიელი, თანამგზავრებთან ერთად, ასტრახანზე გავლით მოსკოვს გაემგზავრნენ. მსოფლიო პატრიარქების ამაღლაში იყვნენ აზნაური მათე და თავადი ივანე თავიანთი მსახურებით. პატრიარქების ამალიდან განსაკუთრებით საინტერესო ფიგურა იყო აზნაური მათე, რომლის შესახებაც ცნობილია შემდეგი: როდესაც მაკარიოსი მოსკოვში წასვლაზე თავს იკავებდა, მელეტიმ ქართლის დედოფალ მარიამს სთხოვა ზემოქმედება მოეხდინა მასზე და დაჰპირდა, თუ ეს საქმე მოგვარდებოდა, მაშინ ის ოდიშიდან ღვენილ მის ძმისშვილს, ლევან II დადიანის ვაჟს – მათეს მოსკოვში წაიყვანდა. ცნობილი არ

არის მარიამმა რა იღონა მაკარიოსის მოსკოვში გასამგზავრებლად, ის კი ვიცით, რომ მაკარიოსთან ერთად მათეც წავიდა. 1667 წელს მათე მოსკოვში დააპატიმრეს და გააციმბირეს. 1683 წელს ის სიკვდილით დასაჯეს მოსკოვში (6: 99-121).

ცნობილი არ არის რა ბრალდება წაუყენეს მათეს. ის თავის ერთ-ერთ წერილში თავის გაუბედურებაში ბრალს სდებს მაშინ მოსკოვში მცხოვრებ ერეკლე ბატონიშვილს, (შემდეგში ქართლის მეფე ერეკლე I-ს), მაკარიოს ანტიოქიელს და მის ვაჟს პავლე ალექსოელს. ვერ ვიტყვი ამ შემთხვევაში რა მოტივი ამოძრავებდა ერეკლე ბატონიშვილს, მაგრამ შეიძლება გავიხსენოთ, რომ მან 1669 წელს იმერეთიდან მოსკოვში წასული ელჩობის წევრები ჯერ დააპატიმრებინა, შემდეგ კი გადაასახლებინა (3: 80-82). სავარაუდოა, რომ ანტიოქიის პატრიარქი და მისი ვაჟი ოდიშის მთავრის ტახტის ირგვლივ არსებულ ინტრიგებში მონაწილეობდნენ.

მაკარიოსი რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საქმეებში აქტიურად ერეოდა, ამას თვითონაც გვამცნობს (2: 97-99, 110-111, 116). მის ავტორიტეტს, როგორც ჩანს პატივს სცემდნენ ქართლის სამეფოშიც. 1664 წელს ბარათაშვილი სახლ-ხუცისშვილი ქაიხოსრო კათალიკოს დომენტის წერს: “ემმაკმან მაცთუნა და მღვდელ-მონაზონობისაგან (არსენ წოდებული) ერისკაცად შვეიქენ... გაგწყერით. იმ ხელად ანტიოქიის პატრიარქი (მაკარი) მობძანდა და მისის შუამავლობით... შეგირიგეთ და შენდობა გიბოძეთ... საკანონოდ მოგახსენეთ... მამული ორი კუამლი (ჩამოთვლილია) ქკს: ტნბ: აგ სტოს: გ:” (7: 482).

1666 წ. 2 ნოემბერს მაკარიოსი მოსკოვში მივიდა. 19 ნოემბერს გაიხსნა საეკლესიო კრება, რომელმაც პატრიარქი ნიკონი გადააყენა და ბერად აღკვეცა. კრების დამთავრების შემდეგ პატრიარქები სხვადასხვა დროით მოსკოვში დარჩნენ

– მაკარიოსი და მისი ვაჟი პავლე 1668 წ. ივნისამდე, ხოლო პაისიოსი კიდევ მეტ ხანს (4: 24).

იმავე წლის ბოლოს მაკარიოსი შემახაში მივიდა. მას იქ განუზრახავს მოსკოვიდან წაღებული საჩუქრების გაყიდვა, მაგრამ ადგილობრივმა ხანმა ჩამოართვა მთელი ქონება და 3 ათას მანეთს შეჰპირდა. მაკარიოსი საქართველოში წამოვიდა და აქ ელოდებოდა ხანის მიერ შეპირებულ თანხას. მან ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზსაც სთხოვა დახმარება, მაგრამ მეფის თხოვნამაც არ გაჭრა. მაკარიოსსა და მის ამალას გამოსაკვები ფულიც კი აღარ ჰქონდათ. კარგა ხნის შემდეგ ხანმა პატრიარქს უკან დაუბრუნა ნივთების მხოლოდ ნაწილი, რომელიც მაკარიოსმა ადგილობრივ ბაზარზე გაყიდა და, როგორც თვითონ ამტკიცებდა, 2 ათასი მანეთი იზარალა (4: 25).

საქართველოში მოსვლიდან ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა მაკარიოსის ვაჟი პავლე ალექსოელი. 1670 წ. მაკარიოსი ანტიოქიაში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა 1672 წელს.

მაკარიოს ანტიოქიელი, როგორც ითქვა, საქართველოში იყო ორჯერ: 1664-1666 წლებში. ის აქედან წავიდა მოსკოვში და მეორედ, მოსკოვიდან მობრუნდა 1669 წელს. “ყანჩათის ჟამგულანის” (1674 წ.) მიხედვით, “ტნბ – 1664 – აქა მობრძანდა ანტიოქის პატრიარქი მაკარიოზ” (5: 42). იგივე თარიღია XVII ს. ჟამგულანში (5: 48). შედარებით ზუსტია 1672 წელს გადაწერილი “ჟამ ნის” მინაწერი: “ტნბ - 1664 – აქა მოვიდა ანტიოქის პატრიარქი მაკარიოს თვესა ივლისა”. აქედანვე ვიგებთ, რომ ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოსი და სინის მთავარეპისკოპოსი ანანია საქართველოში მოსულან 1665 წლის დეკემბერში (5: 46).

მაკარიოსი საქართველოში მოსვლის მიზანს გადმოგვცემს თავისი თხზულების დასასრულს: “ჩვენ იქ (დასავლეთ საქართველოში - ე. მ.) ვიყავით, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ

პატივი დაგველო ჩვენი სამწყსოსათვის – ქართველებისათვის, ჩვენი ვალი მოგვეხადა მათ წინაშე და... დაგვეყენებინა ისინი ჭეშმარიტ გზაზე; მეორეც იმიტომ, რომ ანტიოქიის საკათალიკოსო ტახტს ჩვენზე ადრე დიდძალი ვალი დაედო. ამ ვალს სარგებელიც დაემატა. ამის გამო ატყდა საჩივრები და სხვა ამდაგვარი. სწორედ ამან გვაიძულა, მიგვეტოვებინა ჩვენი ტახტი და სამწყსო, გადმოვხვეწილიყავით და სიყარბის სიმწარე გვეწვინა, იქნებ ამ ვალებიდან თავი დაგვეხსნა” (2: 526-529)*.

მაკარიოსი, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. ის ქართლის სამეფოს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით თუ ესტუმრებოდა ხოლმე. ამიტომაც, რომ მისი მოგზაურობის აღწერაში უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ისტორიის, კულტურის, ეკლესიის, ეკონომიკური მდგომარეობის, გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს ვხვდებით. მან ასევე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა წმინდა რელიკვიების და საეკლესიო ღირსშესანიშნაობათა შესახებ (“ქართველებთან ისეთი დიდებული სიძველენი და ღირსშესანიშნაობანი ვნახეთ, მთელ ღუნიაზე რომ არსად არ გვინახავს” - წერდა მაკარიოსი). თბილისში დაცული სიწმინდეებისა თუ კიდევ სხვა რამის გამო, მაკარიოსი და მისი ვაჟი 1664 წლის აგვისტოში ქართლის სამეფოს დედაქალაქში, კათედრალურ ტაძარში იყვნენ. ამას გვამცნობს XVII საუკუნის ხელნაწერ სახარებაზე გაკეთებული არაბული მინაწერი მაკარიოსის ვაჟის პავლე ალექოელის ხელით: “მოვიდა ამ წმინდა ეკლესიაში ქალაქ თბილისის კირ მაკარიოს, პატრიარქი ღვთის დიდი ქალაქის ანტიოქიისა და სხვათა აღმოსავლეთის (ქალაქთა). და ეს (იყო) მე-17 დღეს აგვისტოსთვისა წელსა ადამისაგან 7172-სა (1664 წ.), როდესაც მოვიდა მოსახილველად საქართველოს ამ ღმრთივ დაცულ ქვეყანაში.

მოიხსენე, უფალო, მონა შენი საწყალობელი დიაკონი ბულუს (პავლე) ჰალაბიელი (ალეპოელი), ამის მწერალი” [8: 22).

მაკარიოს ანტიოქიელი აქტიურად ერეოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი ჩანაწერებიდან ვიცით, ის რამდენს ცდილობდა ერთმანეთთან შეერივებინა იმერეთის მეფე ბაგრატ IV და ლევან III დადიანი, მაგრამ, როგორც ის სინანულით აღნიშნავდა, დადებით შედეგს ვერ მიაღწია (2: 118-119). მაკარიოსი განსაკუთრებით მწვავედ ილაშქრებდა საქართველოში გავრცელებული ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ, რაც კარგად ჩანს მის ჩანაწერებში. მან მრავალი სასულიერო პირი დასაჯა ამგვარი საქმიანობის გამო. ის ცდილობდა ემხილებინა და გამოესწორებინა საეკლესიო წესებში არსებული ნაკლოვანებანი, ქრისტიანული მორალისა და ეთიკისათვის მიუღებელი ქცევები. როგორც კათოლიკე მისიონერების ცნობებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, ანტიოქიის პატრიარქი ნაკლოვანებებს ამხელდა ქადაგებების დროს. ის იმდენად კარგი ორატორი იყო, რომ კათოლიკეთა ეკლესიებში რომ ექადაგა, როგორც კათოლიკე მისიონერები ფიქრობდნენ, ყველა ქართველი კათოლიკობას მიიღებდა (1: 167).

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება თითქოს მაკარიოს ანტიოქიელი საქართველოში მოსვლამდე უკვე კათოლიკობას აღიარებდა (1: 167; 5: 120, შენ.. 131). პირველად ასეთ ცნობას ვხვდებით მ. თამარაშვილის ნაშრომში, სადაც დამოწმებულია კათოლიკე მისიონერების რომში გაგზავნილი წერილები. ის წერს: “ამის (მაკარიოსი – ე.მ.) საქართველოში მოსვლას კაპუცინებიც სწერენ რომაში 1665 წ. დიდათ აქებენ და ამბობენ, რომ თუ მან ერთ ორ გზის იქადაგა ჩვენს ეკლესიაში, მაშინ ყველა ქართველები შემოვიერთდებიანო. პატრიარქმა საქართველოში მოსვლამდე მიიღო კათოლიკობა და თავის შეერთების წერილი გაგზავნა რომაში 1661 წ.” (1:167) შემდეგ, მ. თამარაშვილს იმის დას-

ტურად, რომ მაკარიოსი კათოლიკობას და პაპის უზენაესობას აღიარებდა, მოჰყავს პაპის - ალექსანდრე VII-ის ეპისტოლე “ბერძნების პატრიარქ მაკარიოზისადმი”. ეს არის პასუხი მაკარიოსის წერილზე, რომელშიც ანტიოქიელი ვითომდაც კათოლიკობას აღიარებს. ჩემი აზრით, საქმე გვაქვს აღმოსავლეთის ეკლესიის მეთაურის დიპლომატიური ხასიათის წერილთან და შუა საუკუნეებში ჩვეულებად ქცეულ მოქმედებასთან, როდესაც გაჭირვებაში ჩავარდნილი პატრიარქი ცდილობს, ოსმალების ბატონობის პირობებში, თავიდან აიცილოს კათოლიკეთა შემოტევა. მაკარიოსის მოქმედების ახსნა საქართველოს მაგალითზეც შეიძლება, მაგრამ არც ერთ ქართველ პოლიტიკურ და სასულიერო მოღვაწეს ახდლიად არ უღიარებია კათოლიკობა და პაპის უზენაესობა.

მ. თამარაშვილის მოსაზრება მაკარიოსის მიერ კათოლიკობის აღიარებაზე, ბათილდება მის მიერვე მოხმობილი 1664 წლის ერთი წერილით, რომელიც პატრ კარლოსს რომში დაუწერია. ის სხვათა შორის წერდა: “დასასრულ საქართველოში დავსტოვე ბერძნისი ანტიოქიის პატრიარქი, რომელიც აქ დასავლელად მოვიდა, რადგან იქაურობა მის უფლების ქვეშ არის. იმ ზომამდე გვცა პატივი, რომ ბევრმა დიდებულთაგანმა გვითხრა, თუ ეს პატრიარქი თქვენს ეკლესიაში მოვიდა და იქადაგა, რომ თქვენ ჭეშმარიტი ქრისტიანი ხართო, მაშინ ყველანი მიიღებენ თქვენს სარწმუნოებასო. ამ სიკეთეს მისგან მოველით ალექსოს კონსტანტინოპოლის საშუალებით. აგრეთვე თვით პატრიარქიც დაგვაპირდა ამას და კიდევ ეთქვა რავდენისამე ეპისკოპოსისათვის. შემდგომ რა იქმნა, არ ვიცით, რადგან მე წამოველი” (1: 229-230, 668).

ზემოთ უკვე გავეცანით მაკარიოს ანტიოქიელის ბიოგრაფიის ძირითად მომენტებს, მაგრამ არსად ჩანს მისი გაკათოლიკება. რადგან მაკარიოსი მიიწვიეს საეკლესიო კრებაზე მოსკოვში, სადაც მაშინ უაღრესად მკაცრი პოზიცია ეკავათ კათოლიციზმის მიმართ, მასზე რომ რაიმე ეჭვი არსებულებო,

დიდი ხვეწნით არ ჩაიყვანდნენ რუსეთის სატახტოში. მაკარიოსს რომ კათოლიციზმისკენ რაიმე მიდრეკეა ჰქონებოდა, არც საქართველოში დატოვებდნენ უყურადღებოდ.

ახლა პატრ კარლოს წერილს ჩაუვკვირდეთ. იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ მაკარიოსი არის “ბერძნისი ანტიოქიის პატრიარქი”. “ბერძნისი” არ ნიშნავს ბერძენს. საყოველთაოდ ცნობილი იყო მაკარიოსის ეროვნება – არაბი. “ბერძნისი” უნდა გავიგოთ როგორც ბერძენთა რელიგიის მიმდევრების, აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა ერთ-ერთი პატრიარქი. წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ გამოდის, რომ ქართველებს ეჭვი ეპარებოდათ იყვნენ თუ არა კათოლიკები ჭეშმარიტი ქრისტიანები. ისინი მათ მაშინ ჩათვლიდნენ ნამდვილ ქრისტიანებად, თუ მაკარიოსი, ქართველთა გაგებით ჭეშმარიტი ქრისტიანი, ე.ი. მართლმადიდებელი, მათ ეკლესიაში ილოცებდა და იქადაგებდა. ერთი რამ ცხადია, რომ მაკარიოსი არ დათანხმდა მართლმადიდებლისათვის შეუფერებელ მოქმედებაზე და კათოლიკურ ეკლესიაში არ იქადაგა. ამის შემდეგ პატრებმა განიზრახეს ანტიოქიის პატრიარქზე ზემოქმედება ალექსოს კათოლიკე კონსულის საშუალებით მოეხდინათ. საეჭვოა პატრიარქს რაიმე დაპირება მიეცა პატრებისათვის მსგავსი თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე. მის ჩანაწერებში ამის შესახებ არაფერი ჩანს. პირიქით, ის გველინება მართლმადიდებლური საეკლესიო წესების, მორალისა და ეთიკის თავგამოდებულ დამცველად. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მ. თამარაშვილი შემდეგში დაბეჯითებით აღარ ამტკიცებდა მაკარიოსის მიერ კათოლიკობის მიღებას, მაგრამ არ ჩანს რატომ. ის წერდა, რომ მაკარიოს III მოსაჩვენებლად რომის ეკლესიას შეუერთდა 1661 წლამდეო (1: 455). თუმცა მაკარიოსის რომის ეკლესიასთან “მოჩვენებით” შეერთებაც არ დასტურდება.

დამოწმებანი:

1. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფ., 1902.
2. მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ – არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა. „არმაღანი“. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982.
3. მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003.
4. მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალექოელის მიერ). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბ., 1973.
5. მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968
6. ტივაძე თ., ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1975.
7. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, 1897.
8. ჭყონია თ., პავლე ჰალაბელი და არაბული მინაწერი ქართული სახარების ბოლოს. გაზ. “ლიტერატურა და ხელოვნება, 1947 წ., № 22.
9. Гиббенет Н., Историческое исследование дела патриарха Никона, ч. II, СПб., 18845.

Eldar Mamistvalashvili
Gori Teaching University, Full Professor
**PATRIARCH MACARIOS III OF ANTIOCH IN
GEORGIA
RESUMÉ**

Macarios, like the other Patriarchs, travelled around the orthodox countries to raise the necessary funds. Right with this intention he has been to Georgia for two times: in the years of 1664-1666 and in 1669. Macarios travelled mostly in western Georgia; that is why in the descriptions of his journey we can find the information mainly about the history, culture, church, economic conditions and geography of western Georgia. He has also given interesting data concerning the holy relics and religious sights of this side of the kingdom.

Macarios of Antioch actively interfered in political affairs of the kingdom. There is a viewpoint in the Georgian historiography as if Macarios III of Antioch had already recognized Catholicism before his coming in Georgia though this fact has not been confirmed in written sources. He did not recognize Catholic faith neither before nor after his arrival in Georgia.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge